ვ. ბაბაკოვი

ფიქრები

ბავშვის აღზრდის საკითხებზე

53

«ნაკადული»
თბილისი
1975


Г 2
899.962.1—3
ბ 122

ამ წიგნით მკითხველი გაეცნობა ესქილეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ავტორი მოვითხრობს დიდი დიონისიების დღესასწაულებზე, ტრაგიკოს პოეტთა შეჯიბრებებისა და ბერძნული ტრაგედიის განვითარების ზოგიერთ ძირითად ეტაპზე. აქვე მოცემულია ბერძენ-სპარსელთა ომების დროინდელი ათენის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სურათები.

პირველი გამოცემა

© „ნაკადული“, 1975 წ.

70803—000
ბ———————————————129—75
M—603(08)—75



პროლოგი

მზის სხივები მეფის საწოლ ოთახში შეიჭრა. დარიოსი სწრაფად წამოდგა, ხალათი მოისხა და სარკმელს მიაშურა.

მსახურის მახვილ სმენას ფეხის ხმა არ გამოეპარა, ტანსაცმელი შეისწორა და ფრთხილად დააკაკუნა.

— შემოდი! — მოესმა დარიოსის ხმა.

მსახური ოთახში შევიდა, ირანის ძლევამოსილ მბრძანებელს თაყვანი სცა და კრძალვით წარმოთქვა:

— დიდებულო ხელმწიფეო, ათენელებს ნუ დაიწყებ!

მსახურმა გასვლა დააპირა, მაგრამ მეფის მრისხანე მზერამ შეაჩერა:

— დღეის მერე აღარ გაბედო ჩემი შეწუხება. ახლა კი დატისი და არტაფერნე მომგვარე!

გაკვირვებულმა მსახურმა ოთახი დატოვა.

რამდენიმე წლის წინ, როდესაც დარიოსმა იონიელი ბერძნების აჯანყება ჩაახშო და მილეტი[1] მიწასთან გაასწორა, სწორედ ეს მსახური იხმო და უთხრა:

— ათენელებმა აჯანყებულთა დახმარება მოიწადინეს. გულმავიწყი არა ვარ, მაგრამ შენ მაინც ყოველ დილით მომაგონე მათი ღალატი!

მას მერე მსახურს ერთი დილაც არ გამოუტოვებია. მეფეს ეახ-

---

[1] ბერძნული ქალაქი მცირე აზიის სანაპიროზე.

ლებოდა და ათენელებზე შურისძიებისაკენ მოუწოდებდა. დღეს კი... მსახურს ვერ გაეგო, რატომ შემოსწყრა ხელმწიფე. მეფის ყურმოჭრილმა მონამ როდი იცოდა, რომ დარიოსს უკვე გადაეწყვიტა ათენელების სასტიკად დასჯა...

მეორე დღეს მეფის სასახლეში დიდებულებმა და სარდლებმა მოიყარეს თავი. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. შეკრების მიზეზი ყველასათვის ცნობილი იყო და ძრწოლით ელოდნენ დარიოსის გამოჩენას. მალე კარები ფართოდ გაიღო და დარბაზში დარიოსმა შემოაბიჯა. მეფე ერთხანს მდუმარედ იდგა, მერე შეკრებილთ მიუბრუნდა და მტკიცედ წარმოთქვა:

— მე გადავწყვიტე ათენზე გალაშქრება. გზადაგზა სხვა ბერძნულ სახელმწიფოებსაც დავიმორჩილებ. ელადას ირანის მფლობელობაში მოვაქცევ და ჩემი ქვეყნის საზღვარს შუაგულ საბერძნეთამდე გადავწევ... — დარიოსმა შეკრებილთ თვალი მოავლო და მზერა ორ სარდალზე შეაჩერა, — გასულ წელს მარდონიუსმა შეურაცხჰყო ირანის ძლევამოსილება. ამჯერად ჯარის წინამძღოლობას დატისსა და არტაფერნეს ვაკისრებ. ერთი თვის შემდეგ სწორედ ისინი გაიყვანენ კილიკიიდან ირანის ლაშქარს. ჩემი სარდლები, ალბათ, მარდონიუსის გაკვეთილს არ დაივიწყებენ.

დარბაზში კვლავ დუმილი ჩამოწვა. დიდებულებმა სარდლებს მიაპყრეს მზერა. სიჩუმე დარიოსმა დაარღვია:

— მე მსურს მოვუსმინო დატისსა და არტაფერნეს!

სარდლები სწრაფად წამოდგნენ და მეფეს მდაბლად დაუკრეს თავი.

— დიდებულო ხელმწიფეო! — დაიწყო დატისმა, — უსაზღვრო პატივი დაგვდე მე და არტაფერნეს. შენი ერთგული მონები სიკვდილის ღირსნი ვიქნებით, თუ ამ ნდობას ვერ გავამართლებთ. ჩვენმა ხელმწიფემ ირანი უძლეველ სახელმწიფოდ გადააქცია. ელადა მას წინ ვერ აღუდგება. მაგრამ რაკი მარდონიუსი ახსენე, ნება მომეცი, ორიოდე სიტყვა მოგახსენო. ჩრდილოეთიდან შემოვლით ლაშქრობაზე ერთობ დიდი დრო დაკარგა მარდონიუსმა. ჩვენი ფლოტიც ბედისამარა მიტოვებული აღმოჩნდა. რაკი ჯარები კვლავაც კილიკიიდან უნდა გავიყვანოთ, ნება მოგვეცი, ეგეოსის ზღვით, როდოსისა და ნაქსოსის გავლით, ელადის მიწის შუაგულში გადავსხათ დიდი ლაშქარი. ამით დროსაც მოვიგებთ და იმ ქვეყნებსაც გავუს-

წორდებით, რომელთაც ერთ დროს ჩვენი უმაღლესი გამგებლის ურჩობა გაბედეს.

დარიოსმა ყურადღებით მოუსმინა დატისს და თქვა:

— რას იტყვის არტაფერნე?

— დიდებულო ხელმწიფეო! მე ვემხრობი სახელოვან დატისს; თუმცა, მსურს ორიოდე სიტყვა დავუმატო მის ნათქვამს. ელინურ სახელმწიფოებს მართლაც არ ძალუძთ, წინ აღუდგნენ ირანის ძლევამოსილებას. მაგრამ მათ იციან თავგანწირული ბრძოლა. მშობლიური ქალაქებისა და მიწა-წყლის დასაცავად. ხოლო პატარ-პატარა სახელმწიფოები გაერთიანებასაც თუ მოახერხებენ, მაშინ ისინი საშიშ ძალად გადაიქცევიან. მე, დიდებულო ხელმწიფეო, მაინც მწამს ჩვენი გამარჯვება, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია ზოგი წინასწარი ღონისძიება...

— თქვი! — დაუქნია თავი დარიოსმა.

— მეფეთა-მეფევ! გააგზავნე ელჩები ბერძნულ სახელმწიფოებში. მოსთხოვე ერთგულება და მორჩილების ფიცი. დარწმუნებული ვარ, ბევრი ქვეყანა უბრძოლველად ქედს მოიხრის შენ წინაშე. ვინც არ დაგვემორჩილება, სასტიკად გავუსწორდებით. მათ შორის ბევრია ადგილობრივი მართველობით უკმაყოფილო. შესაძლოა ევპატრიდები[1] მთლიანადაც გადმოვიბიროთ. ყოველ შემთხვევაში, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ათენის ყოფილ ტირანს ჰიპიასს. ის ხომ სამშობლოდან გამოაძევეს და ამჟამად აქ იმყოფება. მოგაგონებ, რომ ჰიპიასი დიდი ხანია თავის სამსახურს გთავაზობს.

— ჰიპიასი, — ჩაილაპარაკა დარიოსმა, — მე მართლაც მაგონდება ეს სახელი!..

— დიდებულო ხელმწიფეო, — მიუგო არტაფერნემ, — თუ ინებებ მის ნახვას, ახლავე მოგგვრი!

— შემოიყვანე! — ბრძანა დარიოსმა.

დარბაზში შუახნის ახოვანი ვაჟკაცი შემოვიდა. დარიოსი დიდხანს აკვირდებოდა მას და მერე მკაცრად უთხრა:

— უცხოელო, ყურადღებით მისმინე და დაიხსომე ჩემი ნათქვამი. ირანელის აღზრდა ხუთი წლის ასაკიდან იწყება. აღმზრდელი სამი მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას: ჩვენ სიყრმიდანვე

---

[1] წარჩინებულნი.

გვასწავლიან ცხენოსნობას, შუბის ტყორცნასა და სიმართლის თქმას. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლის თქმას! სიცრუეს დანაშაულად ვთვლით და დამნაშავეს, მით უფრო უცხოელს, რომელმაც ჩვენს ქვეყანას შემოაფარა თავი და ჩვენი ადათი შებღალა, სასტიკად ვსჯით. შენგანაც გულწრფელობას და მართალ სიტყვას მოვითხოვ. ხოლო გულში თუ სხვა ზრახვა გიძევს, სჯობს, ახლავ დატოვო სასახლე და დროულად გამეცალო!

— მეფეო, — მიუგო ტირანმა, — ჰიპიასისათვის ზედმეტია ეჭვის გაფრთხილება!

— კეთილი, — თქვა დარიოსმა, — დავალებებს არტაფერნესაგან მიიღებ. ღვაწლი დაგიფასდება, ღალატისათვის დაისჯები. ახლა კი თუ რამ სათქმელი გაქვს, მომახსენე!

— მეფეო, — დაიწყო ჰიპიასმა, — ათენელებზე შურისძიება ჩემი დაუცხრომელი სურვილია. ირანელთა ლაშქარში ჰიპიასის გამოჩენა მრავალ მომხრეს შეგძენს. მაგრამ ათენელების დასამარცხებლად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი! ჩემს რჩევას, ალბათ, შენი სარდლებიც მხარს დაუჭერენ. ჯარები ატიკაში გადასვი, მარათონის ველზე. შუაგულ ქვეყანაში ძლევამოსილი ლაშქრის გამოჩენა ბერძნებში არევ-დარევას შეიტანს და შენს მომხრეებსაც გამოაცოცხლებს. მერწმუნე, მხოლოდ ამ გზით შეძლებ ძლიერი მოწინააღმდეგის დამარცხებას. — ჰიპიასმა ერთხანს იყუჩა და დასძინა: — იმედი მაქვს, გამარჯვებული არც მე დამივიწყებ!

დარიოსი ფიქრებში ჩაეფლო. დარბაზი სულგანაბული ელოდა მეფის გადაწყვეტილებას. ჰიპიასი განზე გადგა და სარდლების გვერდით დაიკავა ადგილი. დარიოსი დინჯად წამოდგა, მზერა დარბაზის ჭერს მიაპყრო და დაიწყო:

— მეფეთა-მეფე დარიოსი, ჰისტასპის ძე, აქემენიდი, უზენაესი ჰურამაზდას მიერ ქვეყნის გამგებლად დანიშნული, სკვითიიდან ეთიოპიამდე და ინდოეთიდან ვიდრე სარდამდე მიწათა მფლობელი, ვბრძანებ: გაიგზავნონ ელჩები ელინთა სახელმწიფოებში მიწისა და წყლის[1] მოთხოვნით. ამ ხნის მანძილზე კილიკიაში შეიკრიბოს ირანის ფლოტი. მოპირისპირე მხარეთა ურჩობის შემთხვევაში ლაშ-

[1] სრული მორჩილება.

ქარი გადასხდეს ატიკაში. მარათონის ველზე. ჯარების სარდლობა დაეკალოს დატისს და არტაფერნეს. დაე, ჰფარვიდეს ღმერთთა შორის უზენაესი აჰურამაზდა დარიოსსა და მის დიად ოჯახს!

* * *

მომცრო ხომალდი ზღვის ტალღებს მიაპობდა. ერთ კუთხეში ოთხი მამაკაცი ხმადაბლა საუბრობდა. ბრწყინვალე სამოსი და მკაცრებთან ქედმაღლური დამოკიდებულება მათ მაღალ მდგომარეობას ადასტურებდა. ხომალდის მეთაურიც დიდი პატივით ეპყრობოდა ამ ოთხეულს.

— მეფეთა-მეფე დარიოსი უთუოდ კმაყოფილი დაგვრჩება, — დაიწყო ერთმა, — მიწისა და წყლის მოთხოვნას უსიტყვოდ ასრულებენ ელინთა სახელმწიფოები.

— სხვა რა გზა აქვთ, — მიუგო მეორემ, — ჩვენს ლაშქარს ხომ თითო ლუკმადაც არ ეყოფა ეს პატარა ქვეყნები!

— სპარტა და ათენიღა დაგვრჩა, — დასძინა მესამემ, — დარწმუნებული ვარ, ისინიც მორჩილად მოიხრიან ქედს ჩვენი დიადი მეფის წინაშე...

შორიახლო მდგომ ბრგე ვაჟკაცს ერთი სიტყვაც არ გამოპარვია ირანელ ელჩთა საუბრიდან. ერთხანს მდუმარედ იდგა, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა:

— მოქალაქენო, ნაადრევი არ აღმოჩნდეს თქვენი ზეიმი!

ელჩებმა თავიანთი მეგზური იცნეს.

— ჰეი, უცხოელო! — უთხრა ერთმა, — ირანიდან განა იმიტომ გამოგიყოლეთ, რომ ფარულად მოისმინო ჩვენი საუბარი...

— ეგ განზრახვა მე არ მქონია, — მიუგო მეგზურმა, — აქვე მდგომს უნებლიეთ შემომესმა თქვენი სიტყვები.

— შემოგესმა და არ დაიჯერე? მაგრამ ღირს კია შენთან საუბარი? წავიდეთ, მეგობრებო, სადილის დროა!

— მიბრძანდით და მეც მალე შემოგიერთდებით! — თქვა ერთმა ელჩმა და მეგზურს მიაშურა.

— სპარტელი ხარ? — ჰკითხა მან.

— არა, ათენელი გახლავარ!

— ძალიან კარგი. მეც სწორედ ათენელებს უნდა ვეწვიო. მაგრამ ძალზე ცოტა რამ ვიცი ამ ხალხის შესახებ. იქნებ შენ დამეხმარო ცოდნის შევსებაში?

— სიამოვნებით, — მიუგო მეგზურმა.

— ამბობენ, ათენელებმა მეფობა გააუქმესო, — თქვა ელჩმა,— საინტერესოა, რამ გადაადგმევინა თქვენს ხალხს ესოდენ საკვირველი ნაბიჯი?

— ერთი ჩვენებური გადმოცემით, ათენის უკანასკნელი მეფე კოდროსი ყოფილა. იმ დროს ატიკას დორიელები შემოსევიან. დელფოს სამისნოს[1] წინასწარმეტყველებით, დორიელები იმ შემთხვევაში გაიმარჯვებდნენ, თუ ათენელთა მეფეს დაინდობდნენ და არ მოჰკლავდნენ. ეს ამბავი კოდროსსაც შეუტყვია და მშობლიური მხარის გადასარჩენად თავი გაუწირავს: ღარიბულ ტანსაცმელში გამოწყობილი დორიელთა ბანაკში შეპარულა და ვიღაც მეომარს წაჰხუბებია, თავის დაცვაზე არ უზრუნვია და იმ მეომრის მახვილით განგმირულს სული დაულევია. როდესაც დორიელებს მოკლულის ვინაობა შეუტყვიათ, გამარჯვების იმედი დაუკარგავთ და უკან გაბრუნებულან. მაშინ მადლიერ ხალხს დიდი სჯის შემდეგ გადაუწყვეტია, რომ კოდროსის ღირსეულ შემცვლელს ვეღარასად იპოვიდნენ. ამიტომ მეფობა გაუუქმებიათ და ქვეყნის სათავეში არქონტი ჩაუყენებიათ. პირველ არქონტად კი ერთსულოვნად კოდროსის შვილი აურჩევიათ.

ირანის ელჩს თანამგზავრებიც გადაავიწყდა და სადილიც. იქვე ცარიელ კასრს მოჰკრა თვალი, კუთხეში მიაგორა და ზედ მოხერხებულად მოკალათდა. მერე მეგზურსაც ურჩია, ასევე მოქცეულიყო და დამტვრეულ ყუთზე მიუთითა. მეგზური ელჩის პირისპირ ჩამოჯდა.

— თუ სწორად გავიგე, კოდროსის შემდეგ ათენს არქონტი განაგებს... — თქვა ელჩმა.

---

[1] დელფოს სამისნოში საბერძნეთის ყველა კუთხიდან მიედინებოდა ხალხი. სახელმწიფოს მესვეურები თითქმის ყველა დიდმნიშვნელოვანი საქმის წამოწყებისას დელფოს სამისნოს მიმართავდნენ. ამ სამისნოს ქურუმებმა კარგად იცოდნენ, რა ხდებოდა ამა თუ იმ ბერძნულ სახელმწიფოში და პასუხებსაც ამის მიხედვით ადგენდნენ. ძალზე ხშირად მათი პასუხი გაურკვეველი და ორაზროვანი იყო.

— მას მერე მრავალმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ შეიცვალა, — განაგრძო მეგზურმა, — ცვლილებები არქონტობის წესსაც შეეხო. თავდაპირველად არქონტი მთელი სიცოცხლის მანძილზე განაგებდა ქვეყანას. შემდეგ არქონტობის ვადა ათი წლით განუსაზღვრავთ და ბოლოს ერთ წლამდე ჩამოუყვანიათ. გავიდა დრო და ჩვენში არქონტატი დაარსებულა. მას შემდეგ უკვე ცხრა არქონტი განაგებს სახელმწიფოს. პირველი არქონტის — ეპონიმის — უფლებები ბევრად სჭარბობდა ყველა დანარჩენს. არქონტი პოლემარქოსი ჯარის მთავარსარდალი იყო და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის საქმეებსაც განაგებდა. არქონტი-ბასილევსი კი კულტთან დაკავშირებულ და ქურუმის მოვალეობებს ასრულებდა. დანარჩენი ექვსი არქონტი, რომელთაც თესმოთეტებს ვუწოდებთ, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ საქმეებს ხელმძღვანელობენ.

— გამიგონია, ერთ დროს ათენელებს ვინმე სოლონი მეთაურობდაო. ამ კაცის სახელი აღმოსავლეთშიც კარგად იყო ცნობილი. იმასაც ამბობენ, ელინთა ცხოვრებაში დიდი ცვლილებები შეიტანაო. მე კი არაფერი ვიცი ამის შესახებ...

— დიახ, — უპასუხა მეგზურმა, — სოლონი ძალზე ჭკვიანი კაცი იყო და გულწრფელად ეწადა ქვეყნის მდგომარეობის მოწესრიგება. მაგრამ მას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა და საქმის მოგვარებაც ადვილი არ იყო. იმ დროს მხოლოდ ევპატრიდები და გეომორები[1] როდი ებრძოდნენ ერთმანეთს. გამდიდრებული ვაჭრები და ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული დემიურგებიც[2] თავის წილს მოითხოვდნენ. საჭირო იყო ისეთი კაცის მოძებნა, რომელიც ამ ჯგუფებს მოარიგებდა და არჩევანიც სოლონზე შეჩერდა.

— რატომ მაინცა და მაინც სოლონზე? — იკითხა ელჩმა.

— ეგ ადვილი ასახსნელია, — მიუგო მეგზურმა, — სოლონი მაღალი გვარის შთამომავალი იყო. მისი ერთ-ერთი წინაპარი კოდროსი ყოფილა. ამიტომ წარჩინებულნი ნდობით ეპყრობოდნენ მას. მაგრამ სოლონის ოჯახი თურმე ხელმოკლედ ცხოვრობდა და მამის გარდაცვალების შემდეგ ის სრულიად უსახსროდ დარჩენილა. სიმდიდრისა და ცოდნის შესაძენად შეუპოვარ ვაჟკაცს თვალუწვდენი

---

[1] გლეხები, მიწისმოქმედნი.

[2] ხელოსნები.

ზღვა გადაულახავს და მიზნისთვისაც მიუღწევია. შრომისმოყვარეობამ მას გეომორებისა და დემიურგების სიყვარული მოუპოვა, ხოლო ზღვაოსნობით შეძენილმა დოვლათმა — გამდიდრებული ვაჭრების ნდობა და პატივისცემა. ერთი სიტყვით, სოლონი ყველა ჯგუფს თავის ბელადად მიაჩნდა.

— მერე-და, როგორ მოახერხა ამგვარი ნდობის გამართლება? — დაინტერესდა ირანის ელჩი.

— საქმეც ეგ არის, რომ ბოლოს ყველა უკმაყოფილო დარჩა. მაგრამ სოლონმა ღრმა კვალი დააჩინა ათენელთა. ცხოვრებას. არქონტად არჩევისთანავე მტკიცედ მოჰკიდა ხელი საკმაოდ არეულ საქმეების მოწესრიგებას. თავდაპირველად მიწისმოქმედთა ბედზე იზრუნა. ვალები გააუქმა და დაგირავებული მიწები ძველ მეპატრონეებს დაურიგა. ამ კანონს ხალხმა სეისახთეია[1] უწოდა. ამიერიდან ვალების გამო სამშობლოდან გახიზნულები კვლავ ატიკას უბრუნდებოდნენ. მაგრამ დიდმა კანონმდებელმა მონებად გაყიდული თანამემამულენიც არ დაივიწყა. მათი გამოსყიდვისა და სამშობლოში დაბრუნების ხარჯები სოლონმა სახელმწიფოს დააკისრა...

— ერთი ეს მითხარი, — გააწყვეტინა ელჩმა სიტყვა თანამოსაუბრეს, — სოლონის კანონები სახელმწიფოს მართვის წესებს არ შეჰხებია?

მეგზურმა ერთხანს იყუჩა და დინჯად მიუგო:

— ჩვენმა კანონმდებელმა უარჰყო მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შთამომავლობის მიხედვით განაწილება. ამიერიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა მათ ქონებრივ მდგომარეობას ენიჭებოდა. ახალი ღონისძიების გასატარებლად ატიკის მთელი მოსახლეობა სოლონმა ოთხ ჯგუფად გაჰყო. პირველ ჯგუფს ყველაზე შეძლებულნი — პენტაკოსიომედიმნები შეადგენდნენ, მეორეს — ჰიპეები, მესამეს — ძეგვიტები, ხოლო ყველაზე ღარიბნი, რომელთაც ჩვენ თეტებს ვეძახით, მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.

გემბანზე სიჩუმე ჩამოვარდა. მყუდროებას ნიჩბების შეწყობილი მოძრაობა არღვევდა მხოლოდ. ელჩს ათენის სახელმწიფო დაწესებულებებისა და მათი საქმიანობის გაცნობა ეწადა. მეგზურმაც აღარ დააყოვნა და საუბარი კვლავ განახლდა.

---

[1] ტვირთის დაბერტყვა.

— სახალხო სასამართლოც, ჩვენ რომ ჰელიეას ვუწოდებთ, სოლონმა დააარსა. მოქალაქეთა ჰელიასტებად[1] არჩევა ოთხივე ჯგუფიდან ხდებოდა. ძალზე დიდი იყო მისი უფლებები. აქ შეიძლებოდა საჩივრის აღძვრა უმაღლეს მოხელეთა წინააღმდეგაც, თვით ჰელიეას გადაწყვეტილებათა გასაჩივრება კი არავის შეეძლო. რამდენადაც ვიცი, ბულე ანუ ოთხასთა საბჭოც სოლონის მიერ არის დაარსებული. ამ დაწესებულებას კანონების ცხოვრებაში გატარებისა და სახელმწიფო მოხელეების საქმიანობისათვის უნდა ედევნებინა თვალყური. თუმცა მისი ძირითადი დანიშნულება კანონების მომზადება იყო, რომელთაც შემდეგ ეკლესია განიხილავდა. ეკლესია კი, მოგეხსენება, სახალხო კრებაა. ევპატრიდების ბატონობის ხანაში მას არავითარი ძალა არ ჰქონდა. სოლონმა კი ამ დაწესებულებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა. სწორედ აქ ირჩევდნენ თანამდებობის პირთ და თვით არქონტებსაც. სახალხო კრებაში, ისე, როგორც ჰელიეაში, ოთხივე ჯგუფის მოქალაქენი მონაწილეობდნენ.

— ისე გამოდის, რომ მოქალაქეთა ოთხ ქონებრივ ჯგუფად დაყოფას აზრი არ ჰქონდა... — შენიშნა ელჩმა.

— სრულიადაც არა! — სწრაფად მიუგო მეგზურმა, — ოთხასთა საბჭოში თეტების მონაწილეობას კანონი არ ითვალისწინებდა, ხოლო არქონტებს მხოლოდ პენტაკოსიომედიმნთაგან ირჩევდნენ. დამავიწყდა მეთქვა, რომ არქონტების რიცხვი სოლონმა უცვლელად დატოვა.

მეგზური წამოდგა, ყუთს ადგილი შეუცვალა, უფრო მოხერხებულად მოკალათდა და განაგრძო:

— ჩვენი ქვეყნის ერთი უმაღლესი დაწესებულება ომის ღმერთის არესის გორაკზე იკრიბებოდა და იქ ატარებდა თავის სხდომებს. ამიტომ მას არეოპაგი უწოდეს. არეოპაგში მხოლოდ არქონტად ყოფილები შედიოდნენ. მისი ძირითადი მოვალეობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების მეთვალყურეობა იყო. როგორც ხედავ,— დასძინა მეგზურმა, — სოლონის დროიდან ათენში ხუთი მთავარი დაწესებულება არსებობდა: არქონტატი, ეკლესია, ჰელიეა, ბულე და არეოპაგი.

---

1 სახალხო სასამართლოს წევრები.

— ერთი რამ მაინც ვერ გამიგია, — ჩაილაპარაკა ელჩმა, — როგორც ჩანს, სოლონს ყველა ქონებრივი ჯგუფის მოთხოვნა გაუთვალისწინებია. მაშ, ვინღა უნდა ყოფილიყო უკმაყოფილო მისი კანონმდებლობით?

— ყველა! — მიუგო მეგზურმა, — ევპატრიდები იმას ჩიოდნენ, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება სოლონმა სხვებსაც გაუზიარა. მდიდარი ვაჭარ-მრეწველნი ვარაუდობდნენ, რომ სოლონმა მათ რაღაც დააკლო. დემოსი კი მიწების სრულ გადანაწილებას მოითხოვდა, რაც გადაჭრით უარჰყო ჩვენმა კანონმდებელმა.

— გასაგებია, — თქვა ელჩმა, — მაგრამ სოლონს მაინც ყველაფერი გაუკეთებია, რაც ერთი კაცის ძალას არ აღემატებოდა...

— არა. სოლონმა მეტიც გააკეთა! იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ დიდი კანონმდებელი სახელგანთქმული პოეტი იყო. აღმოსავლეთში კი მას ბრძენ კაცად თვლიდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ. იქნებ არც იცი, რომ კანონების გატარების შემდეგ სოლონმა ათენი დატოვა და სამოგზაუროდ აღმოსავლეთისაკენ გაეშურა.

— მე არც ის ვიცი, რა შეიცვალა შემდეგ ათენში, ან დაბრუნდა თუ არა სოლონი? — თქვა ელჩმა.

— სოლონი კი დაბრუნდა, მაგრამ მას არც სურდა და აღარც შეეძლო კვლავ გასძღოლოდა ათენელ ხალხს. ცხოვრება სხვა კალაპოტში მოქცეულიყო და ახალი გზით მიედინებოდა.

მეგზურმა ელჩს შეხედა და დარწმუნდა, რომ მას საუბრის გაგრძელება ეწადა. სათქმელი მოიფიქრა და დინჯად განაგრძო:

— იმ დროისათვის ატიკაში სამი ძირითადი დაჯგუფება ჩამოყალიბდა. ყოველ მათგანს საკუთარი მისწრაფება ჰქონდა და ისეთი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდა, რომელიც მისთვის სასურველი და მისაღები იქნებოდა... ატიკის დასავლეთით, სადაც ევპატრიდების მდიდარი და ნოყიერი მამულები მდებარეობდა, შეიქმნა პედიაკების ჯგუფი. ისინი ძველი წესწყობილების, ევპატრიდების შეუზღუდველი უფლებების აღდგენას ლამობდნენ. ატიკის აღმოსავლური სანაპირო ვაჭარ-მრეწველებითა და ხელოსნებით იყო დასახლებული. ამათ ჩვენ პარალიებს ვუწოდებთ. მათი მიზანი არსებული წყობილების დაცვა და გამტკიცება იყო. ატიკის მთაგორიან ადგილებში კი ღარიბი ხალხი მოსახლეობდა. ისინი დიაკირების სახელით იყვნენ ცნობილნი. უკიდურესი გაჭირვება ამ ხალხს თავგანწირული

ბრძოლისაკენ უბიძგებდა. მათი მეთაური სახელგანთქმული პისისტრატე იყო. მან მოხერხებულად ისარგებლა არეულობით და ძალაუფლებაც ხელთ იგდო. მაგრამ ამ დროს არც მოპირდაპირე მხარეები იყვნენ გულხელდაკრეფილნი: პარალიები პედიაკებს შეუკავშირდნენ დ პისისტრატე ათენიდან გააძევეს. ცხარე ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. პისისტრატე ისეთი კაცი როდი იყო, განზრახვაზე ადვილად აეღო ხელი. რამდენიმე წლის შემდეგ ის კვლავ დაბრუნდა ათენში და მოქიშპენი სასტიკად დაამარცხა. ჩვენს ქვეყანაში ტირანია დამყარდა და პისისტრატეს გამგებლობა ოცდაათ წელს გაგრძელდა.

— საინტერესოა, — ჩაილაპარაკა ელჩმა, — პისისტრატემ ალბათ ძველი კანონები გააუქმა და ახალი შემოიღო...

— ეგ კი არ მომხდარა, — მიუგო მეგზურმა, — მან მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებები შეიტანა სოლონისეულ კანონებში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პისისტრატეს მიერ დაწესებულ ადგილობრივ სასამართლოებს. მანამდე ატიკის ყველა მოქალაქე სამართლის საძიებლად ათენს უნდა გამგზავრებულიყო. ამიერიდან კი მათ შეეძლოთ ადგილობრივ მოეგვარებინათ სადავო საქმეები.

— მაგრამ, — თქვა ელჩმა, — პისისტრატეს მოღვაწეობა, ალბათ, მხოლოდ ამ ღონისძიებით არ დამთავრებულა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მეგზურმა, — პისისტრატემ ერთგვარად გააუმჯობესა დიაკრიების მდგომარეობა. გარდა ამისა, მან გაამშვენიერა ჩვენი ქალაქი. ააგო ბრწყინვალე ტაძრები და საკურთხეველები, ათენში შესანიშნავი წყალსადენი გაიყვანა და კიდევ ბევრი სხვაც გააკეთა. ატიკა ფართო, კარგად მოწყობილი გზებით დაისერა... პისისტრატეს განკარგულებით ჩვენში პირველად ჩაწერეს უკვდავი ჰომეროსის დიდებული პოემები. დიონისეს დღესასწაული პისისტრატემ საერთო ატიკურ ზეიმად გამოაცხადა და სარბიელიც ფართო დაუსახა. სწორედ ქალაქურ დიონისიებზე ჩაეყარა საფუძველი დრამატულ შეჯიბრებებსაც. პისისტრატეს სიკვდილის შემდეგ ქვეყანას მისი შვილები განაგებდნენ. მაგრამ მათი გავლენა მალე შეირყა და საქმე იმით დასრულდა, რომ პისისტრატეს ძე ჰიპიასი ათენიდან გააძევეს. ეს, დაახლოებით, ამ ოციოდე წლის წინ მოხდა.

ჰიპიასის ხსენებაზე ელჩმა ყურები ცქვიტა. უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ გადაიფიქრა და მეგზურს სიტყვა აღარ გააწყვეტინა.

— მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ევპატრიდებმა ძველი უფლებების აღდგენა მოიწადინეს და თავდაპირველად გამარჯვებაც იზეიმეს. მაგრამ მათ ბატონობას ძალზე მალე მოეღო ბოლო. ქვეყანას ალკმეონიდების გვარის წარმომადგენელი კლისთენე ჩაუდგა სათავეში. იმ დროს ატიკის მოსახლეობა ერთიანი, საერთო სულისკვეთებით როდი იყო გამსჭვალული. პედიაკები, პარალიები და დიაკრიები თავ-თავიანთი, ერთიმეორის საწინააღმდეგო მისწრაფებებით ცხოვრობდნენ. კლისთენემ მტკიცედ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამგვარი მდგომარეობისათვის. ატიკის თითოეული ნაწილი (ვაკე, ზღვისპირი, მთაგორიანი ადგილები) მან ათ ტრიტიად[1] გაჰყო. ამიერიდან ქვეყნის მთელი ტერიტორია ოცდაათი ტრიტიისაგან შედგებოდა. ამათგან კი ათი ფილე წარმოიქმნა. ყოველ ფილეში გაერთიანებული იყო სამი ტრიტია, რომელთაგან ერთი ზღვისპირეთისა იყო, მეორე — ვაკე და მესამე — მთაგორიანი ადგილებისა. ამ გზით კლისთენემ დაჯგუფებების დაქსაქსვაც მოახერხა და ერთმანეთთან მათს დაახლოებასაც ხელი შეუწყო.

მეგზურმა ჯიბიდან ხელსახოცი ამოიღო, შუბლზე გადაისვა და დაწყებული საუბარი გააგრძელა:

— ტრიტიები კლისთენემ დემებად გაჰყო და მათ სათავეში დემარქოსი დააყენა. ამიერიდან მოქალაქეობრივი უფლების მინიჭება სწორედ დემებში წყდებოდა. კლისთენეს კანონები არქონტატსაც შეეხო. პირველი სამი არქონტის უფლებები მან ათ-ათი კაცისაგან შემდგარ კოლეგიებს გადასცა. ასე გაჩნდა ათი სტრატეგოსი, თუმცა ჯარის მთავარსარდლობა ერთხანს კვლავ პოლემარქოსს რჩებოდა. ცვლილებები მოხდა ბულეს შემადგენლობაშიც. ამ დაწესებულების წევრთა რიცხვი ხუთას კაცამდე გაიზარდა: თითოეული ფილე ორმოცდაათ წევრს ირჩევდა. ამასთან, კლისთენემ ბულე ათ პრიტანიად[2] გაჰყო. ისინი დღესაც მორიგეობით ატარებენ თავიანთ სხდომებს. პრიტანიებს ეპისტატეები თავმჯდომარეობენ. მათვე ევალებათ სახალხო კრების გაძღოლაც. კლისთენეს მრავალი მტერი ჰყავ-

---

1 ნაწილად.

2 განყოფილებად ან კომიტეტად.

და. ბევრს ტირანიის აღდგენაც ეწადა. ამიტომ, როგორც ამბობენ, კლისთენეს ოსტრაკისმო შემოუღია. ყოველი მეექვსე პრიტანიის მუშაობის პერიოდში ეკლესიაზე ხალხს ასეთი შეკითხვით მიმართავდნენ: — ხომ არ გეგულებათ ვინმე ისეთი, რომელიც ტირანობას ესწრაფვის, ქვეყანას საფრთხეს უქმნის და ამიტომ ათენიდან უნდა გავაძევოთო? თუ უმრავლესობა ასეთი პირის არსებობას დაადასტურებდა, მერვე პრიტანიის დროს ეკლესიის მონაწილეებს განსაზღვრულ ფირფიტებს დაურიგებდნენ და იმ პიროვნების სახელის დაწერას მოსთხოვდნენ. ვინც ფირფიტებზე ყველაზე ხშირად იქნებოდა მოხსენიებული, ათი წლით სამშობლოდან გააძევებდნენ.

მეგზურმა საუბარი დაასრულა, დინჯად წამოდგა და ხომალდის მოაჯირთან მივიდა. ელჩმა შენიშნა, რომ ის დაჟინებით გაჰყურებდა სივრცეს. ცოტა ხნის მერე მეგზური ელჩისაკენ მიბრუნდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ხომალდი პირეის ნავსაყუდელს უახლოვდება. მალე ელადის წმიდა მიწაზე დავადგამთ ფეხს!

ელჩმა გაიცინა.

— ვისთვის წმიდაა და ვისთვის უწმიდური, — თქვა მან, — მაგრამ ეს კია, რომ ელადა თავისუფლებას ვეღარ ეღირსება!

— რატომ? — სწრაფად ჰკითხა მეგზურმა.

— ასეთი გახლავს მეფეთა-მეფე დარიოსის სურვილი!

— ვისთვის მეფეთა-მეფეა და ვისთვის უბრალო მოკვდავი! — დაცინვით მიუგო მეგზურმა.

ელჩს ფერი ეცვალა და მეგზურს მრისხანე მზერა მიაპყრო.

— რა თქვი? — გამოსცრა მან.

სწორედ ამ დროს გემბანზე დანარჩენი ელჩებიც გამოჩნდნენ. მეგზურის სიტყვებს ყური მოჰკრეს და ნაბიჯს აუჩქარეს.

— უცხოელო! — ზიზღით მიმართა წეღანდელ თანამოსაუბრეს ირანის ელჩმა, — იქნებ ათენელები უარს გვეტყვიან მიწისა და წყლის მოთხოვნაზე?

— უთუოდ! — მტკიცედ მიუგო მეგზურმა.

— ვისი იმედით?

— ღმერთებისა და საკუთარი თავის იმედით! ათენელები სამშობლოსა და თავისუფლებას აგრე იოლად არ დათმობენ!

— კი, მაგრამ ჰიპიასიც ხომ ათენელია? — დაცინვით თქვა ელჩ-

მა, — საინტერესოა, რას უწოდებდა ბრძენთა-ბრძენი კლისთენე, ან დიდი კანონმდებელი სოლონი მის მოქმედებას?

— ჰიპიასის შესაფასებლად ჩემს ხალხს არც ბრძენთა-ბრძენის დარიგება დასჭირდება და არც კანონმდებლისა. ყველა ელინისათვის ჰიპიასი მოღალატე და უსინდისო გამყიდველია...

— მართლა? — ელჩმა ბოროტი მზერა მიაპყრო მეგზურს, — არა მგონია, ელინებმა პატივით მიგიღონ. ჩვენ არ დაემალავთ, რომ მათი მტრების მეგზურობა იკისრე!

გამყოლი შეკრთა. ერთხანს თავჩაქინდრული იდგა და მერე მიუგო:

— მაგრამ ეგ ხომ შემთხვევით მოხდა. რამდენიმე წლის წინ ატიკა დავტოვე და სამოგზაუროდ აღმოსავლეთისაკენ გავეშურე. ბევრი საინტერესო ვნახე, მაგრამ გული მაინც მშობლიური მიწისაკენ მომიწევდა. ირანში ვიყავ, როცა გავიგე, მეგზური გჭირდებოდათ. ისიც ვიცოდი, რომ ჩემს ხალხთან მოლაპარაკება გეწადათ და შევეხვეწე ხელიდან არ გავუშვი. ელადის გზას ხომ უჩემოდაც გაიგნებდით, მე კი, ვინ იცის, როდის მეღირსებოდა სამშობლოში დაბრუნება. ეს იყო და ეს... ჩემი ხალხის ღალატი გულშიაც არ გამივლია. არც ის ვიცოდი, რომ ატიკაში მიწისა და წყლის მოთხოვნით მიემგზავრებოდით. შემთხვევით თქვენი საუბარი მოვისმინე და შევიტყვე დარიოსის ბოროტი ზრახვა...

— რაო? — წამოიძახეს ელჩებმა. ისინი ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ:

— როგორ გაბედე დარიოსის უკადრისად მოხსენიება?

— ახლავ მიწას გაერთხე და ბოდიში მოიხადე!

— იცოდე, სიკვდილი არ აგცდება!..

მეგზურმა ხელი ჩაიქნია და მიუგო:

— არც ერთ ელინს ჭედი არ მოუხრია ბარბაროსის წინაშე!

— რაო?! — კვლავ იყვირეს ელჩებმა.

— ეს ყმაწვილი დაგვცინის კიდეც!

— სიკვდილი მაგას!

— ზღვაში გადავუძახოთ ეს თავხედი!

ელჩები მეგზურს მიცვივდნენ და მოაჯირისაკენ გათრევა დაუპირეს. გამყოლი მძლავრი დარტყმებით უმასპინძლდებოდა მოძალადეებს. სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა და ელჩებმა მოწინააღმდეგე წყალში გადაისროლეს...

• • •

საღამო ჟამი იყო. ათენის ქუჩები ხალხით ივსებოდა. ზოგნი ჯგუფებად იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ, ზოგიერთები კი სასეირნოდ ილისის ნაპირებისაკენ მიეშურებოდნენ. ათენელებს ძველთაგანვე ასეთი ჩვევა ჰქონდათ: ადრიან დილასა და საღამოს ღია ცის ქვეშ ატარებდნენ.

— ჰეი, ევრისთინე! — გასძახა ერთმა ყმაწვილმა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ახალგაზრდას, — დროს აქაც კარგად გავატარებთ. შეაჩერე შენი თანამგზავრები და შემოგვიერთდით!

— არა, მეგობარო! — მიუგო ევრისთინემ, — აგორაზე მეტი მხიარულებაა და შენც გირჩევ, იქ წამოხვიდე!

დამხვდურთ ევრისთინეს წინადადება მოეწონათ და ყველანი ერთად გაუდგნენ გზას.

აგორაზე უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ზოგნი საუბრით ირთობდნენ თავს, ზოგიერთები თამაშობებში ჩაბმულიყვნენ, უმრავლესობა კი მაყურებლის როლს ასრულებდა. ევრისთინე და მისი მეგობრები ხან ერთ ჯგუფს მიადგებოდნენ და ხან მეორეს. ბოლოს იქ შეჩერდნენ, სადაც მამლების ბრძოლა იყო გაჩაღებული. ახალგაზრდებმა ხალხი გააპეს და წინა რიგში მოექცნენ.

თავგამეტებით იბრძოდა ორი მამალი. ერთი თეთრი იყო, მეორე კი მოწითალო. ხალხიც ორად გაყოფილიყო, ზოგი თეთრ მამალს უჭერდა მხარს და ზოგიც წითელს. ირგვლივ მხიარული ყიჟინა გაისმოდა.

— ბიჭოს! — წამოიძახა ევრისთინემ, — არც ერთი არ აპირებს უკან დახევას!

— ყმაწვილო, — გაეპასუხა მას ხანში შესული მოქალაქე. — ყველა ათენელი რომ ასეთი მებრძოლი იყოს, მტერი ვერასდროს დაგვამარცხებდა!

ევრისთინეს უნდოდა რაღაც ეპასუხნა, მაგრამ ამ დროს საყვირის გაბმული კივილი გაისმა. ხალხი შეკრთა და გაინაბა. ერთ საყვირს მეორემ აუბა მხარი, მეორეს მესამემ და მათი ხმა მთელ ქალაქს მოეფინა.

— როგორც ჩანს, კარგად არ უნდა იყოს საქმე, — ჩაილაპარაკა ხანშიშესულმა მოქალაქემ.

— დიახ, — თქვა მეორემ, — ეკლესიის საგანგებო კრებაზე გვიხმობენ!

— პნიქსისაკენ! — დაიძახა ვიღაცამ და მოედანი სირბილით მიატოვა.

რამდენიმე წუთში აგორა დაცარიელდა.

* * *

უზარმაზარი მოედანი მოქალაქეებით ივსებოდა. ევრისთინე და მისი მეგობრები კუთხეში მიყუჟულიყვნენ.

— პირველად ვესწრები სახალხო კრებას... — თქვა ერთმა.

— მოდით, ვიდრე დროა, აქედან წავიდეთ! — დასძინა მეორემ.

— რატომ? — ჰკითხა ევრისთინემ.

— თანდათან შიში მიპყრობს... ჩვენ ხომ ჯერ ოცი წლისა არა ვართ, ამიტომ არც აქ ყოფნის უფლება გვაქვს...

— ყმაწვილო, — უთხრა ევრისთინემ, — ასაკი შუბლზე ხომ არ გაწერია. სჯობს, ჩუმად იყო და ზედამხედველების ყურადღება არ მიიპყრო!

შემაღლებულ ადგილას ქალაქის მესვეურები იდგნენ. ცოტა განზე ორი უცხოელი საუბრობდა.

— ამბობენ, ირანის ელჩები არიანო, — გადაულაპარაკა ევრისთინემ მეგობრებს და უცხოელებზე მიუთითა.

— მერე-და, რა გვინდაო? — იკითხა ერთმა.

ევრისთინემ მხრები აიჩეჩა.

მოედანი ხალხით გაჭედილიყო. ყველა მოუთმენლად ელოდა კრების დაწყებას.

— მოქალაქენო! — დაიქუხა ეპისტატემ, სახალხო კრების ხელმძღვანელმა, — დღეს ჩვენ საგანგებო ყრილობაზე შევიკრიბენით. აქ უნდა დავამტკიცოთ ან უარვჰყოთ ბულეს გადაწყვეტილება. ირანის მეფე დარიოსი ელჩებს გვიგზავნის მიწისა და წყლის მოთხოვნით. თუ უარს ვეტყვით, განადგურებით გვემუქრება. მაგრამ ათენელ ხალხს აგრე იოლად ქედი არასდროს მოუხრია, თავისუფლება მუქარის შიშით არ გაუყიდნია... ჩვენ გადავწყვიტეთ, მეფე დარიოსს უარი შევუთვალოთ და მკერდით დავიცვათ ჩვენი ქვეყანა!

— სწორია!... — იგრიალა ხალხმა და წინ მიაწყდა.

ეპისტატემ მარჯვენა ხელი ზე აღმართა. ხალხი კვლავ გაინაბა.

— ვის სურს, კრებას რაიმე მოახსენოს?

ერთხანს მსურველი არ ჩანდა. ბოლოს მდიდრულად მოსილი ხანშიშესული მოქალაქე ხალხს გამოეყო და კრების ხელმძღვანელის გვერდით დადგა.

— ვინ არის? — წასჩურჩულა ერთმა ყმაწვილმა ევრისთინეს.

— რა გითხრა, — მიუგო ევრისთინემ, — რატომღაც მგონია, რომ ძალზე შეძლებული ევპატრიდია.

— მოქალაქენო! — დაიწყო ორატორმა, — ბრძენია ბულე, ბრძნულია მისი გადაწყვეტილებებიც. მაგრამ შეცდომისაგან არავინ არის დაზღვეული. ირანმა არნახულ ძლიერებას მიაღწია. დარიოსმა მრავალი ქვეყანა დაიმორჩილა...

— შეარგოს ღმერთებმა! — წამოიძახა ვიღაცამ. — ჩვენგან რაღა უნდა?

ორატორი შეცბა. ერთხანს იყუჩა და განაგრძო:

— ჩვენი უარით შეიძლება ქვეყანა დავღუპოთ. გამძვინვარებული დარიოსი აღარ დაგვინდობს. ნანგრევებად აქცევს ჩვენს ქალაქებსა და დიდებულ ტაძრებს, მონებად გაიხდის ათენის თავისუფალ მოქალაქეებს.

ხალხში უკმაყოფილო დრტვინვა გაისმა.

— რას გვირჩევ? — წამოიძახა ვიღაცამ.

— თქვენი ნებით დაიდგით მონობის უღელიო! — უპასუხა მას ახალგაზრდა ვაჭკაცმა.

— გააძევეთ კრებიდან ეგ ლაჩარი! — იყვირა ვიღაცამ და მოედანს სტვენის გამაყრუებელი ხმა მოეფინა.

კრების ხელმძღვანელი დიდხანს ცდილობდა ხალხის დაშოშმინებას. ნირწამხდარი ორატორი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. როდესაც მოედანზე კვლავ სიჩუმე ჩამოწვა, ორატორმა დაწყებული სიტყვა გააგრძელა:

— მოქალაქენო! ჩემი ქვეყანა სხვაზე ნაკლებ როდი მიყვარს... უყოყმანოდ თავს გავწირავდი მისი კეთილდღეობისათვის, მაგრამ...

— სტყუი! — იყვირა ვიღაცამ და კვლავ გაისმა გამაყრუებელი სტვენა.

— მოქალაქენო! — წამოიძახა ორატორმა, — მოიგონეთ მილე-

ტის ბედი... სხვა ბერძნული ქალაქების ხვედრსაც ნუ დაივიწყებთ. სახალხო კრებას შეუძლია უარჰყოს ბულეს წინადადება, გადაარჩინოს სახელმწიფო... ეს გახლდათ ჩემი სათქმელი.

ორატორმა შეამჩნია, რომ ხალხი აღარ უსტვენდა და ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ცოტა გათამამდა და დასძინა:

— მე არ მეგულება ისეთი სახელმწიფო, რომელიც დღეს ირანის ძლევამოსილებას წინ აღუდგება!

— სამაგიეროდ, მე მეგულება ასეთი ქვეყანა! — გაისმა ომახიანი შეძახილი და ბრგე ვაჟკაცი ტრიბუნაზე აიჭრა.

— იცანით? — ჰკითხა ევრისთინემ მეგობრებს და დაუმატა: — თემისტოკლეა, არქონტად ყოფილი. ამბობენ, ხალხს დღესაც თავის ბელადად მიაჩნიაო.

თემისტოკლემ წინა ორატორი მოურიდებლად განზე გასწია, ხელსახოცით შუბლი შეიწმინდა და დაიწყო:

— ვინმე ბრძენს უთქვამს, ათენელები ქვეყნად იმიტომ გაჩენილან, რომ არც თვითონ იყვნენ გულხელდაკრეფით და არც სხვებს მისცენ მოსვენებაო. ბედის მორჩილად მოლოდინი უცხო არის ჩემი ხალხისთვის. ჭაბუკობის ჟამს აღმზრდელი მეუბნებოდა: ათენელები სპარტელთაგან იმითაც განსხვავდებიან, რომ ისინი ზოგჯერ ისეთ საქმესაც შეეჯიდებიან, რაც მათ ძალ-ღონეს აღემატებაო. ათენელი უკიდურეს განსაცდელშიც არ კარგავს იმედს და მომავალს მუდამ რწმენით შეჰყურებს. გადაწყვეტილების სწრაფად მიღება და არნახული გამბედაობაც თითქოსდა მისი თანდაყოლილი თვისებებიაო. გავიდა ხანი და მე თვით დავრწმუნდი აღმზრდელის სიტყვათა ჭეშმარიტებაში. თავად ვიხილე, როგორ კვდებოდა ჩვენი მეომარი მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად. ახალგაზრდა და მოხუცი სიცოცხლეს უყოყმანოდ წირავდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, თითქოს ეს სიცოცხლე პირადად მას კი არ ეკუთვნოდა, დასაბამითვე მხოლოდ სახელმწიფოსათვის იყო შექმნილი. მეც მომწონდა ჩემი ხალხის ეს თვისებები, გულწრფელად ვამაყობ, რომ ათენელი მოქალაქე ვარ! დღეს კი ეს ხალხი ვეღარ მიცვნია. ზოგიერთები მოსისხლე მტრის მორჩილებისაკენ მოგვიწოდებენ. გადაწყვეტილების მიღებაც თითქოს გაჭირდა. ნუთუ ასე დაკნინდა ჩვენი ხალხი? ნუთუ დავიწყებას მიეცა დიდებული წარსული? ნუთუ პირი ვიბრუნეთ მამა-პაპისეული ჩვეულებისაგან?

— დამკვიდრებულ ადათ-წესებს თუ ვინმემ უღალატა, ეს პირველ რიგში შენზე ითქმის... — წამოიკნავლა წეღანდელმა ორატორმა.

— არა, მოხუცო! — სწრაფად მიუგო თემისტოკლემ, — კარგი არასდროს უარმიყვია, მაგრამ სიახლისაც არასოდეს შემშინებია. ესეც ათენელის თვისება არის. მე კი, — აუწია ხმას თემისტოკლემ და კრებას მიუბრუნდა, — კვლავაც ათენელი გახლავარ და ხალხს მხოლოდ ერთი მოწოდებით მივმართავ: თავისუფლება ან სიკვდილი!

— თავისუფლება ან სიკვდილი! — შესძახა ხალხმაც და მოედანზე ტაშმა იგრიალა.

— მეც მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ! — გაისმა სასიამოვნო ხმა და ეპისტატეს გვერდით წარმოსადგომა ვაჟკაცმა დაიკავა ადგილი. თემისტოკლეს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა და განზე გაიწია.

— არისტიდე? — წამოიძახა ხალხიდან ვიღაცამ და დასძინა: — კარგის მეტი შენზე არა გვეთქმის-რა, უპატიოსნესი კაცის სახელიც სამართლიანად დაიმკვიდრე. რატომ ცდილობ ხალხს ეს აზრი შეაცვლევინო?

გაკვირვებულმა არისტიდემ მხრები აიჩეჩა.

— თემისტოკლეს სიტყვები გულს გვეფონა და მხნეობაც შეგვმატა. შენ კი, როგორც ყოველთვის, მის წინააღმდეგ აპირებ გამოსვლას, თუმცა, ალბათ, ემხრობი კიდეც შენს მოქიშპეს.

არისტიდე გულით გააცინა ამ სიტყვებმა.

— მოქალაქენო! — დაიწყო მან, — მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებამ მე და თემისტოკლე დაუძინებელ მტრებად გვაქცია. ერთმა მოქალაქემ შემახსენა, რომ მე ყოველთვის მის წინააღმდეგ გამოვდივარ. ის კი არ უთქვამს, რომ თემისტოკლეც ასე იქცევა. მაგრამ არსებობს მოვლენები, რომელთაც ორი ათენელი სხვადასხვაგვარად ვერ შეაფასებს. დღესაც ასეა! მე გამაოცა წეღანდელი ორატორის სიტყვებმა, მორჩილებისაკენ რომ მოგვიწოდებდა. მართალი გითხრათ, არც კი მჯერა, რომ ათენელია ის საბრალო!.. მილტიადესა და სხვა ქალაქების ხვედრით ჩვენს დაშინებას ლამობდა. ის კი არ უფიქრია, რომ დამხობილი ქალაქებიც ელინებით იყო დასახლებული... დარიოსმა უმოწყალოდ გაჟლიტა ჩვენი მოძმენი და ახლა

ჩვენც განადგურებით გვემუქრება. მილეტის ნანგრევები შურისძიებისაკენ მოგვიწოდებენ, ვაჟკაცურად დაღუპულ გმირთა ხსოვნა მტრის ალაგმვას გვავალებს... და თუ მე და თემისტოკლეც დღეს ერთი აზრისანი ვართ, რაღა გასაკვირია, რომ ყველა ათენელიც ასე ფიქრობდეს? მოქალაქენო, გამარჯვება ან სიკვდილი!

ირგვლივ გამაყრუებელი ყიჟინა და ტაშის გრიალი გაისმოდა...

— როგორ მოგწონს? — ჰკითხა ერთმა ხელოსანმა მეორეს.

— ყველაფერი კარგად ჩატარდა, მაგრამ კრებას რომ თევზეულზე ფასების დაკლების საკითხიც განეხილა, უკეთესი იქნებოდა.

— ეეჰ, — ამოიხვნეშა მესამემ, — მაშინ ხომ მეც მიხილავდით ორატორთა შორის.

ეპისტატე კი ხალხს სიჩუმეს სთხოვდა. როგორც იქნა, მოქალაქენი დაწყნარდნენ.

— კიდევ ხომ არავის სურს გამოსვლა? — იკითხა კრების ხელმძღვანელმა.

ხალხს მოხდენილი ვაჟკაცი გამოეყო და ორატორის ადგილი დაიკავა.

— ვინ არის? — ჰკითხა ერთმა ყმაწვილმა ევრისთინეს.

— მილტიადე, ცნობილი სტრატეგოსი, — მიუგო ევრისთინემ.

ხალხი გაინაბა. ყველა მოუთმენლად ელოდა სახელგანთქმული სარდლის სიტყვას.

— მოქალაქენო! — დაიწყო მილტიადემ, — ათენელებს ბევრი ლაპარაკი როდი სჩვევიათ. ნურც დღეს გადავუხვევთ ჩვენებურ ადათს. დარიოსი დარბევით გვემუქრება? კეთილი. მობრძანდეს და ჩვენც აქ დავხვდებით.

— დავხვდებით! — კვლავ იგრიალა ხალხმა.

კრების ხელმძღვანელი წინ წამოდგა, ხალხი დააწყნარა და თქვა:

— მაშ ჩვენ ვამტკიცებთ ბულეს წინადადებას...

— ვამტკიცებთ! — ერთხმად მიუგეს შეკრებილებმა.

— დარიოსის წარმოგზავნილებს მიწისა და წყლის მოთხოვნაზე უარს ვეუბნებით...

— უარს რატომ? — წამოიძახა თემისტოკლემ და ხალხს გადახედა, — რად შევარცხვინოთ ჩვენი განთქმული სტუმართმოყვარეობა? მიწა და წყალი რა არის, რომ ვისმეს უარი ვუთხრათ? დარიოსმა ორი ელჩი გამოგვიგზავნა. მოდით, ერთი ჭაში ჩავაგდოთ, მეორე

ღრმა ორმოში და ზედ მიწა გადაეყაროთ. დაე, იგემონ ატიკური მიწაც და წყალიც!

— სწორია! — იყვირა ხალხმა და ყველა იქით მიაწყდა, სადაც დამფრთხალი ელჩები იდგნენ.

— მოქალაქენო! — წამოიძახა არისტიდემ და ხალხის დაშოშმინება მოიწადინა. მოიწადინა, მაგრამ გვიანღა იყო: თემისტოკლეს წინადადებით აღტაცებულ მოქალაქეებს მაგრად ჩაებღუჯათ ირანის ელჩები და მოედნის ბოლოსაკენ მიაქანებდნენ...

* * *

ირანის ფლოტი მარათონის ველს მიადგა. არტაფერნე, დატისი და ჰიპიასი ყურადღებით ათვალიერებდნენ მომავალი ბრძოლის ასპარეზს. სამი მხრიდან მარათონს პენტელიკონისა და პარნეთოსის განშტოებანი ეკვროდა, აღმოსავლეთიდან კი ზღვა ესაზღვრებოდა. ველის სიგანე სამ კილომეტრს აღწევდა, სიგრძე კი სამჯერ მეტი ჰქონდა. დატისის განკარგულებით, ლაშქარი ისე განლაგდა, რომ ერთი მხრიდან ბანაკს ზღვა იფარავდა, მეორე მხრით კი — თითქმის გაუვალი ჭაობი. ამრიგად, მტრის მოულოდნელი თავდასხმის შიში ირანელებს აღარ ჰქონდათ.

ათენელებმა გამოსვლა არ დააყოვნეს, ჰერაკლეს ტაძრის მახლობლად დაბანაკდნენ და ომის თადარიგი დაიწირეს. პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა და მეომრებმა დასვენების უფლება მიიღეს.

გამთენიისას ელინთა ბანაკში ვიღაც მხედარმა გაოფლიანებული ცხენი შეაჭენა, გუშაგს მიადგა და არქონტ-პოლემარქოს კალიმაქეს ნახვა ისურვა. გუშაგმა დაუყოვნებლივ აცნობა არქონტს მხედრის სურვილი. კალიმაქემ სტრატეგოსები შეჰყარა და მხედარი იხმო.

— რა ამბით დაბრუნდი? — მოუთმენლად ჰკითხა მან მოსულს.

— სპარტელები გამარჯვებას უსურვებენ ათენის მებრძოლთ... დახმარებაზე კი უარს ამბობენ.

— რატომ? — წამოიძახა კალიმაქემ და ზე წამოიჭრა.

— ძველთაგანვე დამკვიდრებული ადათი მთვარის გავსებამდე

ბრძოლის ველზე გასვლის ნებას არ გვაძლევსო, — მიუგო მხედარმა.

— მთვარის გავსებამდე... — ჩაილაპარაკა კალიმაქემ, — განა მტერი ამდენს დაგვაცლის?

სპარტელთა პასუხმა სტრატეგოსებიც დააღონა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

— როგორ მოვიქცეთ? — დაარღვია დუმილი კალიმაქემ.

— გაშლილ ველზე მტერთან შერკინება ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. სჯობს, ათენს დავბრუნდეთ, ქალაქში ჩავიკეტოთ და იქ ველოდოთ ირანის ლაშქარს! — თქვა ერთმა.

— როგორ? — წამოიძახა არისტიდემ, — ლაჩრულად მივატოვოთ ბრძოლის ველი და უკან გავბრუნდეთ?

— მაშ რას ფიქრობ? — ჩაერია საუბარში მესამე სტრატეგოსი, — სპარტელები გაგვიდგნენ, ერეტრია[1] ირანელებმა მიწასთან გაასწორეს... უზარმაზარი ლაშქრის პირისპირ მხოლოდ ჩვენ დავრჩით. ახლა გონიერებას უნდა მოვუხმოთ და მტერს გავერიდოთ. გრძნობის აყოლა ხელს არ მოგვცემს.

— მოქალაქენო! — თქვა მილტიადემ, — ნუთუ ჩვენ აქეთ მხოლოდ სპარტელების იმედით მოვეშურებოდით? ნუთუ ჩვენმა ქვეყანამ ასე დაკარგა საკუთარი ძალის რწმენა? ირანელთა მრავალრიცხოვნება რა სათქმელია? განა ერთი ჰოპლიტი ორ-სამ ირანელ მშვილდოსანს ვერ გაუმკლავდება?

— ლამაზი სიტყვით რომ ბრძოლის მოგება შეიძლებოდეს, მაშინ შუბი და მახვილიც აღარ იქნებოდა საჭირო!..

კალიმაქემ შეატყო, რომ საუბარი არასასურველ ელფერს იღებდა. სტრატეგოსები დააწყნარა და თქვა:

— თქვენი დავა წილისყრამ გადაწყვიტოს!

სტრატეგოსებმა თანხმობა განაცხადეს, მაგრამ საქმე ამითაც არ მოგვარდა! ხუთი სტრატეგოსი ბრძოლის მომხრე აღმოჩნდა და ხუთიც წინააღმდეგი. ახლა ყველაფერი არქონტ-პოლემარქოსს უნდა გადაეწყვიტა. მილტიადე წამოდგა, შეკრებილთ თვალი მოავლო და მზერა კალიმაქეზე შეაჩერა:

— ათენელები ჯერ არ მდგარან ესოდენ დიდი საფრთხის წინა-

[1] ქალაქი კუნძულ ევბეაზე.

შე. — თქვა მან, — დღეს გადაწყდება, ჩვენი ხალხი შეინარჩუნებს თავისუფლებას, თუ სამუდამოდ დაიდგამს მონობის უღელს. სტრატეგოსების ხმები გაიყო და ყველაფერი შენზედ არის დამოკიდებული, ღირსეულო კალიმაქე! თუ უარს იტყვი შერკინებაზე და ათენის კედლებს მიაშურებ, იქ დაჯგუფებათა შორის ბრძოლა გამწვავდება და ირანის მომხრენი ხალხს თანდათანობით თავისაკენ გადაიბირებენ. მაგრამ თუ აქ ბრძოლას მიიღებ და გაიმარჯვებ კიდეც. შენ განადიდებ ათენის სახელს და ელადის ყველა ქალაქთა შორის მას პირველ ადგილს დაუმკვიდრებ. მადლიერი ხალხი ამაგს დაგიფასებს, შენს სახელს შარავანდედით შემოსავს და თაობიდან თაობას გადასცემს. ბოლო სიტყვა შენ გეკუთვნის და ამ სიტყვამ უნდა გადაწყვიტოს ათენის ბედი! — მილტიადემ სათქმელი დაასრულა და განზე გადგა.

ყველა მოუთმენლად ელოდა არქონტის სიტყვას...

სწორედ ამ დროს კარავში გუშაგი შემოვიდა და შეკრებილთ მოახსენა:

— ათენელთა დასახმარებლად ბანაკში შემოდის თავითფეხამდე აღჭურვილი ათასი პლატეელი მეომარი!

კალიმაქე ზე წამოიჭრა, გუშაგთან მივიდა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— გმადლობთ, მეგობარო!

გუშაგი კარვიდან გავიდა. კალიმაქემ თვალი მოავლო სტრატეგოსებს და მტკიცედ თქვა:

— მე ვუერთდები ბრძოლის მომხრეებს. სიკვდილი ან გამარჯვება!

— სიკვდილი ან გამარჯვება! — მხიარულად წამოიძახა არისტიდემ და დასძინა: — ერთი საკითხიღა გვრჩება გადასაწყვეტი. ამ ბრძოლაში სტრატეგოსთა შორის სარდლობის მორიგეობით ცვლა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. სჯობს, მარათონის ომს ბოლომდე ერთი პირი ხელმძღვანელობდეს. როგორც ყველაზე ღირსეულს, ჩემს რიგს ნებაყოფლობით ვუთმობ მილტიადეს!

— მეც ვუთმობ! — დაიძახა თემისტოკლემ.

— მეც! — დასძინა მესამე სტრატეგოსმა.

— თანახმა ვარ! — თქვა კალიმაქემ.

სტრატეგოსებმა მილტიადე ერთხმად აირჩიეს მთავარსარდლად...

მოპირისპირე მხარეებს ერთიმეორისაგან რვა სტადიონი[1] აცილებდა. მილტიადე ჯარის დაწყობას შეუდგა. მარჯვენა ფლანგს კალიმაქე სარდლობდა, მარცხნივ კი ათენელთა რაზმებთან ერთად პლატეელი მეომრები განლაგდნენ. მილტიადემ ფლანგების გამაგრებაზე იზრუნა, ცენტრში კი მტრის ძალა ბევრად სჭარბობდა ელინებისას. სტრატეგოსებმა მილტიადეს ცენტრის გაძლიერება მოსთხოვეს, მაგრამ მთავარსარდალს თავისი გეგმა ჰქონდა.

მილტიადეს რჩევით, ელინები თავად უნდა გადასულიყვნენ შეტევაზე. ათიათასამდე მეომარი მოუთმენლად ელოდა ბრძოლის დაწყებას. წინა რიგებში მხარიმხარ იდგნენ მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტები. სახე მუზარადით ჰქონდათ დაფარული, ხოლო ფეხის წინა ნაწილი — საწვივეებით. უზარმაზარი, ოვალური ფარები საიმედოდ ჰფარავდნენ მეომართა სხეულებს. ხელთ გრძელი, ორლესული შუბები ეპყრათ და სამაგრებზე ბასრი მახვილი ჰქონდათ ჩამოკიდებული. ჰოპლიტების უკან მონათა მსუბუქად შეიარაღებული ლაშქარი იდგა.

ელინებმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს და ახლა მთავარსარდლის ბრძანებას ელოდნენ. მილტიადემ არ დააყოვნა და სარდლებს უკანასკნელი დარიგება გადასცა. ელინთა ჯარი სწრაფი ნაბიჯით დაიძრა მოწინააღმდეგეთა ბანაკისაკენ.

მილტიადემ კარგად იცოდა, რომ დიდ მანძილზე მტრის მშვილდოსნები მის ჯარს ვერაფერს დააკლებდნენ. ხოლო როდესაც მანძილი შემცირდა და მოპირისპირეთ ერთი სტადიონიღა აშორებდა, ელინებმა ფეხს აუჩქარეს და სირბილით შეიჭრნენ ირანელთა რიგებში.

ირგვლივ გამაყრუებელი ყიჟინა გაისმოდა. ათიათასი ელინი მედგრად უტევდა ორჯერ ჭარბ ძალას. თავდაპირველად ირანელები მტკიცედ იდგნენ და უკან დახევას არ აპირებდნენ. მაგრამ მალე, მარჯვენა ფლანგზე, კალიმაქეს გმირობით აღტაცებულმა ელინებმა ისეთი ძალით შეუტიეს მოწინააღმდეგეს, რომ ირანელებმა პირი იბრუნეს და ბრძოლის ველი მიატოვეს. თანამოძმეებს პლატეელებიც

---

[1] 184, 98 მეტრი.

არ ჩამორჩნენ და ათენელ მებრძოლებთან ერთად გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ცენტრში კი ბედის სასწორი ირანელებისაკენ გადაიხარა. ათენელები ნელ-ნელა უკან იხევდნენ, თუმცა საბრძოლო მწყობრი არ დაურღვევიათ და მოზღუავებულ მტერს ღირსეულად უმკლავდებოდნენ. ორი ბრგე ვაჟკაცი ომახიანი შეძახილებით ჯარს ამხნევებდა და მოწინავეთა რიგებში მამაცურად იბრძოდა. ერთი არისტიდე იყო, ხოლო მეორე — თემისტოკლე. განსაცდელის ჟამს პირადი შუღლი დავიწყებოდათ და მშობლიური ქვეყნის გადასარჩენად მხარდამხარ იბრძოდნენ.

— ჰეი, არისტიდე! — გასძახა თემისტოკლემ და წინ გამოჭრილ ირანელთა რაზმს შეუტია, — ხედავ, როგორ გვავიწროებენ? კრიჭაში რომ არ ჩამდგომოდი, ძლიერ ფლოტს შევქმნიდი, ირანელებს ზღვაზევე დავამარცხებდი და აქ გადმოსხდომის საშუალებას არ მივცემდი...

— დაჰკა, ღირსეულო მებრძოლო! — უპასუხა არისტიდემ და შუბი მძლედ აამოქმედა, — ჯერ აქ დავამარცხოთ ბარბაროსები და ფლოტის შექმნაზე მერე ვილაპარაკოთ!

ირანელთა ჭარბი ძალები ცენტრში კვლავ ავიწროებდნენ მოწინააღმდეგეს. სამაგიეროდ, ფლანგებზე ელინებმა მტერი დაიფრინეს და ზღვისკენ გარეკეს. მილტიადეს ბრძანებით, გამარჯვებულნი გაქცეულებს აღარ დადევნებიან და პირი ცენტრისაკენ იბრუნეს: ირანელები მალე მიხვდნენ, რომ ორ ცეცხლს შუა მოქცეულიყვნენ. ერთხანს კიდევ იგერიებდნენ მტრის შემოტევას, მაგრამ ბოლოს იარაღი დაჰყარეს და ხომალდებისაკენ მოკურცხლეს. ელინები უწყალოდ სჩეხდნენ ბარბაროსებს. ბრძოლის ველზე 6400 ირანელი მეომარი დაეცა. ელინებმა კი მხოლოდ 192 კაცი დაჰკარგეს. მაინც აუნაზღაურებელი იყო მათი დანაკლისი: ერთგან, დარიოსის ჯარისკაცთა გვამებით გარშემორტყმული, იწვა არქონტ-პოლემარქოსი კალიმაქე...

გაქცეულებმა პატარა მდინარე გადალახეს და ხომალდებს მიაშურეს. ნაპირთან მშვილდოსანთა მოზრდილი რაზმი დატოვეს და ელინთა შეჩერება დაავალეს.

— ირანელები ალბათ ათენისაკენ გაცურავენ, — თქვა მილტიადემ, — ქალაქი უპატრონოდ არის დატოვებული და შეეცდებიან, შესაფერი ჟამი ხელიდან არ გაუშვან.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა თემისტოკლემ.

— სწრაფი სვლით ჭალაქს მივაშუროთ, — მცირე დუმილის შემდეგ მიუგო მილტიადემ და დასძინა: — აქ კი არისტიდე დარჩება მცირე რაზმით. ის უდარაჯებს ტყვეებს და ნადავლს.

ბრძანება მყის შესრულდა. მილტიადეს წინამძღოლობით ელინთა ჯარი ათენისაკენ დაიძრა. სარდალმა არც თავი დაზოგა, არც მეომრები და სამიოდე საათის შემდეგ ქალაქი საიმედოდ გაამაგრა.

მილტიადეს ათენში დაბრუნება რომ შეიტყვეს, ირანელებმა ხომალდებიდან გადმოსხდომა ვეღარ გაბედეს და აღმოსავლეთისაკენ აიღეს გეზი...

მარათონის ბრძოლა უკვე დამთავრებული იყო, როდესაც სპარტელთა მაშველი ჯარი გამოჩნდა. ჯარის მეთაური არისტიდესთან მივიდა და დახმარება შესთავაზა.

— ბედი გქონიათ, მეგობარო!—ღიმილით უთხრა არისტიდემ,— ცოტა ადრე რომ მოსულიყავით, ბარბაროსებთან შეტაკება მოგიხდებოდათ.

— ვერ დაგეთანხმები, — მიუგო მეთაურმა, — ბედი იმ წყეულ ბარბაროსებს ჰქონიათ, ჩვენთან შეტაკება რომ აიცილეს.

სპარტელებმა ბრძოლის ველი დაათვალიერეს, ათენელთა მამაცობა შეაქეს და უკანვე გაბრუნდნენ.

სწორედ ამ დროს ირანის ხომალდები ზედიზედ ტოვებდნენ მარათონს. არისტიდემ შენიშნა, რომ ათენელ მეომართა ერთმა ჯგუფმა მდინარე გადალახა და ანთებული მაშხალებით რამდენიმე ხომალდზე იერიში მიიტანა. სტრატეგოსის მზერა ორმა მებრძოლმა მიიტაცა. ისინი გაშმაგებით უტევდნენ მომცრო ხომალდს და ცეცხლის წაკიდებას ლამობდნენ. ირანელები სეტყვასავით აყრიდნენ ისრებს, მაგრამ მათ შეჩერებას ვერ ახერხებდნენ. უცებ იმ ხომალდზე ცეცხლმა იბრიალა და მებრძოლთა აღტაცებული „ვაშაც“ გაისმა. შეუპოვარი ვაჟკაცები ახლა სხვა ხომალდს მიეტანენ... მაგრამ აქ ერთ მათგანს ბედმა უმუხთლა: ფარიდან ასხლეტილმა ისარმა დაუფარავი ადგილი მონახა და მებრძოლს ყელში გაერჭო. არისტიდემ თვალებზე ხელი აიფარა. დიდხანს თავჩაქინდრული იდგა და მერე იმ საბედისწერო ადგილისაკენ გაიხედა. რამდენიმე ხომალდი ცეცხლის ალში იყო გახვეული და ზღვაზე საცოდავად ირწეოდა. ნაპირ-

ზე კი მძიმედ მოაბიჯებდა სამ ათეულ წელს გადაცილებული ბრგე ვაჟკაცი და დაღუპული მებრძოლის გვამი მოჰქონდა.

არისტიდე ყურადღებით დააცქერდა მომავალს. მისი სასოწარკვეთილი სახე უზომო გულისტკივილს გამოხატავდა.

— მეგობარო, ვინ არის ეგ ღირსეული ვაჟკაცი? — ჰკითხა არისტიდემ.

— ამიერიდან აღარც ვინ... ცოტა ხნის წინ კი ათენელ ჰოპლიტთა სიამაყე გახლდა...

მებრძოლმა ცხედარი ფრთხილად დაასვენა მიწაზე და დაიჩოქა. არისტიდეს გულით ეწადა ნუგეში ეცა ვაჟკაცისათვის.

— ახლობელია? — ჰკითხა მან.

— ძმა არის ჩემი...

— შენ კი ვინღა ხარ, უშიშარო ვაჟკაცო?

მებრძოლი არც წამომდგარა, არც თავი აუწევია, ისე მიუგო:

— ესქილე!..

პირველი გამარჯვება

— ღმერთები განაგებენ ადამიანთა ხვედრს. მათი სიკეთე მიუწვდომელია. წმიდა ოლიმპოდან თვალყურს ადევნებენ ამქვეყნიურ ყოფას და აწესრიგებენ მოკვდავთა ცხოვრებას! — ასე ფიქრობდა ყველა ელინი და მოწიწებით თაყვანს სცემდა ვერცხლისმშვილდა აპოლონსა და ქალაქთმეოხ ათენას, ზღვათა მბრძანებელ, შავკულულიან პოსეიდონს და ქორწინების მფარველ ჰერას, მრისხანე არესსა და სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტას...

მაგრამ ოლიმპოსაც თავისი მბრძანებელი ჰყავდა, ყველა უკვდავზე დიადი და ძლევამოსილი. ღმერთები ქედს იხრიდნენ მის წინაშე, ადამიანები კი უმაღლეს ღვთაებად აღიარებდნენ. გაჭირვებისა თუ სიხარულის ჟამს მას მიმართავდნენ და მსხვერპლსაც მასვე სწირავდნენ ყველაზე ხშირად. ეს ღვთაება ზეცისა და მიწის გამგებელი, მეხთამტყორცნელი ზევსი გახლდათ.

ოლიმპოზე სხვა ღმერთებიც ბინადრობდნენ. მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა დიონისე იყო. თურმე მან შეასწავლა ბერძნებს ვე-

ნახის მოვლა-პატრონობა და ღვინის ჭაშნიკიც მანვე აგემა. მთელ ელადაში სწრაფად გავრცელდა დიონისეს კულტი, მაგრამ ათენელებმა ყველას გადააჭარბეს. პატარა ბიჭუნაც რომ შეგეჩერებინათ და გეკითხათ, დიონისე ვინ არისო, სხაპასხუპით გიამბობდათ ამ ღვთაების თავგადასავალს...

...მეხთამტყორცნელ ზევსს შეუყვარდა მშვენიერი სემელე, თებეს მეფის კადმოსის ასული და მასთან ფარული კავშირი დაამყარა. ერთხელ ზევსი შეჰპირდა სემელეს, რომ ყოველგვარ თხოვნას აღუსრულებდა და აღთქმა ფიცითაც დაადასტურა. ცბიერი ქალი იყო ჰერა, უზენაესი ღვთაების მეუღლე. მას არ გამოეპარა ზევსის ღალატი და სემელეს დასჯა გადაწყვიტა. დედაბრის სახით გამოეცხადა მას და უთხრა: — ჩემო კეთილო, სთხოვე ზევსს, რომ ოლიმპოს მბრძანებელი ღმერთის ჰეშმარიტი სახით გეწვიოს. თუ არ გატყუებს და მართლაც უყვარხარ, ამ თხოვნას უთუოდ აღგისრულებსო. შეცდა საბრალო ქალი და როდესაც ზევსი ეწვია, სწორედ იმ თხოვნის აღსრულება მოსთხოვა, ჰერამ რომ შთააგონა. ზევსი მყის მიხვდა ჰერას ვერაგობას, მაგრამ რაღას იზამდა: მას ხომ უკვე ფიცი ჰქონდა მიცემული და სიტყვას ვეღარ გადავიდოდა. რამდენიმე დღის მერე ის მართლაც გამოეცხადა სემელეს თავისი ნამდვილი სახით. მეხთამტყორცნელი ღვთაების მოახლოებისას გრგვინვამ შეარყია კადმოსის სასახლე. თვალისმომჭრელმა ელვამ გადაუქროლა მიდამოს და საზარელი კვალი დატოვა: ირგვლივ ყველაფერი იწვოდა და ინგრეოდა. ცეცხლწაკიდებული სემელესათვის ხსნა არსით ჩანდა და ღონემიხდილი მიწაზე დაეცა. მომაკვდავ ქალს ვაჟი შეეძინა, ძალზე სუსტი და უსუსური დიონისე. ულმობელი ცეცხლი მასაც სიკვდილით ემუქრებოდა. მაგრამ დიონისე ხომ ზევსის შვილი იყო! უეცრად მიწიდან ხშირი სურო ამოიზარდა, ბავშვს ყოველი მხრიდან შემოერტყა და სიკვდილისაგან დაიფარა. ზევსმა ფრთხილად აიყვანა გადარჩენილი ვაჟი და საკუთარ თეძოში მოათავსა. ცხრა თვის შემდეგ დიონისე ხელმეორედ დაიბადა. ამჯერად ძლიერი და ჯანსაღი, სწორედ ისეთი, ღვთაების ძეს რომ შეეფერებოდა.

გავიდა ხანი, დიონისე დავაჟკაცდა. სატირების თანხლებით მოგზაურობდა და გზადაგზა ვენახისა და ღვინის კულტურას ავრცელებდა. ზოგნი სიხარულით ხვდებოდნენ, ზოგიერთები კი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ. მრავალი დაბრკოლების გადალახვა მო-

უხდა დიონისეს. მაგრამ ბოლოს მაინც გამარჯვება იზეიმა: ბერძნებმა ყურძენსაც და ღვინოსაც მალე გაუგეს გემო და მათ დამუშავებას მიჰყვეს ხელი. არც ინანეს: ახალი ხილი მხოლოდ სიტკბოებისა და სიამრუნების მომგვრელი კი არ აღმოჩნდა, არამედ მათი დოვლათისა და შემოსავლის მადლიანი წყაროც.

ვალში არც ელინები დარჩენილან. საბერძნეთის ყველა კუთხეში, ქალაქად და სოფლად, მადლიერი ხალხი ყოველწლიურად დღესასწაულს უმართავდა დიონისეს. ამ დღესასწაულებს სოფლად ლენეებს უწოდებდნენ, ქალაქში კი დიდი დიონისიების სახელით იყო ცნობილი. მერე პისისტრატემ დიდი დიონისიები საერთო ატიკურ ზეიმად გამოაცხადა და სარბიელიც ფართო დაუსახა. მაგრამ ეს შედარებით გვიან მოხდა და თავდაპირველი დღესასწაულებისაგანაც დიდად განსხვავდებოდა.

ზეიმი საზვარაკოდ გასუქებული ხარის დაკვლით იწყებოდა. ვიდრე ქურუმი მსხვერპლს სწირავდა, აედები დითირამბს უმღერდნენ დიონისეს. პირველ ხანებში ღვთაების სადიდებელ სიმღერას დღესასწაულის დროს თხზავდნენ, მერე კი წინასწარ უკვეთავდნენ ხოლმე რომელსამე ლირიკოსს. გავიდა დრო. პოეტმა არიონმა დითირამბი საგუნდო სიმღერად გადააქცია და გუნდის წევრები თხის ქურქით შემოსა: დიონისეს თანმხლებნი ხომ ნახევრად-თხა სატირები იყვნენ!..

დითირამბის დამწყები კორიფევსი იყო. მას შეეძლო გუნდს გამოცალკევებოდა, მერე მისთვის მიემართა და ქორევტები[1] სასიმღეროდ გამოეწვია. როცა დათირამბი მსმენელს დიონისეს თავგადასავალს მოუთხრობდა, კორიფევსი თვით ღვთაებას განასახიერებდა, გუნდი კი სატირების სახით წარმოუდგებოდა მაყურებელს. კიდევ გავიდა ხანი და დიონისეს სადიდებელი სიმღერის გვერდით საგმირო დათირამბი გაჩნდა. კორიფევსი ახლა რომელიმე გმირს განასახიერებდა, ხოლო გუნდი თხის ქურქით აღარ იმოსებოდა. ამბობენ, ტრაგედიაც დითირამბის დამწყებთაგან წარმოიშვაო. თესპიდს გუნდიდან მსახიობი გამოუყვია და დიდი დიონისიების დღესასწაულზე პირველი ბერძნული ტრაგედია წარმოუდგენია. მას მერე ტრაგედი-

[1] გუნდის წევრები.

ები დიდი დიონისიების გვირგვინად ქცეულა და ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოუპოვებია.

ტრაგიკოს პოეტთა შეჯიბრებები ათენელთა ნამდვილი ზეიმი იყო. ამ დღეებში იერს იცვლიდა მთელი ქალაქი. მუშაობას წყვეტდა სახელმწიფო დაწესებულებები, აღარ იწვევდნენ სახალხო კრებებს, დაკეტილი იყო სავაჭრო ფარდულები. ტუსაღებს ბორკილებისაგან ათავისუფლებდნენ, ხოლო გზირები იმ პირთა სახელებს აცხადებდნენ, რომლებიც ოქროს გვირგვინით დაჯილდოებისათვის ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის. მოვალენიც კმაყოფილნი იყვნენ: კარგად იცოდნენ, ამ დღეებში მათ ვალის გადახდას არ მოსთხოვდნენ...

მართლაც დიდებული დღესასწაული იყო დიდი დიონისიები. ათენი ახლაც მოუთმენლად ელოდა ამ ზეიმს...

...აკროპოლისის სამხრეთ ფერდობზე დიონისეს ტაძარი დგას. პისისტრატეს ბრძანებით თეატრიც ამ ტაძრის მახლობლად აუგიათ.

ორიოდე დღის წინ, ცხრა ელაფებოლიონს[1] დიონისეს ქანდაკება დიდის ამბით გადაიტანეს ტაძრიდან თეატრის შენობაში. ასე დაიწყო დღესასწაული. პროცესიას არქონტი-ეპონიმი მეთაურობდა. იმავე დღეს ლირიკოს პოეტთა შეჯიბრება გაიმართა, 10 ელაფებოლიონს კი კომედიები უჩვენეს მაყურებელს. აღტაცებული იყო ხალხი, მაგრამ მაინც მოუთმენლად ელოდა უფრო დიდსა და ამაღელვებელ სანახაობას. ეს დღე კი გუშინ დადგა, როცა მაყურებელთა ტაშის გრიალში წარმოადგინეს უკვე მოხუცი, სახელგანთქმული ქოირილეს ტრაგედიები. დღეს კი, 12 ელაფებოლიონს ხანდაზმული ფრინიქეს ჯერი დადგა. დემოკრატები ზეიმობდნენ. ყველამ იცოდა, რომ ფრინიქე თემისტოკლეს კაცი იყო და მოუთმენლად ელოდნენ მის ტრაგედიებს. ფრინიქემ მრავალრიცხოვან მომხრეებს არ უმტყუნა და საკუთარ თავსაც კი გადააჭარბა. თავიდანვე დაიპყრო და მოხიბლა მაყურებელი. ხოლო როდესაც უკანასკნელი ტრაგედია — „ალკესტიდა“ — დასრულდა, გამაყრუებელმა ტაშმა შესძრა იქაურობა. ახლა უკვე ყველასათვის ცხადი იყო, რომ ქოირილეს ფრინიქემ აჯობა. არისტოკრატები გულს მაინც არ იტეხდნენ და იმედს ხვალინდელ დღეზე ამყარებდნენ. თეატრიდან გამოსული

---

[1] მარტი — აპრილი.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და საუბრობდა. დემოკრატებმა არისტოკრატებზე მიიტანეს იერიში.

— ყურები რას ჩამოგიყრიათ, სქელჯიბიანნო! — მხიარულად წამოიძახა ჰერაკლესავით ბრგე მეზღვაურმა, — ეს ხომ პირველი და უკანასკნელი მარცხი არ არის თქვენთვის.

— მარცხამდე ჯერ შორს არის, ყმაწვილო! — მიუგო კოხტად გამოწყობილმა ახალგაზრდამ, — ნუ ავჩქარდებით და ხვალინდელ დღეს დაველოდოთ.

— ბიჭოს! — წამოიძახა მეზღვაურმა და ხალხს მიუბრუნდა: — ამ საბრალოებს კიდევ ჰქონიათ ჰადესს[1] გასამგზავრებლად გამზადებული ქოირილეს იმედი?

ირგვლივ გაიცინეს. ვიღაც ხელოსანმა კი ცეცხლს ნავთიც გადაასხა:

— მაშ რა ჰქნან! ჩვენს სახელმწიფოში მაგათთვის ადგილი აღარ რჩება და ქოირილესავით ყველანი სულს ღაფავენ...

არისტოკრატები აენთნენ. ხანში შესული მამაკაცი მეზღვაურს მიუახლოვდა და მკვახედ მიახალა:

— ქოირილე ავად სახსენებელი არ გახლავს, ყმაწვილო. ტრაგიკოსთა შეჯიბრშიაც ხშირად გაუმარჯვნია და ქვეყნისთვისაც შენზე მეტი სარგებლობა მოუტანია.

— არც ფრინიქეს გამარჯვება ნიშნავს ჩვენს დამარცხებას! — წამოიძახა მეორემ.

— მერე-და, ვინ გითხრა, რომ ფრინიქემ გაიმარჯვა? — გაცხარდა ხანში შესული მოქალაქე, — ჯერ ხომ მსაჯულებს თავისი სიტყვა არ უთქვამთ?

— არც ესქილეს წარმოუდგენია ჯერ ტრაგედიები! — დასძინა ახალგაზრდა არისტოკრატმა.

— ესქილე ვინღა არის? — აიჩეჩა მხრები მეზღვაურმა.

ამ კითხვამ დემოკრატებიც გააოცა. ხანში შესულმა მოქალაქემ გამჭირდავი მზერა მიაპყრო მეზღვაურს და თქვა:

— ხედავთ, რა ბედენასთან გვქონია საქმე? ესქილეს სახელიც არ გაუგონია...

არისტოკრატებმა მეზღვაურს სიცილი დააყარეს. შუახნის დე-

---

[1] საიქიო.

მოკრატმა ხელი გაოგნებული მეზღვაურისაკენ გაიშვირა და წამოიძახა:

— ამ აყლაყუდას უვიცობას ჩვენ ნუ მოგვაწერთ! ესქილეს სახელი ყველა ჩვენგანს გაუგონია და თქვენზე ნაკლებ პატივს როდი ვცემთ. მაგრამ, როგორც მახსოვს, მას პირველი ჯილდო არასდროს მოუპოვებია და ხალხმაც „მარად მეორე" შეარქვა!..

— ეგ მართალია, მაგრამ ესქილე მაინც ყველაზე დიდი პოეტია!

ახლა დემოკრატებმა დასცეს ყიჟინა, ნირწამხდარმა მეზღვაურმაც ხმა აიმაღლა:

— რაებსა როშავთ! ფრინიქე ცოცხალი იყოს და პირველ პოეტად ესქილეს თვლიდნენ?

— ნათქვამია, კაცის ენას ძვალი არა აქვსო!

ირგვლივ ყაყანებდნენ. დემოკრატები ფრინიქეს ადიდებდნენ, არისტოკრატები — ესქილეს.

— ხვალინდელმა დღემ გადაწყვიტოს ჩვენი დავა! — თქვა ხანში შესულმა მოქალაქემ.

— აგრე იყოს!.. — მყის დაეთანხმენ დემოკრატები.

— ნეტავ რაღა არის გადასაწყვეტი? — წამოიძახა მეზღვაურმა, — განა ვიღაც ესქი...

სიტყვა კი ვეღარ დაამთავრა. აქეთ-იქიდან მუჯლუგუნები უთავაზეს და გააჩუმეს. გაკვირვებულმა მეზღვაურმა მიმოიხედა და შენიშნა, რომ ერთი წუთის წინ მოყაყანე ხალხი გარინდულიყო. ორი ბერგე ვაჟკაცი დინჯად მოაბიჯებდა მათკენ. მოქალაქენი გზას უთმობდნენ და მოკრძალებით ესალმებოდნენ.

ერთი მათგანი არისტიდე იყო, ხოლო მეორე — ესქილე.

მეორე მხრიდან თემისტოკლე გამოჩნდა. დემოკრატებმა აღტაცებული მზერა მიაპყრეს თავიანთ ბელადს. თემისტოკლემ გეზი იცვალა, სწრაფი ნაბიჯით მიადგა ესქილეს, ხელი გაუწოდა და მოიკითხა. მერე არისტიდესაკენ მიბრუნდა და ცივად მიესალმა.

— ვერაფერი გამიგია, — ბუტბუტებდა გაოგნებული მეზღვაური, — თემისტოკლე პატივით ესალმება არისტიდეს მეგობარს...

ესქილე და არისტიდე კი გზას განაგრძობდნენ და საუბრობდნენ.

— მარათონის გმირო, — ღიმილით ეუბნებოდა არისტიდე, — დრო არის, თეატრშიც დაიდგა გამარჯვებულის გვირგვინი...

— ვეცდები... — დინჯად მიუგო ესქილემ და საუბრის თემის შეცვლა მოიწადინა.

— გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა?

— მარათონის ველზე?

— დიახ...

— მაშინ შემაკრთო შენი სახელის გაგონებამ. მე შენ გიცნობდი როგორც დიდ პოეტს, მაგრამ პირისპირ არასდროს შეგხვედროდი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ოდესმე ჰომეროსის გვერდით მოიხსენიებდნენ ესქილეს სახელს...

— დამცინი? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ესქილემ.

არისტიდეს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა და შეჩერდა. მერე ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

— მაპატიე, კეთილშობილო მოქალაქე, — შეწუხდა ესქილე, — მე ვიცი, რომ შენ ადამიანს არ დასცინებ, მით უფრო — მეგობარსა და ახლობელს... ალბათ მართლაც გჯერა, რომ შეიძლება ოდესმე ჰომეროსის გვერდით მოიხსენიონ. მაგრამ ეგ მხოლოდ სურვილია, ფუჭი და აუხდომელი სურვილი...

— რატომ? — ჰკითხა არისტიდემ.

— ჰომეროსი მიუწვდომელი გენიაა, უბადლო შემოქმედი. მის მიერ გაშლილი დიდებული სუფრიდან გადმოცვენილი ნამცეცებით ვიკვებებით მეც და ტრაგედიების მწერალი სხვა პოეტებიც. ყველანი ჰომეროსის ძლიერ მხრებზე ვდგავართ, ის კი ვერც გრძნობს ჩვენს სიმძიმეს...

— შეიძლება მართალიც იყო, მეგობარო, მაგრამ ჰომეროსის შემდეგ უეჭველად ესქილეს გაიხსენებს მადლიერი შთამომავლობა.

ესქილემ არაფერი უპასუხა. არისტიდემ ერთხანს იყუჩა და განაგრძო:

— ამიტომ შემაკრთო შენი სახელის გაგონებამ. საბერძნეთს უფლება არა აქვს, შენისთანა ადამიანებს ბრძოლის ველზე ისტუმრებდეს, საფრთხეში აგდებდეს მათ სიცოცხლეს...

— სამაგიეროდ, — გააწყვეტინა სიტყვა ესქილემ, — ჩემისთანა ადამიანებს აქვთ უფლება საბერძნეთისათვის გასწირონ თავი. მე პოეტად არ დავბადებულვარ. შუბის ხმარება უკეთ მეხერხება. ირანელები თუ კვლავ გაბედავენ ჩემს ქვეყანაზე გამოლაშქრებას, იცოდე, ათენელ ჰოპლიტთა პირველ რიგებში ესქილესაც იხილავ...

— ეჭვიც არ მეპარება, — ღიმილით მიუგო არისტიდემ, — მეც სწორედ ის მაწუხებს, რომ ესქილემ არც იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს საკუთარი თავის ფასს.

მეგობრები ორსართულიანი, მდიდრული სახლის წინ შეჩერდნენ. საამოდ ქროდა საღამოს გრილი ნიავი.

— აი, მოხვედი კიდეც, — თქვა არისტიდემ, — მე კი საკმაო გზა მაქვს გასავლელი. მშვიდობის ღამესა და წარმატებას გისურვებ!

— გმადლობთ, მეგობარო! — მიუგო ესქილემ, — ეჭვიც არ მეპარება შენს გულწრფელ სურვილებში.

არისტიდემ მეგობარს ხელი დაუქნია და გზა განაგრძო. ესქილე ერთხანს კიდევ გაჰყურებდა მიმავალს და მერე კარებს მიადგა. კარი დაკეტილი დახვდა. ესქილემ ჩაქუჩი ჩამოხსნა და ლითონის დაფას შემოჰკრა რამდენჯერმე. ეზოდან ძაღლის გაფთრებული ყეფა მოისმა. ცოტა ხნის მერე ტანმორჩილმა მონამ კარი გააღო და ბატონს მდაბლად დაუკრა თავი. ესქილე სწრაფი ნაბიჯით შევიდა ეზოში.

— ევფორიონი დაბრუნდა? — ჰკითხა ესქილემ მონას.

— დიახ, ბატონო!

ესქილემ კიბე აირბინა და მისაღებ ოთახში შევიდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, სავარძლიდან თხუთმეტიოდე წლის ვაჟი წამოდგა და მოსულს შეეგება.

— ძვირფასო მამა, მოუთმენლად ველოდი შენს დაბრუნებას,— თქვა მან, — თუ ნებას მომცემ, მინდა რაღაც გაჩვენო. — ესქილემ შვილს მკლავზე ხელი მოჰკიდა, მიიზიდა, შუბლზე აკოცა და სავარძელზე დაეშვა.

— აბა, რით გინდა გამაკვირვო?

ევფორიონი ოთახიდან გავიდა. ესქილე კი სავარძლის ზურგს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. მოულოდნელად გარდასულ დღეთა სურათები ამოტივტივდა და პოეტი მოგონებებმა გაიტაცა.

ევფორიონი ხუთი წლისაც არ იყო, დედა რომ გარდაეცვალა მწვავედ განიცადა ესქილემ მეუღლის სიკვდილი. მისი ქორწინება ხომ წმიდა და გულწრფელ სიყვარულზე იყო დაფუძნებული. სხვაგვარად ვერც წარმოედგინა ესქილეს ჯანსაღი და ჭეშმარიტი ოჯახის შექმნა. დღე და ღამ ბავშვის ბედზე ფიქრობდა. მტკიცედ გადაწყვიტა, ვაჟისათვის უდედობა არ დაეტყო. დღის მეტ ნაწილს მასთან

ატარებდა და ათასგვარ რამეს უამბობდა. შვიდი წლის ევფორიონს აღტაცებაში მოჰყავდა ესქილეს მეგობრები. ლამაზად ყვებოდა ჰომეროსის პოემებსა და ძველ ბერძნულ მითებს. თანატოლებსა და უფროსებთან საუბარში მოხდენილად იყენებდა ეზოპეს არაკებს. როცა შვიდი წლის ვაჟი ესქილემ კერძო სასწავლებელში მიიყვანა, მასწავლებელი გაოცებული დარჩა ყმაწვილის ცოდნით. მალე გამოირკვა, რომ ევფორიონი მუსიკასაც წარმატებით ეუფლებოდა. მამის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ესქილე ბედნიერ კაცად თვლიდა თავს, მაგრამ ერთხელ საშინელი უბედურება დაატყდა. ეს სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ევფორიონი თერთმეტი წლისა შესრულდა. ესქილემ შვილს საჩუქარი მოუმზადა და სასწავლებლიდან მის დაბრუნებას ელოდა. შუადღის ჟამს ეზოდან მონების ყვირილი და ალიაქოთი მოესმა. ესქილემ სწრაფად ჩაირბინა კიბეები და თავზარდაცემული შეჩერდა: შუა ეზოში სახეწამოწითლებული ევფორიონი იწვა და მძიმედ სუნთქავდა. თვალებიც დახუჭული ჰქონდა. ესქილემ განზე გასწია ის სამიოდე მონა, ბავშვს რომ დაფუსფუსებდა, ვაჟი აიტაცა და მკერდზე მიიკრა. საშინელი სიმხურვალე იგრძნო. თითქოს რაღაც შემაძრწუნებელი ხიხინი თუ ხროტინიც მოესმა. ესქილე სახლში შევარდა და ბავშვი საწოლზე დააწვინა, აქეთ-იქით აწყდებოდა და გამწარებული ხელებს იმტვრევდა. უეცრად მოკრძალებულ ხმა გაიგონა:

— ექიმს მოუხმე, დიდო ბატონო!

ესქილე მაშინღა მოეგო გონს. ოთახში ტალთიბე იდგა, ტანმორჩილი, ახალგაზრდა მონა. სახეს მალავდა, მაგრამ ესქილემ მაინც შენიშნა, რომ თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე.

— მიშველე, ტალთიბე! — შეჰღაღადა ესქილემ და თავადაც ვეღარ იცნო საკუთარი ხმა. ტალთიბე შურდულივით გავარდა ოთახიდან.

ათენის ცნობილი ექიმები ბუზებივით ირეოდნენ ესქილეს სახლში. ბევრს აღარც ჰქონდა ევფორიონის გადარჩენის იმედი, მაგრამ ძალას და ცოდნას არავინ იშურებდა. მეექვსე დღეს ევფორიონმა თვალები გაახილა და წყალი მოითხოვა. ექიმებს კვლავ მიეცათ იმედი და გამხნევდნენ. ბედნიერი ესქილე სიხარულით ცას ეწია.

— საშიში ხომ აღარაფერიაო? — წამდაუწუმ ეკითხებოდა მკურნალთ.

ექიმები პირდაპირ პასუხს გაურბოდნენ და ბავშვს თავს დასტრიალებდნენ. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ევფორიონს უკეთესობა დაეტყო. ერთი მკურნალი ესქილესთან მივიდა და უთხრა:

— ამიერიდან ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმება. შეგიძლია ევფორიონი მორჩენილად იგულო!

უხვად დაჯილდოებულმა ექიმებმა ესქილეს სახლი დატოვეს...

ესქილე წუთით არ სცილდებოდა შვილის საწოლს. ერთ საღამოს ტალთიბემ უთხრა:

— დიდი ბატონი გადაიღალა. ნება მომეცი, ეს ღამე მე გავათიო ევფორიონთან...

ესქილემ გაოცებული მზერა მიაპყრო ტალთიბეს. თავდაპირველად მოუნდა. უხეშად მოეცილებინა აბეზარი მონა, მაგრამ მერე გადაიფიქრა. უხილავი ძალა საკუთარი საწოლისაკენ ეზიდებოდა... ესქილეს მონის ცრემლებიც გაახსენდა. ისიც მოაგონდა, რომ ტალთიბე მასავით უძინარი იყო. ყოველ ღამე რამდენჯერმე მიირბენდა ხოლმე ეზოში აღმართულ ზევსის სამსხვერპლოსთან და გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლისშემძლე ღვთაებას, გადაერჩინა ნორჩი სიცოცხლე. ევფორიონსაც ძალზე უყვარდა ტალთიბე და ესქილესათვის ახლა მცირე საბაბი იყო საჭირო, რომ მონისათვის წადილის აღსრულების უფლება მიეცა. სწორედ ამ დროს ევფორიონმა მაჯაზე ხელი მოუჭირა და სთხოვა:

— გულს ნუ ატკენ, მამი, შენს ერთგულ მონას. ტალთიბე მე არაფერს გამიჭირვებს...

ესქილე უხმოდ წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

ტალთიბე შესანიშნავი მომვლელი გამოდგა. ათასნაირ ამბებს მოუთხრობდა ევფორიონს და ართობდა. მამა-შვილი მალე დარწმუნდა, რომ ტალთიბე მათთვის თავს არ დაზოგავდა. ესქილემ გულით შეიყვარა ტანმორჩილი მონა და ხშირად ისეთ საქმეებსაც ანდობდა, თავად ტალთიბეს გაოცებას რომ იწვევდა...

ევფორიონი სრულიად გამოჯანსაღდა: სასწავლებელში სიარულიც განაახლა და ტოლ-მეგობრებთან თამაშიც, ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ოთხიოდე თვის შემდეგ ევფორიონს კვლავ გაუმეორა ავადმყოფობამ. კვლავ წამოშალა ესქილემ ექიმები, კვლავ დადგა უძილო და ტანჯვით აღსავსე ღამეები. ამის მერე

ევფორიონმა კიდევ ორჯერ გადაიტანა ავადმყოფობა. ერთმა მკურნალმა ესქილე გაიხმო და უთხრა:

— როგორც ჩანს, ფიზიკური წრთობა აკლია შენს ვაჟს. ვარჯიში დააწყებინე და გაკაჟდება.

ესქილეს როდი სჯეროდა, რომ ვარჯიშს სასურველი შედეგი მოჰყვებოდა, მაგრამ ექიმის რჩევა მაინც შეასრულა. მას მერე სამი წელიწადი ისე გავიდა, ევფორიონი ავად აღარ გამხდარა. გახარებული ტალთიბე ეუბნებოდა:

— ხედავ, დიდო ბატონო, როგორ გაკაჟდა და გაჯანსაღდა ევფორიონი? მაგას აწი ავადმყოფობა ვეღარ მოერევა!

ესქილეც ხედავდა, როგორ შეიცვალა მისი ვაჟი. ხედავდა, მაგრამ ერთხელ აკვიატებული შიში ვეღარ მოიცილა. ცუდის მოლოდინი მარად თან სდევდა და მზად იყო, შვილის ყველა თხოვნა უსიტყვოდ აღესრულებინა...

ესქილემ თვალი გაახილა. მის წინ ევფორიონი იდგა და ხელში მოოქვრილი მახვილი ეკავა.

— აი, ეს მინდოდა მეჩვენებინა! — თქვა ევფორიონმა და მამას მახვილი გაუწოდა.

ესქილემ შვილს იარაღი გამოართვა, შეათვალიერა და ჰკითხა:

— ვისია?

— მილტიადეს ძე კიმონმა გადმომცა ორი დღის წინ. მითხრა, ცოტა ხანს შენთან შეინახეო. ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ატაროს, თუ არა.

— ვისგან მიიღო? — დაინტერესდა ესქილე.

— ქალაქის მესვეურებმა უბოძეს მამის დამსახურების აღსანიშნავად.

— რატომ არ სურს კიმონს ამ მახვილის ტარება?

— ვინც ეს გადმომცა, იმათ ერთ დროს მამაჩემი გაწირესო. ესქილე და არისტიდე ჩემი კეთილისმყოფელნი არიან და როგორც ისინი მირჩევენ, ისე მოვიქცევიო...

ესქილე ჩაფიქრდა. ევფორიონი სულგანაბული ელოდა მამის პასუხს. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და უთხრა:

— მე ვიცი, რომ მილტიადე მარათონის მთავარი გმირი იყო. ისიც ვიცი, რომ ირანელები სასტიკად დაამარცხა. კიმონი კი ამ-

ბობს, მარათონის ბრძოლის შემდეგ სასტიკად გაწირესო. გამაგებინე, ვის შეეძლო მილტიადეს გაწირვა?

ესქილემ ღრმად ამოიოხრა, შვილი გვერდით მოისვა და უთხრა:

— ვიდრე ბერძნები იარსებებენ, მარათონის ბრძოლა დავიწყებას არ მიეცემა. თუ მარათონის ხსოვნა იცოცხლებს, მილტიადეს ვერავინ დაივიწყებს! ეს ასეა, მაგრამ მილტიადე მაინც გაწირეს, გაწირეს მარათონის ბრძოლის მერე, როცა მტერი უკვე დამარცხებული იყო. მარათონიდან დაბრუნებისთანავე მილტიადემ ხელისუფალთ ფლოტი, ჯარი და ფულადი დახმარება მოსთხოვა. მას არ გაუმხელია, ვის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას, მაგრამ ის კი აგრძნობინა, რომ ლაშქრობიდან დაბრუნებული მშობლიურ ქალაქს გაამდიდრებდა. მილტიადემ პაროსისაკენ გასცურა და ქალაქს ალყა შემოარტყა. ვაჟკაცურად დაუხვდნენ პაროსელები, მედგრად იცავდნენ ქალაქის კედლებს. მილტიადე დაიჭრა და იძულებული გახდა, ათენს დაბრუნებულიყო. აღთქმული დოვლათი კი არსად ჩანდა. ათენში მითქმა-მოთქმა დაიწყო. მილტიადეს პირადი მტრები თემისტოკლეს მეგობრის, ქსანთიპეს გარშემო შეიკრიბენ და მარათონის გმირს სამშობლოს ღალატი დასწამეს. დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს არ სჯეროდა ეს ბრალდება, მაგრამ მაინც მილტიადეს სიკვდილით დასჯას მოითხოვდნენ. მთავარსარდალი საკაცით მიიყვანეს მეგობრებმა სასამართლოში. თავად ლაპარაკობდნენ მის მაგივრად. მარათონის ბრძოლას ახსენებდნენ მოსამართლეებს. არისტიდესა და მეც არ დაგვიკლია ცდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ ვეწიეთ. მილტიადე დამნაშავედ ცნეს და, მართალია, სიკვდილი აღარ მიუსაჯეს, მაგრამ ორმოცდაათი ტალანტით[1] დააჯარიმეს. ამის მერე მილტიადე მალე გარდაიცვალა და სასამართლოს დადგენილება კიმონს დააწვა ვალად...

ევფორიონი ყურადღებით ისმენდა მამის საუბარს. ესქილემ შუბლზე ხელი გადაისვა და განაგრძო:

— კიმონს მილტიადეს მეგობრები დაეხმარნენ. მამულის ნაწილიც გაყიდა და შარშან მთლიანად გაისტუმრა სახელმწიფოს ვალი. გაისტუმრა და ახლა მოოქვრილი მახვილით აჯილდრებენ! — ესქილეს თვალები აენთო, წამოიჭრა და ოთახში სიარულს მოჰყვა.

---

[1] ფულის ყველაზე მსხვილი ერთეული ძველ საბერძნეთში.

— ატაროს, თუ არა ეს მახვილი?! დიახ, უნდა. ატაროს! უნდა ატაროს, რადგან ათენი გონს მოეგო, რადგან ათენმა აღიარა მილტიადეს დამსახურება, რადგან ხალხს ახსოვს და მუდამაც ეხსომება მარათონის ველი! კიმონს გადაეცი, გარდასულ დღეთა სიდიადეს ნუ დაივიწყებს, ფეხის ხმას ნუ აჰყვება და მტკიცედ მიჰყვეს მამა-პაპათა მიერ გაკვალულ გზას. ამ მახვილით დაიცვას ჩვენი ადათ-წესები, ღმერთების მიერ ათენელთათვის საუკუნოდ დადგენილი კანონები. მახვილი, რომელიც მილტიადეს სამახსოვროდ გამოიჭედა, მართალ საქმეში არასოდეს უღალატებს!

ევფორიონს ფერი მიხდოდა და ტუჩები უცახცახებდა, ესქილემ შვილს თავზე ხელი გადაუსვა, გვერდით მიუჯდა და ჰკითხა:

— რას ამბობს ხალხი ქოირილესა და ფრინიქეს ტრაგედიების შესახებ?

ევფორიონს თემის შეცვლა არ ესიამოვნა. კვლავ მილტიადესა და კიმონზე ფიქრობდა. მაგრამ ესქილე არ ეშვებოდა. ბოლოს ევფორიონმა დათმო და მამას მიუგო:

— ფრინიქეს ქებას საზღვარი არა აქვს. ხალხი დარწმუნებულია, რომ პირველ ჯილდოს მას მიაკუთვნებენ.

ესქილე წამოდგა. ოთახში გაიარ-გამოიარა და ევფორიონის წინ შეჩერდა.

— ხვალინდელ დღეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, — დინჯად თქვა მან, — ან გავიმარჯვებ, ანდა თეატრიდან გამომაძევებენ...

გაოცებულმა ევფორიონმა მამას მიაპყრო მზერა.

— ვნახოთ, როგორ შეეგუება ხალხი სიახლეს, — თქვა ესქილემ.

— რომელ სიახლეს? — იკითხა ევფორიონმა.

— ტრაგედიაში ორი მსახიობის გამოყვანას!

— ორისას? — გაოცდა ევფორიონი.

— ხედავ, შენც გიკვირს. ადამიანები ძნელად ეგუებიან დამკვიდრებული წესის გადალახვას. მაგრამ განა თქვა ვინმემ, რომ ტრაგედიებში მარადჟამს ერთი მსახიობი უნდა მონაწილეობდესო? ვის შეუძლია ამიკრძალოს ორი მსახიობის გამოყვანა? ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გავატარე, ვიდრე ამ სიახლეს მივაგნებდი. აღარც კი მახსოვს,როდის ამეკვიატა პირველად ის აზრი, რომ ტრაგედიაში ყველაფერი რიგზე არ იყო. მოსვენება დავკარგე,

ვიტანჯებოდი და ვეძიებდი. ბოლოს მივაგენი და ზე თვითონ შევშინდი. მეგონა ბოროტმოქმედებას ჩავდიოდი. ვცდილობდი, თავიდან ამომეგდო აკვიატებული აზრი. მაგრამ რაღაც უხილავი ძალა ჩემს მიერ აღმოჩენილ სიახლეს არ მათმობინებდა, გულიც იქეთკენ მიმიწევდა. ჩემი ოცნება ისეთი ტრაგედიის შექმნა იყო, სადაც ორი გმირი ერთდროულად წარუდგებოდა მაყურებელს. ბოლოს და ბოლოს გავბედე და ოცნება სინამდვილედ ვაქციე. ახლა ვხედავ, რომ მთლიანად ვერ გამოვიყენე ის შესაძლებლობა, რასაც სცენაზე ორი მსახიობის გამოყვანა მაძლევდა. მაგრამ ეს არ მანაღვლებს. ეს ხომ პირველი ცდა იყო. მთავარია, მან ჩვენს თეატრში გზა გაიკაფოს. დასახვეწი თანდათან დაიხვეწება და იქნებ ისეთი დროც დადგეს, ფრინჭე და არისტიაც ორ მსახიობს ებღაუჭებოდნენ.

ესქილე ძალზე აღელვებული იყო. ევფორიონს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავს იკავებდა. ცოტა ხნის მერე ესქილე შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა კი ძილის დროა. ხვალ ხომ დიდი ბრძოლის გადატანა მოგველის!..

ევფორიონი წამოდგა, მამასთან მივიდა, ხელი შემოჰხვია და ვედრებით უთხრა:

— შენ ხომ უარს არაფერზე მეუბნები. ნურც ახლა გამაწბილებ და მიამბე ტრილოგია.

— მაგრამ...

— ნურაფერს მეტყვი. ვხედავ, ძალზე აღელვებული ხარ. მეც დამაკარგვინე მოსვენება. მიამბე შენი ტრაგედიები და ორივენი დავწყნარდებით!

ესქილემ შვილს შეხედა. ყმაწვილს კვლავ მიხდომა ფერი. უარი ვეღარ უთხრა და სავარძელში მოკალათდა. ევფორიონი მამის პირისპირ ჩამოჯდა და მოსასმენად მოემზადა. ესქილე ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა. მერე შვილს მიაპყრო მზერა და ჰკითხა:

— გახსოვს თქმულება დანაიდების შესახებ?

— ძალიან კარგად!

— ჩემი ტრაგედიების გაცნობაც აქედან დავიწყოთ. ოღონდ თქმულება შენ უნდა მოჰყვე...

— კეთილი! — გახალისდა ევფორიონი. სავარძელზე მოხერხე-

ბულად მოკალათდა და დაიწყო: — ერთ დროს არგოსში ჰერას ტაძრის ქურუმად იო ყოფილა. ზევსს მოსწონებია სილამაზით უხვად შემკული ასული და მასთან საიდუმლო კავშირი დაუმყარებია. იოს შეეძინა ვაჟიშვილი, რომელსაც ეპაფე დაარქვა. ეპაფეს კი ორი შვილი ჰყავდა: ლიბია და ბელე. ბელე ეგვიპტის მეფე იყო. მის ერთ ვაჟს, სახელად დანაოსს ორმოცდაათი ქალიშვილი ჰყავდა, მეორეს — ეგვიპტოსს — კი ორმოცდაათი ვაჟი. ბელე რომ გარდაიცვალა, ეგვიპტოსმა სამეფო ტახტი წაართვა დანაოსს. ესეც არ აკმარა და მოსთხოვა ეგვიპტიდებისათვის მიეთხოვებინა ქალიშვილები. სასოწარკვეთილმა დანაიდებმა ეგვიპტე დატოვეს და თავის გადასარჩენად, დანაოსის მეთაურობით, არგოსს მიაშურეს. განაწყენებული ეგვიპტიდები ბიძაშვილებს დაედევნენ. სხვა გზა რომ არ ჰქონდა. დანაოსმა ქალიშვილებს ურჩია, ეგვიპტიდებს გაჰყოლოდნენ. ურჩია, მაგრამ მტკიცე პირობა კი ჩამოართვა: ქორწინების პირველსავე ღამეს ყოველ მათგანს საქმროსათვის ყელი გამოეჭრა. დანაიდებმა უყოყმანოდ აღასრულეს მამის ბრძანება. მხოლოდ ერთმა, სახელად ჰიპერმნესტრამ არ მოჰკლა ლინკევსი. ურჩი ქალიშვილი დანაოსმა საპყრობილეში ჩააგდო. ეგვიპტოსმა საჩივარი აღძრა შვილების მკვლელთა წინააღმდეგ. მართლმსაჯულებამ, ღმერთთა ჩარევით, დანაოსი და ეგვიპტოსი შეარიგა. დანაიდები კი გაამართლა და განწმინდა სისხლიანი დანაშაულისაგან. — ევფორიონმა თხრობა დაამთავრა და მამას შეხედა. ესქილე კმაყოფილი იყო.

— ახლა კი შენი ჯერია! — უთხრა ევფორიონმა.

— კეთილი! — მიუგო ესქილემ, — სწორედ ამ თქმულებაზე აგებ ჩემი ახალი ტრილოგია. პირველ ტრაგედიას „მაცდრებელი ქალები“ ვუწოდებ. ტრაგედია იწყება...

— პაროდოსით![1] — გააწყვეტინა ევფორიონმა.

— დიახ, პაროდოსით, — მიუგო ესქილემ და განაგრძო: — მოქმედება არგოსში ხდება. ჰერას ტაძრის წინ დანაიდების გუნდი დგას. იგი გვაუწყებს აქ მოსვლის მიზეზს და ყოველისშემძლე ზევსს შემწეობას სთხოვს. ძალზე ხშირად იცვლება სიმღერის რიტმი: ხან აჩქარდება, ხან შენელდება. ამით მინდოდა, უკეთ გადმომეცა სასოწარკვეთილ ქალიშვილთა განწყობილება. დანაოსის ასულთ შიშისა

1 გუნდის გამოსვლა და მისი პირველი სიმღერა.

და სიძულვილის გრძნობა დაუფლებიათ. გულმხურვალედ შესთხოვენ ღმერთებსა და სტიქიურ ძალებს, გააცამტვერონ მოძალადენი. მათი სიმღერის ჟამს ორქესტრიდან სცენაზე ადის დანაოსი. ერთხანს მდუმარედ დგას და შემდგომ წარმოთქვამს თავის სიტყვას. სწორედ აქ იწყება პირველი ეპიზოდი.

— მე ვხედავ გზაზე ავარდნილ მტვერს, — ამბობს დანაოსი, — გარკვევით მესმის იარაღის ჟღარუნიც. აი, გამოჩნდა ხალხი და ეტლები. გვიახლოვდება არგოსელთა დიდებული მეფე პელაზგე! — დანაოსი ურჩევს ქალიშვილებს, ნიშნად ვედრებისა, ხელთ იპყრან თეთრი მატყლით შემკული რტოები, საკურთხეველთან დადგნენ და იქ ელოდონ თავიანთ ხვედრს.

დანაოსისა და გუნდის მეთაურის მოკლე გასაუბრების შემდეგ დანაიდები საკურთხევლის საფეხურებზე ადიან. ქალაქის მხრიდან თანმხლებლებით გარშემორტყმული არგოსელთა მეფე პელაზგე შემოდის. გაოცებულია ქვეყნის მეთაური: ვინ უნდა იყოს ეს ხალხი, ხელში რტოებითა და ელინთათვის უჩვეულო სამოსელით მორთული? თავის მხრივ, გუნდსაც სურს შეიტყოს მისი ვინაობა. იმართება საუბარი. პელაზგე აუწყებს, რომ მათ წინ არგოსის ძლიერი მბრძანებელი დგას. დანაიდები კი თავიანთ თავგადასავალს მოუთხრობენ, თავშესაფარსა და ეგვიპტოსის ვაჟებისაგან დაცვას სთხოვენ.

— ნუთუ თქვენ წარმოშობით მართლაც არგოსელები ხართ? — კითხულობს გაოცებული მეფე.

დანაიდები იოს ამბავს ჰყვებიან. მეფე პასუხობს, რომ იოს სახელი კვლავაც ცოცხლობს არგოსელ მოქალაქეთა ხსოვნაში.

— მაგრამ რატომ გაურბიან დანაიდები ეგვიპტოსის ვაჟებთან ქორწინებას?

ახლა დანაიდების გაოცების ჯერი დადგა.

— ვინც ჩვენ გვიყიდა, ვინც გაგვთელა, იგი გვიყვარდეს? არა, ლტოლვილნი სიკვდილს არჩევენ და ეგვიპტიდებს არ ჩაბარდებიან!

პელაზგე თანაუგრძნობს დევნილ ქალიშვილებს, თანახმაა, დაეხმაროს კიდეც. მაგრამ ძლიერ ეგვიპტიდებთან ომის შიშით ყოყმანს იწყებს. უსაზღვროა დანაიდების მწუხარება. ნუთუ ისინი მხეცებად უნდა დაბრუნდნენ ეგვიპტოსის სასახლეში? მათ თხოვნას ძალა ემატება, სიტყვებს — სიმტკიცე და დამაჯერებლობა.

— ამ ომში ხომ სიმართლე იქნება შენი მოკავშირე! — ეუბნება გუნდის მეთაური მეფეს. — მაშ, ნუ გასწირავ უმწეო ქმნილებათ, დაიფარე იოს შთამომავალნი!

ბოლოს და ბოლოს, მეფე თანხმდება. მაგრამ მარტო ის ხომ ვერ გადაწყვეტს ქვეყნის ბედს? ხალხს უნდა დაეთათბიროს და მათი დასტური მიიღოს.

— დაე, ნურასდროს წამომძახებენ, საბედისწერო ჟამს ლტოლვილნი შეიფარა და საკუთარი ხალხი კი დაღუპაო! — პელაზგემ დანაოსს მოჰკრა თვალი და ახლა მას მიუბრუნდა: — შენ კი, მოხუცო, ხელში მავედრებლის რტო აიღე, ქალაქს მიაშურე და მოედანზე, ღმერთთა საკურთხეველთან მიიტანე. აქაური მოქალაქენი მთხოვნელთ თანაგრძნობით ხვდებიან და უთუოდ თქვენც შეგიბრალებენ.

მადლიერების გრძნობით გაიმსჭვალა დანაოსი. მეფეს გამყოლი სთხოვა და ქალაქს მიაშურა. ცოტა ხნის მერე პელაზგეც გაუდგა გზას და დანაიდებს კეთილი რჩევა დაუტოვა... ასე მთავრდება პირველი ეპიზოდი, რასაც...

— რასაც პირველი სტასიმი მოჰყვება, — თქვა ევფორიონმა, — ამბობენ, ესქილე სტასიმების[1] გამართვის უბადლო ოსტატიაო!

— მართლა? — გაიღიმა ესქილემ, — მე კი მეგონა ეპიზოდებსაც სხვაზე ნაკლებ არ ვმართავდი. თუმცა... თუმცა იქნებ შენ მართალიც იყო!.. — ესქილე სწრაფად წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. — როგორც ვხედავ, ამჯერად ძალამ მიმტყუნა!

ევფორიონი მამას ნათქვამს ვერ მიუხვდა და გაოგნებული ერთ წერტილს მისჩერებოდა.

— აბა, გაიხსენე პირველი ეპიზოდი. სცენაზე ორი მსახიობია: პელაზგე და დანაოსი. პელაზგე გუნდს ესაუბრება, დანაოსი კი თავისთვის დგას. ისე დგას, თითქოს მას არაფერი ეხებოდეს, თითქოს ვინმემ ლაპარაკი აუკრძალაო. წარმოდგენილი მაქვს, რა მდგომარეობაში იქნება საბრალო მსახიობი. მე პელაზგეს როლს შევასრულებ. სულაც არ გამიკვირდება, წარმოდგენის დროს მეორე მსახიობმა რომ მომაძახოს: — აქეთაც მოიხედე, ყმაწვილო, ყურადღება მომაქციე, მე ხომ ამ ტანჯული ქალიშვილების მშობელი მამა ვარო!

---

[1] ეპიზოდებს შორის შესრულებული საგუნდო სიმღერები.

ორი მსახიობი თუ გამოგყავდა, ორივესთვის თავისი ადგილი უნდა მიგეჩინაო...

ევფორიონს პირველი ეპიზოდის დასასრული მოაგონდა, სახე გაუბრწყინდა და თქვა:

— განა აგრეა? ეპიზოდის ბოლოს ხომ პელაზგე და დანაოსი საუბრობენ?

ესქილემ მწარედ გაიცინა.

— დიახ, მხოლოდ ბოლოს გამახსენდა, რომ სცენაზე მეორე მსახიობიც იყო...

ევფორიონი წამოდგა, მამას მიუახლოვდა და მტკიცე ხმით უთხრა:

— რასაც შენ ამბობ, ნაკლი არ არის. მაგრამ თუ მაინც შენსას დაიჟინებ, წელანდელი ნათქვამიც გაიხსენე: თანდათან დასახვეწი დაიხვეწება და ყველაფერი თავის ადგილს იპოვისო. მე მოხიბლული ვარ ტრაგედიის დასაწყისით. ხვალ კი ასევე მოიხიბლება მთელი თეატრიც!

ესქილეს გულს ეფონა შვილის სიტყვები. კვლავ სავარძელს მიაშურა და დაწყებული საუბარი გააგრძელა.

— მეორე ეპიზოდი დანაოსის ქალაქიდან დაბრუნებით იწყება. სანუგეშო ცნობის მახარობელია მოხუცი. მოქალაქეებს გადაუწყვეტიათ ლტოლვილებს თავშესაფარი მისცენ. ამაზედაც არ შეჩერებულან და დაუდგენიათ: თუ ვინმე გაბედავს და ხელს არ აღმართავს მათ დასაცავად, ხალხი მას ქალაქიდან გააძევებს, პატივსა და ღირსებას აჰყრის! ეს გადაწყვეტილება არგოსელებს მეფის რჩევით მიუღიათ. აღფრთოვანებულია დანაიდების გუნდი. მათ ტანჯვას ბოლო ეღება. ღმერთებს სამადლობელი სიმღერით მიმართავენ და სთხოვენ, ბედნიერება და სიკეთე მოუვლინონ არგოსელთ ესოდენ სულგრძელობისათვის. მაგრამ, ვაი, რომ ნაადრევი აღმოჩნდა დანაიდების სიხარული. დანაოსი მათ საგალობელს აწყვეტინებს და თავზარდამცემ ამბავს აუწყებს: ეგვიპტოსის ძეთა ხომალდები არგოსს უახლოვდება! შეშფოთდნენ დანაიდები. შეშფოთებულია დანაოსიც. მაგრამ თავს იკავებს და ასულთა დამშვიდებას ცდილობს.

— მე არგოსს წავალ, — ეუბნება ის ქალიშვილებს, — ხალხს მივმართავ დახმარებისთვის!

მარტო რჩებიან დანაიდები. მათ სიმღერაში მდევართა მიმართ უსაზღვრო შიში და სიძულვილი გამოსჭვივის.

ესქილე გაჩუმდა. ვაჟს მხარზე ხელი დაადო და ღიმილით უთხრა:

— იცი, ევფორიონ, მეორე სტასიმი მართლაც კარგად გამოხატავს შეშფოთებულ დანაიდთა განწყობილებას.

— ეშვიც არ მეპარება! — მკვირცხლად მიუგო ევფორიონმა, — ახლა კი შენი მოთხრობა გააგრძელე. ძალზე მაწუხებს დანაოსის ასულთა ბედი.

— სცენაზე მაცნე შემოდის და თავხედურად მიმართავს ქალიშვილთა გუნდს: — აბა, სწრაფად ხომალდებისკენ, ნუღარ ზოზინობთ! მიატოვეთ საკურთხეველი, უცხო ღმერთები! სწრაფად, სწრაფად, ხომალდებისკენ გასწით სირბილით!

დანაიდები წყევლა-კრულვით ხვდებიან მაცნეს. ღმერთთა სახელით ემუქრებიან. მაგრამ მათი მუქარა მაცნეზე არ მოქმედებს:

— მე არ მაშინებს აქაური ღმერთების რისხვა. ვინ არიან ისინი ჩემთვის? — მაცნე ცდილობს ძალით გარეკოს ქალთა გუნდი ხომალდებისაკენ. ამ დროს იარაღასხმულ პირთა თანხლებით მეფე პელაზგე შემოდის.

— რას სჩადიხარ! — შეუტია მან თავგასულ მაცნეს, — ჰოი, ბარბაროსო! ელინებთან მოინდომე ყოყლოჩინობა?! იქნებ გგონია, დიაცთ მხარეში იმყოფები?

მაცნე კვლავ ცდილობს, აღასრულოს დანაბარები. არგოსელთა მეფეს ომსაც კი უცხადებს ეგვიპტიდების სახელით. მაგრამ პელაზგე გააძევებს თავხედ უცხოელს.

ესქილე გაჩუმდა. ევფორიონმა შენიშნა, რომ ის რაღაცას იგონებდა. ცოტა ხნის მერე ესქილე წამოდგა და ზეპირად წარმოთქვა პელაზგესა და მაცნეს დიალოგი. ევფორიონს თვალები გაუბრწყინდა. ესქილეც კმაყოფილი იყო.

— აი, აქ კი კარგად გამომიყენებია ორი მსახიობი. ჩემს მეტოქეებს სათქმელი აღარაფერი ექნებათ...

ესქილე კვლავ სავარძელზე დაეშვა. ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— ახლა კი ჩვენი მოთხრობა გავაგრძელოთ. — არ შეიცვლება

ჩემი ხალხის გადაწყვეტილება, — ეუბნება პელაზგე დანაიდებს, — აწ მე გმფარველობთ და ჩემთან ერთად მთელი არგოსი! მშვიდი გულით მიაშურეთ უძლეველ ქალაქს! — ამ სიტყვებით პელაზგე სცენიდან გადის. ვიდრე აღტაცებული გუნდი არგოსელთა მეფეს მადლობას უძღვნის, მეომართა თანხლებით ქალაქიდან ბრუნდება დანაოსი. — გმართებთ ილოცოთ არგოსელთათვის! — მიმართავს ის ქალიშვილებს. შემდგომ შეაქებს მათ სიმტკიცესა და გამბედაობას. ასე მთავრდება პირველი ტრაგედია.

— ექსოდოსი?[1] — ჰკითხა ევფორიონმა.

— დანაიდები ქალაქისაკენ მიეშურებიან. მათ სიმღერაში თანაბრად არის ჩაქსოვილი სიხარულიცა და მწუხარებაც. მოძალადეებს ამჯერად კი დააღწიეს თავი, მაგრამ მათ იპყრობს მოსალოდნელი ომით გამოწვეული შიში.

— დიდებულია! — წამოიძახა ევფორიონმა, — ახლა კი პირველი ჯილდო არ აცდება პოეტ ესქილეს! ბარემ ისიც მითხარი, როლები როგორ განაწილდება?

— ერთი მსახიობი დანაოსისა და მაცნეს როლს შეასრულებს. ალბათ შენიშნავდი, რომ ტრაგედიაში ისინი ერთმანეთს არ ხვდებიან. მეორე კი ბეფე პელაზგეს განასახიერებს. ძალზე მაღელვებს ეს სიახლე. ვნახოთ, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე. ერთ საიდუმლოს კი ამთავითვე გაგიმჟღავნებ: პელაზგეს როლს მე შევასრულებ!

— ეგ საიდუმლო ერთხელ უკვე წამოგცდა, ძვირფასო მამა! — ღიმილით მიუგო ევფორიონმა, — მოუთმენლად ველი ხვალინდელ დღეს. გინდა, მეც გაგანდო ერთი საიდუმლო? სულ მალე დიდასკალია მომავალ თაობებს ასეთ ცნობას შემოუნახავს: 74-ე ოლიმპიადის პირველ წელს[2] პირველი ჯილდო ევფორიონის ძე ესქილემ მოიპოვაო!

---

[1] გუნდის გასვლა და მისი უკანასკნელი სიმღერა.

[2] ძველი ბერძნები წელთაღრიცხვას ო ლ ი მ პ ი ა დ ე ბ ი თ აწარმოებდნენ. ოლიმპიადა ეწოდებოდა ოთხწლიან მონაკვეთს ოლიმპიურ დღესასწაულებს შორის. პირველი ოლიმპიური დღესასწაული, როგორც ფიქრობენ, მოეწყო 776 წელს ძვ, წელთაღრიცხვით. მაშასადამე, 74-ე ოლიმპიადა 484—481 წლებზე მოდის. ამ ოლიმპიადის პირველი წელი კი 484 წელს აღნიშნავს.

— მართლა? — ღიმილით ჰკითხა ესქილემ, — კარგი მახარობელი ხარ... თუმცა უმჯობესია ძილს მივსცეთ თავი.

— სდექ! — წამოიძახა ევფორიონმა, — ასე ადვილად ჩემგან თავს ვერ დაიხსნი!

გაკვირვებულმა ესქილემ შვილს შეხედა.

— ჯერ მხოლოდ ერთი ტრაგედია მიამბე...

— კი, მაგრამ...

— გეყოფა, ძვირფასო მამა, — გააწყვეტინა ევფორიონმა, — დაწყებულ ამბავს შუა გზაზე ნუ შეწყვეტ.

— მაშ ძალზე მოკლედ გიამბობ.

— რა გაეწყობა. მშობლის სურვილს წინ ვერავინ აღუდგება!

— მეორე ტრაგედიას „ეგვიპტიდები" დავარქვი. დაპირებისამებრ, არგოსელები ლტოლვილ ქალწულებს იცავენ. მაგრამ არც მდევნელნი არიან გულხელდაკრეფით. არგოსელებსა და ეგვიპტიდებს შორის ომი ჩაღდება. ბოლოს და ბოლოს, ბედის სასწორი ეგვიპტიდებისაკენ გადაიხარა. დამხვდურნი იძულებულნი არიან, ზავი ითხოვონ. დანაიდები საძულველ ბიძაშვილებს უნდა მისთხოვდნენ. უსაზღვროა მათი მწუხარება და მწარედ მოთქვამენ. სასოწარკვეთილი დანაოსი თითქოს გამოსავალს პოულობს. მისი რჩევით, ორმოცდაათივე ქალიშვილი ფარულად მახვილით აღიჭურვა, რომ პირველსავე ღამეს განეგმირათ მოძალადე ქმრები. ის ღამეც დადგა. შურისგების ჟამი მოახლოვდა. ორმოცდაცხრა გამძვინვარებულმა დანაიდმა მამის დარიგება პირნათლად აღასრულა. სისხლის გუბეში ცურავდა ორმოცდაცხრა ეგვიპტიდი. მხოლოდ ერთმა — ჰიპერმნესტრამ ქვე დაუშვა შურის საგებლად აღმართული მახვილი. სიყვარულით შეპყრობილი დასცქეროდა მძინარე ლინკეევს, წეღან რომ სასიკვდილოდ ემეტებოდა. ქალიშვილმა ვერ აღასრულა მამის ბრძანება...

ევფორიონმა ყურადღებით მოისმინა მამის ნაამბობი, ესქილეს გონივრული მზერა მიაპყრო და ჰკითხა:

— ერთი ვერ გამიგია. ასე რატომ გაურბოდნენ დანაიდები ეგვიპტიდებთან ქორწინებას?

— ჩანს, გულდასმით არ გისმენია, — მიუგო ესქილემ, — აბა, გაიხსენე, პირველსავე ტრაგედიაში დანაიდები პელაზგეს ეუბნებიან:

— ვინც ჩვენ გვიყიდა, ვინც გაგვთელა, ვით გვიყვარდესო! — იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ დანაოსი და ეგვიპტოსი ძმები იყვნენ, მათი უშუალო შთამომავალნი კი — ბიძაშვილები. ეგვიპტიდებმა მშობლის ღირსება და პატივიც შელახეს. აკი ამბობს კიდეც დანაოსი: — განა წმიდაა, ვისაც ძალით მიჰყავს მეუღლე, ვინც არად აგდებს ქალის მშობლის ნებას და სურვილს? — ეგვიპტიდების სიძულვილისათვის საკმაო საბაბი ჰქონდათ დანაოსსაც და მის ასულებსაც.

ევფორიონმა თავი მორცხვად ჩაღუნა. ესქილემ ვაჟი ღიმილით გაამხნევა და განაგრძო:

— მესამე ტრაგედიას „დანაიდები“ ვუწოდე. შენ წეღან მითხარ, მშობლის სურვილს წინ ვერავინ აღუდგებაო. ეს ადათი მტკიცედ დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ ჰიპერმნესტრამ მამის ნება არ აღასრულა. ვით დამნაშავე, მართლმსაჯულებას გადაეცი ურჩი ასული. ბრალმდებლებად დანაოსი და დანაიდები გამოვიყვანე, მაგრამ, უნდა გითხრა, ჰიპერმნესტრას გამტყუნება ერთი წუთითაც არ მიფიქრია. მან სიცოცხლე შეუნარჩუნა ლინკევსს, რადგან მოულოდნელად ძლიერი და ჭეშმარიტი სიყვარული ეწვია. სამსჯავროზე თვით აფროდიტა გამოცხადდა და გაამართლა დანაოსის ურჩი ასული. ქალღმერთის სიტყვაც ხოტბას ასხამს სიყვარულის ყოვლისმძლე ძალას. აი, ამ სამი ტრაგედიით წარვუდგები ხვალ მაყურებელს. დასასრულს კი სატირულ დრამას „ამიმონეს“ წარმოვადგენ.

ევფორიონი სულგანაბული ისმენდა მამის საუბარს. ერთი სიტყვაც არ გამოჰპარვია და დიდხანს სდუმდა ფიქრებში ჩაფლული. ბოლოს თავი ასწია და თქვა:

— მაგონდება ფრინიქეს „ეგვიპტელნი“. ისიც ხომ დანაიდების უბედურებას შეეხებოდა...

ესქილე გამოცოცხლდა. შვილს ალერსიანი მზერა მიაპყრო და მხიარულად უთხრა:

— რაკი ეგ მოგაგონდა, ეცადე და განსხვავებაც აღმოაჩინე ჩვენს ტრაგედიებში!

— შენ ორი მსახიობი გამოიყვანე. ფრინიქეს კი ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსვლია.

— სწორია, — თქვა ესქილემ, — მაგრამ ეგ სიახლე ხომ ყველა სხვა პოეტისაგანაც განმასხვავებს.

ევფორიონი ჩაფიქრდა. უცბად რაღაც აზრს მიაგნო, მამას შეხედა და უთხრა:

— დანაოსის ქალიშვილებმა ეგვიპტიდების სისხლი დაღვარეს. ფრინიქემაც ბრალდებულებად სწორედ ისინი გამოიყვანა. შენ კი...

— მე კი სამსჯავროს მხოლოდ ჰიპერმნესტრა გადავეცი, — გააწყვეტინა ესქილემ და წამოდგა, — გადავეცი და კავამართლე კიდეც. იცი, ევფორიონ, მე მინდოდა განმედიდებინა ჩვენი ქვეყნის წეს-წყობილება. განა დღევანდელ სახელმწიფოს შეეფერება, არად ჩააგდოს მოქალაქის პირადი არჩევანი, პირადი გრძნობა და ინიციატივა? ჰიპერმნესტრას ლინკევსი შეუყვარდა, საფუძველი ეყრება სიყვარულზე დაფუძნებული, ძალდატანებისაგან თავისუფალი ოჯახის შექმნას. ფეხქვეშ არ ითელება ქალიშვილის სპეტაკი გრძნობა. განა ასეთი ოჯახებით არ უნდა იყოს დასახლებული ჩვენი ქვეყანა?!

ესქილეს ხელები ზურგზე დაეწყო და სწრაფი ნაბიჯით მიმოდიოდა. ევფორიონმა შენიშნა, რომ იგი ძალზე აღელვებული იყო. ყმაწვილმა ერთხანს იყუჩა, მაგრამ ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ჩაილაპარაკა:

— მშობლის უფლება?

ესქილე სწრაფად შემოტრიალდა, შვილს მიადგა და უთხრა:

— მშობლის უფლება შეულახველი დარჩება. ტრადიციის უარყოფა არ მიფიქრია. მაგრამ ზოგჯერ ამ უფლებამაც უფრო დიდსა და გრანდიოზულს უნდა დაუთმოს!

— იცი, მამა, ხშირად მიფიქრია, რომ შენს ტრაგედიებში არა მარტო შექებული, არამედ დასაბუთებულიც არის ათენური ცხოვრების წეს-წყობილება. ისინი მოქალაქეებს დიადი და კეთილი საქმეებისაკენ მოუწოდებენ. გამონაკლისი არც ახალი ტრილოგიაა.

— მაგალითად? — დაინტერესდა ესქილე.

— ელინისათვის სტუმართმოყვარეობა ახალი ხილი არ არის. მაგრამ შენი ტრაგედია იქნებ დიდებული ჰიმნიც იყოს ამ კაცთმოყვრული ჩვეულებისა. დღეს კი ის განსაკუთრებული ძალით ჟღერს და იცი რატომ?

— რატომ? — ჰკითხა ესქილემ.

— ელინთა სამყაროს ირანი წალეკვით ემუქრება. ბერძნული სახელმწიფოები კი ურთიერთშორის კინკლაობას ანდომებენ დროს.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენთვის საჭიროა, დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთიმეორეს. ვიდრე დრო არის, ეს უნდა ირწმუნოს ყველა ელინმა. დაე, არგოსელთა მოქმედება იყოს მათთვის მაგალითი!

ესქილე ყურადღებით უსმენდა შვილს. ევფორიონმა შენიშნა, რომ ის კმაყოფილი იყო.

— დიდებულია შენი პელაზგე. მას არც გამჭრიახობა აკლია, არც მამაცობა და არც მეფური უფლებები. გულით სწადია, დაეხმაროს უძლურ ლტოლვილებს. მაგრამ ქვეყნის განსაცდელის ჟამს ხალხს მიმართავს გადაწყვეტილების მისაღებად. მეფე მეფედ რჩება. მისი ღირსება სრულიადაც არ ილახება. მას შეუძლია ურჩიოს, გავლენაც მოახდინოს მოქალაქეებზე, მაგრამ საბოლოო დადგენილება მაინც ხალხმა უნდა გამოიტანოს! განა ეს ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობის დაცვა არ არის? იქნებ უფრო მეტიც? აქ ხომ პირდაპირი მითითებაა ათენური წყობის უპირატესობაზე!

ოთახში დუმილი ჩამოწვა. ესქილე სავარძელზე გადაწოლილიყო და ჭერს შესცქეროდა. მამაცა და შვილიც ფიქრებმა გაიტაცა. სიჩუმე ევფორიონმა დაარღვია:

— იცი, მამა, დღეს მე ძალზე ბედნიერი ვარ!

ესქილე შვილის სიტყვებმა გამოაფხიზლა. წამოდგა, ვაჟს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— მეც ბედნიერი ვიქნები, ჩემს ტრაგედიებს თუ ბევრი ეყოლა შენებრ გონიერი შემფასებელი...

* * *

ცამეტ ელაფებოლიონს ხალხი დილიდანვე მიაწყდა თეატრს. ყველა ჩქარობდა და ადგილის დაკავებას ეშურებოდა. ზოგიერთს იღლიაში ბალიში ან მუთაქა ამოეჩარა, რომ თავისებური სავარძელი მოეწყო და მოხერხებულად მოკალათებულიყო. პატარა ბიჭუნებს საგულდაგულოდ დაეწმინდათ აკროპოლისის ფერდობზე ნახევარწრედ შემორიგებული სკამები. — ამდენ ხალხს რა აუვა? — ჩიოდნენ ღვეზელითა თუ სასმელი წყლით მოვაჭრენი და აქოშინე-

ბულნი რიგებს შუა დარბოდნენ. წინდახედულებს სახლიდანვე წამოეღოთ საუზმე და მადიანად შეექცეოდნენ.

შუადღე არც კი იყო მოტანებული, რომ თეატრი ხალხით გაიცსო. მხოლოდ წინა რიგები იყო თავისუფალი, სადაც ქალაქის ხელისუფალნი, ჭურუმები, უცხოელი სტუმრები და სხვა წარჩინებული პირები სხდებოდნენ ხოლმე. პირველ რიგში კი არქონტ-ეპონიმისათვის განკუთვნილი სავარძელიც მოეთავსებინათ. ხელჯოხოსანი ზედამხედველები საგულდაგულოდ იცავდნენ ამ ადგილებს და მოქალაქეებს ზემო რიგებისაკენ მიერეკებოდნენ.

არისტოკრატებს ფრინიქეს მოსალოდნელი გამარჯვება აფიქრებდათ და მოუთმენლად ელოდნენ ესქილეს ტრაგედიებს. დემოკრატები კი წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას. გაუთავებლად აქებდნენ ფრინიქეს და საუბარში არისტოკრატების ჩათრევას ლაძობდნენ.

— ამბობენ, ესქილეს ფარ-ხმალი დაუყრია და გამარჯვების იმედი დაუკარგავსო! — თქვა ერთმა.

— მაშ რა ეგონა, — მიუგო მას შუახნის კუნთმაგარმა ხელოსანმა, — ფრინიქესთან შემჭიდებელი მე არავინ მეგულება!

— ესქილემ კი გაბედა! — თქვა ხუჭუჭთმიანმა ახალგაზრდამ,— ძალიანაც კარგი იწვნიოს დამარცხების სიმწარე და ჰკუას ისწავლის!

— ყმაწვილო, — მიუბრუნდა მას ხანში შესული მოქალაქე, — შენ ვის ემხრობი, ესქილეს თუ ფრინიქეს?

— რა თქმა უნდა, ფრინიქეს! — მიუგო ახალგაზრდამ.

— კეთილი. იქნებ ახლა ისიც გამაგებინო, ფრინიქეს რატომ ემხრობი?

— როგორ თუ რატომ? — გაუკვირდა ახალგაზრდას, — ფრინიქეზე ამბობენ, დემოკრატიაო...

— შენ რა გაგიკეთა კარგი ფრინიქემ?

— ჩემთვის რა უნდა გაეკეთებინა? — გაიცინა ყმაწვილმა.

— ესქილემ რაღა დაგიშავა?

— მე?

— დიახ, შენ!

— არაფერი!

— მაშ რაღა მაინცა და მაინც ფრინიქეს ემხრობი? — არ ეშვებოდა ხანში შესული მოქალაქე.

— რას ჩამაცივდი, მოხუცო! — გაცხარდა ახალგაზრდა ვაჟი, — ფრინიქეს იმიტომ ვემხრობი, რომ ის თემისტოკლეს მეგობარია. ესქილე კი... ესქილეზე ამბობენ, არისტიდესთან მეგობრობსო. განა ეს საკმარისი არ არის?

— საკმარისია! — მიუგო ხანში შესულმა მოქალაქემ, ყმაწვილს ზურგი შეაქცია და მუთაქაზე მოკალათდა.

— ერთი შეხედეთ, რა მოწიწებით უთმობენ გზას! — წამოიძახა ვიღაცამ და ხელი წინა რიგებისაკენ გაიშვირა. ყველამ იქით მიიხედა.

— ვინ არის? — იკითხა ტანმორჩილმა მოქალაქემ.

— არისტია, პრატინას ძე. სატირული დრამებით განთქმული მწერალი.

— მერედა, რატომ არ მიიღო მონაწილეობა დღესასწაულში? მე ძალიან მომწონს მაგისი დრამები.

— აი ეგ კი ვეღარ გაითვალისწინა ჩვენმა არქონტმა: ალბათ, როგორ ერიდება შენთან შეხვედრას!

გარშემო გულიანად გაიცინეს.

— არქონტი რაღა შუაშია? — იკითხა ვიღაცამ.

— ბრიყვო, — მიუბრუნდა მას მეზობელი, — დიდი დიონისიების დაწყების წინ პოეტები არქონტ-ეპონიმს მიმართავენ და თავიანთ ტრაგედიებს წარუდგენენ. რადგან მსურველი ყოველთვის სამზე მეტია, არქონტმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ დაუშვას შეჯიბრზე და ვინ არა.

— არისტიასთვის მაინც არ უნდა ეთქვათ უარი... — სინანულით ჩაილაპარაკა ტანმორჩილმა მოქალაქემ.

— აი, პოლიფრადმონიც, ფრინიქეს ვაჟი!

— ეგეც გააწბილა არქონტმა?

— ამბობენ, ასეაო!

ქვემო რიგებში ხალხი წამოიშალა. ზედამხედველებმა მოწიწებით გზა დაუთმეს ტანმორჩილ კაცს.

— ფრინიქე! — იყვირა ვიღაცამ.

დემოკრატებმა ყიჟინა დასცეს. უკანა რიგებში მსხდომნი სკამებ-

ზე შედგნენ, რომ უკეთ დაენახათ გუშინდელი გმირი. ფრინიქე კი ამაყად მიაბიჯებდა და ხალხს ხელის ქნევით ესალმებოდა.

ცოტა ხნის მერე ქოირილეც გამოჩნდა. ცალი ხელით ბრგე ვაჟკაცის მკლავს დაყრდნობოდა, მეორეში კი ჯოხი ეკავა. დინჯად ჩაუარა ზედამხედველებს და პირველ რიგში მოკალათდა. ფრინიქე, პოლიფრადმონი და არისტია მდაბლად მიესალმენ მოხუც პოეტს.

მსახიობთა ოთახში კი ამ დროს ერთი ორომტრიალი იყო. ზოგი ნიღაბს ირგებდა, ზოგი სამოსელს. ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი, ოფლი რომ ხვითქად ასკდებოდა, აქეთ-იქით დარბოდა და ყველას აჩქარებდა. უცბად ნაცნობი ხმა მოესმა:

— ხომ გეუბნებოდი, ქსენოკლე, ქორეგოსობა შენი საქმე არ არის და ნუ იკისრებ-მეთქი! ბევრი გაფლანგე?

ქსენოკლეს სახე გაუბრწყინდა. მის წინ ესქილე იდგა.

— ეჰ, ესქილე! — ამოიხვნეშა მან, — ხარჯს ვინღა დაეძებს, გავთავდი კაცი. არ მეგონა, ასეთი ჯაფა თუ დამადგებოდა. აქეთ ნიღბების დამზადება, იქეთ შესაფერი სამოსის შერჩევა. ქალთა გუხდი მაინც არ გამოგეყვანა. ამ დათვების ქალებად გარდაქმნამ მთლად დამადნო!

— ქსენოკლე! — გაისმა კორიფევსის ბოხი ხმა, — ნიღაბს ვერ ვიმაგრებ და მომეშველე!

— ხმა გაიწვრილე, შე ნადირო! — შეუტია ქსენოკლემ და ნიღბის მორგებას შეუდგა, — არ დაგავიწყდეს, რომ ქალი ხარ! მაყურებელი არ დამიფრთხო...

კორიფევსის მორთვა რომ დაამთავრა, ქსენოკლე ისევ ესქილეს მიუბრუნდა და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, — თქვა მან, — გავწვალდი, დავიქანცე, ფულიც ბლომად დავხარჯე, მაგრამ ქორეგოსობა მაინც კარგი საქმე ყოფილა. თუ გავიმარჯვეთ, მაყურებლებსაც გავუმზადებ მცირე საჩუქარს. არავის ვათქმევინებ, ქსენოკლე ძუნწი კაციაო.

ესქილემ სკამი ქსენოკლესაკენ მიაჩოჩა, მხარზე ხელი დაადო და ჩუმად უთხრა:

— მეც გავწვალდი, ჩემო ქსენოკლე. შეიძლება შენზე მეტადაც. გული მკერდიდან ამოხტომას ლამობს, მაგრამ ვცდილობ არავის შევამჩნევინო...

სწორედ ამ დროს მათთან შუატანის ბეჭებგანიერი კაცი მივიდა. სახეს უცნაურად მოთხუპნული ნიღაბი უფარავდა, სხეულზე კი გრძელი წამოსასხამი ჰქონდა შემოხვეული. ქსენოკლემ მყის იცნო მეორე მსახიობი და შეჰყვირა:

— რა მოხდა? — ჰკითხა გაოცებულმა ესქილემ.

— ერთი ამ რეგვენს დამიხედეთ! — ყვიროდა ქსენოკლე და სიძწრით თითებს იმტვრევდა, — ერთი საათი მაინც ვარგებდი დანაოსის ნიღბსა და სამოსს. საცაა წარმოდგენა დაიწყება, ეს კი მაცნეს სახით გამომეცხადა!

— ასეთი რა მოხდა, — ბუტბუტებდა შეშინებული მსახიობი და ნიღაბს იხსნიდა, — მინდოდა, ერთხელ კიდევ შემემოწმებინა...

— ჯერ კიდევ არის დრო! — თქვა ესქილემ და წამოდგა. — თუმცა აჩქარებაც გვმართებს, ყმაწვილო!

მეგუნდენი ერთად შეკრებილიყვნენ და მხიარულად საუბრობდნენ. ესქილემ მათ მიაშურა.

— როგორ გრძნობთ თავს? — ჰკითხა მან.

— როგორც თაგვი მახეში, — მიუგო ერთმა, — საცაა ნიღაბი ძვლებს დამიმტვრევს...

— მაინც მტკიცედ დავხვდებით ეგვიპტიდებს! — დასძინა მეორემ.

— ადვილად არ დავთმობთ ქალწულობას!

— ეგვიპტიდები თუ გაჯიუტდნენ, — ჩაერია საუბარში კორიფევსი, — ნიღბებს მოვიხსნით!

— ჩვენს შავ წვერებს დავანახებთ და ქორწინების მადას დაეუკარგავთ!

— თქვენი იმედი მაქვს! — უთხრა ესქილემ და ქორეგოსს მიუბრუნდა: — აბა, მეგობარო! პელაზგედ გარდამქმენი...

გარეთ კი ხალხი ღელავდა. მოუთმენლად ელოდა სანახაობის დაწყებას. ზედამხედველები დინჯად დასეირნობდნენ და მაყურებლებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. დაგვიანებულები ადგილებს დაეძებდნენ და ზღვა ხალხში მუჯლუგუნებით გზას იკაფავდნენ.

— ნეტავ რაღას უცდიან, ხომ არ უნდა დაგვხოცონ? — ცხარობდა ერთი მეზღვაური.

— დაწყნარდი, ძმობილო! — ამშვიდებდა მეორე. — ხომ ხედავ, არქონტ-ეპონიმი ჯერაც არ მობრძანებულა!

— აი, ისიც! — წამოიძახა ვიღაცამ და ხელი წინ გაიშვირა.

არქონტებითა და სტრატეგოსებით გარშემორტყმული დიხჯად მოაბიჯებდა არქონტი-ეპონიმი. თანმხლებთა შორის ხალხმა მყის შეიცნო თემისტოკლე და არისტიდე. გამაყრუებელი ყიჟინა ატყდა. აღტაცების შეძახილებს ბოლო არ უჩანდა. არქონტისათვის აღარავის ეცალა.

— ისინი ვინღა არიან, ბოლოს რომ მოჩანჩალებენ? — იკითხა ერთმა.

— მსაჯულები, — მიუგო მეორემ, — მაგათ უნდა დაასახელონ გამარჯვებული პოეტი.

— ამდენი მსაჯული რაღა საჭიროა?

— ფილეებს რომ გული არ დაწყვიტონ, ყოველი ფილედან თითო მსაჯულს ირჩევენ.

— მაშ ათნი ყოფილან!

— გამოცანა გერგება! — დაცინვით მიაძახეს აქეთ-იქიდან.

არქონტი-ეპონიმი სავარძელში ჩაბრძანდა. დიდებულებმაც დაიკავეს მათთვის განკუთვნილი ადგილები.

უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ჰერას ტაძრის წინ დანაიდების გუნდი იდგა.

წარმოდგენა დაიწყო.

მაყურებელი სულგანაბული ისმენდა გუნდის სიმღერას. მერე დანაოსი ჩაერია მოქმედებაში. დანაიდებს პელაზგეს მოახლოება აუწყა.

— მე კი მეგონა, ესქილე მსახიობის მძიმე უღელსაც დაიდგაბდა! — ღიმილით გადაულაპარაკა ფრინიქემ პოლიფრადმონს.

სცენაზე პელაზგე შემოვიდა. დანაოსი კი ჯერაც არ გასულიყო.

— რა ხდება? — თავისთვის ჩაილაპარაკა ფრინიქემ და მხრები აიჩეჩა.

— აი, ეს კი ესქილე უნდა იყოს! — თქვა არისტიამ.

პელაზგემ რომ დაილაპარაკა, ფრინიქეც და არისტიაც დარწმუნდნენ, რომ არგოსელთა მეფის როლს ესქილე ასრულებდა. ამაში საკვირველი არაფერი იყო, მაგრამ დანაოსი? ის მეორე მსახიობი რიღასი მაქნისია?

— რა ხდება-მეთქი?! — უკვე ხმამაღლა წამოიძახა ფრინიქემ.

ვერავინ უპასუხა. პოლიფრადმონიც და არისტიაც თავად იყვ-

ნენ გაკვირვებულნი. წინ გადახრილი ქოირილე ჯოხს დაყრდნობოდა და თვალები უელვარებდა. ხალხი კი გასაცარს ვერაფერს ხედავდა და აღტაცებით ისმენდა ტრაგედიას.

ფრინიქე მალე დარწმუნდა, რომ სცენაზე ორი მსახიობი იყო, ორი გმირი მოქმედებდა ერთდროულად... თავი ველარ შეიკავა და ფეხზე წამოვარდა. აქეთ-იქით იყურებოდა გაოგნებული. გონს მაშინ მოეგო, მაყურებლებმა რომ შეუტიეს და დაჯდომა მოსთხოვეს.

— აღმაშფოთებელია! — გადაულაპარაკა მან პოლიფრადმონს,— თავხედობაა! ვინ მისცა ესქილეს უფლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესი დაარღვია?

პოლიფრადმონმა არაფერი უპასუხა..

— ახლა კი ვხვდები, რატომ ჯიუტობდა ესქილე და რეპეტიციებზე არავის ისწრებდა, — განაგრძობდა ფრინიქე, — მისი „აღმოჩენა“ რომ გახმაურებულიყო, ტრაგედიის დადგმის უფლებას აღარ მისცემდნენ...

წარმოდგენა კი თავისი გზით მიდიოდა. ხალხი აღტაცებას ველარ მალავდა. მაცნეს შემოსვლამ საერთო მხიარულება გამოიწვია, პელაზგესთან მისმა საუბარმა კი — მჭუხარე ტაში. ახლა უკვე ყველა ხედავდა, რომ ტრაგედიაში ესქილემ მეორე მსახიობიც შეიმოიყვანა...

— დიდებული აღმოჩენაა! — ეუბნებოდა ერთი მოქალაქე მეორეს, — ხედავ, რა ცოცხლად მიმდინარეობს მოქმედება?!

პირველი ტრაგედია რომ დასრულდა, საოცარი რამ მოხდა. არისტოკრატებს დემოკრატებმაც აუბეს მხარი და ისეთი ტაში დაჰკრეს, ირგვლივ ყველაფერი შეზანზარდა. გამაყრუებელ ყიჟინაში გარკვევით გაისმოდა ერთი სახელი:

— ესქილე! ესქილე! — ერთხმად გუგუნებდა თეატრი.

— ვგონებ მეხთამტყორცნელი ზევსი გვიახლოვდება! — ღიმილით გადაულაპარაკა არისტიდემ ერთ-ერთ სტრატეგოსს.

ესქილე კი ამ დროს მსახიობთა ოთახში ნიღაბს იხსნიდა და ხელსახოცით ოფლიან შუბლს იწმენდდა. ქსენოკლე აღტაცებას ველარ მალავდა, მეგუნდეებს ეხვეოდა და სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა.

— რა გატირებს, მამილო, — სიცილით ეუბნებოდა კორიფევსი, — ხომ ხედავ, ქალწულები უვნებლად დაგიბრუნდით!

— არიქა, ვინმე მომეშველეთ, თორემ ნიღაბს, მგონია, ცხვირიც გავაყოლე! — წამოიძახა ერთმა.

— წყალი, წყალი, თორემ დავიხრჩვი კაცი! — ყვიროდა მეორე.

— ახლავე, ყმაწვილო! — პასუხობდა ქსენოკლე, აქეთ-იქით დარბოდა და ცდილობდა ყველას დახმარებოდა.

უსაქმოდ არც ის პატარა ბიჭუნა იდგა, მსახიობთა მომსახურება რომ ევალებოდა. თავს არ ზოგავდა და ყველა ბრძანებას პირნათლად ასრულებდა.

— რა გულხელი დაგიკრეფიათ! — შეუტია ქსენოკლემ ორ ზორბა მონას. — მე ხომ არ ჩამოვხსნი დეკორაციებს. ახალსაც დადგმა უნდა!

მონები ოთახიდან გაცვივდნენ.

— ახლა კი მეორე ტრაგედიისათვის შევუდგეთ მზადებას! — თქვა ქსენოკლემ.

ესქილე ქორეგოსთან მივიდა და უთხრა:

— საცა სამართალია, ახლა შენ პირველ რიგში უნდა იყო გამოჭიმული და მშვიდად უყურებდე წარმოდგენას.

ქსენოკლემ ხელი ჩაიქნია და მეგუნდეებს მიაშურა.

— გულს ნუ გაიტეხ! — ღიმილით მიაძახა ესქილემ, — პოეტთან ერთად დიდასკალია ქორეგოსსაც მოიხსენიებს!

ყველაფერი რომ მოამზადეს, მეორე ტრაგედია წარმოადგინეს. მერე „დანაიდები“ უჩვენეს მაყურებელს და დღესასწაული სატირული დრამით დაასრულეს. კვლავ იგრიალა ტაშმა, კვლავ გაისმა გამაყრუებელი შეძახილები.

— ნეტავ ვის მიანიჭებენ გამარჯვებას? — ეშმაკურად იკითხა ახალგაზრდა კაცმა და ვეებერთელა მეზღვაურს გადახედა.

— აი, გოგრა! — ჩაიცინა მეზღვაურმა. მერე ხელები საყვირივით მიიდო ტუჩებზე და დაიჭექა:

— ესქილე! პირველი ჯილდო ესქილეეეეს!

თეატრმა მხარი აუბა და ყველა ერთად ყვიროდა:

— ეს-ქი-ლე! ეს-ქი-ლე!

გუშინდელ გულშემატკივრებს ფრინიქე აღარც გახსენებიათ... მთელი თეატრი ესქილეს მომხრედ გადაქცეულიყო!

ფრინიქეს კი რამდენიმე კაცი შემოეკრიბა და გაცხარებული რაღაცას უმტკიცებდა. უცებ თემისტოკლეს მოჰკრა თვალი და ძის-

კენ გაეშურა. მხარდაჭერას ელოდა, მაგრამ სტრატეგოსმა მდუღარე გადაასხა:

— დავმარცხდით, მოხუცო, ესქილემ გვაჯობა! — შორიდანვე დაუძახა მან.

ელდანაკრავი ფრინიქე უკანვე გაბრუნდა. ახლა ქოირილეს მიადგა და ჰკითხა:

— შენ რაღას იტყოდი, სახელგანთქმულო პოეტო?

— გონს ვერ მოვსულვარ, — მიუგო ქოირილემ, — გული მკარნახობს, რომ ესქილემ გადატრიალება მოახდინა...

— გამიგონე, მოხუცო!—გაბზარული ხმით უთხრა ფრინიქემ,— შენ ყოველთვის ერთი მსახიობი გამოგყავდა და ცამეტჯერ კი იზეიმე გამარჯვება.

— ეგ ბევრს არაფერს ნიშნავს, — თქვა ქოირილემ, — შენც მხოლოდ ერთი მსახიობი გამოგყავდა, მაგრამ პირველი ჯილდო არასდროს მიგიღია!

— უკაცრავად! — გააწყვეტინა ფრინიქემ, — სამოცდაშვიდე ოლიმპიადაში სწორედ მე მხვდა გამარჯვება!

— დიახ, დიახ, — გაიხსენა ქოირილემ, — მაშინ მე არ ვმონაწილეობდი...

ფრინიქემ ხელი ჩაიქნია და ქოირილეს ზურგი შეაქცია. იქვე არისტია და პოლიფრადმონი იდგნენ.

— აღმაშფოთებელია! — ცხარობდა პოლიფრადმონი, — ასე თუ გაგრძელდა, რომელიმე პოეტი მთელ ამ ზღვა ხალხს სცენაზე არეკავს და მაყურებლად ერთ კაცს დატოვებს!

არისტია კი მერყეობდა.

— სანახაობრივად ტრაგედიამ უთუოდ მოიგო. მაგრამ არ ვიცი, ჰქონდა თუ არა ესქილეს უფლება, ორი მსახიობი გამოეყვანა...

— არ ჰქონდა! — იყვირა ფრინიქემ, — საქმეც ეს არის, რომ ესქილემ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წმიდა კანონი დაარღვია!

— როცა თესპიდმა ტრაგედია გამოიგონა, — თითქოს თავისთავს ესაუბრებაო, ისე ამბობდა ქოირილე, — გმირებად მხოლოდ მამაკაცები გამოიყვანა. არც თესპიდსა და არც მის მიმდევრებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ტრაგედიაში ქალისათვისაც დაეთმოთ

ადგილი. შემდეგ ვიღაც პოეტმა ქალის ნიღაბი გააკეთებინა და ძას მერე მხოლოდ მამაკაცები აღარ იყენენ ტრაგედიის გმირები...

— ის პოეტი მე გახლდი, ღირსეულო მოხუცო! — ამაყად წამოიძახა ფრინიქემ.

ქოირილე სწრაფად მოტრიალდა და უთხრა:

— მერე-და, ვინ მოგცა უფლება, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წმიდა კანონი დაარღვიე?

ფრინიქე დაიბნა. ერთხანს გაჩუმებული იდგა და მერე თქვა:

— ის სულ სხვა იყო... ორი მსახიობის გამოყვანა კი მეტისმეტია.

— მაგაში გეთანხმები! — მიუგო ქოირილემ, — ის მართლაც სხვა იყო. დღევანდელ სიახლეს კი მე და შენ ვერ შემოვიტანდით. ამისათვის გენიოსი იყო საჭირო!

ამასობაში მსაჯულებმა თათბირი დაამთავრეს და ჯილდოები გაანაწილეს. ხალხი გაინაბა.

ბრგე ვაჟკაცი სცენაზე ავიდა და დაიქუხა:

— სამოცდამეთოთხმეტე ოლიმპიადის პირველ წელს წარმოადგინეს ესქილეს ტრილოგია „მავედრებელი ქალები“, „ეგვიპტიდები“, „დანაიდები“ და სატირული დრამა „ამიმონე“. — ქორეგოსად ქსენოკლე აფიდნეველი იყო. პირველი ჯილდო ევფორიონის ძე ესქილეს მიენიჭა! ამავე წელს...

სიტყვის დასრულება აღარ აცალეს. ერთსულოვანმა ტაშმა და ოვაციებმა იქაურობა შესძრა. აღარავინ კითხულობდა, როგორ განაწილდა მეორე და მესამე ჯილდოები...

* * *

ევფორიონმა სულმოუთქმელად აირბინა კიბეები, ოთახში შევარდა და საწოლზე დაემხო.

ყმაწვილს ფეხდაფეხ მიჰყვა ტალთიბე.

— დაწყნარდი, ჩემო პატარა ბატონო! განა ისეთი რა მოხდა. რასაც არავინ მოელოდა?

— ტალთიბე! — უთხრა ევფორიონმა და სწრაფად წამოდგა, — მთელი ქალაქი ესქილეზე ლაპარაკობს!

— გონიერი ხალხია ათენელები, — მიუგო ტალთიბემ, — კარგის ცნობაც იციან და დაფასებაც!

— ვიღაც ამბობდა, ქსენოკლესაც დიდი ღვაწლი მიუძღვის, შესანიშნავად შემოსა მეგუნდენიო...

— მეგუნდენი კი შემოსა, მაგრამ თავად არ დარჩეს ტიტველი. უამრავი ფული დაუხარჯავს.

ოთახში დუმილი ჩამოწვა. ევფორიონი მონასთან მივიდა, თვალებში ჩახედა და ჰკითხა:

— როგორი ბატონი გყავს, ტალთიბე?

— მგონი შენც იცნობ ჩემს ბატონს, — სიცილით მიუგო მონამ, — ზედგამოჭრილი მამაშენია!

სასტუმრო ოთახიდან ფეხის ხმა და საუბარი მოისმა. ტალთიბე დაფაცურდა...

— დიდი ბატონი მოსულა! — თქვა მან და გასვლა დააპირა.

— დაიცა! — შეაჩერა ევფორიონმა, — ერთად გავიდეთ და ესქილეს გამარჯვება მივულოცოთ!

სასტუმრო ოთახში რომ შევიდნენ, ტალთიბე კარებთან გაჩერდა. ევფორიონი კი მამისაკენ გაექანა და ყელზე მოეჭიდა.

— გამარჯვებას გილოცავ, მამი! — ჩაილუღლუღა მან.

ესქილემ ნაზად მოიცილა შვილი და უთხრა:

— მოლოცვას ყოველთვის მოასწრებ, ყმაწვილო! უმჯობესი იყო, თავდაპირველად სტუმრებს მისალმებოდი.

ევფორიონი წამოწითლდა. მან ახლაღა შენიშნა, რომ ესქილეს არისტიდე და ქსენოკლეც მოჰყოლოდნენ. სტუმრებს მიუახლოვდა და მოხდენილად დაუკრა თავი. არისტიდემ ყმაწვილი ღიმილით გაამხნევა, ქსენოკლემ კი მხარზე დაჰკრა ხელი და ჰკითხა:

— მე კი არ მომილოცავ გამარჯვებას?

— შენს დამსახურებას ხალხი ერთხმად აღიარებს, ღირსეულო ქსენოკლე! — მიუგო ევფორიონმა, — მე და ტალთიბე ახლაც ბაგაზე ვლაპარაკობდით. — ევფორიონი მონას მიუბრუნდა და ჰკითხა:— ხომ ასე იყო, ტალთიბე?

— ააა, ტალთიბეც აქ ყოფილა, — თქვა ესქილემ და კარებთან ატუზულ მონას შეხედა, — ვგონებ რაღაც გაქვს სათქმელი?

— დიდი ბატონი თუ ნებას მომცემდა, მინდოდა მისთვის დღევანდელი გამარჯვება მიმელოცნა! — მიუგო ტალთიბემ.

ესქილე არისტიდეს მიუბრუნდა:

— ხედავ, მეგობარო, გუშინ ჰომეროსს მადარებდი, დღეს კი ყველა გაკვირვებულია, ფრინიქეს როგორ აჯობაო. ღამის მეც დავიჯერო, რომ მართლა რაღაც გმირობა ჩავიდინე... მარათონის ველზე სამი ირანელი მებრძოლი სიცოცხლეს გამოვასალმე, მტრის ხომალდს ცეცხლი წავუკიდე, მაგრამ ჩემს გმირობაზე არავის არაფერი უთქვამს. იქნებ შენ ამიხსნა, რა ხდება?

ამ დროს ძაღლის გააფთრებული ყეფა გაისმა. ლითონის დაფას ვილაც ჩაქუჩს სცემდა და მასპინძელს უხმობდა.

ტალთიბე სწრაფად გავიდა.

— ვინ უნდა იყოს? — ჩაილაპარაკა ესქილემ და შვილს შეხედა.

ოთახში ტალთიბე შემოვარდა.

— დიდო ბატონო! ღირსეულ ქოირილეს შენი ნახვა სურს!

— ქოირილეს? — გაუკვირდა ესქილეს და თავად გაეშურა საპატიო სტუმრის შესახვედრად. ტალთიბე ბატონს გაჰყვა. ცოტა ხნის მერე ესქილე ოთახში შემობრუნდა. მასპინძელს მოხუცი ქოირილე და ახალგაზრდა, ბრგე ვაჟკაცი შემოჰყვნენ.

— ღირსეულო ქოირილე! — ეუბნებოდა ესქილე, — ბედნიერი ვარ, რომ დღეს შენ გმასპინძლობ!

ქოირილე დამხდურთ მიესალმა. სტუმრები და მასპინძელი სავარძლებში მოკალათდნენ.

— ესქილე! — დაიწყო ქოირილემ, — ჩემი სიცოცხლე მშობლიურ თეატრს შევალიე. მარცხი ხშირად მინახავს, მაგრამ გამარჯვების სიხარულიც არ მომკლებია. პირველ ჯილდოს რომ მივიღებდი, ბავშვივით აღტაცებული ვიყავ, მაგრამ სხვათა წარმატებას გული არასდროს დაუწყეტია. ოცნება ყოველთვის ერთი მქონდა: მარად ძლიერი და აყვავებული მეხილა ჩვენი თეატრი, მის დაძაბუნებას არ მოვსწრებოდი, მაგრამ შიში გულს მიღრღნიდა. ერთფეროვნება აუტანელი ხდებოდა. იმას ვერ ვიტყვი, თითქოს თესპიდის შემდეგ ჩვენს თეატრში არაფერი შეცვლილიყო. გულხელდაკრეფილი არც მე ვყოფილვარ. მოგეხსენება, ნიღაბიც გავაუმჯობესე და საბოსელიც. ვალში არც ფრინიქე დარჩენილა. ჯერ იყო და ტრაგედიაში ქალი შემოიყვანა, მერე კი ტროქეული ტეტრამეტრი იამბური ტრი-

მეტრით[1] შეცვალა. მაგრამ მხოლოდ ეს ცვლილებები ტრაგედიას ჩიხიდან ვერ გამოიყვანდა. საქმეში ან ღვთაება უნდა ჩარეულიყო და ან გენიოსი. მოხარული ვარ, რომ ეს მისია შენ იტვირთე, ჩეშმა ახალგაზრდა თანამედროვემ...

— ღირსეულო ქოირილე! — გააწყვეტინა სიტყვა ესქილემ და სავარძელში უხერხულად შეიშმუშნა...

— თავი შეიკავე ყმაწვილო! — უკმაყოფილოდ მიაძახა არისტიდემ, — ადროვე მოხუცს, რომ სათქმელი დაამთავროს!

— მე არ ვაჭარბებ, — განაგრძო ქოირილემ, — მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რასაც გული და გონება მკარნახობს! აქაც მადლობის სათქმელად გეახელი...

— მადლობა მე უნდა გიძღვნა, დიდებულო ქოირილე, რომ შენი სტუმრობით გამაბედნიერე! — მიუგო ესქილემ.

— მე კი მერჩია, — ღიმილით თქვა ქოირილემ, — ამ დიდი აღმოჩენის შესახებ ორიოდე სიტყვა შენგანაც მომესმინა...

ესქილემ მოხუც პოეტს უარი ვერ შეჰკადრა. ერთხანს იყუჩა და მერე დინჯად დაიწყო:

— მე არ ვიცი, რამდენად დიდია ეს აღმოჩენა, მაგრამ ვხედავ, რომ ტრაგედიაში მართლაც შევიტანე სიახლე. შენ კმაყოფილი ბრძანდები, დიდებულო ქოირილე, მე კი სადღაც გული მეთანაღრება. თავად განსაჯე. მეორე მსახიობი რომ შემომყავდა, მოქმედების გამოცოცხლებას ვეშურებოდი. მინდოდა, მთელი სიმძიმე მსახიობებზე გადამეტანა. ვწერდი ტრაგედიებს და დარწმუნებულიც ვიყავ, ამ მიზანს მივაღწევდი. გავიდა დრო. პირველმა მღელვარებამ გაიარა და მე უკვე შემეძლო ფხიზლად შემეფასებინა ჩემივ ნაღვაწი. გაოგნებული დავრჩი: ტრაგედიებში მთავარ როლს კვლავ ქორო ასრულებდა, მსახიობები კი ზოგჯერ მოწმეებივით იდგნენ და თანხმობის ან უარყოფის ნიშნად თავს აქნევდნენ. თავდაპირველად რომ მსურდა, იმგვარი მოქმედება არსად ჩანდა, ერთ-ორ ეპიზოდს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. გულისტკივილით დავრწმუნდი, რომ მიზნის მისაღწევად კიდევ გრძელი გზა უნდა გაველო, რომ ამ

---

[1] ძველი ბერძნული ლექსთწყობის სახეები.

გზაზე ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯი მაქვს გადადგმული. ახლა თავად მითხარი, მაქვს უფლება, რომ კმაყოფილი ვიყო ჩემი დღევანდელი გამარჯვებით?

ყველამ ქოირილეს მიაპყრო მზერა. მოხუცი პოეტი ერთხანს სდუმდა და მერე წარმოთქვა:

— მაგ კითხვაზე პასუხი ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მე გამაოცა სცენაზე მეორე მსახიობის გამოყვანამ. მართალი გითხრა, ახლაც გაოგნებული ვარ. შენ კი ახალ მიზნებსა და გეგმებზე მესაუბრები. თუ სწორად გავიგე, ქოროს მნიშვნელობის შემცირებას აპირებ და მთელი სიმძიმე მსახიობებს გსურს დააკისრო. შესაძლოა, ეგეც ბრწყინვალე ნაბიჯი გამოდგეს, მაგრამ მოხუცი ქოირილე დღეს მაგაზე ვერ იმსჯელებს. მე შემიძლია მხოლოდ ვენდო გენიალურ ესქილეს. შენი დღევანდელი გამარჯვება კი ჩვენი თეატრის გამარჯვებაა. ამიერიდან ბერძნული ტრაგედია ესქილეს მიერ გაკვალულ გზას გაჰყვება.

ოთახში დუმილი ჩამოწვა. ფიქრებით გატაცებული ესქილე ერთ წერტილს დაჟინებით მისჩერებოდა. ევფორიონი ცქმუტავდა და სავარძელში წამდაუწუმ მდგომარეობას იცვლიდა. აღტაცებული არისტიდე მაგიდაზე თითებს ათამაშებდა. ქსენოკლეს კი რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაებედა. სიჩუმე ისევ ქოირილემ დაარღვია:

— ღირსეულო ესქილე! — თქვა მან, — მე დღეს სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე ვდგავარ. მადლობას გიძღვნი ესოდენი სიხარულის მონიჭებისათვის. ყოველისშემძლე ზევსის წყალობა არ მოგკლებოდეს არც შენ და არც ათენის თეატრს!

— ვით ბრწყინვალე სხივი, ანათებს იგი ადამიანთა მოდგმის ბნელით მოცულ ხვედრს! დაე, ზევსის მფარველობა იყოს საწინდარი ჩვენი თეატრის აყვავებისა! — მიუგო ესქილემ.

ქოირილემ წამოდგომა დააპირა. ქსენოკლემ ვეღარ მოითმინა, მოხუცს წინ დაუდგა და ჰკითხა:

— ღირსეულო ქოირილე! მე ხომ ქორეგოსი ვიყავ. ნუთუ ჩემს დამსახურებაზე არაფერს იტყვი?

პოეტმა გაოცებული მზერა მიაპყრო ქსენოკლეს. ესქილემ და არისტიდემ გულიანად გადაიხარხარეს.

— იტყვის, უთუოდ იტყვის, ჩემო ქსენოკლე! — მხიარულად უთხრა ესქილემ, — ახლა კი დროა სუფრას მივუსხდეთ და ქიოსის ღვინო ვიგემოთ!

* * *

ერთ დილას ესქილემ ტალთიბე მოიხმო. მონის ფხიზელ თვალს არ გამოეპარა, რომ დიდი ბატონი უგუნებოდ იყო.

— ტალთიბე! — უთხრა ესქილემ, — დარიოსის ძე ქსერქსეს საბოლოოდ გადაუწყვეტია ელინთა წინააღმდეგ გამოლაშქრება.

ტალთიბე შეკრთა. ესქილეს კი ხელები ზურგზე დაეწყო და სწრაფი ნაბიჯით მიმოდიოდა. ერთბაშად მონის წინ შეჩერდა და ჰკითხა:

— შენი სამშობლო ლესბოსი იყო?

— არა, დიდო ბატონო, სამოსელი გახლავარ! — მიუგო ტალთიბემ.

ესქილე კვლავ ოთახში სიარულს მოჰყვა. გაკვირვებული ტალთიბე ბატონს შეჰყურებდა.

— მერე-და, სამშობლო არ მოგენატრა? — ჰკითხა ესქილემ.

მონამ ღრმად ამოიოხრა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— სამშობლო არ მოგენატრა-მეთქი? — ხმას აუწია ესქილემ.

— ალბათ დამცინი, დიდო ბატონო, თორემ მონას მაგგვარ კითხვას არ აძლევენ... — ჩაილაპარაკა ტალთიბემ.

— თავისუფალი მოქალაქე რომ იყო, როგორ მოიქცეოდი? — არ ეშვებოდა ესქილე.

— დიდო ბატონო, იმდენი ხანია თავისუფლება დავკარგე, ერთბაშად ვერც გიპასუხებ მაგ კითხვაზე.

— სამშობლოში არ დაბრუნდებოდი?

ტალთიბე კვლავ საგონებელში ჩავარდა. ესქილე მოუთმენლად ელოდა პასუხს. მცირე დუმილის მერე მონამ მიუგო:

— სამოსთან აღარაფერი მაკავშირებს, გარდა მწარე მოგონებებისა. იქ აღარც მამა მყავს, არც დედა და არც მეგობარი, და-ძმა კი არასდროს მყოლია. ათენსაც ძალზე შევეჩვიე და თავისუფლება რომ მღირსებოდა, ალბათ აქვე დავრჩებოდი.

— ათენში რას გააკეთებდი? — ჰკითხა ესქილემ.

ტალთიბე უხერხულად შეიშმუშნა. ეტყობოდა, ამ კითხვას არ მოელოდა. მერე ბატონს თვალი გაუსწორა და მტკიცედ უთხრა:

— თუ დიდი ბატონი არ გამაძევებდა, მის ყველა დავალებას პირნათლად შევასრულებდი!..

— მაშ ჩემთან დარჩებოდი?

— დიახ, ბატონო!

ესქილემ ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე კვლავ მონის წინ შეჩერდა და უთხრა:

— ტალთიბე! მე გადავწყვიტე, თავისუფლება ,მოგანიჭო! შენი ერთგული და თავდადებული სამსახურით დიდი ხანია ეს ჯილდო დაიმსახურე. მაგრამ მხოლოდ ამიტომ როდი გათავისუფლებ. ძოგეხსენება, ჩემს მშობლიურ ელევსინში[1] მდიდარი მამულები მაქვს და მათ მოვლა-პატრონობას ვეღარ ვახერხებ. აქაურ საქმეებსაც ძოწესრიგება სჭირდება. ახლა მთელი ელადა ქსერქსეს დასახვედრად ემზადება. მეურნეობის მისახედად აღარ მეცლება. ერთგული და საიმედო თანაშემწე მჭირდება, მაგრამ მონა კი არა, თავისუფალი მოქალაქე! ჩემი არჩევანი შენზე შეჩერდა და იმედიც მაქვს, არ მიმტყუნებ. რას იტყვი?

ტალთიბეს ხმა არ ამოუღია. თვალები ცრემლებით ავსებოდა და ცახცახებდა. გაოგნებული მონა გონს ვერ მოსულიყო და ერთ წერტილს უაზროდ გაჰყურებდა. ესქილემ ერთხანს იყუჩა, მერე მონას მკლავზე ხელი მოჰკიდა და მძლავრად შეანჯღრია.

— რას იტყვი-მეთქი? — ჰკითხა მან.

ტალთიბე მუხლებზე დაეშვა, ბატონის ხელს ემთხვია და დიდხანს მხურვალედ ჰკოცნიდა:

— ცოტა ხანს მადროვე, დიდო ბატონო!—ლუღლუღებდა ის,— ცოტა ხანს მადროვე, რომ გონს მოვიდე...

— კეთილი! — მიუგო ესქილემ და მონა ფეხზე წამოაყენა, — შე დღესვე შევადგენ შენი გათავისუფლების საბუთს!

ესქილე ოთახიდან გავიდა. ტალთიბე კი ერთხანს გაუნძრევლად იდგა. მერე ადგილიდან მოწყდა, კიბეები ჩაირბინა, ზევსის სამ-

---

[1] ქალაქი ატიკაში, ათენის ჩრდილო-დასავლეთით. დემეტრეს და პერსეფონეს კულტის მთავარი ცენტრი.

სხვერპლოსთან მიიჭრა, მიწაზე ღაემხო და დიდხანს რაღაცას გაურკვევლად ლუღლუღებდა...

მეორე დღეს ტალთიბეს ყველა გათავისუფლებას ულოცავდა. ევფორიონი სიხარულით ცას ეწეოდა და ტალთიბეს აღარ შორდებოდა.

— ტალთიბე, — ეუბნებოდა ის მონას, — ხომ ჩვენთან დარჩები, ხომ არ მიგვატოვებ?

თვალცრემლიანი ტალთიბე ყმაწვილის თმებს ეფერებოდა და აღელვებული პასუხობდა:

— სიკვდილამდე არ მოგცილდები, ჩემო პატარა ბატონო! არ მოგცილდები, თუ თავად არ მომიცილეთ თავიდან...

— რა საქმეები დაგავალა მამაჩემმა? — ეკითხებოდა ევფორიონი.

— ელევსინს უნდა გავემგზავრო. წლეულს ხორბლის უხვი მოსავალი აუღიათ და მიხედვა სჭირდება.

— დალოცვილი მხარეა ელევსინი, — თქვა ევფორიონმა, — პურის კულტურა სწორედ აქედან გავრცელდა მთელ ელადაში.

— მართლა? — გაუკვირდა ტალთიბეს.

— განა არ იცოდი? — მიუგო ევფორიონმა და მცირე დუმილის მერე დასძინა: — გინდა ერთი პატარა თქმულება გიამბო?

— მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრეს ჰყავდა სილამაზით განთქმული ასული პერსეფონე. პერსეფონეს მამა მეხთამტყორცნელი ზევსი იყო. ერთხელ მშვენიერი ქალწული მეგობრების თანხლებით სეირნობდა და ყვავილებს კრეფდა. ლაღსა და მხიარულს აზრადაც არ მოსვლია, რომ ბედი საზარელ განსაცდელს უმზადებდა. ან კი საიდან უნდა სცოდნოდა საბრალო პერსეფონეს, რომ საიქიოს ღმერთი პლუტონი, ზევსის ნებართვით, მის გასატაცებლად ემზადებოდა. უეცრად მიწა გაიპო და იქიდან ოქროს ეტლი ამოიჭრა. პლუტონის მძლავრმა ხელმა ქალწული აიტაცა და შავმა ბედაურებმა ეტლი კვლავ მიწის სიღრმისაკენ გააჭანეს. მხოლოდ ერთხელ მოასწრო დაყვირება პერსეფონემ. მზის ღმერთის ჰელიოსის გარდა, არავის შეუნიშნავს მისი გატაცება. მაგრამ დედის მახვილ სმენას არ გამოეპარა ის მწარე კვნესა, მის ქალიშვილს რომ აღმოხდა საბედისწერო ჟამს. სასოწარკვეთილი დედა დიდხანს დაეძებდა ერთადერთ ასულს. მეათე დღეს ჰელიოსს მი-

ადგა და თვალცრემლიანი შეევედრა: — სხივნათელო ღვთაებავ! შენ ხომ უთუოდ გეცოდინება, სად გაჰქრა ჩემი ქალიშვილი. შეიბრალე გულდამწვარი დედა და გაუმჟღავნე მისი სამყოფელი!.. — დიდებულო ქალღმერთო! — მიუგო ჰელიოსმა, — გულს მიკლავს შენი ცრემლები და უსაზღვრო სევდა. ძალა მოიკრიბე და უბედურებას შეეგუე. შენი ასული ამიერიდან საიქიოს ღმერთის პლუტონის მეუღლეა. მსურს ისიც იცოდე, რომ ეს შეუღლება ზევსის ნებართვის გარეშე არ მომხდარა!—დემეტრეს უსაზღვრო სევდა დაეუფლა. ზევსზეც განრისხდა. ოლიმპო მიატოვა, ჩვეულებრივი ქალის სახე მიიღო და ხეტიალს მოჰყვა. დედამიწაზე შეწყდა მცენარეთა ზრდა. ფოთლები გაყვითლდა და ჩამოცვივდა, ბალახი გახმა, ტყეები გაშიშვლდა და ყვავილიც აღარ ჰყვაოდა. ადამიანთა მოდგმას შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა. საცოდავი იერი ჰქონდა ადამიანსაც და ბუნებასაც. მაგრამ ეს სრულიადაც არ ანაღვლებდა ქალიშვილზე ფიქრით შეპყრობილ დემეტრეს. დღენიადაგ პერსეფონეზე ფიქრობდა და დადარდიანებული ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა. ბოლოს ელევსინს მიადგა და მეფე კელეოსის სასახლეში ჰპოვა თავშესაფარი. დედოფალი მეტანეირა პატივით შეეგება უცხოელს. მხევალი იამბე თავს არ ზოგავდა და ერთგულად ემსახურებოდა დემეტრესა და მეტანეირას. ერთხელ მისმა მოხდენილმა ხუმრობამ ღიმილი მოჰგვარა სტუმარს. პირველად გაუნათდა სახე მას შემდეგ, რაც პლუტონმა პერსეფონე გაიტაცა. პირველადვე გატეხა პური კელეოსის სასახლეში... დედამიწაზე კი შიმშილი მძვინვარებდა. ხალხი ღმერთებს მსხვერპლს აღარ სწირავდა. შეფიქრიანდა ზევსი. დემეტრეს მოციქული გაუგზავნა და სთხოვა, ოლიმპოზე დაბრუნებულიყო. მაგრამ ურყევია ქალღმერთის გადაწყვეტილება: ჯერ პლუტონმა პერსეფონე უნდა დააბრუნოს. ბოლოს ზევსი დაყაბულდა, მაგრამ ერთი პირობით: პერსეფონე რვა თვეს დედასთან გაატარებს და ოთხ თვეს მეუღლესთან. ზევსის სურვილის აღსასრულებლად პლუტონთან ჰერმესი გაემგზავრა და ქალიშვილი დედას მოჰგვარა. უსაზღვრო იყო დემეტრეს სიხარული. კვლავ დაუბრუნა მან დედამიწას ნაყოფიერება. ირგვლივ ყველაფერი ჰყვაოდა. მაგრამ პერსეფონე ოთხი თვით კვლავ პლუტონთან ბრუნდება. დემეტრე შავებით იმოსება და დამწუხრებული ბუნებაც იძინებს. ხეებს კვლავ სცვივა ფოთლები და ირგვლივ ყველაფერი შიშვლდება. ზამთარი

დგება, მაგრამ ყველა იმედიანად ელის გაზაფხულს. გაზაფხული კი მაშინ დადგება ხოლმე, როცა პერსეფონე დედას დაუბრუნდება... დემეტრემ კელეოსიც არ დაივიწყა. მადლიერმა ქალღმერთმა მეფის ძე ტრიპტოლემოსს პურის მოყვანა ასწავლა. ყმაწვილმა სამჯერ თავად გადახნა მინდორი და შიგ დემეტრესაგან ბოძებული ხორბლის თესლი ჩაჰყარა. მოსავალიც უხვი მიიღო. მერე ტრიპტოლემოსმა მრავალი ქვეყანა შემოიარა და ბარაქიანი პურის კულტურა გაავრცელა. მას შემდეგ ბერძნები თაყვანს სცემენ ნაყოფიერების ღვთაებას. მთელს ელადაში განთქმულია დემეტრეს ტაძარი, მისივე თაოსნობით რომ ააგეს ელევსინში. რომელი კუთხიდან არ ჩამოდის აქ ხალხი, რომ მონაწილეობა მიიღოს დიდებული ქალღმერთის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულებსა და იდუმალებით მოცულ რიტუალებში.

ევფორიონმა თხრობა დაასრულა. ტალთიბე ერთხანს გარინდული იჯდა და მერე ჩაილაპარაკა:

— მართლაც დალოცვილი მხარე ყოფილა ელევსინი. ყველა სიკეთეს თავი იქ მოუყრია. თუმცა სახელად ისიც ეყოფოდა, დიდებული ესქილეს სამშობლო რომ არის!

— დიახ, სწორედ ელევსინში გაატარა ბავშვობა შენმა ბატონმა. ხშირად უთქვამს, ჩემი გონების აკვანი და ხასიათის სამჭედლო ეს პატარა ქალაქი იყოო.

ამ დროს ოთახში ესქილე შემოვიდა. ტალთიბე და ევფორიონი ფეხზე წამოდგნენ. ესქილემ ხშირ თმაზე ხელი გადაისვა და საავარძელზე დაეშვა.

— ტალთიბე, — თქვა მან, — საზარელი ხმები დადის ქალაქში. აჩქარება გვმართებს. დღესვე ელევსინს მიაშურე და საქმეები მოაგვარე, შენ უკვე იცი, რა უნდა გააკეთო. მე და ევფორიონი აქაურობას მივხედავთ. ხილეულის ნაწილი პირეის ნავთსაყუდელში გადაიტანე, იქ გემის მფლობელი ლისისტრატე იკითხე და მას ჩააბარე. შემპირდა, მახლობელ კუნძულებზე კარგ ფასად გაგიყიდი მოსავალსო. ეს ქისა ჯიბეში ჩაიდე და გაუფრთხილდი. აქ იმდენია, რომ საქმეების მოსაგვარებლად კარგად იკმარებს.

ტალთიბემ ესქილეს ქისა ჩამოართვა და უთხრა:

— დამშვიდებული ბრძანდებოდე, დიდო ბატონო! დავალებას პირნათლად შევასრულებ და აქაც მალე შეგეშველებით!

ტალთიბემ მამა-შვილს თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ესქილე ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე წამოდგა და თქვა:

— ძლიერო ზევსო! შეეწიე ელინთა შვილებს. ღონე მიეც მტერთა ძლევისა!..

საბედისწერო დღეები

ირანი ელინთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდა. დარიოსის სიკვდილის შემდეგ ქვეყანას ქსერქსე განაგებდა. ირანის ხელისუფალთ მარათონის ველზე განცდილი მარცხის სიმწარე ვერ მოენელებინათ და ახალი ლაშქრობის გეგმებს ადგენდნენ. მაგრამ ამ ომის მიზანი გაცილებით უფრო დიდი იყო. ქსერქსეს მხოლოდ ათენელთა დასჯა როდი ეწადა. სახელმწიფოს მეთაური ამჯერად მთელი ელადის დაპყრობაზე ოცნებობდა. საშინაო საქმეები რომ მოაგვარა და აჯანყებული ქვეყნები დააშოშმინა, ქსერქსე გამალებით შეუდგა საომარ მზადებას. გადაწყვიტა ჰელესპონტზე მცურავი ხიდი აეგო, ხოლო ჯარების სანოვაგით უზრუნველსაყოფად ფრაკიასა და მაკედონიაში სასურსათო ფარდულები მოეწყო. ირანის მორჩილმა ყველა ქვეყანამ გარკვეული დავალება მიიღო. თითქმის მთელი აზია ამხედრებულიყო პატარა ელადის წინააღმდეგ...

ათენში კი ცხოვრება თითქოს ჩვეული გზით მიედინებოდა. მაგრამ ქვეყნის მესვეურები კარგად გრძნობდნენ მოახლოებულ საფრთხეს. თემისტოკლე კვლავ მოითხოვდა ძლიერი ფლოტის შექმნას. არისტიდე და მისი მომხრეები კი მთელ იმედს სახმელეთო ჯარებსა და, განსაკუთრებით, მძიმედ შეიარაღებულ ჰოპლიტებზე ამყარებდნენ. დათმობა არც ერთ მხარეს არ სურდა. გაუთავებელ დავასა და შეხლა-შემოხლაში ძვირფასი დრო იკარგებოდა...

მსტოვართ ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ და შეშფოთებულ მოქალაქეებს ქსერქსეს საომრად მზადების ამბავს აუწყებდნენ. ახლა უკვე ყველა ათენელს სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ირანთან ომი უნდა დაწყებულიყო.

სამოცდამეთორმეტე ოლიმპიადის მესამე წელი ძალზე მღელვარედ დაიწყო ათენელებისათვის. იშვიათად თუ გამოერეოდა ისეთი დღე, მსტოვართ რომ შემაძრწუნებელი ცნობა არ მოეტანათ. ქუ-

ჩებსა და მოედნებზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და მოსალოდნელი ომის შესახებ საუბრობდა...

საღამო ჟამი იყო. ქალაქს საყვირების გაბმული ხმა მოეფინა. მოქალაქეებს სახალხო კრებაზე უხმობდნენ. ხალხი დაუყოვნებლივ გაეშურა პნიქსის მოედნისაკენ. აქ უკვე მოეყარათ თავი არქონტებს, სტრატეგოსებსა და ქალაქის სხვა მესვეურთ. მალე უზარმაზარი მოედანი ხალხით გაიჭედა.

ეპისტატემ მარჯვენა ხელი აღმართა, მოქალაქენი დააწყნარა და თქვა:

— დარიოსის ძე ქსერქსე ჩვენს ქვეყანას წალეკვით ემუქრება. აზიის ყველა ხალხს ელადის დასათრგუნად მოერეკება. მარათონის მარცხმა ირანელებს ჭკუა ვერ ასწავლა. მაგრამ არც ჩვენ გვძართებს გადიდგულება. ძლიერ მტერს დახვედრა უნდა და გამარჯვების საწინდარიც მხოლოდ ელინთა ერთსულოვნებაა. ჩვენ კი შინაური საქმეებიც ვერ მოგვიგვარებია და დროს გაუთავებელ დავაში ვატარებთ.

— რას გვირჩევ? — გააწყვეტინა სიტყვა ვიღაცამ.

— სახელოვან თემისტოკლეს სურს გაგაცნოთ თავისი გეგმა! — მიუგო ეპისტატემ და ორატორის ადგილი თემისტოკლეს დაუთმო.

ხალხი ყიჟინით შეეგება თემისტოკლეს. დიდხანს გაისმოდა აღტაცებული შეძახილები.

— მოქალაქენო! — დაიწუხა თემისტოკლემ და ხალხის ხმა დაფარა, — ბევრი საუბრით თავს არ შეგაწყენთ. ამბობენ, ირანელთა ლაშქარს თავად ქსერქსე წამოუძღვებაო. მეფეთა-მეფე ყოველ ღონეს იხმარს, რომ ირანს მარათონის ლაქა ჩამორეცხოს. მას ძალუძს ერთ ელინს თხუთმეტი, ოცი, ან ოცდახუთი მეომარი დაუპირისპიროს. მაშინ, მიუხედავად ჩვენი ვაჟკაცობისა, ისღა დაგვრჩება, გმირულად დავეცეთ ბრძოლის ველზე და სანუგეშოდ თითოეულმა ათი ირანელი გავიყოლიოთ. მოხუცები და ბავშვები, ქალები და ავადმყოფები, მთელი მშობლიური მიწა-წყალი კი ქსერქსეს დავუტოვოთ. შთამომავალთა სამართლიანი გულისწყრომა და საყვედურები დავიმსახუროთ...

თემისტოკლე შეჩერდა და ხალხს თვალი მოავლო. მოქალაქენი გარინდულიყვნენ და გულდასმით უსმენდნენ.

— ასჯერ გავზომე და ასჯერ ავწონე, — განაგრძო თემისტოკ-

ლემ, — ხმელეთზე ირანის ლაშქარს ელადა ვერ გაუმკლავდება. ძაგრამ მოწყალენი არიან ღმერთები და გამარჯვების ერთი გზა მაინც დაგვიტოვეს. თუ მას გავყვებით, უძლეველ მტერსაც დავაძარცხებთ. ეს ერთადერთი გზა კი ძლიერი ფლოტის შექმნა გახლავთ!

— სწორია!.. მართალია!.. — ყვიროდნენ ერთნი.

— ეს ხომ ძველი ჰანგებია! — პასუხობდნენ მეორენი.

ხალხი ორად გაიყო. დავასა და შეხლა-შემოხლას ბოლო არ უჩანდა.

ორატორის ადგილი არისტიდემ დაიკავა. ხალხი თანდათან დაწყნარდა და მოედანზე სიჩუმემ დაისადგურა.

— მოქალაქენო! — დაიწყო არისტიდემ, — ყველა კარგად ხედავს მოახლოებულ საფრთხეს. გულხელდაკრეფით არავინ ელის მტრის თავდასხმას. ღირსეული თემისტოკლეც იმ გზას გვთავაზობს, რაც მას ყველაზე მართებულად მიაჩნია. განა ვინმე გაბედავს, რომ ეჭვი შეიტანოს თემისტოკლეს გულწრფელობაში? მე პირველი გავყვებოდი ამ ღირსეულ ვაჟკაცს, თუ ის მართლაც დამარწმუნებდა, რომ საზღვაო ბრძოლა გამარჯვების ერთადერთი საწინდარია. მე კი ეს არ მჯერა. ჩვენმა ჰოპლიტებმა არაერთხელ გადაარჩინეს სახელმწიფო. ირანელებიც დაამარცხეს მარათონის ველზე. ბასრია მათი შუბი და მახვილი, მტკიცეა მათი მარჯვენა! რა საბაბით ავუაროთ გვერდი ამ ნაცად ძალას?

— კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს! — წამოიძახა ხომალდთმფლობელმა ქსანთიპოსმა.

არისტიდემ ხელი ჩაიქნია და განაგრძო:

— თუ კი ძველსა და არა ერთხელ გამოცდილს დავიწუნებ, ახალ კოკას როგორღა ვენდო? ესეც არ იყოს, ძლიერი ფლოტის შექმნას დროც დიდი უნდა და ხარჯიც. განა ქსერქსე ამდენს დაგვაცლის? რომც დაგვაცალოს, მე არ ვიცი, რა სახსრებით აპირებს თემისტოკლე ფლოტის აგებას?

თემისტოკლეს მომხრეებმა თავიანთ ბელადს მიაპყრეს მზერა. კარგად იცოდნენ, რომ საბოლოო სიტყვას ის არავის დაუთმობდა. თემისტოკლემ არ დააყოვნა, არისტიდე მოურიდებლად განზე გასწია, ორატორის ადგილი დაიკავა და თქვა:

— ჩემს სიმართლეს დრო დაამტკიცებს. ფლოტს თუ ავაგებთ და ზღვაზე გავძლიერდებით, ირანსაც დავამარცხებთ და პირველ

ადგილსაც დავიმკვიდრებთ ელადის სახელმწიფოთა შორის. თუ ფლოტის აგებაზე უარს ვიტყვით, ქსერქსეს ლაშქარი წაგვლეკავს და ჩვენს ქვეყანას მონობის უღელს დაადგამს. მაგრამ არისტიდეს ჰგონია, რომ ძლიერი ფლოტის შესაქმნელად არც დრო გვეყოფა და არც სახსრები. ჰეშმარიტი ათენელი კი ასე არ ფიქრობს. ჩემს ხალხს ბრძოლაც ეხერხება და შრომაც. თუ კი ერთი ჰოპლიტით ათი ან თხუთმეტი მოწინააღმდეგის განადგურებას ვაპირებთ, განა ხუთიოდე წლის საქმეს ერთ ან ორ წელიწადში ვერ დავძლევთ? ამდენი დრო არც დაგვჭირდება, ოღონდ ათენელებმა ირწმუნონ ფლოტის აგების აუცილებლობა!

— ფული? ფულს სადღა ვიშოვი? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

თემისტოკლეს ვაჟკაცურ სახეზე გამქირდავმა ღიმილმა გადაირბინა. ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— აი, თურმე რა აწუხებთ ჩვენს არისტოკრატებს! მაგრამ, სავედნიეროდ, მაგ საქმესაც მოევლება. ამ საბედისწერო დღეებში ალბათ არავინ დაიშურებს თანხას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მე მოვუწოდებ ყველა ათენელს, ლავრეიონის ვერცხლის მაღაროებიდან მიღებული მთელი შემოსავალი ფლოტის შესაქმნელად გამოვიყენოთ. დაე, ყველა მოქალაქემ შეიტანოს წვლილი სახელმწიფოს გამარჯვებაში!

მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ამგვარ წინადადებას არავინ ელოდა. ბოლოს ხალხს ბრგე ვაჟკაცი გამოეყო და ორატორისათვის განკუთვნილ ადგილს მიაშურა. თემისტოკლემ შორიდანვე იცნო ესქილე და ადგილი დაუთმო.

— მოქალაქენო! — დაიწყო ესქილემ, — რასაც ზევსი გულში გადასწყვეტს, ახდება კიდეც უეჭველად. წყვდიადს დაუფარავს მისი ბრძნული ზრახვანი და მათი ხილვა შეუძლებელია. მაგრამ დღემდე უზენაეს გამგებელს ჩვენთვის წყალობა არ დაუშურნია. არც ამ საბედისწერო დღეებში მიგვატოვებს ბედის ანაბარა. ზევსმა მიანიჭა ჩვენს მეომრებს ძალა და მხნეობა. ზევსის წყალობით არიან უძლეველნი ჩვენი ჰოპლიტები. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ასახელა ათენი ქვეითმა ჯარმა, რამდენჯერ იზეიმეს გამარჯვება ჩვენმა ძლევამოსილმა ჰოპლიტებმა! მაშ რად დაუკარგავს თემისტოკლეს მათი იმედი? რატომ გეთავაზობს ახალ გეგმას მტრის დასამარცხებლად? პასუხი მიძნელდება, მაგრამ ერთი კი მაინც მინდა ვთქვა: ასეთი

გეგმა რომ ვისმე სხვას წამოეყენებინა, მე მას ღალატს დავაბრალებდი. თემისტოკლეზე კი ამას ვერ ვიტყვი. არასდროს ვყოფილვარ მისი ზრახვების თანამგრძნობელი. ყოველთვის არისტიდეს კვალს მივყვებოდი. მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია, თემისტოკლე დიდ პიროვნებად წარმომედგინა, მისი ღვაწლი და თავდადება დამეფასებინა. ეს ღირსეული მოქალაქე დღეს უძლეველი ფლოტის აგებას აპირებს. ეჭვი გულს მიღრღნის: იქნებ თვით ზევსმა შთააგონა ამგვარი აზრი? იქნებ ეს მართლაც ერთადერთი გზა არის ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად? ამ ეჭვს თავიდან ვერ ვიცილებ, მაგრამ მის დაჯერებასაც ვერ ვახერხებ...

— შენც დაიჯერე და სხვებიც დააჯერე! ამით დიდ სამსახურს გაუწევ ქვეყანას! — მიაძახა ქსანთიპოსმა.

ესქილემ ხელები გაშალა და მხრები აიჩეჩა. მერე სათქმელს თავი მოუყარა და გააგრძელა:

— ვთქვათ დავიჯერე, რომ ფლოტის აგება კარგი საქმეა. ის გზა როგორღა მოვიწონო, რომელსაც თემისტოკლე გვთავაზობს ხომალდების ასაშენებლად? ღმერთებმა ლავრეიონის ვერცხლის საბადოებს მიგვაგნებინეს, მათი შთაგონებით მთელ შემოსავალს ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქენი ინაწილებენ. თითოეულს ათი თუ თორმეტი დრაქმა ერგება. თემისტოკლე კი გვთავაზობს, გაჭირვებულ ხალხს ეს თანხა ჩამოვართვათ და ფლოტის აგებას მოვახმაროთო. ასეთ აზრს ხომ ღმერთები არ შთააგონებდნენ?

— ყმაწვილო! — გაისმა გამქირდავი ხმა და ხალხმა მყის იცნო მოხუცი ფრინიქე, — როდის აქეთ გახდი გაჭირვებულთა ქომაგი?

ესქილემ არაფერი უპასუხა.

— ის მაინც გვითხარი, არისტოკრატი ხარ თუ დემოკრატი? — არ ეშვებოდა ფრინიქე.

— ათენელი მოქალაქე გახლავარ, მოხუცო! — მკვახედ მიახალა ესქილემ და დასძინა: — ქვეყნის კეთილდღეობისათვის სიცოცხლე არასოდეს დამიშურნია. მოქალაქეობრივი უფლებაც სისხლით დავამტკიცე მარათონის ველზე. დაე, ხშირთმიანმა ირანელმა გაუწყოს ჩემი გმირობის ამბავი!

ხალხმა აღტაცების ყიჟინა დასცა.

თემისტოკლემ კვლავ დაიკავა ორატორის ადგილი და დაიქუხა:

— მოქალაქენო! ირანელებმა თუ ჩვენი ქვეყანა დაიმორჩილეს, ლავრეიონის მაღაროებსაც დაეპატრონებიან და ლუკმა პურსაც სანატრელს გაგვიხდიან. ის ათიოდე დრაქმაც, რასაც თურმე გაჭირვებულ ხალხს ვეცილები, მათი თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის მსურს გამოვიყენო! ნუთუ გამოჩნდება ისეთი მოქალაქე, რომელიც სამშობლოს თავისუფლებას ამ ათ დრაქმას ამჯობინებდა?

— უთუოდ ლამაზად ლაპარაკობს ღირსეული თემისტოკლე! — წამოიძახა არისტიდემ და მოქიშპეს სიტყვა გააწყვეტინა, — მაგრამ მას ავიწყდება, რომ ხომალდებს მეხომალდეებიც დასჭირდება. იქნებ თემისტოკლეს სურს, ეს მოვალეობა ჰოპლიტებს დააკისროს?

— რატომ? — მიუგო თემისტოკლემ, — მეზღვაურობა კაცის ღირსებას ვერ დაამცირებს. მე კი ძალზე საპატიოდაც მიმაჩნია. მსურველი ბევრი გამოჩნდება. მეხომალდეთა რიგებს თეტებით შევავსებთ!

— თეტებით? — წამოიძახა ჩასუქებულმა ევპატრიდმა, — ხედავთ, რა განზრახვა ჰქონია ამ ყმაწვილს?!

— რაო, მოხუცო! — უკმეხად მიახალა თემისტოკლემ, — სოლონის კანონები გაგახსენდა? დიახ, მოვალეობებს უფლებებიც უნდა შეესაბამებოდეს! და თუ თეტებს სახელმწიფოებრივი მოვალეობა დაეკისრებათ, მაშინ შესაფერი უფლებებიც უნდა მივანიჭოთ! რას იზამ, გარემოება მოითხოვს და შენ და შენი მომხრეები ამასაც უნდა შეეგუოთ!..

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. დავა გრძელდებოდა და დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებდა. ქსანთიპოსმა ორატორის ადგილი დაიკავა და წამოიძახა:

— მოქალაქენო! ვიდრე ქვეყანას რრი ბელადი ჰყავს, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ. როგორც ჩანს, ოსტრაკისმოს გარეშე საქმე არ მოგვარდება. დაე, შემდეგმა ყრილობამ გადაწყვიტოს, თემისტოკლე თუ არისტიდე!..

მოედანზე შემაძრწუნებელი დუმილი ჩამოწვა. ათასობით წყვილი თვალი თემისტოკლესა და არისტიდეს შეჰყურებდა.

— თანახმა ვარ! — თქვა თემისტოკლემ.

ახლა ყველამ არისტიდეს მიაპყრო მზერა.

— მეც თანასმა ვარ!.. — თქვა მან და დინჯად გაემართა გასასვლელისაკენ.

აღარც სტვენა ისმოდა და აღარც ყიჟინა. თავჩაქინდრული მოქალაქეები დამძიმებული გულით ტოვებდნენ მოედანს...

რამდენიმე დღის მერე მთელი ქალაქი არისტიდეს განდევნაზე ლაპარაკობდა. ტალთიბე ბარე მეათედ უამბობდა ევფორიონს ოსტრაკისმოს შესახებ.

— გასანთლული ფირფიტები რომ დაარიგეს, არისტიდე და თემისტოკლე განზე გადგნენ. თემისტოკლე უფრო დამშვიდებული ჩანდა. ამბობენ, მისმა მომხრეებმა ფულიც არ დაზოგეს, რომ საქმე მათი ბელადის გამარჯვებით დაგვირგვინებულიყოო. არისტიდეს კი ოდნავ ფერი მიხდოდა და ესქილეს მკლავზე დაყრდნობილი მოედანზე დასეირნობდა. მოქალაქეები ფირფიტაზე განსადევნად გაწირულის სახელს აღნიშნავდნენ და მსაჯულებს აბარებდნენ. ისინი კი ფირფიტებს გულდასმით ამოწმებდნენ და ანაწილებდნენ: ზოგს ერთ მხარეს ათავსებდნენ და ზოგს მეორე მხარეს. ორი გროვა შეუმჩნევლად იზრდებოდა. ბოლოს ერთმა საგრძნობლად გადააჭარბა მეორეს. არისტიდემ ფირფიტების მოზრდილ გროვას მიაპყრო მზერა და წაიჩურჩულა:

— იმ ფირფიტებზე ჩემი სახელი წერია!

— არა! — მიუგო ესქილემ და დასძინა: — ათენელ მოქალაქეებს ზევსი აგრე არ დაუხშობდა გონებას!..

არისტიდემ ხელი ჩაიქნია და მწარედ გაიღიმა. სწორედ ამ დროს ვიღაც მოხუცი მიუახლოვდა და უთხრა:

— ღირსეულო ვაჟკაცო! არც წერა ვიცი და არც კითხვა. იქნებ შენ დამიწერდი ამ ფირფიტაზე ქვეყნის მტრის სახელს?

არისტიდემ ფირფიტა ჩამოართვა და ჰკითხა:

— ვისი სახელი დავაწერო, მოხუცო?

— არისტიდესი! — მიუგო უცნობმა.

არისტიდე შეკრთა. ესქილემ თავი ვერ შეიკავა, მოხუცს მკლავზე ხელი სტაცა და მძლავრად შეანჯღრია:

— არისტიდემ რა დაგიშავა, უგუნურო?!

— არც არაფერი, — მიუგო შეშინებულმა მოხუცმა, — ისიც არ ვიცი, რომელია არისტიდე... უბრალოდ, მომბეზრდა ხალხის საუბარი მისი სამართლიანობის შესახებ!..

გააფთრებულმა ესქილემ მარჯვენა აღმართა. არისტიდე მეგობრის მაჯას სწვდა და ხელი დააშვებინა.

— არ არის საჭირო! — უთხრა მან. მერე ფირფიტას გარკვევით დააწერა თავისი სახელი და მოხუცს გადასცა.

უცნობმა მოქალაქემ მსაჯულებს მიაშურა, არისტიდე და ესქილე მიმავალს გაჰყურებდნენ. ერთმა მსაჯულმა მოხუცს ფირფიტა ჩამოართვა, დაკვირვებით შეათვალიერა და მერე დანარჩენებსაც უჩვენა. მსაჯულებმა ის ფირფიტების მოზრდილ გროვას შეუერთეს. არისტიდემ მეგობარს შეხედა და უთხრა:

— ხედავ, მართალი ვყოფილვარ, იმ ფირფიტებზე ჩემი სახელი წერია!

ესქილემ არაფერი უპასუხა...

მსაჯულები ფირფიტების დათვლას შეუდგნენ. მოედანზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მწველი ფიქრებით აღსავსე მოლოდინში წუთი საათად გადაქცეულიყო და საათი საუკუნედ. როგორც იქნა, მსაჯულებმა ფირფიტების თვლა დაასრულეს და ხალხს ულმობელი განაჩენი აუწყეს:

— სახელმწიფოდან არისტიდე უნდა განიდევნოს!

თავჩაქინდრული არისტიდე გასასვლელისაკენ გაემართა. უცნაური რამ მოხდა: არისტოკრატებიც და დემოკრატებიც მოწიწებით უთმობდნენ გზას. ისინიც კი, ცოტა ხნის წინ რომ უყოყმანოდ აწერდა ფირფიტას არისტიდეს სახელს, ნაღვლიანი მზერით მიაცილებდნენ სამშობლოდან განდევნილ ვაჟკაცს...

— უგუნურნო! — გაისმა მრისხანე ხმა, — სანანებლად არ გაგიხდეთ დღევანდელი გადაწყვეტილება!

ხალხმა ესქილე იცნო. თემისტოკლე სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მას და უთხრა:

— ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ ან მე უნდა დამეტოვებინა ათენი, ან არისტიდეს. მე რომ მრგებოდა ეს მძიმე ხვედრი, მაშინაც კი არ ვისურვებდი, ხალხს სანანებლად გახდომოდა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება!

ესქილე ერთხანს დუმილით შეჰყურებდა თემისტოკლეს, მერე უთხრა:

— მე კი მგონია, ამ საბედისწერო დღეებში ათენს არისტიდე და თემისტოკლე უნდა გასძღოლოდნენ!

— სტყუი! — მიაძახა ქსანთიპოსმა, — აგრე რომ გეფიქრა, შენს ფირფიტას თემისტოკლეს სახელს არ დააწერდი!

ესქილე აენთო.

— მერე და ვინ მოგახსენა, რომ თემისტოკლეს განდევნა მოვითხოვე? მე არც თემისტოკლე დამიწერია და არც არისტიდე! ჩემს ფირფიტას ქ ს ე რ ქ ს ე აწერია!

თემისტოკლემ აღტაცებული მზერა მიაპყრო ესქილეს და უთხრა:

— ჰეშმარიტი ათენელი ხარ, ღირსეულო ვაჟკაცო! მაგრამ დღეს მაინც ასე იყო საჭირო!

ესქილემ ხელი ჩაიქნია და მიმოიხედა. არისტიდე აღარ ჩანდა. თავჩაქინდრული მოქალაქეებიც დუმილით ტოვებდნენ მოედანს. ესქილე სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას, რომ დარჩენილი დრო განდევნილ მეგობართან გაეტარებინა....

* * *

არისტიდეს განდევნის შემდეგ მთელი ძალაუფლება თემისტოკლეს ხელში აღმოჩნდა. დემოკრატების ბელადი მტკიცედ შეუდგა დიდი ხნის წინ დასახული გეგმის შესრულებას. ლავრეიონის მაღაროების შემოსავალი მთლიანად გემთმშენებლების ხელში გადავიდა. თემისტოკლემ ესეც არ იკმარა და მდიდარ მოქალაქეებს ბეგარა შეაწერა გემების დასამზადებლად. ათენელი მოქალაქეები თავაუღებლივ შრომობდნენ. თემისტოკლე არც თავად ისვენებდა და არც სხვებს აძლევდა მოსვენებას. ორიოდ წელიწადში ორასამდე ხომალდი ააგო და სამხედრო ძლიერების ცენტრი ხმელეთიდან ზღვაზე გადაიტანა. მეზღვაურების რიგებიც თეტებით ივსებოდა. ატიკის მოსახლეობის მეოთხე ფენა მტკიცედ გამოდიოდა ასპარეზზე და სახელმწიფოს მმართველობაში თავის წილს მოითხოვდა. ახლა უკვე ყველა ხედავდა, რომ ათენი შემდგომი დემოკრატიზაციის გზას დადგომოდა. შეშფოთებული არისტოკრატები თემისტოკლეს წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას ვერ ბედავდნენ. ამიტომ ათასნაირ ჯორს უვრცელებდნენ დემოკრატების ბელადს.

— თემისტოკლემ შეურაცხჰყო სახელოვანი ჰოპლიტები. ხელიდან წაჰგლიჯა მხნე მეომრებს შუბი და ფარი და მათ ნაცვლად ნიჩ-

ბები მიაჩეჩა! ათენელი მოქალაქეები საცოდავ მეხომალდეებად გადააქცია! — გაიძახოდნენ ერთნი.

— ხომალდების ასაგებად შეკრებილი ფულით ჯიბე გაისქელა!.. — დასძენდნენ მეორენი.

არისტოკრატების გაუთავებელ ბრალდებებში ზოგჯერ სიმართლეც გამოერეოდა:

— თემისტოკლემ შეზღუდა დიდებული არეოპაგის უფლებები!..

— არქონტსაც ყველაფერი წაართვა, სახელის გარდა!..

ამგვარი ხმები სრულიადაც არ აღელვებდა დემოკრატების ბელადს.

— ილაპარაკონ, — ამბობდა ის, — არისტიდეს განდევნით ჩემს მოწინააღმდეგეებს ფრთები შეეკვეცა. ახლა ისინი ხალხს ვეღარ აიყოლიებენ!

ხალხმა მართლაც არ დაიჯერა ცრუ ხმები...

ელადის თავზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა. თემისტოკლე კარგად ხედავდა, რომ ძლიერი მტრის დასამარცხებლად სრულიადაც არ იყო საკმარისი მხოლოდ შინაური საქმეების მოგვარება. ამიტომ დემოკრატების ბელადმა ელინური სახელმწიფოების შეკავშირებაზეც იზრუნა.

. სამოცდამეთოთხმეტე ოლიმპიადის უკანასკნელ წელს კორინთოს მახლობლად, პოსეიდონის ტაძარში თავი მოიყარეს ელინური ქვეყნების წარმომადგენლებმა.

— ღირსეულო მოქალაქენო! — ამბობდა თემისტოკლე, — მრისხანე მტერი ელადას განადგურებით ემუქრება. შეკავშირება გვმართებს ამ საბედისწერო დღეებში. ჩვენ შორის შუღლი და მტრობა მხოლოდ მტრისათვის არის სასარგებლო. ირანის ლაშქარს ერთიანი ძალით თუ დავამარცხებთ!

მოახლოებულ საფრთხეს ყველა კარგად ხედავდა. ამიტომ უმალ მიიღეს თემისტოკლეს წინადადება. მერე სპარტელმა ევრიპიადემ ითხოვა სიტყვა. მისი წინადადებით, ყველა ის ელინური სახელმწიფო, რომელიც ნებაყოფლობით მიემხრობოდა ირანს, სასტიკად უნდა დაესაჯათ, მისი ქონება კი მოკავშირეებს გაენაწილებინათ. ეს აზრი ყველას მოეწონა და უყოყმანოდ დაადასტურეს.

უთანხმოებამ მხოლოდ მაშინ იჩინა თავი, როდესაც მთავარსარდლობის საკითხი დადგა. სპარტა და ათენი ერთმანეთს ეცილებოდა

მოკავშირეთა ჯარების მეთაურობის უფლებას. სხვა სახელმწიფოებმა მათი მორიგება სცადეს: რაკი ათენელებს ყველაზე ძლიერი ფლოტი ჰყავს, ზღვაზე მათ მივანდოთ მთავარსარდლობა და ხმელეთზე კი სპარტელებსო. ათენის წარმოგზავნილებმა მყის განაცხადეს თანხმობა, მაგრამ სპარტელები გაჯიუტდნენ: ხმელეთზეც და ზღვაზეც ჩვენ გვეკუთვნის უფროსობაო. ვინ იცის, რით დასრულდებოდა მათი დავა, თემისტოკლეს რომ დიდსულოვნება არ გამოეჩინა. ათენელთა მეთაურმა გადაჭრით მოითხოვა, მთავარსარდლობა სპარტელებისათვის მიენდოთ. ყველა სახტად დარჩა. თემისტოკლესაგან არავინ მოელოდა ამგვარ წინადადებას...

მთავარსარდლად სპარტელებმა ევრიბიადე დაასახელეს. წინააღმდეგობა არავის გაუწევია და ევრიბიადე ერთხმად აირჩიეს მოკავშირეთა ფლოტის მეთაურად.

მაგრამ ყრილობაზე ყველა ელინურმა სახელმწიფომ როდი წარმოგზავნა წარმომადგენლები. ბეოტიამ და არგოსმა თავიდანვე უარი განაცხადეს კავშირში შესვლაზე. თესალიელები კი ომის დაწყებისთანავე ირანელებს მიემხრნენ. ელინებმა ელჩები აფრინეს სირაკუზსა და კრეტის ზღვისპირა ქალაქებში, მაგრამ მათგანაც უარი მიიღეს დახმარებაზე...

თემისტოკლე მარტო კმაყოფილი იყო. ათენელებმა ძლიერი მოკავშირეები შეიძინეს!

* * *

სამოცდამეთხუთმეტე ოლიმპიადის პირველი წლის გაზაფხული იდგა. პირეის ნავთსაყუდელში უამრავი ხალხი ირეოდა. ხელოსნები საგორავებზე შედგმულ უზარმაზარ ხომალდს შემოხვეოდნენ და უკანასკნელ სამუშაოებს ამთავრებდნენ. ირგვლივ სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა. ათენელები ახალი საბრძოლო ხომალდის ზღვაში შესაცურებლად ემზადებოდნენ.

— ევფრიონ! — ყვიროდა ტალთიბე და აქეთ-იქით დარბოდა, — სად დაიკარგე, ყმაწვილო?!

ევფორიონი ზღვის პირას იდგა და ხომალდების ქარავანს გაჰყურებდა. ტალთიბე ჭოშინით მიიჭრა მასთან.

— შეხედე, მეგობარო! — უთხრა ევფორიონმა, — თემისტოკ-

ლეს დრო ტყუილად არ დაუკარგავს. ეს ხომალდები არისტიდეს განდევნის შემდეგ აუგიათ!

ტალთიბემ ზღვას გაჰხედა და გაოცებული დარჩა. მერე ესქილეს სიტყვები გაახსენდა, ხელი ჩაიქნია და თქვა:

— დიდი ბატონი ამბობს, ბრძოლის ველზე ათასი ხომალდიც ვერ შეცვლის ერთ არისტიდესო!

— ალბათ... — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ევფორიონმა და დაძინა: — ერთი კი უეჭველია: არისტიდეც რომ ჩვენთან ყოფილიყო და ეს ხომალდებიც გვჭონოდა, მტერს ადვილად დავამარცხებდით!

ნავთსაყუდელს მომცრო ხომალდი მოადგა. წარმოსადეგმა მეზღვაურმა თემისტოკლე მოიკითხა და სწრაფი ნაბიჯით მისკენ გაეშურა.

— ეტყობა მნიშვნელოვანი ამბავი მოიტანა! — თქვა ევფორიონმა.

ხალხმა იმ ადგილს მიაპყრო მზერა, სადაც თემისტოკლე და სხვა დიდებულები იდგნენ. მეზღვაური თემისტოკლესთან მივიდა და რაღაც უთხრა.

ერთმა მოქალაქემ მის ნათქვამს მოჰკრა ყური და წამსვე მეორეს გადასცა, იმან კი მესამეს მოახსენა. ცოტა ხნის მერე აღტაცებული ხალხი ერთიმეორეს აუწყებდა გაგონილ ამბავს.

— გრიგალს გაუნადგურებია ხიდი ჰელესპონტზე!

— თვით ზევსს დაუსჯია ამაყი ქსერქსე!

— მოწყალენი არიან ღმერთები, ირანელთა შემოსევისაგან დაგვიფარეს!

ტალთიბე და ევფორიონი სიხარულით ცას ეწეოდნენ.

— წავიდეთ, ტალთიბე! — უთხრა ევფორიონმა და მსახურს მკლავზე ხელი მოჰკიდა, — ესქილესაც ვაუწყოთ ეს სასიამოვნო ამბავი!

— კეთილი, — მიუგო ტალთიბემ და საგორავებზე შედგმული ხომალდისაკენ გააპარა მზერა, — ძალზე კი მინდოდა მენახა, როგორ შეაცურებდნენ ზღვაში.

— რა საჭიროა? — მხიარულად უთხრა ევფორიონმა, — ნაპირზეც რომ დარჩეს, ამით აღარაფერი დაშავდება.

ტალთიბე და ევფორიონი შინისაკენ გაუდგნენ გზას.

ესქილე მოუთმენლად ელოდა შვილის დაბრუნებას. ყოველ

წამს აივანზე გადიოდა და ქუჩას გაჰყურებდა. ბოლოს სავარძელზე დაეშვა და ფიქრს მისცა თავი...

ამ დილით თავად გააღვიძა ევფორიონი და უთხრა:

— გემთმშენებლებს კიდევ ერთი ხომალდის აგება დაუმთავრებიათ. დღეს უნდა შეაცურონ ზღვაში. პირეის ნავთსაყუდელში უამრავი ხალხი მოიყრის თავს. თუ გსურს, ტალთიბე გაიყოლე, სანახაობა ნახე და მერე მეც მიამბე.

ევფორიონმა გაოცებული მზერა მიაპყრო მამას.

— როგორ, — ჰკითხა მან, — შენც გაინტერესებს ხომალდების მშენებლობის ამბავი?

ესქილე შეცბა.

— არა, — მიუგო მან, — მე მხოლოდ ის მინდა, რომ გაეროო...

გახარებული ევფორიონი სწრაფად წამოხტა და ტალთიბესთან ერთად გზას გაუდგა. ესქილემ შვილი ჰიშკრამდე მიაცილა და სახლში მანამდე არ შებრუნებულა, ვიდრე ევფორიონი თვალს არ მიეფარა. თავადაც ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს... არისტიდეს განდევნის შემდეგ ყველას ეუბნებოდა, რომ გემების მშენებლობა ფუჭი საქმეა, ათენელები ტყუილად ფლანგავენ დროსაც და სახსრებსაცო. გუშინაც ხომ ამასვე უმტკიცებდა ევფორიონს! ამ დილით კი თავად გააგზავნა შვილი პირეის ნავთსაყუდელში. მერედა რატომ? რისი გაგება ეწადა? ესქილემ მოულოდნელად შენიშნა, რომ ამ ბოლო დროს საბრძოლო ხომალდებზე ისევე დიდ იმედებს ამყარებდა, როგორც თემისტოკლე.

— რა სულელი ვარ! — ნაღვლიანად ჩაიცინა მან, — არისტიდე რომ აქ ყოფილიყო, ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა!..

ოთახში ევფორიონი შემოიჭრა. სახე აწითლებული ჰქონდა და თვალები უელვარებდა.

— ძვირფასო მამა! რამდენჯერ მოგანიჭეს პირველი ჯილდო?

— სამჯერ! —.მიუგო გაოცებულმა ესქილემ.

— ხედავ, ტალთიბე! — წამოიძახა ევფორიონმა, — სამი გამარჯვება სამ წელიწადში! — მერე მამას მიუბრუნდა და უთხრა: — ათენელ მოქალაქეებს ვეღარც კი წარმოუდგენიათ, რომ ვინმეს ძალუძს შეგეცილოს გამარჯვებაში. ისინი არც ცდებიან! მეც ასე ვფიქრობ, ტალთიბეც და კიმონიც. ალბათ, ფრინიქე, პოლიფრადმონი და არისტიაც ასე ფიქრობენ! ახლა კი დროა, მეოთხე გამარჯვე-

ბაზე იფიქრო. ირანელთაგან საფრთხე აღარ გვემუქრება და ხალხი მოუთმენლად ელის შენს ტრაგედიებს!

ესქილე სწრაფად წამოდგა, შვილთან მივიდა და ჰკითხა:

— რა შეიტყვე?

ევფორიონმა დაწვრილებით უამბო პირეის ნავთსაყუდელში ნახულ-გაგონილი. ესქილემ შვილს გულდასმით მოუსმინა, კვლავ სავარძელში დაეშვა და ჩაილაპარაკა:

— მე კი მეგონა, მართლაც მნიშვნელოვანი რამ მოხდა...

ახლა ევფორიონის გაოცების ჯერი დადგა.

— მაშ ხალხი ფიქრობს, რომ ირანი ჩვენზე აღარ გამოილაშქრებს? — ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა ესქილემ.

— რასაკვირველია! — უყოყმანოდ მიუგო ევფორიონმა, — იმოდენა ლაშქარი ცურვით ხომ ვერ გადმოლახავს ჰელესპონტს?

— ქსერქსეს ეგ ვერ შეაჩერებს. ჰელესპონტზე ახალ ხიდს ააგებს და ისე გადმოვა. და თუ ის ხიდიც გრიგალმა დაანგრია, მაშინ სხვა გზას მონახავს ელადაზე თავდასასხმელად.

ესქილე არ შემცდარა. როდესაც ქსერქსემ ხიდის დანგრევა შეიტყო, ჯერ მშენებლები დაასჯევინა და მერე ახალი ხიდის აგებას შეუდგა. მეფის ბრძანებით, ჰელესპონტს სამასი როზგი გადაჰკრეს და დამონების ნიშნად წყლის ფსკერზე ორი მსხვილი ჯაჭვი ჩაუშვეს. ახალი ხიდი უფრო მყარი და საიმედო გამოდგა. უზარმაზარმა ლაშქარმა მშვიდობიანად გადალახა ჰელესპონტი და თრაკიისა და მაკედონიის გავლით ელადის ჩრდილო ნაწილს მიადგა. ირანის ფლოტი ნაპირების მახლობლად მოძრაობდა და მუდმივი კავშირი ჰქონდა ქვეით ჯართან. ისინი, ზღვიდან და ხმელეთიდან, ერთდროულად უნდა დასხმოდნენ თავს მოწინააღმდეგეს. დამფრთხალი თესალიელები უმალ გადავიდნენ კარზე მომდგარი მტრის მხარეზე. ბეოტიამ და არგოსმაც მორჩილება განუცხადეს ირანის მეფეს, თუმცა მტერი ჯერ კიდევ შორს იყო მათი ქვეყნებიდან.

საბედისწერო ჟამი ახლოვდებოდა. ყველა ელინს ესმოდა, რომ დღეს ან ხვალ მათი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

თესალიიდან რომ შუაგულ ელადაში გადახვიდეთ, თერმოპოლის ვიწრო ხეობა უნდა გაიაროთ. ეს იყო ყველაზე მოხერხებული ადგილი მტრის დასახვედრად და ელინთა გაერთიანებული ჯარიც, სპარტის მეფე ლეონიდეს წინამძღოლობით, სწორედ იქ გამაგრდა.

ოთხი დღე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ ელინები და ირანელები. ბრძოლის დაწყებას არცერთი მხარე არ აპირებდა. ქსერქსე დარწმუნებული იყო, რომ მისი ჯარის სიმრავლე მტერს შეაკრთობდა და უბრძოლველად დაათმობინებდა ხელსაყრელ პოზიციას. დამხვდურნი კი არც აპირებდნენ შეტევაზე გადასვლას. მათი მიზანი ის იყო, რომ მტერი შუაგულ ელადისაკენ არ გაეტარებინათ. ამიტომ მოთმინებით ელოდნენ მოწინააღმდეგის თავდასხმას. ბოლოს ქსერქსეს ლოდინი მოწყინდა და სარდლებს უბრძანა, შეტევაზე გადასულიყვნენ. მთელი დღე გრძელდებოდა სისხლისმღვრელი შერკინება. ელინები მამაცურად იგერიებდნენ ქსერქსეს მრავალრიცხოვან ლაშქარს და უკან დახევას არ აპირებდნენ. მეომრები ბინდმა გაჰყარა. ბრძოლის ველი დახოცილი ირანელებით იყო მოფენილი. ელინთა დანაკლისი კი ძალზე უმნიშვნელო იყო.

მეორე დღეს ბრძოლა განახლდა. ირანელები გააფთრებით ეკვეთენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს და მალე უკან დახევაც იკადრეს. ქსერქსე დარწმუნდა, რომ თერმოპოლის დამცველებს პირდაპირი შეტევით ვერ დაამარცხებდა. შეშფოთებული მეფე გამოსავალს ეძებდა. დარცხვენილ სარდლებს ხმის ამოღებაც ვერ გაებედათ. ამ დროს ქსერქსეს კარავში გუშაგი შევიდა. მეფეს მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

— ვიღაც უცნობი დაჟინებით მოითხოვს მეფეთა-მეფის ნახვას!

ქსერქსემ სარდლებს გადახედა. გაკვირვებულმა სარდლებმა მხრები აიჩეჩეს...

— შემოიყვანე! — ბრძანა ქსერქსემ მცირე დუმილის მერე.

გუშაგი კარვიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ დაბრუნდა და უცნობი შემოიყვანა.

— ვინა ხარ, ან რა გსურს მაუწყო? — ჰკითხა ქსერქსემ.

— ჩემი სახელი ეფიალტე გახლავს, დიდებულო მეფეო! — მიუგო უცნობმა, — შესაფერ საზღაურს თუ გაიღებ, მე გასწავლი თერმოპოლელთა დამარცხების გზას.

ქსერქსე ყურადღებით დააცქერდა უცნობს.

— ელინი ხარ? — ჰკითხა მან.

— ელინი გახლავარ, დიდებულო მეფეო! — მიუგო ეფიალტემ.

— კეთილი, — თქვა ქსერქსემ, — საზღაურზე ადვილად შევთანხმდებით. ახლა კი შენი გეგმა გამაცანი!

— მთის ფერდობზე ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება. ყველამ როდი იცის მისი არსებობა. გამოუცდელი თვალი კვალს ადვილად დაკარგავს, მე კი ზედმიწევნით ვიცნობ იქაურობას. შუაღამისას იმ ბილიკით შენს მეომრებს მტრის ზურგში გადავიყვან და თერმოპოლელები ორ ცეცხლს შუა მოექცევიან. მერე თქვენ იცით და თქვენმა ვაჟკაცობამ. მე კი გვერდზე გავდგები.

ქსერქსე კმაყოფილი დარჩა. ეფიალტე უხვად დააჯილდოვა და ჯარის მეგზურობა დაავალა. შუაღამისას ირანელთა მოზრდილი რაზმი გზას გაუდგა.

გათენდა. მზე ამოიწვერა და თერმოპოლის ხეობას კაშკაშა სხივები მოჰფინა. ლეონიდემ მტრის ბანაკს გახედა და შენიშნა, რომ ირანელები შეტევაზე გადმოსასვლელად ემზადებოდნენ.

— ძალიან კარგი, — ჩაილაპარაკა მან, — ასე თუ გაგრძელდა, რამდენიმე დღეში მთლიანად ამოვწყვეტთ ქსერქსეს ლაშქარს!

ლეონიდეს გვერდით ელინთა ერთ-ერთი რაზმის მეთაური იდგა. ბრგე ვაჟკაცი ყურადღებით ადევნებდა თვალს ირანელთა სამზადისს, უეცრად გმინვა აღმოხდა და წაბარბაცდა. ბეჭიდან ამოხეთქილმა სისხლმა წითლად შეუღება სამოსი. ლეონიდემ უმალ ხელი შეაშველა და ფრთხილად დაუშვა მიწაზე. მეფემ მოულოდნელად ისიც შენიშნა, რომ ვაჟკაცს ზურგში ისარი გარჭობოდა...

— საიდან? როგორ? — ფიქრობდა გაოგნებული ლეონიდე.

მთავარსარდალთან რაზმების მეთაურები მიიჭრენ. ყველა შეძრწუნებული იყო. ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ.

— მტერმა ალყაში მოგვაქცია!

— ირანელები ზურგიდან წამოგვეპარნენ!

— გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ?!

ხეობის მხრიდან ისრები სეტყვასავით გამოფრინდა. ირანელთა ძირითადმა ლაშქარმაც არ დააყოვნა შეტევაზე გადმოსვლა. სამი ათასამდე ელინი ორ ცეცხლშუა მოქცეულიყო. ლეონიდემ მძლავრად ჩაბღუჯა ორლესული შუბი, განზე გადგა და დაიქუხა:

— სპარტელი მეომრები ჩემკენ დადექით!

ელინთა ჯარს სამასი მებრძოლი გამოეყო და მთავარსარდალს ნახევარ რკალად შემოერტყა.

— ჩვენ აქ დავრჩებით! — თქვა ლეონიდემ, — ძირითადი ლაშ-

ქარი ხეობის მხრიდან ალყას გაარღვევს და შუაგულ ელადაში გადავა!

მეთაურები გაჯიუტდნენ: თუ სიკვდილია, ყველანი აქ დავიხოცოთო. მაგრამ ლეონიდე დათმობას არ აპირებდა:

— ურჩობა ღალატის ტოლფასია. უმიზნო სიკვდილს აზრი არა აქვს. მე მხოლოდ იმიტომ ვრჩები, რომ თქვენი უკან დახევა დავიფარო. ცოტა ხნით მაინც შევაჩერო მოზღვავებული ლაშქარი: დადგება ჟამი და მტერს სამაგიეროს მიუზღავთ!

მეთაურებმა ურჩობა ვეღარ გაბედეს. ჯარები დააწყვეს და ზურგში მოქცეულ ირანელთა რაზმს შეუტიეს. ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი ბრძოლის მერე ალყა გაარღვიეს და შუაგული ელადისაკენ აიღეს გეზი...

ბრძოლის ველზე კი სამასი ელინი დარჩა. სამასი შეუპოვარი ვაჟკაცი ირანის უზარმაზარ ლაშქარს უნდა შებმოდა. თითოეულმა მათგანმა იცოდა, რომ აქ, თერმოპოლის ვიწრო გასავალში, უნდა დასრულებულიყო მისი სიცოცხლე. იცოდა, მაგრამ წარბი არავის შეუხრია...

დიდხანს უმკლავდებოდნენ ელინები მოზღვავებულ მტერს. მთავარსარდალი ომახიანი შეძახილებით ამხნევებდა დეგმირებად ქცეულ მეომრებს....

შუადღემ მოატანა. ლეონიდემ შენიშნა, რომ მის გვერდით ორმოცამდე მებრძოლი დარჩენილიყო. გული შეეკუმშა. ბრძოლის ველს ნაღვლიანი მზერა მოავლო, შუბი შეათამაშა და მებრძოლთ გასძახა:

— ძირითადი ლაშქარი სამშვიდობოს იქნება გასული. ჩვენ უკვე უფლება გვაქვს, დავიხოცოთ! სიკვდილი ბარბაროსებს!

ელინებმა ყიჟინა დასცეს და ფეხდაფეხ მიჰყვნენ წინ გაჭრილ სარდალს. ირანელები შემოტევას არ მოელოდნენ და აირივნენ. ლეონიდე და მისი მებრძოლები მუსრს ავლებდნენ მოწინააღმდეგეს. ბოლოს მტერი გონს მოეგო და მჭიდრო რკალად შემოერტყა სპარტელთა რაზმს. ერთხანს კიდევ გაისმოდა იარაღის ჟღარუნი და მრისხანე შეძახილები. თანდათან ეს ხმაც მიწყდა და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ბრძოლის ველზე ათასზე მეტი ირანელი და სამასი სპარტელი მეომარი იწვა...

კუნძულ ევბეის ჩრდილოეთით, არტემისიონის კონცხთან კი

ელინთა გაერთიანებული ფლოტი ირანელებს ავიწროებდა. მებრძოლი მხარეები ბინდმა გაჰყარა. გვიან საღამოს ევრიბიადეს ხომალდზე მსტოვარი ავიდა და მთავარსარდალს თერმოპოლელთა დამარცხების ამბავი აუწყა. ევრიბიადემ მოკავშირეთა ხომალდების მეთაურები შეჰყარა. ცხარე კამათის შემდეგ შეთანხმდნენ, რომ არტემისიონთან საზღვაო ბრძოლის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. შუაღამისას ელინთა ხომალდებმა სამხრეთისაკენ აიღეს გეზი...

მძიმე დანაკლისის მიუხედავად, ქსერქსე გამარჯვებას ზეიმობდა: შუაგული ელადისაკენ გზა ხსნილი იყო!

ატიკის მკვიდრთ თავზარი დასცა თერმოპოლელთა დამარცხებამ. გადაწყვიტეს, ბეოტიაში შეხვედროდნენ ქსერქსეს ლაშქარს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ. მაგრამ მოკავშირეებმა გადაჰრით უარყვეს ათენელების გეგმა.

— მთელ ძალებს კორინთოს ყელზე უნდა მოვუყაროთ თავი, რომ პელოპონესი გადავარჩინოთ. ამჯერად ატიკა განწირულია. მოვა დრო და მტერს სამაგიეროს მივუზღავთ! — ამბობდნენ ისინი.

ათენელებს ძალზე ღარიბი და ძნელი არჩევანი ჰქონდათ. ან მოკავშირეებს უნდა ჩამოსცილებოდნენ და საკუთარი ძალებით შებმოდნენ მტრის ურიცხვ ლაშქარს, ანდა უკეთესი მომავლის იმედით, დროებით დაეთმოთ მშობლიური მიწა-წყალი.

თემისტოკლემ მეორე გზა აირჩია.

ათენელებმა ქალაქი უნდა მიატოვონ და სალამინზე გადასახლდნენ! — ამბობდა დემოკრატების ბელადი, — განძეულობაც კუნძულზე გადავიტანოთ, რომ მტერს არ ჩაუვარდეს ხელში!

ათენელები მტრულად შეხვდნენ თემისტოკლეს წინადადებას.

— წმინდა ტაძრებსა და წინაპართა საფლავებს თუ მივატოვებთ, ან გამარჯვება რაღად გვინდა და ან გადარჩენაო! — გაიძახოდნენ ერთნი.

— სჯობს აქვე დავიხოცოთ, ვიდრე მტერს უბრძოლველად დავუთმოთ მშობლიური ქალაქი! — დასძენდნენ მეორენი.

თემისტოკლე არ დაიბნა. თითქოს ელოდა კიდეც ათენელთა ამგვარ წინააღმდეგობას. უმალ სხვა გზა გამონახა თანამემამულეთა დასაყოლიებლად.

ათენის ერთ-ერთი ტაძრიდან ქალაქის მფარველი ქალღმერთის ოქროს გველი გაქრა. თავზარდაცემული მოქალაქეები ერთმანეთს

აუწყებდნენ ამ ავისმომასწავებელ ამბავს. თემისტოკლეს შთაგონებით, ქურუმებმა ხმა გაავრცელეს, რომ ქალღმერთმა ქალაქი დატოვა და ათენელებსაც ხომალდებისაკენ მოუხმობსო.

— განა დელფოს მისანიც ამასვე არ გვირჩევდა? — ამბობდა თემისტოკლე, — ხომ გახსოვთ მისი სიტყვები: ხის კედლებს შეაფარეთ თავიო. ხის კედლები კი ხომალდებია! მოვა დრო, ირანელებს გავრეკავთ და კვლავ მშობლიურ მიწას დავუბრუნდებით!

ათენელებმა გადაწყვიტეს ქალაქი დაეტოვებინათ: უკვდავ ღმერთებსაც თემისტოკლეს მხარე დაეკავებინათ! ახალგაზრდებმა იარაღი აისხეს. ქალები, მოხუცები და ბავშვები კი კუნძულ სალამინზე გადასასვლელად ემზადებოდნენ. თემისტოკლე ხალხს აჩქარებდა: ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მტრის გამოჩენა! მოსახლეობის გადაყვანას არეოპაგი ხელმძღვანელობდა...

დაცარიელებულ ათენში პირუტყვის ბღავილი თუ დაარღვევდა მყუდროებას. მარად ხმაურიან და მოფუსფუსე ქალაქში სიცოცხლის ნიშან-კვალი გამქრალიყო. ათენი მორჩილად ელოდა დამპყრობთა შემოსევას...

შუაღამისას ცამდე აჭრილმა ცეცხლის სვეტებმა წყვდიადი გაკვეთა და არემარე გააჩირაღდნა. მახლობელ კუნძულებზე მყოფი ელინები შეშფოთებით გასცქერდნენ ამ სურათს. ყველას გულს უღრღნიდა შემაძრწუნებელი ეჭვი, მაგრამ სხვებისა და საკუთარი თავის დამშვიდებას ლამობდნენ. არავის სურდა სინამდვილისათვის თვალებში შეეხედა. ან კი როგორ შეგუებოდნენ იმ აზრს, რომ ათენში მტერი ბობოქრობდა და დიდებული ქალაქი ცეცხლის ალში იფერფლებოდა...

ქსერქსე გამარჯვებას ზეიმობდა. მისი ლაშქარი ატიკას არბევდა, ხოლო ფლოტი ფალერონის ნავთსაყუდელში იდგა და მომავალი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მთელი შუაგული ელადა ირანის მეფეთა-მეფეს მორჩილებდა. ჯერი პელოპონესზე მიმდგარიყო...

ელინთა 380 ხომალდი, რომელთაგან 180 ათენელებს ეკუთვნოდა, სალამინის ნაპირებთან განლაგებულიყო. მოწინააღმდეგეებს ძალზე მცირე მანძილი აცილებდა ერთმანეთისაგან. ყოველ წუთს სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება იყო მოსალოდნელი.

ელინთა ბანაკში უთანხმოებამ იჩინა თავი. სპარტა და სხვა მოკავშირეები ფლოტის ისთმოსთან გადაყვანას მოითხოვდნენ. მათ

სურდათ, რომ კორინთოს ყელზე გამაგრებულ სახმელეთო ჯარებს მიშველებოდნენ და მტრისათვის პელოპონესში შეჭრის საშუალება არ მიეცათ. ამ აზრს გადაჭრით წინ აღუდგა თემისტოკლე.

— ისთმოსთან ბრძოლა ხელს არ მოგვცემს, — ეუბნებოდა ის ევრიბიადეს, — ქსერქსეს უთვალავ ხომალდებს გაშლილ ზღვაში ვერ დავამარცხებთ. ბრძოლა სალამინის ვიწრო ყურეში უნდა მივიღოთ. ჩვენი პატარა და მოქნილი ხომალდები აქ უთუოდ დაჯაბნიან უზარმაზარ გემებს...

კორინთოს წარმომადგენელმა უხეშად გააწყვეტინა სიტყვა თემისტოკლეს. მერე ევრიბიადეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ვისი სახელით ლაპარაკობს ეს ყმაწვილი? ვიდრე სიტყვას გააგრძელებდეს, ის ჭალაჭი დაგვისახელოს, რომელმაც აქ წარმოგზავნა. ათენი კი ელინებს აღარ ეკუთვნის!

თემისტოკლე აენთო. კორინთოელს მრისხანე მზერა მიაპყრო და მკაცრად მიუგო:

— აბა გახედე იმ ორასამდე ხომალდს! მათ შეუძლიათ დაამხონ ელადის ნებისმიერი ჭალაჭი და მათ შორის ისიც, რომელმაც შენ აქ წარმოგგზავნა. მაგრამ ახლა ამაზე საუბრის დრო არ გახლავს! — თემისტოკლე ევრიბიადეს მიუბრუნდა და უთხრა: — თუ შენ მართლაც აპირებ ხომალდების ისთმოსისაკენ წაყვანას, ათენელები ჩამოგცილდებიან და საკუთარ გზას მონახავენ!..

თემისტოკლეს სიტყვებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ათენის ხომალდების ჩამოცილება ფლოტის განახევრებას ნიშნავდა. დამფრთხალმა ევრიბიადემ და სხვა მეთაურებმა გადაწყვიტეს აქვე დარჩენილიყვნენ და სალამინის ყურეში გაემართათ საზღვაო ბრძოლა.

თემისტოკლე მაინც ღელავდა. ვინ იცის, როგორ შეცვლიდნენ მოკავშირეები თავიანთ გადაწყვეტილებას. არც მოტყუვდა. დილაადრიან ევრიბიადეს მოახსენეს, რომ ირანის ჯარი ისთმოსისაკენ აპირებდა გალაშქრებას. შეძრწუნებულმა მოკავშირეებმა კელავ თათბირზე მოიყარეს თავი.

— პელოპონესი საფრთხეშია! — ამბობდა ერთი, — ჩვენ კი აქ ვზოზინობთ და უაზრო ბრძოლის გამართვას ვაპირებთ. აბა გახედეთ ფალერონის ნავთსაყუდელს! განა ფლოტის დაღუპვა არ იქნება ქსერქსეს უთვალავ ხომალდებთან შებმა?!

ყველამ მხარი დაუჭირა, კორინთოელმა ნიშნის მოგებით გადახედა თემისტოკლეს. ათენელთა ბელადი თავჩაქინდრული იჯდა.

— შუალამისას მოკავშირეთა ფლოტი სალამინის ნაპირებს დატოვებს! — თქვა ევრიბიადემ.

...თემისტოკლემ ერთგული მონა იხმო. დიდხანს რაღაცას ეჩურჩულებოდა და ბოლოს გზა დაულოცა. მონამ შესაფერი ჟამი შეარჩია და ხომალდი ისე დატოვა, მისი წასვლა არავის გაუგია.

შფოთიანმა დღემ შეუმჩნევლად გაირბინა. ევრიბიადეს განკარგულებით ღამე ყველას ხომალდზე უნდა გაეტარებინა, რომ დათქმული ნიშნისთანავე ფლოტი ისთმოსის გზას დადგომოდა. სალამო ჟამს მოკავშირეთა მეთაურებმა კვლავ მთავარსარდლის ხომალდზე მოიყარეს თავი. მხოლოდ თემისტოკლე არ ჩანდა. ამაოდ ელოდნენ მას ევრიბიადე და მისი ხელქვეითები. ათენელების ბელადს საკუთარი ხომალდიდან გადმოსვლა არც უფიქრია. აღელვებული გემბანზე მიმოდიოდა და ყოველ წამს ფალერონის ნავთსაყუდელისაკენ იყურებოდა...

ირგვლივ წყვდიადმა დაისადგურა. ხომალდის ერთ კუთხეში ლამპარი ბჟუტავდა. თემისტოკლეს გუშაგი მიუახლოვდა და მოახსენა, ვიღაც უცნობი დაჟინებით მოითხოვს შენს ნახვასო.

— გამოატარე! — უბრძანა თემისტოკლემ და გემის მოაჯირს დაეყრდნო.

გემბანზე წარმოსადეგი ვაჟკაცი გამოჩნდა. სახე საგულდაგულოდ დაეფარა წამოსასხამით.

— სალამი, ღირსეულო ვაჟკაცო! — თქვა მან, — თუ ნებას მომცემ, შენთან პირისპირ საუბარი მწადია!

თემისტოკლე შეკრთა. ვერა და ვერ მოიგონა, ვის ეკუთვნოდა ეს ძალზე ნაცნობი ხმა.

— გუშაგო! იქითა ბოლოში დადექი და ჩვენკენ ნურავის გამოატარებ! — მერე უცნობს მიუბრუნდა და ჰკითხა: — ვინა ხარ?

უცნობმა წამოსასხამი მოიხსნა.

— არისტიდე? — შესძახა გაოცებულმა თემისტოკლემ.

— დიახ, მე გახლავარ, — მიუგო არისტიდემ, — შენთან სათხოვარი მაქვს. გამოიჩინე სულგრძელობა და ჯერჯერობით ნუ გამაძევებ! ათენელების მხარდამხარ მაბრძოლე. როცა მტერს დავიფრენთ, მერე ისე მომეპყარი, როგორც საჭიროდ მიიჩნევ!

თემისტოკლე ერთხანს ჩაფიქრებული იდგა. მერე ძველ მოქიშპეს ხელი გაუწოდა, მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— რაც იყო, ნუღარ მოვიგონებთ. ახლა შუღლის დრო არ არის. მართალი ბრძანდებით, მე თავად ვაპირებდი შენს მოწვევას. ათენს შენებრ ერთგული დამცველები სჭირდება. მარათონი გავიხსენოთ და ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძოლოთ!

— გმადლობთ! — მიუგო არისტიდემ.

გემბანზე სიჩუმე ჩამოწვა. ერთხანს არც ერთი ხმას არ იღებდა. ბოლოს დუმილი თემისტოკლემ დაარღვია:

— აქამდე როგორღა მოაღწიე? — ჰკითხა მან.

— ძალზე გამიჭირდა! — მიუგო არისტიდემ, — ირგვლივ ირანელების ხომალდები დაცურავენ. მაინც გამოვუსხლტი და, როგორც ხედავ, მშვიდობიანად გეახელ!

თემისტოკლემ ხელი ჩაიქნია.

— ირანელების ხომალდები ფალერონის ნავთსაყუდელში დგანან, უმაწვილო!

— როგორ? — გაუკვირდა არისტიდეს. — იქნებ არც იცი, რომ მტერმა ყველა გასასვლელი ჩაკეტა და თავდასასხმელად ემზადება?

— მართლა? — წამოიძახა თემისტოკლემ და სახე გაუბრწყინდა, — დარწმუნებული ხარ, რომ არ ცდები?

არისტიდემ მხრები აიჩეჩა.

— სხვის ნათქვამს როდი გეუბნები. საკუთარი თვალით ნანახს მოგახსენებ! — უთხრა მან.

აღტაცებული თემისტოკლე გემბანზე მიმოდიოდა და ხელებს იფშვნეტდა. ბოლოს არისტიდეს მიადგა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— გაჭრა, მეგობარო, გაჭრა! — მხიარულად წამოიძახა მან.

არისტიდეს ვერაფერი გაეგო და გაოცებული შეჰყურებდა თანამოსაუბრეს. თემისტოკლემ ერთხანს იყუჩა და მერე უთხრა:

— მოკავშირეები ბრძოლის ველის მიტოვებას აპირებდნენ. ისინი მხოლოდ პელოპონესის გადარჩენაზე ფიქრობენ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ქსერქსეს ფლოტის განადგურება მხოლოდ აქ შეიძლება, სალამინის ვიწრო სრუტეში. ამიტომ მტრის ბანაკში მონა ვაფრინე და ქსერქსეს შევუთვალე, თავზარდაცემული ელინები გასაქცევად ემზადებიან და ამ შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებ-მეთ-

ქი. როგორც ხედავ, მტერი მოტყუვდა, ჩემი ნათქვამი დაიჯერა და მახეში თავს ყოფს!

არისტიდემ ნაღვლიანად ჩაიღიმა.

— როგორც ყოველთვის, დღესაც ზედმეტად თავდაჯერებული მეჩვენები. მაგრამ ვინ იცის, იქნებ ახლა მართალიც იყო!

— ჩემს სიმართლეს დრო დაამტკიცებს! — მიუგო თემისტოკლემ, — ახლა კი იმ ხომალდზე გადავიდეთ და მოკავშირეებს ახალი ამბავი ვაუწყოთ.

ევრიბიადე და სხვა მეთაურები გულდასმით უსმენდნენ არისტიდეს. სარდლები მიხვდნენ, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო! მტერს ყველა გასასვლელი გადაეკეტა და თავდასასხმელად ემზადებოდა. ჭიშპისა და შუღლისათვის დრო აღარ რჩებოდა. ელინებმა ფიცით დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება: ან ირანის ფლოტს გავანადგურებთ, ანდა ყველანი ერთად დავიხოცებითო!

გათენდა. მებრძოლი მხარეები გადამწყვეტი შერკინებისათვის ემზადებოდნენ. ელინთა მზერა თემისტოკლეს ხომალდისაკენ იყო მიპყრობილი. თუმცა ევრიბიადე იყო მთავარსარდალი, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ დღევანდელ ბრძოლაში ელინებს თემისტოკლე უნდა გასძღოლოდა.

ათენის ხომალდებმა მოწინავე ხაზი დაიკავეს. ყოველ ხომალდზე მენიჩბეების გარდა, თოთხმეტი მძიმედ შეიარაღებული მეომარი და ოთხი მშვილდოსანი იმყოფებოდა.

იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ირანელებმა მოწინააღმდეგეს გაბედულად შეუტიეს. ქსერქსეს ძმამ, საზღვაო ბრძოლებში გამოცდილმა არიამენემ თემისტოკლეს ხომალდი შენიშნა და უმალ მასზე მიიტანა იერიში. ირანელ სარდალს ათენის მომცრო ხომალდმა გადაუღობა გზა. გემები პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს და შეჩერდნენ. ათენელი ჰოპლიტები ირანის ხომალდზე აიჭრენ. თანამოძმეებს თემისტოკლეს მეომრებიც წამოეშველენ. ერთხანს იმ ხომალდიდან იარაღის ჩხარუნი და ვაჟკაცური შეძახილები გაისმოდა. არისტიდე ჰოპლიტთა წინა რიგში მოქცეულიყო და მტერს მუსრს ავლებდა. ბოლოს ირანელები შედრკენ და იარაღი დაჰყარეს. დახოცილ მებრძოლთა შორის არისტიდეს შუბით განგმირული არიამენეც იწვა...

სარდლის სიკვდილმა ირანელებს თავზარი დასცა. თავდაპირვე-

ლად აირივნენ და საბრძოლო მწყობრი დაერღვათ. ელინებმა ამით ისარგებლეს და რამდენიმე ათეული ხომალდი ჩაძირეს. ბოლოს ირანელები გონს მოეგენ და მტერზე გააფთრებული იერიში მიიტანეს.

მთელი დღე გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლა. ელინთა პატარა, მოქნილი და სწრაფმავალი ხომალდები აშკარად ჯაბნიდნენ ირანის გემებს. ამას ისიც დაემატა, რომ სალამინის ვიწრო ყურეში ქსერქსემ ფლოტის გაშლა ვერ მოახერხა და ამიტომ ვერც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა. ახლა კი ყველა დარწმუნდა, რომ თემისტოკლე მართალი იყო: ელინებს სწორედ აქ უნდა გაემართათ საზღვაო ბრძოლა.

ათენის საფლაგმანო ხომალდი აქეთ-იქით დაქროდა. გემბანზე თემისტოკლე და არისტიდე იდგნენ. ომახიანი შეძახილებით თემისტოკლე მებრძოლთ ამხნევებდა და ბრძოლის ველს გულდასმით აკვირდებოდა. თუ კი სადმე ბედის სასწორი ირანელების მხარეზე გადაიხრებოდა, თემისტოკლეს ხომალდი უმალ იქ გაჩნდებოდა და ბრძოლის ჩარხს ათენელების სასარგებლოდ შემოატრიალებდა. ზღვაზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში და მისი უბრალო გამოჩენაც მტერს თავზარს სცემდა.

არისტიდეს კი ადგილი ვეღარ ეპოვა. უზარმაზარი შუბი ჩაებღუჯა და აქეთ-იქით იყურებოდა. უეცრად მისი მზერა პატარა კუნძულმა მიიპყრო. ჩაძირული და დაზიანებული ხომალდებიდან გადარჩენილი ირანელები იმ კუნძულს აფარებდნენ თავს. არისტიდემ ისიც შენიშნა, რომ ირანელთა რამდენიმე სატრანსპორტო გემი ნაპირს მიადგა და კუნძულზე დესანტი გადასხა.

— ვგონებ საჭემო საქმეც გამოჩნდა! — ჩაილაპარაკა არისტიდემ და თემისტოკლეს მიაშურა.

გამაყრუებელ ხმაურსა და ყიჟინაში თემისტოკლემ ძლივს გაიგონა არისტიდეს სიტყვები.

— ნება მომეცი, — ეუბნებოდა არისტიდე, — კუნძულ ფსიტალოსზე გადავიდე და ირანელებს ანგარიში გავუსწორო!

— სიამოვნებით! — მიუგო თემისტოკლემ, — სალამინზე ჰოპლიტების მოზრდილი რაზმი დგას და მოუთმენლად ელის ბრძოლაში ჩაბმას. სატრანსპორტო გემებიც იქვე არიან. რაზმს კიმონი მეთაურობს. გადაეცი, რომ შენ გავალებ ფსიტალოსზე ირანელების გაჟ-

ლეტას. — თემისტოკლემ ეშმაკურად გაიღიმა და დასძინა: — იქვე ორმოცდახუთიოდე წლის ვაჟკაცს შეხვდები, ესქილე ჰქვია. ჩემი სახელით მოიკითხე და გამარჯვება უსურვე!

არისტიდეს სახე გაუნათდა. ძალზე მოუნდა თემისტოკლეს გადახვეოდა, მაგრამ თავი შეიკავა და ჰკითხა:

— კუნძულზე როგორღა გადავალ?

სწორედ ამ დროს მათ გვერდით ათენელთა ხომალდი მიცურავდა. პირი სალამინისაკენ ჰქონდა. თემისტოკლემ შეჩერების ნიშანი მისცა.

— სარდალო! — გადმოსძახა ხომალდის მეთაურმა, — ნიჩბები დამემტვრა და მეომრებიც გამინახევრდა, სალამინზე .მიეშურები, რომ დანაკლისი შევივსო!

— კეთილი! — მიუგო თემისტოკლემ, — რაკი აგრეა, ეს მოქალაქეც გაიყოლე. — მერე არისტიდეს მიუბრუნდა და უთხრა: — როცა მეგობრები შეიკრიბებით, თემისტოკლეს ავად ნუ მოიხსენიებთ.

— მაგისთვის ვის ეცლება, მეგობარო! — სიცილით უპასუხა არისტიდემ, ხელი მაგრად ჩამოართვა და მეზობელ ხომალდზე გადავიდა.

...ესქილე სიხარულით ცას ეწია, არისტიდეს აღარ სცილდებოდა და კითხვებს სხაპასხუპით აყრიდა. კიმონმა ჰოპლიტებს ახალი სარდალი წარუდგინა. გამაყრუებელმა „ვაშამ“ იქაურობა შეძრა. სალამინზე ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა არისტიდეს დაბრუნების შესახებ. ათენელები სანაპიროსაკენ გამორბოდნენ, რომ თვალი შეევლოთ დაბრუნებული ბელადისათვის.

ფსიტალოსზე გამგზავრების ჟამი რომ დადგა, მეომრები მხიარული ყიჟინით აცვივდნენ სატრანსპორტო გემებზე. არისტიდე ესქილეს მიუბრუნდა და უთხრა:

— შესაძლოა, ქსერქსემ სალამინზეც გადმოსვას დესანტი. არქონტს დაუკავშირდი და დასახვედრად მოემზადე!

კიმონმა გაკვირვებული მზერა მიაპყრო სარდალს. „დესანტი სალამინზე? — ფიქრობდა ის, — განა ქსერქსეს ახლა ამისთვის სცალია?“

ესქილემ ჯერ არისტიდეს შეხედა, მერე კიმონს და ჰაბუკის თვალებში გაოცება რომ ამოიკითხა, გულიანად გადაიხარხარა.

— რაო, კიმონ, არ გჯერა განა? არც არისტიდეს ჯერა, მაგრამ ჩემს მოტყუებას ლამობს. მიფრთხილდება ტრაგედიების დიდ მწერალს. არ სურს, ბრძოლაში ჩამაბას. — მერე არისტიდესაკენ მიბრუნდა და მტკიცედ წარმოთქვა: — ცბიერება და ტყუილი შენი საქმე არ არის, მეგობარო! სარდალი ხარ და შეგიძლია ჩემს წაყვანაზე პირდაპირ თქვა უარი. ძალად ხომ ვერ აგეკიდები? მაგრამ იცოდე, თუ აქ დამტოვებ, ჩემებრ თავზეხელაღებულ ათიოდე მებრძოლს შევყრი და ფსიტალოსამდე ზღვას ცურვით გადავლახავ. მე მეომარი ვარ და ამ საბედისწერო დღეებში უქმად ყოფნას არ ვაპირებ!

არისტიდე უხერხულად შეიშმუშნა, კარგად იცოდა, ესქილე არ მოისვენებდა და ხიფათს გადაეყრებოდა. ერთხანს თავჩაქინდრული იდგა, მერე მეგობარს გაუღიმა და უთხრა:

— ძნელია შენი დაყოლიება. რაკი აგრე გსურს, წავიდეთ!

არისტიდე, კიმონი და ესქილე გემზე ავიდნენ.

კუნძულზე გადასვლისთანავე არისტიდე მეომრების დაწყობას შეუდგა. ირანელებმა გამოსვლა არ დააყოვნეს და საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. ფსიტალოსზე ბევრად მეტი ირანელი აღმოჩნდა, ვიდრე არისტიდე და მისი მებრძოლები ვარაუდობდნენ.

— ბიჭოს! — წამოიძახა ესქილემ, — ცხარე ბრძოლა მოგველის. მთელი ქვეითი ჯარი ქსერქსეს ამ კუნძულზე გადმოუყვანია!

არისტიდემ ნიშანი მისცა და ელინები ყიჟინით გადავიდნენ შეტევაზე. თავდაპირველად ირანელები მედგრად უმკლავდებოდნენ ელინებს. არისტიდემ შენიშნა, რომ ესქილე სწორედ იქ გამოჩნდებოდა ხოლმე, სადაც ყველაზე ცხარე ბრძოლა იყო გაჩაღებული. კიმონიც ლანდივით აკვიატებოდა მას და არ შორდებოდა. „უფრთხიდლება!“ — გაიფიქრა არისტიდემ და ჭაბუკი იხმო.

— კიმონ! — ეუბნებოდა სარდალი და თან გააფთრებულ ირანელებს იგერიებდა, — ოცდაათიოდე მშვილდოსანი შეარჩიე და ესქილეს წინამძღოლობით სანაპიროზე გაგზავნე. დაზიანებული და დაღუპული ხომალდებიდან გადარჩენილი ირანელები კუნძულს აფარებენ თავს. ისრებით ზღვაზევე დახოცონ და ხმელეთზე ნუ გადმოუშვებენ!

კიმონი სწრაფად გატრიალდა. მშვილდოსნებს თავი მოუყარა და ესქილეს იმ დროს მიადგა, როდესაც მისი შუბით განგმირული ირანელი მიწას დაენარცხა.

— ესეც მესამე !— მხიარულად წამოიძახა ესქილემ და ახლა სხვა ჯგუფს მიაშურა...

გააფთრებული ხელჩართული ბრძოლა გრძელდებოდა. ელინების მიერ შევიწროებული მტერი უკან იხევდა. ესქილე არისტიდესთან მიიჭრა და ჰკითხა:

— სარდალო, ისევ თავიდან მიცილებ?

— მეომარო! — მკაცრად მიუგო არისტიდემ, — ახლა ბაასის დრო არ გახლავს. მშვილდოსნებს გაუძეხი და ბრძანება შეასრულე!

ესქილე ცივად გატრიალდა.

— მეგობრობაც ამას ჰქვია! — უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა ესქილე და მეომრები ზღვის პირისაკენ მიჰყავდა, — აქ ნამდვილი ბრძოლაა გაჩაღებული, მე კი წყალწაღებულებს უნდა ვუთვალთვალო...

ამასობაში ელინებმა მტერი ზღვაზეც დაიფრინეს და ხმელეთზეც. ირანის ხომალდებმა პირი იბრუნეს. ელინთა ფლოტი გაქცეულებს დაედევნა. კუნძულ ფსიტალოსს ათენელების საფლაგმანო ხომალდმა ჩაუარა. ესქილესა და მის მეომრებს გარკვევით მოესმათ თემისტოკლეს ომახიანი შეძახილები. ესქილემ თავი ვეღარ შეიკავა, შუბი აღმართა და დაიქუხა:

— დიდება თემისტოკლეს! დიდება ათენის მამაც მეზღვაურებს!

— ჩვენ კი არ მოგვილოცავ გამარჯვებას? — მოესმა ესქილეს ნაცნობი ხმა.

მშვილდოსანთა მეთაური სწრაფად შეტრიალდა. მის წინ არისტიდე იდგა.

ესქილე მეგობარს გადაეხვია. წელანდელი წყენა უკვალოდ გამქრალიყო.

— ყოჩაღ, ღირსეულო თემისტოკლე! — ჩაილაპარაკა არისტიდემ, — ირანელები დიდხანს ვეღარ მოველენ გონს.

— დიახ! — მიუგო ესქილემ, — თემისტოკლემ მათი ფლოტი გაანადგურა!

—ვალში არც ჩვენ დავრჩენილვართ, — თქვა კიმონმა, — ვინც ცოცხალი გადაგვირჩა, ტყვედ გამოვრეკეთ!

ესქილემ თავჩაქინდრულ და იარაღაყრილ ირანელებს გადახედა. მისი მზერა ორმა მეომარმა მიიპყრო. ისინი განცალკევებით იდგნენ და აქეთ-იქით ბოროტად იყურებოდნენ.

— ქსერქსეს ძმისშვილები არიან, — უთხრა ესქილეს არისტიდემ, — თემისტოკლეს გადავცემ და როგორც სურს, ისე მოეპყრას.

დაბინდდა. ყველას სალამინისაკენ მიუწევდა გული. არისტიდემ საჭირო განკარგულებები გასცა და გემების ქარავანმა ფსიტალოსი დატოვა.

სალამინზე გამარჯვების აღსანიშნავად დანთებული კოცონები გიზგიზებდა. ხალხი აღტაცებული შეძახილებით ხვდებოდა ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ ვაჟკაცებს. ნაპირს საფლაგმანო ხომალდი მიადგა. დამხვდურთ შორიდანვე იცნეს თემისტოკლე და ისეთი ყიჟინა დასცეს, რომ დედამიწა ზანზარებდა. თემისტოკლე ხომალდიდან ჩამოვიდა და მოქალაქეებს ღიმილით მიესალმა.

შორი-ახლო მოკავშირეთა ფლოტის მეთაურებისათვის სახელდახელოდ გაშლილი კარვები იდგა. თემისტოკლეს დასვენება ეწადა და იქით გაეშურა.

— არაფერს გვეტყვი, ღირსეულო ვაჟკაცო? — ამ სიტყვებით ვილაც მოხუცმა ბელადს გზა გადაუჭრა.

— გვითხარი რამე! — მოისმოდა ყოველი მხრიდან, — ორიოდე სიტყვა გამოიმეტე!

თემისტოკლე შედგა და ხალხს თვალი მოავლო. მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი, ყველა მას შეჰყურებდა.

— მოქალაქენო! — თქვა თემისტოკლემ, — მტერი სასტიკად დავამარცხეთ და უკუ ვაქციეთ. მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. გამთენიისას გაქცეულებს დავედევნებით და მანამდე არ მოვისვენებთ, ვიდრე ელადის მიწა-წყალზე თუნდაც ერთი ბარბაროსი იბოგინებს. დღევანდელ ბრძოლაში ათენელებმა ყველა მოკავშირეს გადააჭარბეს. მათი გმირობა შთამომავლობას გადაეცემა. ჩვენი შვილებიც და შვილიშვილებიც ამაყად იტყვიან: დიდება ათენელ მეზღვაურებს! ათენის ძლევამოსილ ფლოტს გაუმარჯოს!

ხალხმა აღტაცების ყიჟინა დასცა, თემისტოკლემ კი მონა იხმო და უთხრა:

— არისტიდე მონახე და სთხოვე, ქარავში მინახულოს. ესქილე და კიმონიც წამოიყვანოს.

მოქალაქეები აღტაცებული მზერით მიაცილებდნენ თემისტოკლეს. მათ თვალში სალამინის გმირი უძლეველ ბუმბერაზად გადაქცეულიყო. ყველას უნდოდა, ერთგულება და პატივისცემა დაემ-

ტკიცებინა ბელადისათვის. მაგრამ იმასაც კარგად ხედავდნენ, რომ ომგადახდილ ვაჟკაცს ამჯერად მოსვენება ეწადა.

გვიანი საღამო იყო, მაგრამ ხალხი დაშლას არ აპირებდა. სიხარულითა და ყიჟინით ხვდებოდნენ ყველა ხომალდს და მერე გულდასმით ათვალიერებდნენ იქიდან გადმოსულ მეომრებს. მოხუცები შვილებს ელოდნენ, ბავშვები მამებს, ქალები კი — ძმებსა და ქმრებს.

ნაპირს სატრანსპორტო გემები მოადგა. მათი ჩამოდგომა როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ხალხი საბრძოლო ხომალდებიდან გადმოსულ ევრიბიადესა და მოკავშირეთა სხვა მეთაურებს შემოხვეოდა.

არისტიდე, ესქილე და კიმონი ნაპირზე გადავიდნენ. მათი ყურადღება ყმაწვილების გუნდმა მიიპყრო. ისინი უზარმაზარი კოცონის მახლობლად ლოდებზე ჩამომსხდარიყვნენ და ფორმინგის აკომპანემენტით გატაცებით მღეროდნენ სალამინის გმირების სადიდებლად სახელდახელოდ შეთხზულ ჰიმნს. ზარივით წკრიალებდა გუნდის მეთაურის, თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილის ხმა. ესქილე და მისი მეგობრები მონუსხულებივით ისმენდნენ სიმღერას. ბავშვებს მეომრების მოახლოება არ შეუმჩნევიათ და გალობას განაგრძობდნენ.

— ყოჩაღ, ყმაწვილო! — უთხრა ესქილემ მეთაურს, როცა გუნდმა სიმღერა დაასრულა, — მე და ჩემი მეგობრები მადლობას გიძღვნით!

ყმაწვილმა თავი ასწია და შეკრთა. სახეალეწილი წამოიჭრა, მეომარს გაოცებული მზერა მიაპყრო და...

— ესქილე! — ჩაილუღლუღა მან.

გაკვირვებულმა ესქილემ არისტიდეს გადახედა. მერე კვლავ ყმაწვილს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— საიდან მიცნობ?

ყმაწვილმა გაიღიმა.

— ათენელი გახლავარ, დიდებულო ჰოეტო!

იქვე მიმავალმა მოქალაქემ მათ საუბარს მოჰკრა ყური და ესქილეს მიადგა.

— სალამი, ღირსეულო ვაჟკაცო! — უთხრა მან და ხელი გაუწოდა.

ესქილემ არისტია იცნო.

— ეს ყმაწვილი ტრაგედიების წერაში ვარჯიშობს. სულ იმას გაიძახის, ესქილე უნდა გამოვიდეო. ჩემს მეგობარს და ამ ბავშვის მამას სასაცილოდაც არ ჰყოფნის შვილის განზრახვა. ენაკვიმატი კაცია და ხანდახან ეტყვის ხოლმე: ძალიან ნუ გაიჭიმები, ფრინიქეობაც იკმარეო!

ესქილემ გაიღიმა და ყმაწვილს მიუბრუნდა.

— რა გქვია? — ჰკითხა მან.

არისტიაზე გაბრაზებული ყმაწვილი თავჩაქინდრული იდგა. ესქილეს ხმა რომ გაიგონა, თავი ასწია და მიუგო:

— სოფოკლე!

სწორედ ამ დროს არისტიდეს თემისტოკლეს მონა მიადგა და ბატონის დანაბარები გადასცა.

არისტიდე, ესქილე და კიმონი თემისტოკლეს კარვისაკენ გაუდგნენ გზას. კარავს რომ მიუახლოვდნენ, მეგობრებს გუშაგი გადაეღობა.

— ვინ მოდის? — ჰკითხა მან.

— არისტიდე და მისი მეგობრები!

გუშაგი გაფრთხილებული იყო. მიმავალთ მოწიწებით დაუთმო გზა და თემისტოკლეს კარავზე მიუთითა.

— შენი დახმარების გარეშეც იოლად წავალთ! — უთხრა გუშაგს მონამ. მერე დაწინაურდა და ბატონს სტუმრების მობრძანება აუწყა.

არისტიდე, ესქილე და კიმონი კარავში შევიდნენ. თემისტოკლე გულღიად შეეგება სტუმრებს. ესქილემ გაშლილ სუფრას გადახედა და დარწმუნდა, რომ მასპინძელი მათ გარდა არავის ელოდა: მაგიდასთან მხოლოდ ოთხი სკამი იდგა.

— მიზანშეწონილად ვთვლი, ცხარე ბრძოლის შემდეგ მეომრებმა ყელი ჩავიკოკლოზინოთ! — თქვა თემისტოკლემ და სტუმრები სუფრასთან მიიწვია.

ზედიზედ იცლებოდა სასმისები. მასპინძელი და სტუმრები დღევანდელი ბრძოლის ეპიზოდებს იგონებდნენ. მოულოდნელად თემისტოკლემ საუბრის თემა შეცვალა და თქვა:

— მე არ მსურდა, ეს საღამო თანამოაზრეთა წრეში გამეტარებინა. ჩემი სიტყვა მათთვის კანონად იქცა და როგორღაც აზროვნე-

ბასაც გადაეჩვივნენ. ერთმანეთს თემისტოკლეს ქებაში ეჯიბრებიან და მზად არიან ჩემი ყოველი ნაბიჯი გენიოსის მოქმედებად მიიჩნიონ. მაგრამ მე არც ევრიბიადესა და მის ხელქვეითებთან საუბარი მეწადა. ისინი მხოლოდ საკუთარი ქვეყნების გადარჩენაზე ფიქრობენ. ამიტომ თქვენ მოგიწვიეთ, ჩემი ძველი მოწინააღმდეგენი, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ერთგული და თავდადებული შვილები. ჰეშმარიტებას ასე უფრო ადვილად მივაგნებთ...

თემისტოკლე შეჩერდა. შეკრებილთ თვალი მოავლო და დასძინა:

— მე მინდოდა ორი კითხვა მიმეცა არისტიდესათვის.

— ბრძანე! — მიუგო არისტიდემ.

— მართალი ვიყავ თუ არა, ზღვაზე გაძლიერებას რომ მოვითხოვდი?

კარავში სიჩუმე ჩამოწვა. ერთხანს ხმა არავის ამოუღია.

— შესაძლოა, მართალიც იყავ... — ჩაილაპარაკა ბოლოს არისტიდემ, — მაგრამ ჯერ ბრძოლა არ დამთავრებულა. არა მგონია, მხოლოდ ფლოტით მოვახერხოთ ირანელების განადგურება.

თემისტოკლეს სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა. დღევანდელი გამარჯვების შემდეგ ამგვარ პასუხს არ მოელოდა.

— ამ ომში ფლოტს გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა. ბრძოლის ჩარხი ელინების სასარგებლოდ უნდა შემოეტრიალებინა. ეს ამოცანა კი მან წარმატებით შეასრულა. სხვაგვარ იმედებს ფლოტზე არასდროს ვამყარებდი!

ესქილემ მასპინძელს წყენა შეატყო და საუბარში ჩაერია.

— ღირსეულო თემისტოკლე! — თქვა მან, — ფსიტალოსიდან თვალს ვადევნებდი, როგორ დაიფრინეთ ირანელები. ქსერქსე ალბათ ჯერაც არ მოსულა გონს. ფლოტმა ენით უთქმელი სამსახური გაუწია ელადას. ის, რაც აქამდე მოხდა, შენს სასარგებლოდ მეტყველებს. მაგრამ არისტიდემაც მართალი გითხრა: ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

— ფლოტი კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს ელადას, — მიუგო თემისტოკლემ და დასძინა: — გადაწყვეტილი მაქვს, ხომალდები ჰელესპონტისაკენ გავგზავნო. ჩემი ხალხი იქ ხიდებს დაანგრევს და ირანელებს უკან დასახევ გზას მოუჭრის. მერე მტერს დავეხეთ და უკანასკნელ კაცამდე ამოვჟლეტთ ირანის ლაშქარს!..

— ეგ კი დათვური სამსახური იქნებოდა! — გააწყვეტინა სიტყ-

ვა არისტიდემ, — ხიდები რომ სტიქიას დაენგრია, ჩვენ მათ აშენებაზე უნდა გვეზრუნა.

— რატომ? — ჰკითხა თემისტოკლემ.

— ქსერქსეს რომ უკან გაბრუნების საშუალება ჰქონოდა! — მიუგო არისტიდემ.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — მიუბრუნდა თემისტოკლე ესქილესა და კიმონს.

კიმონმა მხრები აიჩეჩა. ესქილემ კი ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— ღირსეულო თემისტოკლე! თითოეული ელინის ოცნება ის გახლავს, რაც შეიძლება მალე იხილოს ირანელთაგან თავისუფალი ელადა. თუ მტერს გაქცევა სურს, დაე, გაიქცეს, ხელს ნუ შევუშლით! მაგრამ მთავარი ეს არ არის. ქსერქსემ ჩვენს წინააღმდეგ აზიის მრავალი ხალხი გამორეკა. ისინი არც საკუთარ ინტერესებს იცავენ და არც პირადული გამორჩენის იმედი აქვთ. ამიტომ უხალისოდ გვებრძვიან და ირანელი მეომრების გვერდით ფინიებს მაგონებენ. თუმცა თვით ირანელებსაც კარგად როდი აქვთ წარმოდგენილი ომის მიზანი. განა ამითაც არ აიხსნება, რომ ერთი ელინი ხუთ და ზოგჯერ ათ მოწინააღმდეგესაც უმკლავდება? ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ჰელესპონტზე ხიდები დავანგრიეთ და მტერს უკან დასახევი გზა მოვუჭერით. მაშინ ხომ მათ ბრძოლას აზრი მიეცემა და ეს აზრი საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნება იქნება. ყველაზე ლაჩარი მეომარიც დეგმირად გადაიქცევა და მტრის სიმრავლემ შეიძლება წაგვლეკოს კიდეც.

თემისტოკლე ყურადღებით უსმენდა ესქილეს. კიმონმა მასპინძელს შეხედა და თქვა:

— მე ვუერთდები არისტიდესა და ესქილეს. ჰელესპონტზე ხიდების დანგრევა მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

— შესაძლოა, აგრეც იყოს... — ჩაილაპარაკა თემისტოკლემ, — ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეორე კითხვაზე პასუხი უკვე მივიღე.

კარავში კვლავ სიჩუმემ დაისადგურა. ცოტა ხნის მერე თემისტოკლემ თქვა:

— როგორც ჩანს, ჰელესპონტზე ხიდების დანგრევა მართლაც არ არის მიზანშეწონილი. მე სრულიადაც არ მაღელვებს, რომ სიმართლე ამ შემთხვევაში თქვენს მხარეზე აღმოჩნდა. თქვენ კი ჯიუ-

ტობთ და არ გსურთ აღიაროთ, რომ ძლევამოსილი ფლოტის გარეშე მოზღვავებულ მტერს ვერ გავუძლებდით.

თემისტოკლე წამოდგა და კარავში გაიარ-გამოიარა. მერე მაგიდას დაეყრდნო და სტუმრებს მიმართა:

— ჩემს განზრახვას ამგვარად შევცვლი: ქსერქსეს კაცს მივუგზავნი და შეატყობინებ, რომ ელინები ხიდების დანგრევას აპირებენ. ვიდრე დროა, ჰელესპონტს მიაშუროს და ჯარების გადაყვანაზე იზრუნოს. ამ ოინმაც თუ გაჭრა, ქსერქსე უმალ მიატოვებს ელადას!

— შესანიშნავია! — წამოიძახა კიმონმა, — ამგვარ გეგმას კი ვერავინ დაიწუნებს!

— რა თქმა უნდა! — მყის დაეთანხმა ესქილე.

თემისტოკლე კვლავ გამხიარულდა. სასმისში ღვინო წყლით შეაზავა[1] და თქვა:

— მაშ ჩვენი გამარჯვებისა შევსვათ!

სტუმრები მასპინძელს არ ჩამორჩნენ.

— ღირსეულო ესქილე! — დაიწყო თემისტოკლემ, — შენ ალბათ გახსოვს ფრინიქეს ტრაგედია „მილეტის აღება“.

— დიახ! — მიუგო ესქილემ.

— იმ ტრაგედიამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მოქალაქეებზე. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ზლუქუნებდა დიდი თუ პატარა... მას მერე ბევრმა დრომ განვლო. არც ფრინიქესა და არც სხვა პოეტს აზრადაც აღარ მოსვლია, ჩვენს თვალწინ მომხდარი ამბები სცენაზე წარმოედგინა. და მე მინდოდა მეკითხა: ისეთი დიდი პოეტი, როგორიც ესქილეა, თვლის თუ არა მიზანშეწონილად, აღწეროს სალამინის ბრძოლა?

არისტიდემ მეგობარს გადახედა. ესქილეს შუბლი შეეკრა და თითებს მაგიდაზე ათამაშებდა.

— ამ ცხარე ბრძოლების ჟამს მაგგვარ წვრილმანებზე არ მიფიქრია!

— ეს წვრილმანი არ გახლავს, დიდებულო პოეტო! — უთხრა თემისტოკლემ, — იმედი მაქვს, უარს არ მეტყვი. მით უფრო, რომ სალამინის ბრძოლა უთუოდ ღირსია თუნდაც ისეთი დიდი პოეტის ყურადღებისა, როგორიც ესქილეა!

— არა მგონია. მაგისთვის მოვიცალო! — ცივად მიუგო ესქი-

[1] ამგვარი ჩვეულა ჰქონდათ ძველ ბერძნებს.

ლემ, — ისიც გაითვალისწინე, რომ ფსიტალოსზე გამარჯვებას პირადად ჩემზე ნაკლები შთაბეჭდილება არ მოუხდენია!

გაკვირვებულმა არისტიდემ მეგობარს მიაპყრო მზერა. კიმონი უხერხულად შეიშმუშნა. განრისხებული თემისტოკლე ზე წამოიჭრა, მაგრამ მერე თავი შეიკავა და ესღა თქვა:

— მე მინდოდა შენთვის პატივი დამედო. თუ უარს იტყვი, ამ საქმეს სხვაც შეასრულებს!

— ფრინიქე? — ღვარძლიანად ჰკითხა ესქილემ.

— თუნდაც ფრინიქე! — მიუგო თემისტოკლემ.

არისტიდემ შეატყო, რომ საუბარი თანდათან მწვავე ხასიათს იღებდა. დინჯად წამოდგა, თემისტოკლესთან მივიდა და უთხრა:

— დილაადრიან ცხარე ბრძოლები მოგველის. დროა დავიშალოთ. გულითად მადლობას გიძღვნი მასპინძლობისათვის!

თემისტოკლემ თავაზიანად გაუწოდა ხელი, მაგრამ დარჩენა კი აღარ უთხოვია. არისტიდე, ესქილე და კიმონი კარვიდან გავიდნენ.

ერთხანს ხმას არცერთი არ იღებდა. ბოლოს ესქილემ თავი ვეღარ შეიკავა, მეგობრებს მიუბრუნდა და უთხრა:

— ხედავთ, რა შემომთავაზა? კარგად იცის, რომ სალამინის განდიდება თემისტოკლეს განდიდებაა. სურს, მეომარი კარის მგოსნად გადამაქციოს. თუმცა ვაფასებ თემისტოკლეს პირად ღირსებებს, მაგრამ სრულიადაც არ ვაპირებ, ჰიმნი ვუძღვნა დემოკრატების ბელადს!

— აი, თურმე რატომ განრისხებულხარ! — გაიცინა არისტიდემ და დასძინა: — მაგრამ ის ხომ განებივრებული ბავშვივით პატივმოყვარეა!

ესქილემ არაფერი უპასუხა.

...სალამინის მარცხის შემდეგ ქსერქსემ გამარჯვების იმედი დაკარგა. გულგატეხილი და განადგურებული მეფე ბრძოლის ველს გაეცალა. ელადაში მარდონიოსი და დიდძალი ლაშქარი დატოვა. თავად კი, ნახევრად განადგურებული ფლოტით, ჰელესპონტისაკენ გაეშურა.

მარდონიოსმა ჯარები თესალიაში გადაიყვანა და ზამთარი იქ გაატარა. თავდაპირველად ათენელების გადმობირება სცადა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ განზრახვას ვერ აღასრულებდა. გაბოროტებული სარდალი ატიკისაკენ დაიძრა...

ამაოდ ელოდნენ ათენელები სპარტელთა მაშველ ჯარს. თემისტოკლეს განკარგულებით, მეომრები ხომალდებზე გადავიდნენ. მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა კი კვლავ სალამინს შეაფარეს თავი.

მარდონიოსი ატიკაში შეიჭრა. კვლავ აღიმართა ცეცხლის სვეტები ათენის თავზე. იწვოდა ტაძრებიც და საცხოვრებელი სახლებიც. ყველაფერი იწვოდა, რაც ქსერქსეს შემოსევას გადარჩენოდა...

თემისტოკლემ მსტოვარნი აფრინა სპარტაში. შეთვალა: თუ არ მოგვეშველებით, მარდონიოსის მხარეს დავიჭერთ და პელოპონესს გავაცამტვერებთო. შეშინდნენ სპარტელები. სხვა მოკავშირეებიც დაფაცურდნენ. კვლავ შეიკრიბა მოკავშირეთა ლაშქარი...

გადამწყვეტი ბრძოლა პლატეასთან გაიმართა. ათენელების ჯარს არისტიდე მეთაურობდა. რაღა თქმა უნდა, სარდალს ესქილე და კიმონიც ახლდნენ.

გააფთრებული შერკინება მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ბეოტიის მიწაზე ათასობით ირანელი მეომარი იწვა. მარდონიოსმაც აქვე ჰპოვა საუკუნო თავშესაფარი...

გადარჩენილმა ირანელებმა გაქცევით უშველეს თავს.

ელადა გამარჯვებას ზეიმობდა!..

ათენელებმა მშობლიურ ქალაქს მიაშურეს. თავზარდაცემულნი შეჰყურებდნენ დანგრეულ ტაძრებს. დიდებული ქალაქის ნაცვლად ხალხს ნაქალაქარი ელოდა...

ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო...

ტრაგედია ტრაგედიის დროს

ათენელები ისე მხნედ შეუდგნენ საქმეს, რომ მტერიც გააკვირვეს და მოყვარეც. ნანგრევებად ქცეული ქალაქი ოთხიოდ წელიწადში აღადგინეს და მის გამაგრებაზეც იზრუნეს: საგულდაგულოდ ნაგები მტკიცე კედელი შემოავლეს და ამ კედლით ათენი პირეასა და ფალერონს დაუკავშირეს. ტაძრების შესაკეთებლად ათენელებმა სახელგანთქმული ოსტატები მიიწვიეს. მერე ახალი ტაძრების აგებაც მოიწადინეს, მაგრამ თემისტოკლეს რჩევით ეს საქმე მომავ-

ლისათვის გადადეს. ნახევრად დანგრეული თეატრიც აღადგინეს და მის გვერდით დიდებული თეატრის მშენებლობა დაიწყეს.

ათენი სწორი და კოხტად ნაგები ქუჩებით დაისერა. მრისხანე მტრის ნათარეშევი უკვალოდ ქრებოდა!..

ელინთა გაერთიანებული ფლოტი მოწინააღმდეგის დევნას განაგრძობდა. თავდაპირველად ეგეოსის ზღვა გადალახეს და მცირე აზიის სანაპიროსთან ირანელებს სასტიკი მარცხი აგემეს. მერე ჰელესპონტისაკენ გაცურეს და ქალაქი ბიზანტიონი აიღეს.

სპარტამ და მისმა პელოპონესელმა მოკავშირეებმა ბრძოლის გაგრძელება აღარ ისურვეს და თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ.

— ასეც ველოდი, — ამბობდა თემისტოკლე, — პელოპონესს ხომ საფრთხე აღარ ემუქრება! ჩვენ კი ასე არ მოვიქცეთ. ვიდრე თუნდაც ერთი ელინური ქალაქი ირანის ხელქვეითი იქნება, ქსერქსესთან ბრძოლაზე ხელს არ ავიღებთ და მცირეაზიელ თანამოძმეებს ირანის მონობისაგან დავიხსნით. ელადის დამრბევთ ათმაგად მივუზღაოთ სამაგიეროს!

ბრძოლის გაგრძელების მომხრე ელინები დელოსზე[1] შეიკრიბნენ და ახალი კავშირი შექმნეს. მონაწილეებმა ფიცით დაადასტურეს თავიანთი მოვალეობა. ათენი დელოსის კავშირის აღიარებულ მოთავედ გადაიქცა. დღითი დღე ძლიერდებოდა მისი გავლენა ელინურ სახელმწიფოებზე. თემისტოკლე მართალი გამოდგა: ფლოტს თუ ავაგებთ, მტერსაც ადვილად დავამარცხებთ და ელადაშიც პირველ ადგილს დავიმკვიდრებთო.

ათენმა არნახულ ძლიერებას მიაღწია!

ქალაქში კი ცხოვრება ძველებურ კალაპოტში ჩამდგარიყო. არისტიდეს და თემისტოკლეს მომხრეები კვლავ გააფთრებით ებრძოდნენ ერთმანეთს. მოქალაქეები ჩვეულებისამებრ ილისის ნაპირებთან იკრიბებოდნენ და ომის მრისხანე დღეებს იგონებდნენ. მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა და თავს ნაირ-ნაირი შეჯიბრით ირთობდა. სახელმწიფო დაწესებულებები მუშაობას განაგრძობდნენ, ახალგაზრდები კი მოძღვრებს გულდასმით უსმენდნენ. ხელოსნები ჩვეულ საქმეს მიბრუნებოდნენ, მოვაჭრენი კი კვლავ მოგებაზე ფიქრობდნენ...

---

[1] კუნძული მცირე აზიის სანაპიროსთან.

პოეტთა შეჯიბრებებიც განახლებულიყო. ესქილემ მეოთხედ მოიპოვა პირველი ჯილდო და მოქიშპეებს გამარჯვების იმედი გადაუწურა. დავაჟკაცებული ევფორიონი და ერთგული ტალთიბე სიხარულით ცას ეწეოდნენ: მთელი ქალაქი ესქილეს პოეტთა მეფედ აღიარებდა.

ახალგაზრდა სოფოკლემ ესქილესთან სტუმრობა გაახშირა. ევფორიონზე ოთხიოდე წლით უმცროსი იყო, მაგრამ ძალზე მალე გამონახა მასთან საერთო ენა. ჰაბუკები განუყრელ მეგობრებად გადაიქცენ. ესქილე ყოველთვის გულღიად ხვდებოდა ყმაწვილს და ხშირად საათობით ესაუბრებოდა. ერთხელ ესქილემ შენიშნა, რომ სოფოკლეს რაღაც აწუხებდა. მიზეზი ჰკითხა. სოფოკლე უხერხულად შეიშმუშნა და წამოჰყარხლდა. სწორედ ამ დროს ოთახში ევფორიონი შემოვიდა. მეგობრის გასაჭირი რომ შენიშნა, მამას უთხრა:

— სოფოკლემ ტრაგედია დაასრულა. ძალზე უნდა, რომ შენ წაგიკითხოს.

— მართლა? — წამოიძახა ესქილემ და თვალები გაუბრწყინდა, — როგორ შეუმჩნევლად გარბის დრო. რამდენი წლისა ხარ?

სოფოკლე შეკრთა. ერთხანს ხმა არ ამოუღია და მერე ჩაილუღლუღა:

— ოცდასამის...

გაკვირვებულმა ესქილემ ევფორიონს გადახედა.

— სტყუის! — გაიცინა ევფორიონმა, — ოცდასამის მე ვარ. სოფოკლე კი მხოლოდ ცხრამეტი წლისაა!

სოფოკლემ თავი ისე ჩაქინდრა, თითქმის მუხლებამდე მიიტანა, ესქილემ გაიღიმა და შვილს ჰკითხა:

— შენ იცნობ იმ ტრაგედიას?

— არა! — მიუგო ევფორიონმა.

— ძალიან კარგი! მაშ ერთად მოვუსმინოთ.

სოფოკლემ გაუბედავად დაიწყო კითხვა. ხმა უთრთოდა. იცოდა ჰაბუკმა, რომ ესქილე პირუთვნელად შეაფასებდა მის ტრაგედიას. შიშით ელოდა განაჩენს. გადაწყვეტილი ჰქონდა, სამუდამოდ აეღო ხელი ტრაგედიების წერაზე, თუ დღეს ესქილეს მოწონებას ვერ დაიმსახურებდა.

კითხულობდა სოფოკლე და თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. კითხულობდა გაბმით, ხმადაბლა და მონოტონურად...

ევფორიონმა თავი ვეღარ შეიკავა და მეგობარს მუჯლუგუნი უთავაზა. ესქილემ გაიღიმა და შვილის სათქმელი თავად თქვა:

— ამ ტრაგედიას რომ შესაფერი წამკითხველი ჰყოლოდა, ბევრად მოიგებდა!

სოფოკლე გაჩუმდა. ესქილემ შენიშნა, რომ ყმაწვილს სახეზე ოფლის წვეთები ჩამოუგორდა.

— განაგრძე, — უთხრა მან, — ოღონდ ცოცხლად და ხმამაღლა წაიკითხე. კარგი ტრაგედიების მწერალი საშუალო მსახიობი მაინც უნდა იყოს.

სოფოკლემ გაიღიმა. ერთხანს კიდევ იყუჩა და მერე კითხვა გააგრძელა. ახლა უკვე მხნედ და გაბედულად კითხულობდა.

ესქილე და ევფორიონი გატაცებით უსმენდნენ. დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. კითხვა რომ დაასრულა, სოფოკლეს თავი არ აუწევია. ნეტავ რას ფიქრობს დიდი პოეტი? იქნებ გუნებაში დასცინის კიდეც?

ესქილე დინჯად წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ევფორიონმა შენიშნა, რომ მამა კმაყოფილი იყო.

— დღეს მე ბედნიერი ვარ, — თქვა ესქილემ, — ორმაგად ბედნიერი! ჯერ იყო და შესანიშნავი ტრაგედია მოვისმინე. მერე სიამოვნებით აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდა პოეტი ესქილეს კვალს გაჰყოლია. იცი, ევფორიონ, — მიუბრუნდა ესქილე შვილს, — ამ ტრაგედიის დასადგმელად ორი მსახიობი იქნება საჭირო.

— ბიჭოს! — მხიარულად წამოიძახა ევფორიონმა, — როგორც ჩანს, სოფოკლე მართლაც აპირებს ესქილეობას!

— მე კი ვშიშობ, რომ ეს ყმაწვილი ჩრდილში მომაქცევს! — მიუგო ესქილემ.

უსაზღვროდ ბედნიერი სოფოკლე კვლავ თავჩაქინდრული იჯდა. ესქილეს უკანასკნელი სიტყვები არც გაუგონია. დიდმა პოეტმა, მას რომ ღვთაებათა ტოლად მიაჩნდა, ტრაგედია მოუწონა. მეტს რაღას ინატრებდა ახალგაზრდა კაცი!..

სამოცდამეთექვსმეტე ოლიმპიადის პირველი წლის[1] ელაფებოლიონი ახლოვდებოდა. დიდი დიონისიის დღესასწაული ათენს კარზე მოდგომოდა. დიდი და პატარა მოუთმენლად ელოდა ზეიმის დაწყებას.

---

1 476 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

— გაიგე, სოფოკლე, — უთხრა ერთხელ ევფორიონმა მეგობარს, — ესქილეს მოწინააღმდეგენი ამ შეჯიბრზე ფრინიქე და არისტია იქნებიან...

— მე ისიც გავიგე, რომ ფრინიქეს ტრაგედიების ქორეგოსობას თავად თემისტოკლე აპირებსო, — მიუგო სოფოკლემ.

— რატომღაც მეგონა, რომ ამჯერად შენც წარმოადგენდი ტრაგედიებს! — თქვა ევფორიონმა.

სოფოკლემ გულიანად გაიცინა.

— რატომ იცინი? — გაჯავრდა ევფორიონი, — განა მამამ არ გითხრა, კარგი ტრაგედია დაგიწერიაო?

— ესქილემ ისიც მითხრა, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გმართებსო.

მეგობრები დინჯად მიჰყვებოდნენ ილისის ნაპირს. საღამო ხანი იყო. ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა. ევფორიონმა ესქილესა და არისტიდეს მოჰკრა თვალი. მერე არისტიასა და პოლიფრადმონს შეხვდნენ. მეგობრებმა შორიდან თემისტოკლეც დალანდეს.

— მხოლოდ ფრინიქე არ ჩანს! — თქვა ევფორიონმა.

— ფრინიქეს სასეირნოდ სად სცალია! — მიუგო სოფოკლემ, — ამბობენ, ახალ ტრაგედიას ჩაჰკირკიტებსო...

ფრინიქეს მართლაც არ ეცალა. ძალზე ღელავდა ხანდაზმული პოეტი. ახლაც თვალწინ ედგა გასული წლის ცამეტი ელაფებოლიონის საღამო. იმ დღეს, გამაყრუებელ ტაშის გრიალში, ესქილეს მეოთხედ მიანიჭეს პირველი ჯილდო. აღტაცებული ხალხი გარს ეხვეოდა გამარჯვებულს. ფრინიქე არავის გახსენებია. მხოლოდ თემისტოკლე მივიდა მასთან, მკლავში ხელი გაუყარა, თეატრიდან გაიყვანა და სახლამდეც მიაცილა.

— გულს ნუ გაიტეხ, მოხუცო! — ეუბნებოდა გზაზე თემისტოკლე, — შენი გამარჯვების ჯერიც დადგება. ესქილეს კი, საბოლოოდ, ამპარტავნობა დაღუპავს!

ფრინიქე მიხვდა, რომ თემისტოკლე რიღაცით გაენაწყენებინა ესქილეს.

— გულით მინდა, მომავალ შეჯიბრზე შენ გიხილო გამარჯვებული. ქორეგოსობას მე ვიკისრებ!

ფრინიქემ ყურები ცქვიტა: ნეტავ, რას ფიქრობს თემისტოკლე? საით უმიზნებს?

— მინდა, სცენიდან მოვისმინო სალამინის ამბავი. ჩემი არჩევანი შენზე შეჩერდა. დიადი გამარჯვება დიდმა პოეტმა უნდა აღწეროს!

ფრინიქე გაიბადრა.

— დიადი გამარჯვება დიდმა პოეტმა უნდა აღწეროსო! — რამდენჯერმე გაიმეორა მან. — მაშ თემისტოკლე კვლავ დიდ პოეტად თვლის! საპატიო დავალებასაც მხოლოდ მას ანდობს!..

ხანდაზმულ პოეტს დღევანდელი მარცხი გადაავიწყდა. ამაყად და მხნედ მიაბიჯებდა. თემისტოკლე ქორეგოსობას იკისრებს. ეს სახუმარო საქმე როდია! აღტაცებული ფრინიქე გამარჯვებას წინასწარ ზეიმობდა.

— აი, შენს სახლსაც მივადექით! — ჩაესმა თემისტოკლეს ხმა, — ათენელმა მოქალაქეებმა სალამინი არ უნდა დაივიწყონ!

— იმედს არ გაგიმტყუნებ, ბელადო! — მიუგო ფრინიქემ და ხელი გაუწოდა.

თემისტოკლე ოდნავ დაიხარა და ღიმილით უთხრა:

— შენებურად არ იძუნწო, სცენაზე ორი მსახიობი გამოიყვანე. მათ შემოსვაზე კი მე ვიზრუნებ!

ვინ მოთვლის, რამდენი უძილო ღამე გაატარა მას მერე ფრინიქემ. თვე თვეს მისდევდა და ტრაგედიას ბოლო არ უჩანდა. თემისტოკლე მოსვენებას არ აძლევდა და აჩქარებდა. გამელიონის[1] დამდეგს ფრინიქემ ტრაგედია დაასრულა. შვებით ამოისუნთქა მოხუცმა. პოლიფრადმონი და კიდევ ორიოდე სხვა პოეტი შეჰყარა და ტრაგედია წაუკითხა.

— დიდებულია! — წამოიძახა ერთმა, — თუმცა, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ერთი მსახიობი დაგჭირდება!

ფრინიქე წამოწარხალდა.

— ტრადიციას ვერ ვუღალატებ! — თქვა მან, — მაყურებელს თუ ტრაგედია მოეწონა, მსახიობების თვლას არ დაიწყებს!

მოხუცს ის კი აღარ უთქვამს, რომ თავადაც ეწადა ორი მსახიობის გამოყვანა. ეწადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთდროულად ვერა და ვერ დაატია სცენაზე ორი გმირი. ხან ერთი აღმოჩნდა ზედმეტი და ხან მეორე.

— ტრაგედიას რაღა დაარქვი? — ჰკითხა პოლიფრადმონმა.

---

[1] იანვარ-თებერვალი.

ფრინიქე შეცბა. ახლაღა შენიშნა, რომ სათაური ჯერაც არ ჰქონდა მოფიქრებული.

— „ფინიკიელი ქალები!“ — წამოიძახა ერთმა პოეტმა.

ფრინიქეს სახე გაებადრა. სათაური მართლაც შესაფერი იყო. მოქმედება ხომ ირანში წარმოებს. ტრაგედია საჭურისის მონოლოგით იწყება. მსმენელთ სალამინზე ირანელების სასტიკი მარცხის შესახებ მოუთხრობს. შემდეგ კი ფინიკიელი ქალების გუნდი გამოდის. ისინი სალამინზე დაღუპულ მეომართა დედები და ცოლები არიან. მწარედ დასტირიან შინმოუსვლელ ვაჟკაცებს...

— დიახ, „ფინიკიელი ქალები!“ — თქვა ფრინიქემ.

სტუმრები რომ წავიდნენ, პოლიფრადმონი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ამჯერად პირველი ჯილდო აღარ აგცდება. ოთხი ურყევი საბუთი ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს!

— აბა გავსინჯოთ, რამდენად ურყევია შენი საბუთები. პირველი რა არის?

— ბრწყინვალედაა შესრულებული გუნდის პარტიები. ტკბილი და ნაზი სიმღერები მაყურებელს მოხიბლავს.

— მეორე?

— თემისტოკლემ ქორეგოსობა იკისრა. ის არც ფულს დაიშურებს და არც ენერგიას, რომ ყველაფერი კარგად ჩატარდეს. თემისტოკლეს სურვილი კი მსაჯულებზეც გავლენას მოახდენს.

— მესამე?

— სალამინზე გამარჯვების გახსენება ხალხს აღაფრთოვანებს. მეოთხე საბუთი კი ჩემი მტკიცე რწმენა და წინათგრძნობა გახლავს!

ფრინიქე ჩაფიქრდა. პოლიფრადმონს მხოლოდ ტკბილი და ნაზი სიმღერები მოსწონებია. საერთოდ ტრაგედია? მოქმედება? ამაზე სიტყვაც არ დასცდენია. იქნებ ორი მსახიობის გარეშე ტრაგედია მართლაც არ არის ტრაგედია? ფრინიქემ ხელი ჩაიქნია და შვილს ჰკითხა:

— მაგ საბუთთაგან რომელს ანიჭებ უპირატესობას?

— ცხადია, ტრაგედიის ღირსებას! — მიუგო პოლიფრადმონმა.

ფრინიქემ არ დაიჯერა. იქნებ მართლაც არ იყო გულწრფელი პოლიფრადმონი?

— შემდეგ? — ჰკითხა ფრინიქემ.

— სალამინის გახსენებისას ყველა ელინი თემისტოკლესაც გაიხსენებს. ქორეგოსობაც ამიტომ იკისრა. წარმატების მოსაპოვებლად თემისტოკლე ყველაფერს გააკეთებს!

პოლიფრადმონი მართალი აღმოჩნდა. თემისტოკლე ჩვეული ენერგიით შეუდგა მზადებას. თავდაპირველად სახელგანთქმული მხატვრები მიიწვია და უზარმაზარი გასამრჯელო აღუთქვა. მერე გუნდი შეადგინა და ბრწყინვალე სამოსელი შეუკვეთა. ქალაქში ხმა დაირხა, ფრინიქემ ისეთი ტრაგედია დაწერა, რომლის მსგავსი ელინებს ჯერ არ მოუსმენიათო...

— ეს ხმაც თემისტოკლეს გავრცელებულია! — ეუბნებოდა სოფოკლე ევფორიონს, — სახელოვანი ესქილეს დამარცხებას ლამობენ!

ევფორიონი ღელავდა. ბოლოს გადაწყვიტა, ესქილე გაეფრთხილებინა. ერთ საღამოს დრო იხელთა და უთხრა:

— ძვირფასო მამა! ხალხი დარწმუნებულია, რომ ამჯერად პირველ ჯილდოს ფრინიქეს მიაკუთვნებენ!..

— მართლა? — ღიმილით ჰკითხა ესქილემ და დასძინა: — ფრინიქემ ამ ბოლო დროს მეტისმეტად ამითვალწუნა. ამიტომაც არც მე და არც შენ ის აღარ მოგვწონს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს. ზოგჯერ მასაც მიანიჭონ პირველი ჯილდო. მოხუცი რომ ცუდი პოეტი იყოს, მაშინ მასთან გამარჯვება ხომ სიხარულს არ მომგვრიდა!

— ფრინიქე რა პოეტიც არის, მეც კარგად ვიცი, — უკმაყოფილოდ მიუგო ევფორიონმა, — მაგრამ როდესაც შეჯიბრში ესქილე მონაწილეობს, უსამართლობა იქნება, პირველი ჯილდო ფრინიქეს მიაკუთვნონ!

— მერედა, რატომ ხარ დარწმუნებული, რომ უთუოდ ფრინიქე გაიმარჯვებს?

— იმიტომ, რომ თემისტოკლეს ასე სწადია, იმიტომ, რომ თემისტოკლეს შენი დამარცხება სურს! — სხაპასხუპით მიაყარა ევფორიონმა.

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა ესქილემ, — თემისტოკლემ კადნიერება არ მაპატია. მან ხომ მე შემომთავაზა სალამინის ბრძოლის აღწერა!

ესქილემ ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე შვილთან მივიდა, მხარზე ხელი შემოხვია და მხიარულად უთხრა:

— ხედავ, როგორი მამა გყოლია? მის დასამარცხებლად პოეტები სტრატეგოსებს შეუკავშირდნენ. განა ეს საამაყო არ არის?

— იღონე რამე! — შეევედრა ევფორიონი.

— რა უნდა ვიღონო, — გაიცინა ესქილემ, — თემისტოკლესთან მე კი არა, ქსერქსე დამარცხდა!

— მერედა, ვინ მოგახსენა, რომ ესქილეს დამარცხება უფრო ადვილია?

კარებში არისტიდე იდგა და იღიმებოდა. ესქილე სიხარულით შეეგება სტუმარს.

— ნურც იმას დაივიწყებ, — განაგრძო არისტიდემ, — რომ იმ ბრძოლის დროს თემისტოკლეს მეც ვედექი მხარში!

— მაგას რა დამავიწყებს? — სიცილით მიუგო ესქილემ, — მაგრამ მე კი მარტოდ მიმატოვე ბრძოლის ველზე!

— როგორ? — გაუკვირდა არისტიდეს.

— განა არ შეგეძლო, ჩემი ქორეგოსი ყოფილიყავ?

— ეჰ, — ამოიოხრა არისტიდემ და საყარძელზე დაეშვა, — მაგის შეძლება რომ მქონოდა, უარს როგორ ვიტყოდი!

— ხედავ, ევფორიონ! — მხიარულად წამოიძახა ესქილემ, — ესეც შეძლებაზე ლაპარაკობს. როგორც ჩანს, პატიოსნება სიღარიბის საწინდარია! ჯერ იყო და ფსიტალოსზე და პლატეასთან ჩვენმა ჰოპლიტებმა უზარმაზარი ნადავლი იგდეს ხელთ. ამ ყმაწვილმა კი თითი არაფერს დააკარა. მერე დელოსის კავშირის წევრებმა ფოროსის[1] განსაზღვრაც და მთელი თანხის მოვლა-პატრონობაც ისევ არისტიდეს დაავალეს. სხვა რომ ყოფილიყო, გაკეთდებოდა. ეს კი ისევ ისე ღატაკად დარჩა...

— რა გაეწყობა... — ჩაილაპარაკა არისტიდემ, — ქორეგოსობას მე არ ვაპირებ და სხვა მხრივ, ჩემი შემოსავალი კარგად მყოფნის.

ოთახში ტალთიბე შემოვიდა.

— ნიკიასი გეახლა, დიდო ბატონო, შენი ქორეგოსი!

— შემოიყვანე! — მიუგო ესქილემ.

ოთახში შუახნის მამაკაცი შემოიჭრა. ძალზე აღელვებული ჩანდა. ოფლი ხვითქად ჩამოსდიოდა და ძლივს სუნთქავდა.

— ვიღუპებით! — წამოიძახა მან შემოსვლისთანავე, — ერთი მსახიობი ავად გამიხდა!

---

[1] ფულადი შესატანი საერთო სამხედრო ხარჯებისათვის.

ესქილე დინჯად წამოდგა, ნიკიასს მიუახლოვდა და მშვიდად ჰკითხა:

— რას ამპირებ?

— მინდა ლისანდრეს მოველაპარაკო. ვგონებ, თავისუფალია და უარს არ მეტყვის.

— ლისანდრე კარგი მსახიობია, — თქვა ესქილემ, — ჩემი სახელით მიმართე და უფრო ადვილად დაიყოლიებ. დრო ჯერ საკმაოა და ტექსტის გაზეპირებას მოასწრებს. პასუხი უთუოდ შემატყობინე.

ნიკიასმა ოთახში მყოფთ თავი დაუკრა და შურდულივით გავარდა. არისტიდემ და ესქილემ ღიმილით გააცილეს შეშფოთებული ჭორეგოსი.

— აი, კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი, — თქვა ესქილემ, — თუ ლისანდრემ უარი გვითხრა, თავად მომიწევს როლის შესრულება. ძალზე კი მინდოდა დასვენება. ამჯერად მსახიობობას არ ვაპირებდი...

მაგრამ ლისანდრეს აზრადაც არ მოსვლია უარის თქმა.. სიამოვნებით მიიღო ნიკიასის წინადადება და მზადებას შეუდგა.

თერთმეტ ელაფებოლიონს თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. სხვა ქალაქებიდან ჩამოსული სტუმრებისათვის, ჩვეულებისამებრ, საპატიო ადგილები დაეთმოთ.

— შეხედე, რამდენი უცხოელია! — გადაულაპარაკა სოფოკლემ ევფორიონს.

— ამბობენ, თემისტოკლემ მოიწვიაო, — მიუგო ევფორიონმა, — სურს, მთელ ელადას შეახსენოს სალამინის ბრძოლის ამბავი.

იმ დღეს არისტიას ტრაგედიები წარმოადგინეს. მაყურებლებმა ტაშით უხვად დააჯილდოვეს პოეტიც და მსახიობებიც.

თეატრიდან რომ გამოდიოდა, თემისტოკლე ფრინიქეს წააწყდა და უთხრა:

— ხედავ, მოხუცო, არისტიამაც ორი მსახიობი გამოიყვანა. მგონი, შევცდი, რომ შენი ჭორეგოსობა ვიკისრე!

ფრინიქემ ღვარძლიანად გაიცინა.

— ესქილეც ორ მსახიობს გამოიყვანს, — თქვა მან, — მე კი ტრადიციას არ ვუღალატე. ვნახოთ, ვის დარჩება გამარჯვება!

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და საუბრობდა, არისტიას ტრაგედიებს ყველა აქებდა, მაგრამ უკეთესის მოლოდინი კი ჰქონდათ...

— ხვალ თუ გათენებამდე არ მოვედით, ხეირიან ადგილს ვეღარ დავიკავებთ! — ეუბნებოდა ერთი მეზღვაური მეორეს.

— აქ ხომ არ გავათენოთ ღამე?

— შენ ხუმრობ, მაგრამ არც ეგ იქნებოდა ურიგო!

მეორე დღეს ხალხი დილიდანვე მიაწყდა თეატრს. ადრე მისულები მოხერხებულად მოკალათებულიყვნენ და დაგვიანებულთ ნიშნის მოგებით უყურებდნენ. ისინი კი მუჯლუგუნებით გზას იკვლევდნენ და ადგილებს დაეძებდნენ. გაუთავებელ ყაყანში ზოგჯერ ლანძღვა-გინებაც გაისმოდა. ხელჯოხოსანი ზედამხედველები აქეთ-იქით დარბოდნენ და ხალხს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ.

— ამ დილით ფრინიქე ვნახე, — ხმამაღლა თქვა ვიღაც ახალგაზრდამ, — რეტდასხმულივით მოაბიჯებდა. ეტყობა, რამდენიმე ღამე არ ძინებია.

— რა დააძინებს საბრალო მოხუცს! — წამოიძახა მეორემ, — ესქილეს გამოჩენის მერე პირველი ჯილდო არ ღირსებია.

— პირველი ჯილდოებით არც მანამდე ყოფილა განებივრებული. მაგრამ ამჯერადაც თუ დამარცხდა, ალბად ტრაგედიების წერაზე ხელს აიღებს!

— ამჯერად გაიმარჯვებს! — მტკიცედ განაცხადა წარმოსადეგმა მეზღვაურმა.

— მართლა? ვინ გითხრა? — დაცინვით მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— როგორ თუ ვინ მითხრა? — გაცხარდა მეზღვაური, — რაკი თემისტოკლემ ქორეგოსობა ბაკისრა, გაამარჯვებინებს კიდეც!

„ფინიკიელი ქალები" რომ დასრულდა, თეატრში ტაშმა იგრიალა და გამაყრუებელი შეძახილებიც გაისმა. აღტაცებული ხალხი სალამინთან გამარჯვებას იგონებდა. უცხოელი სტუმრები ათენელებს არ ჩამორჩნენ და ერთსულოვანი ტაში დაჰკრეს.

— ვუტირეთ თუ არა ქსერქსეს მეომრებს ცოლ-შვილი?! — მხიარულად წამოიძახა ერთმა მეზღვაურმა.

— ოჰ, რას მოთქვამდნენ უბედურები! — დასძინა მეორემ. მერე ხელები საყვირივით პირზე აიფარა და დაიქუხა:

— დიდება თემისტოკლეს! დიდება სალამინის გმირს!

ხალხს ფრინიქე გადაავიწყდა და ყველა თემისტოკლეს ასხამდა ხოტბას. ქება-დიდების შეძახილებს ბოლო არ უჩანდა...

უცხოელ სტუმართა შორის სერიფოსის[1] წარმომადგენელიც ერია. ბრგე ვაჟკაცი გამჭირდავი ღიმილით ისმენდა ხალხის აღტაცებულ შეძახილებს. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა, თემისტოკლეს მიადგა და უთხრა:

— ღირსეულო მოქალაქევ! ნუ დაივიწყებ, რომ შენი სახელი და დიდება ათენის ძლიერებამ წარმოშვა!

გარშემო მყოფნი უხერხულად შეიშმუშნენ. თემისტოკლე აენთო და უცხოელს ბოროტი მზერა მიაპყრო.

— უთუოდ მართალს ბრძანებ! — მიუგო მან, — მე რომ სერიფოსიდან ვყოფილიყავ, ამგვარ სახელსა და დიდებას ვერ მოვიპოვებდი. მაგრამ შენ ათენელ მოქალაქედაც რომ დაბადებულიყავ, ჩემებრ სახელოვანი მაინც ვერ გახდებოდი!

სერიფოსელი ვაჟკაცი ცივად გატრიალდა...

თეატრში კი აღტაცებული ყიჟინა არ ცხრებოდა. ბოლოს ვიღაცამ დრო იხელთა და წამოიძახა:

— მოქალაქენო! ფრინიქეს რაღას ვერჩით? მოხუც პოეტსაც მივულოცოთ გამარჯვება!

ხალხმა ახლაღა გაიხსენა ტრაგედიის ავტორი. გაიხსენა და ისეთი ყიჟინა დასცა, რომ იქაურობა შეზანზარდა.

— ფრინიქე! — გაისმოდა შეძახილები, — პირველი ჯილდო ფრინიქეს!

სოფოკლემ თავი ვეღარ შეიკავა, წამოხტა და მეზობელს შეუტია:

— ჯილდოების განაწილებისაგან თავი შეიკავე! მსაჯულებმა უკეთ იციან, ვის მიანიჭონ პირველი ჯილდო!

თემისტოკლე ფრინიქესთან მივიდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ასეთი წარმატება, ვგონებ, ესქილეს ტრაგედიებსაც არ ჰქონია. გამარჯვებას გილოცავ, მოხუცო!

— გამარჯვებამდე ჯერ შორს არის! — მიუგო ფრინიქემ, — ყველაფერს ხვალინდელი დღე გადაწყვეტს.

დიახ, მხოლოდ ხვალ, 13 ელაფებოლიონს უნდა გადაწყვეტილიყო პოეტთა დავა...

---

[1] პატარა კუნძული ეგეოსის ზღვაში.

ფრინიქემ ღამე მოუსვენრად გაატარა. დილაადრიან წამოდგა და ივანზე გავიდა. ეზოში ოციოდე კაცი ელოდა.

— ყველანი აქ არიან? — ჰკითხა ფრინიქემ მსახურს.

— დიახ, ბატონო!

მოხუცმა ჯიბიდან სავსე ქისა ამოიღო და შეკრებილთ გადასძახა:

— აღთქმულ გასამრჯელოს ჩემი მსახურისაგან მიიღებთ. თეატრში მხედველობიდან არ დამკარგოთ. ნიშანი მარჯვენა ხელის აღმართვა იქნება. ახლა თვალიდან დამეკარგეთ!

მსახურმა კიბე ჩაირბინა და ფულის დარიგებას შეუდგა. ცოტა ხნის მერე ეზო დაცარიელდა.

ფრინიქემ ხელები აღმართა და წარმოთქვა:

— ძლიერო ზევსო! ბოროტებად ნუ ჩამითვლი ამგვარ საქციელს. ხომ შეიძლებოდა, ესქილეს მართლაც გაემჟღავნებინა მისტერიის საიდუმლოებანი!

ივანზე პოლიფრადმონი გამოვიდა. მამის სიტყვებს ყური მოჰკრა და გაკვირვებულმა მხრები აიჩეჩა...

* * *

ევფორიონმა ტალთიბე იხმო და უთხრა:

— შენი იმედი მაქვს, მეგობარო! რომ დაბრუნდები ყველაფერი დაწვრილებით მიამბე!

— როგორ? — გაოცდა ტალთიბე, — განა თეატრში წამოსვლას არ აპირებ?

— არა! — მიუგო ევფორიონმა, — თავს შეუძლოდ ვგრძნობ და გადავწყვიტე, შინ დავრჩე!

ტალთიბემ თავი ჩაქინდრა. ერთხანს ასე იდგა და მერე ჩაილაპარაკა:

— პატარა ბატონს მარტოდ ვერ დავტოვებ. რაკი აგრეა, მეც შინ დავრჩები!..

— არა, — მტკიცედ მიუგო ევფორიონმა, — შენ ახლავე წახვალ თეატრში, რომ ხეირიანი ადგილი დაიკავო! ჩემთან ჩემი ფიქრები დარჩებიან. მსურს, მარტო გავატარო დღევანდელი დღე!

მსახური გაჯიუტდა, მაგრამ არც ევფორიონი აპირებდა დათმობას. ცოტახნის მერე ტალთიბე ბუზღუნით გაუდგა გზას...

თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. ყველა მოუთმენლად ელოდა წარმოდგენის დაწყებას.

მსახიობთა ოთახში ნიკიასი დაფუსფუსებდა. ესქილე სამფეხა სკამზე ჩამომჯდარიყო და ღიმილით გაჰყურებდა აღელვებულ ქორეგოსს.

— დიდებულო პოეტო! — წამოიძახა ლისანდრემ და ხელი ნიკიასისაკენ გაიშვირა, — ეს კაცი დააბი, თორემ დაგვცოფა ხალხი.

— ერთი ამას დამიხედეთ! — გაჯავრდა ნიკიასი, — ორიოდე სიტყვა გაიზეპირა და თავი ბატონი ჰგონია! მე კი იმდენი საქმე მაქვს, აღარც მახსოვს უკანასკნელად როდის მეძინა!

— როგორ? — გაიკვირვა ლისანდრემ, — გუშინდელი დღე დაგავიწყდა? ფრინიქეს ტრაგედია რომ დაიწყო, ისეთი ხვრინვა ამოუშვი, გუნდის სიმღერა აღარ ისმოდა. მართლა, ფერდები როგორა გაქვს?

— როგორ უნდა მქონდეს?

— რა მოგახსენო! მაყურებლებმა ყოველი მხრიდან მუჯლუგუნები წაგიშინეს, მაგრამ მაინც ვერ გამოგაღვიძეს!

ესქილე წამოდგა, ნიკიასთან მივიდა და უთხრა:

— დაწყნარდი, ძმობილო, ყველაფერი კარგად იქნება!

ნიკიასმა მხრები აიჩეჩა. საკვირველი კაცია ეს ესქილე! თუმცა ზოგიერთები ამბობენ ფიცხიაო, მაგრამ აქ, თეატრში, ერთხელაც არ აღელვებულა... სიმშვიდეც გადამდები ყოფილა! როცა ესქილე გამოჩნდებოდა, არც ქორეგოსი და არც მსახიობები აღარ ღელავდნენ. ნიკიასმა ესქილეს მკლავში ხელი გაუყარა, გვერდზე გაიყვანა და ჩუმად უთხრა:

— ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი. ფრინიქე ახლა გამოფხიზლდა და დიდებული ტრაგედია დაწერა, თემისტოკლემ მისი ქორეგოსობა იკისრა, სალამინის გახსენებამ ხალხი ჰკუიდან შეშალა... ყველაფერი ჩემს ქორეგოსობაში მოხდა. ცუდი ფეხისა ვყოფილვარ და უნდა მაპატიო...

— შენ რა შუაში ხარ, ძმობილო! — მიუგო ესქილემ. — ყველაფერი დიდებულად მოამზადე. ქსენოკლეს მერე შენისთანა ქორეგოსი მე არ მყოლია. და თუ მაინც დავმარცხდით, დამნაშავე მხოლოდ მე ვიქნები!

ლისანდრემ ესქილეს სიტყვებს მოჰკრა ყური და წამოიძახა:

— დამარცხება რა სათქმელია, მოქალაქენო! ისღა გვაკლია, ფრინიქემ გვაჯობოს! ღირსეულ ესქილეს პირველ ჯილდოს ვერავინ შეეცილება!

— მართალია! — წამოიძახა ლისანდრეს სიტყვებით გამხნევებულმა ნიკიასმა, — აი, უკვე სცენაზე გვიხმობენ. თქვენი იმედი მაქვს, ყმაწვილებო!

მსახიობები და მეგუნდენი ოთახიდან გავიდნენ.

წარმოდგენა დაიწყო.

ესქილე კვლავ სკამზე ჩამოჯდა. ოთახიდან გასვლა არც უფიქრია. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც დიდი პოეტი არც ტრაგედიაში მონაწილეობდა და არც მაყურებლებში ერია. თავი ხელებში ჩაერგო და მოზღვავებულ ფიქრებს გაჰყოლოდა...

უეცრად ტაშის გრიალი მოესმა. ესქილე შეკრთა და სწრაფად წამოდგა. ოთახში ნიკიასი შემოიჭრა. სახე გაბადრული ჰქონდა და თვალები უბრწყინავდა. ნიკიასს მსახიობები და მეგუნდენი შემოჰყვნენ. პირველი ტრაგედია დასრულებულიყო...

— თქვენ კი დამარცხებაზე ლაპარაკობდით! — მხიარულად ამბობდა ლისანდრე და ნიღაბს იხსნიდა. — ლამის არის მაყურებელმა თეატრი დაანგრიოს!

ოთახს მიღმა მართლაც უჩვეულო რამ ხდებოდა. მაყურებლები ფეხზე წამოჭრილიყვნენ, ფრინიქეც და სალამინიც დავიწყებოდათ და პირზე ყველას ესქილეს სახელი ეკერა.

— მგონი ფრინიქეს თემისტოკლეც ვეღარ უშველის! — ამბობდა ერთი.

— დიდი იმედი კი ჰქონდა გამარჯვებისა. ალბათ, დარდს გადაჰყვება საბრალო მოხუცი!

— ვნახოთ, ვნახოთ... — ბუზღუნებდნენ ნახევრად იმედგადაწურული ფრინიქეს მომხრეები, — ყველაფერს მსაჯულები გადაწყვეტენ!

მეორე ტრაგედია რომ იწყებოდა, ფრინიქეს დამქაშები ხალხში გაიფანტნენ. უმეტესობამ ზედა რიგებს მიაშურა და იქ მოკალათდა. თეატრში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და წარმოდგენა დაიწყო. ერთხანს ყველაფერი თავისი გზით მიდიოდა. მაყურებელი განაბული ისმენდა ტრაგედიას. მსახიობი და გუნდი ხოტბას ასხამდნენ

ქალღმერთ დემეტრეს. მოულოდნელად ვიღაც ახმახი წამოიჭრა და დაიძახა:

— რას დადუმებულხართ, მოქალაქენო! განა ვერ ხედავთ, რომ ესქილე შეურაცხყოფას აყენებს ქალღმერთს?

აქეთ-იქიდან მხარი აუბეს და ცილისმწამებლურ შეძახილებს გამაყრუებელი სტვენაც დააყოლეს.

მეგუნდენი და მსახიობი შეცბენ. სათქმელს თავი ვეღარ მოუყარეს და უხერხულად იშმუშნებოდნენ...

ზედამხედველები დაფაცურდნენ. აღშფოთებული მოქალაქეებიც წამოეშველენ და თავხედები ჩააჩუმეს.

მსახიობი და მეგუნდენი გონს მოეგენ და წარმოდგენა გააგრძელეს.

არისტიდემ ტრაგედიის ცქერას გული ვეღარ დაუდო და მაყურებლები შეათვალიერა. მისი მზერა ფრინიქემ მიიტაცა. მოხუც პოეტს სახეზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა და შვილს მაჯაზე ხელს უჭერდა. გაკვირვებული პოლიფრადმონი აქეთ-იქით იყურებოდა...

არისტიდემ თავი ისე გაიქნია, თითქოს უსიამოვნოდ აკვიატებული აზრის მოცილებას ცდილობსო. სწორედ ამ დროს ვიღაცამ კვლავ დაიჭექა:

— მოქალაქენო! ოლიმპიელნი შურისძიებისაკენ მოგვიწოდებენ! ესქილემ მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნა!

— ყოველგვარ საზღვარს გადასცდა და ღმერთები შეურაცხყო! — დასძინა მეორემ.

— რაო? — იკითხეს გაოცებულმა მოქალაქეებმა.

— ესქილემ მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნაო!

ირგვლივ საშინელი ალიაქოთი ატყდა. ხალხი გონს ვერ მოსულიყო და გაოგნებული კითხულობდა:

— როგორ?

— რანაირად?

— მე ხომ გულდასმით ვუსმენდი ტრაგედიას?

— უგუნურნო, თვით ღმერთებს დაუხშირათ თქვენთვის გონება! — პასუხობდნენ ფრინიქეს მომხრეები და ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ.

არისტიდე სწრაფად წამოდგა და გასასვლელისაკენ გაემართა.

ხელჯოხოსანი ზედამხედველები აქეთ-იქით დარბოდნენ და მაყურებლებს წესრიგისაკენ მოუწოდებდნენ. მოქალაქეთა უმრავლესობა ჯერ კიდევ არ აჰყოლოდა ფეხის ხმას და ზედამხედველებს ეხმარებოდნენ. ბოლოს თეატრში სიჩუმე ჩამოწვა და დაბნეულმა მსახიობებმა ტრაგედია გააგრძელეს.

სწორედ ამ დროს არისტიდე მსახიობების ოთახში შევიდა. სახეწამოწითლებული და აღელვებული ქორეგოსი ბეჭებგანიერ ვაჟკაცს ელაპარაკებოდა. არისტიდემ შორიდანვე იცნო მეგობარი.

— ესქილე! — გასძახა მან.

ესქილე სწრაფად შემოტრიალდა. ფერი ოდნავ მიხდოდა და წარბები უთამაშებდა.

— რა ხდება? — ჰკითხა მან არისტიდეს.

არისტიდემ მხრები აიჩეჩა. მერე მეგობარს მკლავზე ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— წავიდეთ!

ესქილემ ხელები გაშალა.

— ჯერ ხომ წარმოდგენა არ დამთავრებულა?!

— წავიდეთ-მეთქი! — ხმას აუწია არისტიდემ და ესქილე თითქმის ძალით გაიყვანა ოთახიდან. — აქ ქორეგოსიც იკმარებს. წარმოდგენას უშენოდაც ჩაათავებენ!.. თუ ადროვეს... — დასძინა მან.

— ვინ? — ჰკითხა ესქილემ და შეჩერდა.

— მაყურებლებმა! — მიუგო არისტიდემ, — რაღაც უცნაური რამ ხდება. ვერაფერი გამიგია, გული კი ცუდს მეუბნება. სჯობს, აქაურობას გავეცალოთ!

მეგობრები თეატრს გასცდნენ და ვიწრო ქუჩას დაადგნენ. დიონისეს საკურთხევლის წინ შეჩერდნენ და უკან მიიხედეს. თეატრიდან კვლავ ყიჟინა და სტვენა მოისმა. არისტიდე შეკრთა და დაიძაბა. ესქილემ ორიოდე ნაბიჯი წინ წადგა და ყურზე ხელი მიიფარა.

— რა ხდება? — ჩაილაპარაკა მან.

...მოტყუებული ხალხი ფრინიქეს დამჭაშებს აჰყოლოდა და ესქილეს აუგად იხსენიებდა. ზედამხედველები ამაოდ ცდილობდნენ წესრიგის დამყარებას. გამძვინვარებული მოქალაქეები წამოშლილიყვნენ და სცენისაკენ მიიწევდნენ.

— ნეტავ ეს ხალხი რამ გააგიჟა? — წამოიძახა შეშფოთებულმა პოლიფრადმონმა და წამოვარდა.

ფრინიქემ შვილს ბოროტი მზერა მიაპყრო, მაგრამ თქმით კი არაფერი უთქვამს.

ამ დროს გამაყრუებელმა გრიალმა იქაურობა შეძრა. შეძრწუნებული მოქალაქეები გაინაბენ. ხმაური რომ მიწყდა, ხალხს გულისმომკვლელი გმინვა მოესმა. თითქოს ათასობით ადამიანი ერთად კვნესოდა.

— ზედა მერხები ჩაინგრა! — დაიძახა ვიღაცამ.

ხალხმა პირი იბრუნა და ახლა ყველა ზემოთ მიაწყდა. იქ კი ხის ნამტვრევები, ქვები და ადამიანები ერთმანეთში იყო არეული. სიღრმიდან საცოდავი გმინვა მოისმოდა და ყველაფერი წითლად შეღებილიყო...

— შურისგების ჟამი მოიწია! — იკივლა ფრინიქემ, — ღმერთებმა ჩვენი უგუნურებისათვის დაგვსაჯეს!

— ეს რა უბედურება დატრიალდა, — ჩაილაპარაკა პოლიფრადმონმა, — ტრაგედია ტრაგედიის დროს!..

ესქილე და არისტიდე დიონისეს საკურთხევლის წინ იდგნენ. გრიალი რომ მოესმათ, შეშფოთებულებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა უნდა იყოს? — იკითხა არისტიდემ.

ამ დროს მოსახვევიდან ოციოდე წლის ჭაბუკი გამოვარდა. ესქილემ მყის იცნო ყმაწვილი და მიაძახა:

— რა ხდება, სოფოკლე?

— გამალებული დაგეძებდი, ღირსეულო ესქილე! — მიუგო ჭაბუკმა, — ხალხი შენს წინააღმდეგ ამხედრდა. ვგონებ, ფრინიქეს ოინებია, სასიკვდილოდაც გიმეტებენ... თავს უშველე!

— თავს ვუშველო? — ესქილემ წარბები შეიკრა, — მერედა რას მაბრალებენ?

— ხალხი უგუნური ბრბო არის. ადვილად აჰყვება ფეხის ხმას. ერთხმად გაიძახიან, ესქილემ მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნაო!

— ყეყეჩები! — წამოიძახა არისტიდემ, — თავადაც არ იციან, რას როშავენ!

— ამას ერთი უბედურებაც დაერთო. თეატრში ზედა მერხები ჩაინგრა და მაყურებლებიც ჩაიტანა. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეს ღმერთების შურისგება იყო!

— თეატრი ჩაინგრა? — ჩაილაპარაკა ესქილემ და ფერი ეცვალა, — მაყურებლებიც ჩაიტანა?..

ესქილეს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მათთან კიმონი მიიჭრა. მილტიადეს სამახსოვროდ გამოჭედილი მახვილი გვერდს უმშვენებდა.

— აქა ხართ? — წამოიძახა მან, — ღირსეულო ესქილე, დრო აღარ ითმენს, გაიქეცი და თავს უშველე!

— გავიქცე? — მწარედ ჩაიცინა ესქილემ და ხელი ჩაიქნია, — შერედა ვის გავექცე, ლაჩრების ბრბოს?

— ეგ ბრბო ყველაზე საშიშია, დიდებულო ესქილე! — უთხრა სოფოკლემ, — მათ უკვე სჯერათ, რომ ღმერთების წინაშე ბრალი შიგიძღვის. დანდობას არ უნდა ელოდე!

— წავიდეთ! — თქვა არისტიდემაც და ესქილეს მკლავზე ხელი მოჰკიდა.

სწორედ ამ დროს მოსახვევიდან ხალხი გამოცვივდა.

— აი, ესქილეც! — იყვირა ერთმა.

— ახლა კი ვეღარსად გაგვექცევა! — დასძინა მეორემ.

გამძვინვარებული ბრბო ესქილეს სირბილით უახლოვდებოდა.

— შედი ტაძარში! — დაიძახა არისტიდემ.

ესქილეს ბიჯიც არ წაუდგამს. წამოსასხამი შეისწორა და დასახვედრად მოემზადა.

სოფოკლე მუხლებზე დაეშვა და შეჰღაღადა:

— დიდებულო ესქილე! გემუდარები, საკურთხეველს შეაფარე თავი!

ყველაფერი წამებს უნდა გადაეწყვიტა. მდევარი ოციოდე ნაბიჯითღა თუ იქნებოდა დაცილებული. არისტიდემ ესქილეს ხელი სტაცა და ძალით შეაგდო დიონისეს საკურთხეველში. თავად შესასვლელთან გაჩერდა და მდევარს დაელოდა. კიმონი და სოფოკლე შხარში ამოუდგნენ სტრატეგოსს.

ბრბომ წმიდა კანონის დარღვევა ვერ გაბედა და საკურთხევლის წინ შედგა.

— ქურუმებს უხმეთ! — დაიძახა ვიღაცამ, — ტაძრიდან ისინი გამოიყვანენ!

— სწორია! — იხუვლეს დანარჩენებმა და ქურუმები მოიკითხეს.

ორი ქურუმი ხალხს გამოეყო და შესასვლელისაკენ გაემართა.

კიმონმა მარჯვენა ხელით მახვილი ჩაბღუჯა. სოფოკლემ მუშტები მოკუმშა. არისტიდემ ორიოდე ნაბიჯი წინ წადგა, ქურუმებს გზა გადაუღობა და ჩუმად, მაგრამ გარკვევით უთხრა:

— თუ თქვენ მართლაც აპირებთ უსამართლოდ დევნილი ესქილეს გამოყვანას, შეიძლება მე დამავიწყდეს, რომ ქურუმები ხართ!

გაოცებულმა ქურუმებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს და მერე არისტიდეს მიაპყრეს მზერა. ერთიც და მეორეც მალე დარწმუნდა, რომ სტრატეგოსი უთუოდ შეასრულებდა მუქარას. ერთხანს გაოგნებულნი იდგნენ, მერე უკან გაბრუნება იკადრეს და ხალხში მიიმალნენ.

ბრბო კი ვერ ისვენებდა. აღელვებული ხალხი ესქილეს დასჯას მოითხოვდა.

— მოქალაქენო! — იყვირა ერთმა, — ვინც ესქილეს დაცვას იკისრებს, განა ის კი არ უნდა დაისაჯოს?

— უნდა დაისაჯოს! — დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

არისტიდემ მწარედ ჩაიცინა.

— უგუნურნო! — დაიქუხა მან, — ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ აღტაცებით ახსენებდით ესქილეს სახელს. ახლა კი ცილს სწამებთ ელადის სიამაყეს. განა თქვენ ათენელებად უნდა იწოდებოდეთ?

— ესქილემ მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნა! — წამოიკნავლა ვიღაცამ.

— და ამიტომ დაისჯება კიდეც! — დასძინა მეორემ.

— გესმით კი რაებსა როშავთ, — თავი ვეღარ შეიკავა კიმონმა, — თვით ზევსს დაუხშია თქვენთვის გონება!

— აი, თემისტოკლეც! — იყვირა ხალხმა, — დაე, მან გადაწყვიტოს ჩვენი დავა.

თემისტოკლე სწრაფი ნაბიჯით მიადგა შეკრებილთ.

— რა ხდება? — იკითხა მან.

— ესქილემ თავი საკურთხეველს შეაფარა. ვერ გამოგვიყვანია, რომ დავსაჯოთ! — მიუგეს აქეთ-იქიდან.

— რატომ სჯით?

— ტრაგედიაში მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნა...

— ეგ ჭორი თეატრშიც გავიგონე! — უხეშად გააწყვეტინა თემისტოკლემ.

— ჭორი რა შუაშია, ბელადო! — უკმაყოფილოდ უთხრა ბრგე მეზღვაურმა.

— ჭორია, თუ არა, ამას ჩვენ გადავწყვეტთ! — თქვა ხანშიშესულმა მოქალაქემ.

— ესქილეს არეოპაგი გაასამართლებს! — დასძინა მეორემ.

— ესენი ვინღა არიან? — იკითხა ახალგაზრდა კაცმა.

— არეოპაგის წევრები!

— რით ვეღარ გაიგეს ამ ბებრებმა, რომ არეოპაგი ყოვლის შემძლე არ არის? — წამოიძახა შუახნის ხელოსანმა.

— ისევ ძველი დრო ჰგონიათ!

— თემისტოკლე გასცემს მაგათ საკადრის პასუხს!

— მოქალაქენო! — გაისმა თემისტოკლეს ომახიანი ხმა, — ბრძენია არეოპაგი. მას მივანდოთ ესქილეს საქმის გადაწყვეტა. ახლა კი დაიშალენით და თქვენს ბინებს მიაშურეთ!

ხალხში უკმაყოფილო ბუზღუნი გაისმა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ არეოპაგი ესქილეს გაამართლებდა. ურჩობა მაინც ვერავინ გაბედა და ცოტა ხნის მერე მოქალაქენი უხალისოდ გაუდგნენ გზას. არისტიდემ სოფოკლეს მაჯაზე ხელი მოუჭირა და წასჩურჩულა:

— არეოპაგისათვის თემისტოკლე რელიგიასთან დაკავშირებულ საქმეებსღა იმეტებს. მაინც კარგი სამსახური გაგვიწია. ამ ბრბოს მხოლოდ ეგ თუ დააშოშმინებდა. — მერე თემისტოკლესთან მივიდა და უთხრა: — მადლობას გიძღვნი, ღირსეულო ვაჟკაცო!

— ესქილეს დაცვა ყველა ათენელის ვალია. მეც ჩემი მოვალეობა შევასრულე! — ცივად მიუგო თემისტოკლემ და გატრიალდა.

* * *

16 ელაფებოლიონს ქალაქში ხმა დაირხა, პირველი ჯილდო ფრინიქეს მიანიჭეს, მეორე არისტიას, ესქილე კი სულაც არ არის ნახსენები დიდასკალიაშიო. ათენელებზე სხვადასხვაგვარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ცნობამ.

— ფრინიქემ დამსახურებულად მოიპოვა გამარჯვება! — ამბობ-

დნენ ერთნი, — ესქილე კი იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ ამჯერად ცოცხალი გადარჩაო!

— ეგ კი აგრეა, — პასუხობდნენ მეორენი, — მაგრამ იმ დღეს დატრიალებული უბედურების მერე ჯილდოების განაწილებისაგან თავი უნდა შეეკავებინათ!

ესქილეს მომხრეები კი არც ერთ აზრს იზიარებდნენ და არც მეორეს. ფრინიქეს გამარჯვება დამამცირებლად მიაჩნდათ, ჯილდოების განაწილება კი არნახულ უსამართლობად!

— ათენელები მალე ინანებენ უღირს საქციელს, — ამბობდნენ ისინი, — კვლავაც ქედს მოიხრიან სახელოვანი ესქილეს წინაშე!

მოქალაქეთა უმრავლესობას მწარე ეჭვი აეკვიატა: სწორად კი მოიქცნენ? ესქილემ მართლაც გაამჟღავნა მისტერიის საიდუმლოებანი?

ყველა მოუთმენლად ელოდა არეოპაგის გადაწყვეტილებას. როგორც ფიქრობდნენ, ისე მოხდა: არეოპაგმა ესქილე გაამართლა.

— მარათონის გმირს ბრალი არ მიუძღვის. მას არ შეეძლო გაემჟღავნებინა მისტერიის საიდუმლოებანი, რაც მისთვისაც დაფარული იყო. თეატრის ჩანგრევა მოქალაქეთა უღირსმა ქცევამ გამოიწვია. ღმერთების შურისგება არაფერ შუაშია! — ასეთი გახლდათ არეოპაგის გადაწყვეტილება.

— მოგვატყუეს! — ამბობდნენ შეწუხებული მოქალაქეები, — ბოროტმა ენებმა გაგვაბრიყვეს და აგვიყოლიეს. ღმერთები დაგვსჯიან ჩვენი უგუნურებისათვის!

ხალხს არ სურდა ბრალიანი დარჩენილიყო. ჯილდოების განაწილების თაობაზე მსაჯულთა დადგენილების გაუქმება მოითხოვეს. თემისტოკლემ გადაჭრით გაილაშქრა ამ წინადადების წინააღმდეგ.— ესქილეს რომ ბრალი არ მიუძღოდა, ჩემთვის თავიდანვე ნათელი იყო! — ამბობდა ის, — მაგრამ ფრინიქემ რაღა დააშავა? რატომ ჩამოვართვათ პირველი ჯილდო? ამჯერად ხომ მისი ტრაგედიები იყო საუკეთესო!

ხალხს კი ეს არ ჯეროდა. თემისტოკლესთან მაინც ვერაფერი გააწყო და მსაჯულებსაც თავიანთი გადაწყვეტილება აღარ შეუცვლიათ...

საღამო ხანი იყო. ესქილესთან მეგობრებმა და ახლობლებმა მოიყარეს თავი. ყველა აღელვებული და შეწუხებული ჩანდა. მას-

პინძელს ხელები ზურგზე დაეწყო და ოთახში თავჩაქინდრული დაბიჯებდა. არისტიდე ღია კარებთან იდგა, რაღაც წერტილი ამოერჩია და დაჟინებით მისჩერებოდა. ევფორიონი კუთხეში მიყუჟულიყო და თავი ხელებში ჩაერგო. იქვე კიმონი და სოფოკლე ისხდნენ. ტალთიბეს გულხელი დაეკრიფა და კედელს მიყრდნობოდა. ნიკიასი უხერხულად იშმუშნებოდა.

კიბეზე აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. ყველამ იქეთ მიიხედა. ოთახში ქსენოკლე შემოიჭრა.

— სალამი ღირსეულ მოქალაქეებს! — თქვა მან, — ამბობენ, ესქილე სიცილიაში აპირებს გადასახლებასო. მართალია?

არავინ უპასუხა. სტუმრებმა მასპინძელს მიაპყრეს მზერა. ბოლოს არისტიდემ თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა:

— ჩვენ რად გვეკითხები? აი, ამ ვაჟბატონს ჰკითხე! — და ხელი ესქილესაკენ გაიშვირა.

— მართალი გახლავს! — ნაღვლიანი ღიმილით მიუგო ესქილემ და დასძინა: — გადაწყვეტილება საბოლოოა და ტყუილად ნუ ეცდები შემაცვლევინო!

ქსენოკლე სავარძელზე დაეშვა. ტალთიბე შეტოკდა და ამოიოხრა. არისტიდე ქსენოკლეს მიადგა და უთხრა:

— ახლა ისიც ჰკითხე, რატომ მიიღო ამგვარი გადაწყვეტილება!

ესქილემ თვალი თვალში გაუყარა არისტიდეს. ერთხანს ასე იდგა და ხმას არ იღებდა. მერე სკამი მაგიდასთან მიაჩოჩა და მეგობარს მკაცრად უთხრა:

— როცა გინდოდა ჩემთვის რაიმე გეთქვა, სხვისი მეშვეობით არ მელაპარაკებოდი. ახლაც პირდაპირ მითხარ, ბრალს რაში მდებ!

— კეთილი! — მიუგო არისტიდემ, — აქ მყოფთაგან დასამალი არაფერი გვაქვს. გულახდილად ვილაპარაკოთ!

ევფორიონმა თავი ასწია. სოფოკლემ და კიმონმა სკამები მაგიდისაკენ მიაჩოჩეს. ტალთიბემ ყურები ცქვიტა. ქსენოკლემ და ნიკიასმა მასპინძელს მიაპყრეს მზერა.

— თანახმა ვარ! — თქვა ესქილემ.

— რამ გადაგაწყვეტინა მშობლიური ქალაქის მიტოვება? ანდა რაღა სწორედ სიცილიაში მიემგზავრები? დაუფარავად გვითხარ ყველაფერი და ჩვენც ჩვენს აზრს მოგახსენებთ!

ესქილემ შეკრებილთ თვალი მოავლო. სათქმელს თავი მოუყარა და დინჯად დაიწყო:

— ათენის საკეთილდღეოდ თავი არასდროს დამიზოგავს. მარათონის ველზეც ვიბრძოდი, ფსიტალოსზეც და პლატეასთანაც. მგონა, მოქალაქეების სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურე. მათ აღტაცებულ შეძახილებს რომ ვისმენდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და თავს უბედნიერეს კაცადაც ვთვლიდი. მაგრამ ეს სიხარული პატივმოყვარეობით როდი იყო გამოწვეული. ვფიქრობდი, ჩემი ხალხის წინაშე ვალში არ დავრჩენილვარ-მეთქი. იქნებ იმდენი ვერც შევძელი, რაც მეწადა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავ, რომ ის მაინც გავაკეთე, რაც ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატებოდა. რა ვიცოდი, მწარე სინანული თუ მელოდა. ერთ დღეს ყველაფერი უკუღმა დატრიალდა. ათენელებმა ერთბაშად სამი საშინელი თვისება გამოამჟღავნეს: ბოროტება, უმადურება, და უგუნურება. ერთი მათგანიც საკმარისია ადამიანის დასამცირებლად, მაგრამ სამივე ერთად მეტისმეტია... განუსჯელად ბრალი დამდეს, სიკეთე დამიწყეს და სასიკვდილოდაც გამიმეტეს. მას მერე გული გამიტყდა, იმედი გამიცრუვდა და ცხოვრების მიზანიც უკვალოდ გაჰქრა...

ესქილე გაჩუმდა. ნაღვლიანი თვალები ოთახს მოავლო. ევფორიონს ცრემლები მოდგომოდა. სხვები გარინდულნი ისხდნენ. სიჩუმე სოფოკლემ დაარღვია:

— ღირსეულო ესქილე! — თქვა მან, — ხალხმა შეინანა უღირსი საქციელი. მოქალაქეები კვლავინდებურად პატივს გცემენ და გადიდებენ!

— განა წინათ არ მადიდებდნენ? — მწარედ ჩაიცინა ესქილემ,— მერე კი უყოყმანოდ გამწირეს. სულაც არ გამიკვირდება, რომ ხვალ კვლავ სასიკვდილო განაჩენი გამომიტანონ...

— მხოლოდ ეგ არის შენი გამგზავრების მიზეზი? — ჰკითხა არისტიდემ.

— არა! — მიუგო ესქილემ და განაგრძო: — ჩემი ტრაგედიის წარმოდგენის დროს თეატრი ჩაინგრა და ხალხი ჩაიტანა. ვინ იცის რამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა ან დასახიჩრდა. მას მერე ძილი გამიკრთა და მოსვენება დავკარგე. ზოგჯერ გმინვა შემომესმება და თითქოს ცხადად ვხედავ, როგორ მოფორთხავენ ზედაპირისაკენ დასისხლიანებული მოქალაქეები. მე კი იქვე, კიდესთან ვდგა-

ვარ და თავზარდაცემულს ხელიც ვერ გამიწვდია მისაშველებლად. — რას გვერჩოდი, ბოროტო სულო! ცოლ-შვილი უპატრონოდ რად დაგვიყარე? — მომძახიან საცოდავები და ზემოთ ამოსვლას ლამობენ. ლამობენ, მაგრამ ძალა არ ჰყოფნით. ზედაპირამდე მოაღწევენ. ჰაერს ხარბად ჩაისუნთქავენ და კვლავ ღრმა უფსკრულში ცვივიან. რაკი ფეხი წინ ვერ წამიდგამს, ვცდილობ, შეძახილებით გავამხნევო სისხლიანი ლანდები. ვცდილობ, მაგრამ ხმა არ მემორჩილება. საზარლად ვხრიალებ. ეს ხმა მეც შიშს მგვრის და იმათაც... ყველას მე ვგონივარ დამნაშავე. იქნებ არ ცდებიან და მართლაც ასეა? ათენში ყველაფერი იმ სისხლიან ტრაგედიას მაგონებს. მიკვირს, რომ დღემდე არ მივატოვე აქაურობა...

ესქილემ თავი ჩაღუნა. თრთოლას აეტანა ვაჟკაცი. ასე აღელვებული არავის ენახა და ყველანი გაჩუმებულები ისხდნენ. ესქილემ თავი ასწია და არისტიდეს ჰკითხა:

— იქნებ კვლავ მეტყოდი, რომ ათენში დავრჩენილიყავ?

არისტიდე სწრაფად წამოდგა, ესქილესთან მივიდა და უთხრა:

— მე მხოლოდ იმას გეტყვი, რომ ლაჩარი ყოფილხარ!

ესქილემ ხელი ჩაიქნია. სხვებმა კი გაოცებული მზერა მიაპყრეს არისტიდეს.

— 13 ელაფებოლიონის ტრაგედიამ ყველა ათენელს გული დასწყვიტა. მე არც ის მიკვირს, რომ იმ შემთხვევას სხვაზე მეტად შენ განიცდიდე. მაგრამ უცნაური ზმანებანი და, მით უფრო, საკუთარი თავის ტყუილუბრალოდ დადანაშაულება ვაჟკაცს არ შეეფერება!

— ყველა დარწმუნებულია, რომ დამნაშავე მე ვარ... — ჩაილაპარაკა ესქილემ.

— ეგ სიცრუეა. დღეს ხალხი აგრე აღარ ფიქრობს. — მიუგო არისტიდემ და დასძინა: — მაგრამ მთავარი ეს არ არის. მე მსურს ვიცოდე, თავად შენ რა აზრისა ხარ, თვლი თუ არა თავს დამნაშავედ?

— არა და არა! — წამოიძახა ესქილემ და ოთახს შეშინებული მზერა მოავლო.

— მეც აგრე ვფიქრობ. გონიერი ადამიანი სხვანაირად ვერც იფიქრებდა. მტკიცედ ირწმუნე შენი სიმართლე და უცნაური ზმანებებიც დაგეხსნებიან! — არისტიდემ ერთხანს იყუჩა და განაგრძო: — შენ არ გსურს, მოქალაქეებს იმდღევანდელი გაშმაგება

აპატიო. არაფრად აგდებ ხალხის გულწრფელ მონანიებას. იქნებ იმიტომ, რომ იერიში შენზე მოიტანეს? განა იმავე მოქალაქეებმა მე კი არ გამაძევეს მშობლიური ქალაქიდან? არასდროს მიფიქრია, რომ მათ წინაშე ბრალი მიმიძღოდა. მაგრამ არც შათი გამტყუნება მომსვლია აზრად. ხალხმა მაშინ თემისტოკლეს დაუჯერა და არისტიდე ზედმეტად ჩათვალა... მეც ხომ ყოველთვის ათენის კეთილდღეობისათვის ვიბრძოდი, მაგრამ მოქალაქეებს ეს არ გახსენებიათ და ფირფიტებს უყოყმანოდ დააწერეს ჩემი სახელი. გაძევებული დღენიადაგ სამშობლოში დაბრუნებაზე ვფიქრობდი. გულით მეწადა, ქვეყანასა და ხალხს დავხმარებოდი... შენ კი ნებაყოფლობით აპირებ მშობლიური მხარის მიტოვებას და სირაკუზში სამუდამოდ გადასახლებას. ხალხს ამაგის დაუფასებლობას სწამებ, მაგრამ თავად კი უმადურობას იჩენ. განა ათენმა შენთვის რაიმე დაიშურა? სახელიც მოგანიჭა და პატივიც. უსაზღვრო დიდების შარავანდედით შეგმოსა. ხალხმა პოეტთა მეფე გიწოდა და დიდებული თეატრის ბედი შენ მოგანდო. სამაგიეროდ? სამაგიეროდ, ქალაქის მიტოვებას აპირებ. განრისხებული ხარ, ხალხი ფეხას ხმას როგორ აჰყვაო! განა შენ კი სხვაგვარად მოიქეცი? საკუთარ სიმართლეში ეჭვი მხოლოდ იმიტომ შეიტანე, რომ სხვები ბრალს გდებენ. რასაც თავადაც გააკეთებ, სხვას იმისათვის ნუღარ დაძრახავ! მერედა ვინ უფრო გონიერი აღმოჩნდა, ესქილე თუ ათენელი მოქალაქეები? ათენელებმა შეცდომა აღიარეს და გულწრფელად მოინანიეს დანაშაული. შენ კი ჯიუტობ და არ გსურს სიმართლეს თვალებში შეხედო!

არისტიდემ სათქმელი დაასრულა. ევფორიონმა თავი ასწია და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— იქნებ მართალიც იყოს ღირსეული არისტიდე!..

— შენც აგრე ფიქრობ? — წამოიძახა ესქილემ და არისტიდეს მიუბრუნდა: — მე ხომ ჯერ სათქმელი არ დამიმთავრებია!

ქსენოკლე სწრაფად წამოდგა, ესქილეს მიადგა და უთხრა:

— ნურაფერს იტყვი, დიდებულო პოეტო! ნუ ცდილობ თავი ათენელების მტრად წარმოგვიდგინო. დღეს შენ გული სირაკუზისაკენ მიგიწევს, ხვალ კი ათენი მოგენატრება. ვერავითარი ძალა იქ ვერ დაგამაგრებს და კვლავ მშობლიურ ქალაქს მოაშურებ! კარგად გიცნობ და ვიცი, ათენს ვერ გაწირავ!

— არა, ქსენოკლე! — მიუგო ესქილემ, — ეს გადაწყვეტილება აღელვების ჟამს როდი მივიღე. ათენში მე აღარ მედგომება. ჰიერონი[1] სირაკუზში მეპატიჟება და გუშინ თანხმობაც შევუთვალე... ევფორიონს წავიყვან და ახალ ცხოვრებას დავიწყებ...

არისტიდემ შენიშნა, რომ ესქილეს ხმას ბზარი შეჰპარვოდა. პოეტი მერყეობდა და ახალ შეტევას ვეღარ გაუძლებდა.

— მგონი რაღაც გინდოდა გეთქვა? — ჰკითხა არისტიდემ ესქილეს.

— დიახ! — მიუგო პოეტმა, — მინდოდა მეთქვა, რომ ათენის დატოვებას სხვა მიზეზებიც მაიძულებენ! მშობლიური ქალაქი ჩემი სიყვარულის საგანი იყო. ათენი მხიბლავდა მისი დაწესებულებებითა და ძველებური ადათ-ჩვევებით. თემისტოკლემ კი ყველაფერი შეცვალა და ხალხს მამა-პაპური ცხოვრების წესი დაავიწყა. დიდებულ არეოპაგსაც არ მოერიდა და მისი უფლებები შეზღუდა. ოსტრაკისმოც უკანასკნელად ყველაზე სამართლიანი კაცის წინააღმდეგ გამოიყენეს. მე არ ვაპირებ გულხელი დავიკრიფო და მშვიდად ველოდო, როდის გამაძევებენ ათენელები!..

— არც უნდა ელოდო! — დაცინვით მიაძახა არისტიდემ, — სჯობს ბრძოლის ველი ლაჩრულად მიატოვო და ცხრა მთას იქით გადაიხვეწო. ბარემ მე და კიმონიც გაგვიყოლიე. ჩვენც ხომ შენი თანამოაზრენი ვიყავით! ასპარეზი მოწინააღმდეგეებს დავუთმოთ. დაე, მშვიდად იბოგინონ და ათენელები საითაც სურთ, იქეთ წაიყვანონ, ჩვენ რა გვენაღვლება! არა! მე აგრე არ მოვიქცევი! სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბრძოლაზე ხელს არ ავიღებ. ჩემი ქალაქის კეთილდღეობას და დიდებას ცხოვრების მიზნად დავისახავ. მეგონა ამ ბრძოლაში მუდამ გვერდით მეყოლებოდი! მწარედ მოვტყუვდი. ვაჟკაცად გთვლიდი და ლაჩარი კი აღმოჩნდი!..

ესქილეს ფერი მიხდოდა და წარბები უთამაშებდა. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა:

— გეყოფა, როგორც შენ მირჩევ, ისე მოვიქცევი!

არისტიდე ერთბაშად მოლბა.

— აი, ეგ კი გონივრულია! — მხიარულად თქვა მან, — რჩევაც არ არის ძნელი საქმე. ათენელებმა დაუფიქრებელი მოქმედებით გული გატკინეს. ახლა შენ ძალზე აღელვებული ხარ. სირაკუზს გაემ-

[1] სირაკუზის ტირანი.

ვზავრე. გაერთე და წყენა დაივიწყე. მერე კელავ ათენს დაბრუნდი და საერთო საქმე გავაგრძელოთ!

ესქილე თავჩაქინდრული იდგა.

— ღირსეულო ესქილე! — მოწიწებით უთხრა კიმონმა, — ერთხელ შენ მითხარ, ამ მახვილით დაიცავი ჩვენი ადათ-წესები, ღმერთების მიერ ათენელთათვის საუკუნოდ დადგენილი კანონებიო!

— მერე? — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ესქილემ.

— მინდოდა შენივე სიტყვები შემეხსენებინა! — მოკრძალებით მიუგო კიმონმა და განზე გადგა.

— ამბობენ, ქოირილემ მთელი სიცოცხლე მშობლიურ თეატრს შეალიაო, — დაიწყო სოფოკლემ, — სიკვდილის ჟამს უთქვამს, ჰადესს დამშვიდებული მივდივარ, რადგან ათენის თეატრის საპეს-თან სახელოვანი ესქილე რჩებაო. დიდებულმა პოეტმა ქოირილეს ანდერძიც არ უნდა დაივიწყოს!

— მამა! — წამოიძახა ევფორიონმა და წამოიჭრა, — ხომ დავ-ბრუნდებით ათენში?

ყველამ ესქილეს მიაპყრო მზერა. ქსენოკლემ თავი ვეღარ შე-იკავა და იყვირა:

— გული მკერდიდან ამოხტომას ლამობს. გეითხარი რამე!

ესქილემ შეკრებილთ თვალი მოავლო, მერე ევფორიონს მიუბ-რუნდა და უთხრა:

— რაღა თქმა უნდა, დავბრუნდებით!

თემისტოკლეს ბარათი

ჰიერონ სირაკუზელმა ესქილე დიდის ამბით მიიღო. ჩასვლის-თანავე სასახლეში მიიწვია და დიდებული შეხვედრა მოუწყო.

— მოხარული ვარ, რომ ელადის სიამაყეს ჩემს მშობლიურ ქა-ლაქში ვესალმები! — თქვა ტირანმა და შეკრებილთ გადახედა, — სახელოვანი ესქილე და ძე მისი ევფორიონი სირაკუზში თავს ისე უნდა გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. იმედი მაქვს, მოქა-ლაქეები პატივსა და ყურადღებას არ მოაკლებენ სასურველ სტუმ-რებს!

— ჰიერონ სირაკუზელის სტუმართმოყვარეობა საქვეყნოდ არის განთქმული, — მიუგო ესქილემ, — მაგრამ დღევანდელმა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულ ქალაქში მოვხვდი. ნება მომეცი, ჩემი და ევფორიონის სახელით გულითადი მადლობა მოგახსენო!

კიდევ მრავალი თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს. გამომშვიდობებისას ჰიერონმა ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი წარუდგინა ესქილეს.

— ჩემს მსახურთა შორის ლამაქეს ვერავინ შეედრება. მარჯვეც არის და გონიერიც. დარწმუნებული ვარ, მისი სამსახურით კმაყოფილი დარჩები!

ლამაქემ მამა-შვილს მოხდენილად დაუკრა თავი. ვულაჩუყებული ევფორიონი აღტაცებას ვეღარ მალავდა...

— მშვიდობის ღამეს გისურვებ, დიდებულო პოეტო! — თქვა ჰიერონმა და დასძინა: — ჩემი სასახლის კარები მუდამაც ღია იქნება თქვენთვის!

ესქილემ და ევფორიონმა სასახლე დატოვეს.

ზღვის პირას კოპწია სახლი იდგა. ფართო ეზო მესერით იყო შემოვლებული. შუაგულ ეზოში აუზი გაეკეთებინათ და შიგ ნაირ-ნაირი თევზები დაცურავდნენ. ხილით დახუნძლული ხეები მსურველს ნაყოფს სთავაზობდნენ, ტურფა ყვავილები კი საამო სურნელს აფრქვევდნენ...

ლამაქემ სწორედ ამ სახლში დააბინავა ათენელი სტუმრები.

კმაყოფილი ესქილე და აღტაცებული ევფორიონი აივანზე გავიდნენ. ლამაქე ფეხდაფეხ მიჰყვა მამა-შვილს.

ქალაქის ჩრდილოეთით ბუმბერაზი ეტნა მოჩანდა. ესქილემ ხელი იქით გაიშვირა და ლამაქეს ჰკითხა:

— შორს არის?

— არც ისე, — მიუგო ლამაქემ, — უთუოდ მოგიწევთ იქით გასეირნება. ჰიერონ სირაკუზელმა სწორედ იმ მთის ძირას დააარსა ახალი ქალაქი!

— დიდებულია! — წამოიძახა ევფორიონმა, — ნეტავ მალე დადგეს ეგ დღე. ძალიან მინდა, ახლოს ვიხილო ეს გოლიათი!

ესქილე და ევფორიონი კიდევ დიდხანს იდგნენ აივანზე. ბოლოს დაღლილობა იგრძნეს, ლამაქეს ღამე მშვიდობისა უსურვეს და

საწოლებს მიაშურეს. მგზავრობითა და შთაბეჭდილებებით დაქანცულთ მალე ჩაეძინათ...

ევფორიონმა დილაადრიან გააღვიძა ესქილე.

— მაპატიე, ძვირფასო მამა! — უთხრა მან, — გული შინ აღარ მიდგება, მინდა უცხო ქალაქი დავათვალიეროთ!

— ამჯერად გაპატიებ! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ესქილემ, — სხვა დროს კი მეტი თავშეკავება გამოიჩინე...

ესქილე და ევფორიონი დაბინდებამდე ქალაქის ქუჩებში დასეირნობდნენ. ლამაქე წამითაც არ მოსცილებია მამა-შვილს. სახლში კმაყოფილები დაბრუნდნენ. მადიანად ივახშმეს და აივანზე გავიდნენ. მთვარიანი ღამე იყო. თეთრად ბრწყინავდა ეტნის მწვერვალი.

— თოვლი! — წამოიძახა გაოცებულმა ევფორიონმა.

— დიახ, მიუგო ლამაქემ, — სამ ზონად იყოფა დიდებული ეტნა. ქვემო სარტყელში სასარგებლო მცენარეებიც ხარობენ, ზემოთ კი თოვლი არ დნება და მთის მწვერვალი მარადჟამს თეთრად ლივლივებს. — ლამაქემ ერთხანს იყუჩა და დასძინა: — დღესაც არავინ იცის, რად გაგვირისხდნენ ღმერთები. გასულ წელს საშინელი გუგუნი გაისმა და მთიდან ცხელი ნიაღვარი დაეშვა. ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდა. ბოლო წამს ღმერთებმა ხალხი შეიბრალეს და დაღუპვას გადაარჩინეს. იმ სურათის მნახველთ აქამდე ვერ მოუნელებიათ მაშინდელი შიში.

ევფორიონმა მამას გადახედა. ესქილე დინჯად წამოდგა და თქვა:

— გავა დრო და დაავიწყდებათ! სასიამოვნოა, რომ ხალხი გადარჩა. ახლა კი საწოლებს მივაშუროთ...

მეორე დილით ევფორიონი კვლავ დილაადრიან წამოდგა. მამის გაღვიძება ვეღარ გაბედა და ეზოში ჩავიდა. აუზის პირას ჩამოჯდა და პაწაწინა კენჭებით თევზებს აფრთხობდა. ცოტა ხნის მერე ესქილეს ძახილი მოესმა.

— ლამაქე საუზმეზე გვიხმობს, ყმაწვილო. კენჭებით თამაშს მერეც მოესწრები!

ევფორიონი წამოხტა და კიბეები აირბინა. ესქილე და ლამაქე სუფრასთან იდგნენ.

საუზმის მერე ევფორიონი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ახლა კი ქალაქში გავისეირნოთ! ლამაქე ამბობს, ჯერ კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა სანახავიო.

— უთუოდ! — თქვა ლამაქემ, — ოღონდ შუადღისათვის უკანვე ენდა დავბრუნდეთ. ჰიერონ სირაკუზელი სადილად ეპატიჟება სახელოვან ესქილესა და ევფორიონს.

ესქილემ ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე შვილს მიუბრუნდა და უთხრა:

— მე შინ დავრჩები. ქალაქი შენ და ლამაქემ დაათვალიერეთ. მერე კი ჰიერონ სირაკუზელს ვეწვიოთ.

ხელმარჯვე ლამაქემ თვალის დახამხამებაში სუფრა აალაგა, იქაურობა მიაკრიალა და ევფორიონთან ერთად გზას გაუდგა.

—დიდმა ბატონმა რად არ ისურვა წამოსვლა?—ჰკითხა მან ევფორიონს.

— ალბათ გადაიღალა და თავს შეუძლოდ გრძნობს, — მიუგო ყმაწვილმა.

ევფორიონმა როდი იცოდა, რომ წინა საღამოს ესქილეს ბრგე ვაჟკაცი მიადგა და უთხრა:

— ღირსეულო ესქილე! ერთ სახელოვან მოხუცს შენთან შეხვედრა სურს. გთხოვს, ხვალინდელი დილა მას დაუთმო!

ესქილე მიხვდა, რომ უცნობს იმ მოხუცის სახელის გამჟღავნება არ ეწადა. თავადაც აღარ ჩააცივდა და ესღა ჰკითხა:

— სად უნდა შევხვდე?

— თუ ნებას მოგვცემ, ბინაზე გეახლება!

— მობრძანდეს! — მიუგო ესქილემ.

უცნობმა მოწიწებით თავი დაუკრა, მადლობა მოახსენა და გატრიალდა.

ესქილეს ეს ამბავი არავისთან გაუმხელია. მერე კი თეითონაც გადაავიწყდა და მაშინღა გაახსენდა, როცა ევფორიონმა სასეირნოდ წასვლა შესთავაზა.

— ვინ უნდა იყოს? — ფიქრობდა ესქილე და წამდაუწუმ ქუჩისაკენ იხედებოდა. მერე ეზოში ჩავიდა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა.

ჭიშკარს ორი მამაკაცი მოადგა. ესქილემ მყის იცნო ერთი მათგანი. მეორე კი... მეორეც ძალზე ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ გაიხსენა, სად და როდის ენახა ეს მოხუცი...

— სალამი, ღირსეულო ესქილე! ბედნიერი ვარ, რომ შენთან შეხვედრა მეღირსა!

ესქილე თავაზიანად შეეგება სტუმარს.

— მეც სალამს გიძღვნი, ღირსეულო მოხუცო! — უთხრა მან, — მაგრამ გონებას როგორღაც ბინდი გადაეფარა და ვერ გავიხსენე ვინ ბრძანდები?

— კიცოდი, რომ არ მცნობდი, — ღიმილით მიუგო მოხუცმა, — მაგრამ არ მეგონა თუ ვერც მიცნობდი!

ესქილეს რაღაც გაახსენდა. მოხუცი კვლავ დაკვირვებით შეათვალიერა და წამოიძახა:

— სიმონიდე?!

— დიახ, სიმონიდე კეოსელი გახლავარ! იმედი მაქვს, უკან არ გამაბრუნებ. — მერე თანამგზავრს მიუბრუნდა და უთხრა: — შეგიძლია გაისეირნო, ოღონდ მეც ნუ დამივიწყებ და შუადღის ჟამს მომაკითხე.

„ეტყობა, დიდხანს აპირებს დარჩენას“, — გაიფიქრა ესქილემ და მოხუცი სახლში შეიპატიჟა.

— ღირსეულო ესქილე! — დაიწყო სიმონიდემ და სავარძელში მოკალათდა, — შენც კარგად ხედავ, რომ ცალი ფეხი სამარეში მიდგას. მსურს, სიკვდილის წინ თვალი გადავავლო ჩემს მიერ განვლილ ცხოვრებას. შენგანაც გულწრფელ და მართალ სიტყვას მოველი. აღმითქვი მოხუცს, რომ არაფერს დამიმალავ და პირდაპირ მეტყვი!

ესქილე უხერხულად შეიშმუშნა. თითებს მაგიდაზე ათამაშებდა და ხმას არ იღებდა.

— შენი ჩამოსვლა რომ შევიტყვე, სიხარულით ცას ვეწიე, — თქვა სიმონიდემ, — იცი, მხოლოდ შენ ძალგიძს დარდი და სევდა გამიქარვო...

— რით შემიძლია დაგეხმარო, მოხუცო? — ჰკითხა ესქილემ.

— მართალი სიტყვით! — მიუგო სიმონიდემ. — ჯერ პირველ შეკითხვაზე მიპასუხე. რა ბრალი მიმიძღვის შენს წინაშე?

ესქილემ მხრები აიჩეჩა.

— ჩემს წინაშე? — ჩაილაპარაკა მან, — არავითარი!

— მაშ რად გამირბოდი? ჩემთან შეხვედრას რატომ ერიდებოდი?

ესქილემ შუბლზე გადაისვა ხელი, საუბრის დაწყება უმძიმდა. არ უნდოდა, გული ეტკინა მოხუცისათვის.

— ოღონდ სიმართლე მითხარ, — პირობა შეახსენა სიმონიდემ, — მოხუცს ნურაფერს დამიმალავ!

— ღირსეულო სიმონიდე! — დაიწყო ესქილემ, — შენი ლექსები მთელ ელადას მოეფინა. მრავალი თაყვანისმცემელიც გყავს და შენი სახელი ყველას პირზე აკერია. მეც პოეტი ვარ და სხვაზე ნაკლებ როდი ვხედავ შენი ეპინიკების მაღალ ღირსებას. მაგრამ ვის და რას მიუძღვენი შენი ტალანტი? კვიცებს და ჯორებს? კრივსა და ხტომაში გამარჯვებულებს? თუ ოთხცხენიანი ეტლით მრბოლელთ?..

— მე ჰიმნი ვუძღვენ მარათონის ველზე დაღუპულ გმირებს! — ამაყად მიუგო სიმონიდემ.

— ეგ მე არასდროს დამავიწყდება, — თქვა ესქილემ, — დიდებული ჰიმნი იყო! მაშინ გამარჯვება შენ მოგანიჭეს და მე კი მეორე ჯილდო მაკმარეს. სამართლიანი იყო მსაჯულების დადგენილება. გული არ დამწყვეტია. როცა ჰიმნს ვწერდი, პოეტი ვიყავ. როცა ვისმენდი, ჩემში მეომარი იღვიძებდა. და მე, მარათონელი მებრძოლი, დავრწმუნდი, რომ შენი ჰიმნი უკეთესი იყო. უფრო მეტიც: აღფრთოვანებული ვიყავ და გულით მოგილოცე დამსახურებული გამარჯვება.

— მახსოვს, — ჩაილაპარაკა სიმონიდემ, — კარგად მახსოვს ეგ ბედნიერი დღე!..

— ის ჰიმნი ობოლი მარგალიტივით ბრწყინავს შენს პოეზიაში. დიადი ამბები, ხალხს რომ ააღელვებს და კეთილ საქმეებისაკენ მოუწოდებს, მას მერე შენი ყურადღების ღირსი აღარ გამხდარა...

— მე ხომ თერმოპოლელთა ეპიკაცობაც შევაქე... — ჩაილაპარაკა სიმონიდემ.

— მართლა? ეგ კი არ ვიცოდი! — თქვა ესქილემ და დასძინა: — მაგ ლექსს კი სიამოვნებით მოვისმენდი.

— მეხსიერებამ მიღალატა, ღირსეულო ესქილე, — მიუგო სიმონიდემ, — ვეცდები, მოვიგონო და მოგახსენო.

სიმონიდე ჩაფიქრდა. ესქილე სავარძლის ზურგს მიეყრდნო და გარინდული მოხუცს შეჰყურებდა. სიმონიდემ სათქმელი მოიფიქრა და დაიწყო:

მათი დიდება უკვდავია, ხვედრი საამო,
ვინც თერმოპილეს მისადგომთან თავი გასწირა!
მათი საფლავი წმინდა არის. დე გლოვა დაცხრეს,

მაგრამ გულებში ჩაჰედოს გმირების ხსოვნა!
დრო ვერ გადაშლის მათ საფლავზე წმინდა ჭვირნიშანს,
ყველა გოდოლი დაიშლება. დაჰფარავს ხავსი!
ელადამ აქა ტრფობა თვისი დაასამარა...
ჰე, ლეონიდე. მოწმედ მეყავ, სპარტის რაინდო,
არ დაგიჭკნება ეს გვირგვინი სამარადისო.[1]

— დიდებულია! — წამოიძახა ესქილემ, — ამგვარი სიმღერებით მოქალაქეებს სიამოვნებასაც მეტს მოჰგვრიდი და სარგებლობასაც!

— შესაძლოა! — ჩაილაპარაკა სიმონიდემ, — მაგრამ ხალხის გულს ხომ ისიც ესალბუნება, რაც გრანდიოზულ ამბებს არ ასახვს...

— მართალი ბრძანდები! — მიუგო ესქილემ, — მაგგვარი ლექსების წინააღმდეგი როდი ვარ. მაგრამ დიადი ნიჭი დიად ამბებს უნდა ემსახურებოდეს!

— შესაძლოა, აგრეც იყოს, — თქვა სიმონიდემ, — მაგრამ მხოლოდ მაგ მიზეზით ხომ ვერ შემიძულებდი?

ესქილე შეცბა.

— სიძულვილი რა სათქმელია, მოხუცო! — უკმაყოფილოდ უთხრა მან სიმონიდეს, — მაგრამ შენთან შეხვედრას კი ვერიდებოდი. მიზეზიც მქონდა. აბა, გაიხსენე შენი ცხოვრება. კუნძულ კეოსზე დაბადებულმა ახალგაზრდობა ათენში გაატარე. ჰიპარქეს გული მოიგე და მისი ქებით ხალხს თავი მოაბეზრე. მერე თესალიაში გადასახლდი, ფარსალში,[2] სკოპადებს ადიდებდი, ლარისაში[2] კი ალევადებს. მარათონთან გამარჯვების წელს კვლავ ათენში დაბრუნდი და თემისტოკლეს მეხოტბე გახდი. არისტიდე არც შეგინიშნავს, თუმცა დარწმუნებული ვარ, ოსტრაკისმოს თემისტოკლე რომ შეეწირა, არისტიდეს ქება-დიდებას მოჰყვებოდი. ახლა გულუხვ ჰიერონთან გადმოსახლებულხარ და ალბათ ერთგულად ემსახურები. პოეზია შემოსავლის წყაროდ აქციე და გულიც იმისკენ მიგიწევდა, ვინც უხვ საზღაურს გაიღებდა. შენი მუზა ხან არისტოკრატს დაეჭირავებოდა, ხან კი დემოკრატს, ზოგჯერ ტირანს ადიდებდა, ზოგჯერ ტირანის მკვლელს...

სიმონიდე გარინდული უსმენდა. ფერი მიხდოდა და ბაგეები

---

[1] თარგმნა რ. მიმინოშვილმა.

[2] ქალაქები თესალიაში.

უცახცახებდა. ექსილემ შენიშნა, რომ მოხუცს ღაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— როგორც ვხედავ, ჩვენს შორის გადაულახავი ზღუდე აღმართულა, — ჩაილაპარაკა სიმონიდემ, — შენი კეთილგანწყობილების იმედი არ უნდა ვიქონიო!

ესქილეს მოხუცი შეებრალა. ერთხანს იყუჩა და მერე უთხრა:

— მე ორ სიმონიდეს ვიცნობ: პოეტსა და მოქალაქეს. პირველს ვაფასებ და პატივსაც ვცემ, მეორე კი... — ესქილემ სათქმელი აღარ დაასრულა.

სიმონიდემ თავი ასწია. მასპინძლის სიტყვები გულს ეფონა და გამხნევდა. ესქილეს თვალი გაუსწორა და უთხრა:

— მაშ მეორე სიმონიდეზე ვისაუბროთ, სიმონიდე-მოქალაქეზე.

— ბრძანე! — უხალისოდ მიუგო ესქილემ.

— ძალზე მკაცრი მსჯავრი გამომიტანე, — დაიწყო სიმონიდემ,— შეიძლება მაგდენს არც ვიმსახურებდე. მართლაც ვწერდი სახოტბო სიმღერებს. მაგრამ იმ ლექსებით არასდროს მიამაყია. სამშობლოდან გადმოხვეწილს თავი ხომ უნდა მერჩინა. ამიტომ სახოტბო ლექსები შემოსავლის წყაროდ გავიხადე. საერთოდ კი პოეზია არ გამიყიდია, არავის დავჭირავებივარ! ვისაც ვაქებდი, მომწონდა კიდეც. ანდა, ვცდილობდი მოსაწონი თვისებები აღმომეჩინა...

— მერედა როგორ მოახერხე, რომ ჰიპარქეც მოგწონებოდა და თემისტოკლეც? — დაცინვით ჰკითხა ესქილემ.

— იძულებული ვიყავ, ღირსეულო ესქილე! — მიუგო სიმონიდემ, — ალბათ საზღაურიც მხიბლავდა... თავის მართლებას არ დავიწყებ... შენ სიმონიდე გაჰკვეთე ორად. მეც ასე ვყოფდი ჩემს პოეზიას. ერთ მხარეს გულიდან ამოსულ სიმღერებს ვათავსებდი, მეორე მხარეს — სახოტბო ლექსებს. პირველით ვამაყობდი, მეორე კი გულს არ ეკარებოდა. მისგან მხოლოდ შემოსავალს ველოდი. ჭეშმარიტი ლექსები ელადას ვუძღვენ, სახოტბო სიმღერები კი საფასურის გამღებთ. სახლშიც ორი ყუთი მქონდა. პირველში მოქალაქეთა მადლობა უნდა შემოსულიყო, მეორეში კი ხოტბაშესხმულ პირთაგან მიღებული გასამრჯელო. — სიმონიდემ მწარედ ჩაიცინა და დასძინა: — იცი რა მოხდა? პირველი ყუთი ახლაც ცარიელი დგას, მეორე კი ყოველთვის ფულით იყო გაჭედილი. რატომ აღმოჩნდნენ ელინები უმადურები?

— ვერაფერს გეტყვი. — მიუგო ესქილემ, — ფულისა და მადლობისათვის ერთი სიტყვაც არ დამიწერია. ისეთს არაფერს ვეტანებოდი, რაც ჩემს გულსა და გონებას არ მიიზიდავდა. ჰეშმარიტი პოეტისათვის კარის მგოსნობას შეუფერებელ ხელობად ვთვლიდი. დღესაც ასე ვფიქრობ. ელინებს კი ტყუილად სწამებ უმადურობას. დასაფასებელი დაგიფასეს და დიდ პოეტადაც გაღიარეს. ცხოვრების მიზნად მათი სამსახური უნდა დაგესახა. სახელი და პატივი არ მოგაკლდებოდა, თუმცა ისე ბრწყინვალედ ვერ იცხოვრებდი, როგორც დღეს ცხოვრობ.

სიმონიდემ ხელი ჩაიქნია. ერთხანს გაჩუმებული იჯდა, მერე ესქილეს მიაპყრო მზერა და ჩაილაპარაკა:

— შენ გსურს, რომ ყველა ადამიანი სრულყოფილი იყოს. მაგრამ ეგ ნიჭი ხომ ღმერთებმა ადამიანებისათვის ვეღარ გამოიმეტეს. ჰეშმარიტად კარგი კაცი თითო-ოროლა თუ გამოერევა ჩვენს მოდგმაში. ისინიც ღმერთების რჩეულნი არიან. შენ მუდამ ასეთ ადამიანებს დაეძებ. დაეძებ, მაგრამ ბევრი კი შეგხვედრია? გულწრფელი თუ იქნები, — არაო, — უნდა მითხრა! ამიტომ შენ ისინი ტრაგედიებში იპოვე, ბუმბერაზი არსებანი, შეუდრეკელი ნებისყოფითა და ზნეობრივი სილამაზით შემკულნი. შენი გმირები მაღალი მიზნებისათვის იბრძვიან და კაცობრიობის ბედზე ზრუნავენ. ღმერთებს ჩამოჰგავან და თითქოს მათსავით დიდებულები არიან... მაყურებელს ატყვევებ, კეთილშობილურ აზრებსა და მისწრაფებებს უნერგავ. ისინიც მიუწვდომელი სიმაღლეებისაკენ ილტვიან, სრულყოფილებას ეპოტინებიან. მე კი ვიცი, რომ ადამიანები ვერასდროს ვერ მიაღწევენ იმ გოლიათურ სიდიადეს, რითაც შენი გმირები გამოირჩევიან. ეს მხოლოდ შენ შეგიძლია დაიჯერო, რადგან თავად ხარ გოლიათი, ნახევარღმერთი და ღმერთების რჩეული!..

— მე მწამს, რომ ყველა ჰეშმარიტი პოეტი ჩემს გზას გაჰყვება! — თქვა ესქილემ.

— მე კი ეგ არ მჯერა! — მიუგო სიმონიდემ, — ყველაზე ღირსეულნი ეცდებიან მოგბაძონ, ელადის თეატრიც შენ მიერ გაკვალული გზით ივლის. მაგრამ ვინ გეგულება ისეთი, ჩვენს სცენას რომ ბუმბერაზ გმირებს შეუნარჩუნებს, შენ რომ გამოგყავდა, იმგვარ გოლიათებს?

— აგეთები გამოჩნდებიან! ჰეშმარიტი პოეტის ყურადღება ყო-

ველმხრივ შემკულმა გმირმა და დიადმა მოვლენებმა უნდა მიიპყროს!

— ეგ მართალია! — მყის დაეთანხმა სიმონიდე, — მაგრამ მე სხვას მოგახსენებ. შენ ძალიან ბევრს მოითხოვ ადამიანისაგან. გსურს ისინი სრულყოფილ არსებებად გადააქციო, თვით ღმერთებსაც კი დაუახლოვო. სხვა პოეტები უფრო ლმობიერნი იქნებიან. კაცს იმაზე მეტს არ მოსთხოვენ, რაც მის ძალ-ღონეს არ აღემატება. იქნებ შენი ზრახვები უფრო კეთილშობილურიც იყოს, მაგრამ არც ისინი იქნებიან გასაკიცხი.

ესქილე ჩაფიქრებული უსმენდა. იქნებ მართალიც არის სიმონიდე? უცებ რაღაც გაახსენდა, თვალები გაუბრწყინდა და წამოიძახა:

— ცდები, მოხუცო! შენს რწმენას ათენელი სოფოკლე გააქარწყლებს!

სიმონიდემ მხრები აიჩეჩა.

— ეგ სახელი არაფერს მეუბნება, — თქვა მან, — მაგრამ ვხედავ, რომ სოფოკლე ყველაზე ღირსეულ პოეტად მიგაჩნია. დაე, აგრე იყოს. მაგრამ თუ სოფოკლემაც შენი გზიდან გადაუხვია, მაშინ ჩვენი დღევანდელი საუბარი მოიგონე...

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ერთხანს არც ესქილე იღებდა ხმას და არც სიმონიდე. დუმილი ისევ სტუმარმა დაარღვია:

— ძნელია ჭეშმარიტად კარგი კაცი იყო... ამიტომ ადამიანებისაგან ბევრს არ მოვითხოვ. თუ კაცი გონიერია, ქვეყანას ცოტაოდენ სარგებლობას მოუტანს და ბოროტებასაც არ ჩაიდენს, მე კმაყოფილი ვიქნები. ასეთ ადამიანს არასოდეს ვაძაგებ, განსაკუთრებულ გმირობასაც აღარ მოვთხოვ. რაც ახლა გითხარ, ერთ ლექსში უკვე ნათქვამი მაქვს. ეს აზრი სიმონიდე-პოეტს ეკუთვნის. სიმონიდე-მოქალაქეც ასეთია!..

ესქილემ გაიღიმა. მიხვდა, საით უმიზნებდა მოხუცი. „მე ხომ სიმონიდე-პოეტი შევაქე, — გაიფიქრა მან, — და თუ სიმონიდე-მოქალაქეც ასეთივეა, მაშინ ისიც ქების ღირსი ყოფილა! მაგრამ ის ლექსი ხომ სკოპადებს მიუძღვნა პოეტმა?“

— მოხუცო! — უთხრა ესქილემ, — წეღან თქვი, სახოტბო სიმღერები ჩემს გულს არ ეკარება, მხოლოდ შემოსავლის წყაროდ მიმაჩნიაო! განა ეგ ლექსი სკოპას მეორეს არ უძღვენი? რაღა გასაკვირია, რომ აქ სიმონიდე-პოეტი და სიმონიდე-მოქალაქე ერთმანეთს ემთხვეოდნენ?

სიმონიდე შეცბა. ერთხანს ხმა არ ამოუღია და მერე ჩაილაპარაკა:

— მოხარული ვარ, რომ ჩემი ლექსები შენთვის უცნობი არ ყოფილა... მაგრამ იმ ლექსში გამოთქმული აზრი მაინც სიმონიდე-პოეტს ეკუთვნის და სიმონიდე-მოქალაქეც იმგვარი გახლავს!

— ვითომ? — ჰკითხა ესქილემ.

— ვეცდები, ეგ ეჭვი გავაქარწყლო, — მიუგო მოხუცმა. — უგუნურებას შენც არ დამწამებ. და თუ ასეა, ნება მომეცი, თავი გონიერ კაცად ჩავთვალო. ქვეყნისთვისაც არა ერთხელ მომიტანია სარგებლობა. რაღა შორს წავიდეთ, უკანასკნელ ამბავს მოგახსენებ. ამ ცოტა ხნის წინ ჰიერონს უმცროსი ძმა აუმხედრდა და დახმარებისათვის თერონ აკრაგანტელს[1] მიაშურა. ჰიერონმა აკრაგანტის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. თერონი დასახვედრად ემზადებოდა. ომი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ჰიერონს შევუჩნდი, მოსვენება აღარ მიეცი და განზრახვაზე ხელი ავაღებინე. ხალხს სისხლისმღვრელი შეტაკება ავაცილე და ბოლოს ძმებიც შევარიგე. შემეძლო სხვა შემთხვევებიც მომეხსენებინა, მაგრამ თავს აღარ მოგაბეზრებ... ბოროტი კი არასდროს ვყოფილვარ. ვხედავდი, როგორ ამითვალწუნე, როგორ გაურბოდი ჩემთან შეხვედრას. მე კი მაინც დიდებულ მოქალაქედ გთვლიდი, ბუმბერაზად მიმაჩნდი. აღტაცებული ვიყავ შენი ტრაგედიებით და ფრინიქეს ღვარძლიანობა მაკვირვებდა. — სიმონიდემ ნაღვლიანად გაიღიმა და დასძინა: — სიბერის ჟამს ტრაბახი დავიწყე. მაგრამ მე ხომ ბრალდებული ვარ და შენს წინაშე თავი უნდა ვიმართლო.

სიმონიდე გაჩუმდა. მასპინძლის მსჯავრს ელოდა. ესქილემ ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— ადამიანებს მე და შენ სხვადასხვაგვარად ვაფასებთ. შენ მათგან ძალზე ცოტას მოითხოვ. არ გსურს მათი ენერგია და უშრეტი შესაძლებლობანი დაინახო. მე კი აგრე არ ვზომავ. ყოვლისშემძლე ზევსმა ხალხს სიკეთის გზა დაუდგინა. ადამიანებიც სრულყოფისაკენ უნდა ილტოდნენ. ჩვენი ცხოვრების საჭეს დიდებული ღმერთები მართავენ. მათი შემწეობით კი ადამიანები იმასაც მიაღწევენ, რაც შენ შეუძლებლად გეჩვენება.

---

[1] აკრაგანტის მმართველი, ჰიერონის ძმის სიმამრი. აკრაგანტი სიცილიის უძლიერესი ქალაქი იყო.

— იქნებ აგრეც იყოს... — ჩაილაპარაკა სიმონიდემ და დასძინა: — გოლიათურია შენი მიზანი. გსურს, ხალხს იმ გზის გავლა გაუადვილო, სრულყოფილებას აზიარო. მე მაგდენს ვერ ვიტვირთებ. მაგრამ მცირეოდენ დახმარებას მაინც გაგიწევ. ჩემს ირგვლივ მოფუსფუსე ხალხს დავაკვირდები, კარგ თვისებებსა და წრფელ გრძნობებს შევაქებ. ეს ადამიანური მხარეები სრულყოფილების ჟამსაც არ დაჰკარგავენ ღირსებას. და თუ ასეა, მაშინ ხომ ჩემი პოეზიაც ჭეშმარიტი პოეზიის ნაწილი იქნება. შესაძლოა ძალზე მცირე და უმნიშვნელო ნაწილი, მაგრამ ცოტაოდენი სარგებლობის მომტანი. ახლა ისიც მინდა მოგახსენო, რომ სრულყოფილებამ შენდობაც უნდა გააადვილოს. მაქვს თუ არა უფლება, რომ შენი კეთილგანწყობილების იმედი ვიქონიო?

სწორედ ამ დროს ოთახში ევფორიონი და ლამაქე შემოვიდნენ. ესქილემ შვებით ამოისუნთქა. ევფორიონი სტუმარს მიესალმა, ლამაქემ კი უთხრა:

— დიდებულო სიმონიდე! ქრიზიპე გეახლა და ჭიშკართან გელის!

სიმონიდე წამოდგა. ესქილეს მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

— ჩვენი საუბარი სხვა დროს გავაგრძელოთ. თუ ნებას მომცემ, კვლავაც გეწვევი!

— როცა გენებოს! — მიუგო ესქილემ და ხელი ჩამოართვა.

მარტონი რომ დარჩნენ, ესქილე შვილთან მივიდა და უთხრა:

— იცი, ევფორიონ, სიმონიდე არც ისე ცუდი ყოფილა, როგორც ვფიქრობდი!

***

საღამო ხანი იყო. ესქილე და ევფორიონი დინჯად მიაბიჯებდნენ. როგორც ყოველთვის, მამა-შვილს ლამაქეც ახლდა.

— დიდებული მასპინძლობა გაგვიწია ჰიერონმა, — თქვა ესქილემ, — ასე მხიარულად დრო იშვიათად გამიტარებია.

— მე კი სხვა უფრო მახარებს, — მიუგო ევფორიონმა, — ხვალ დილით ხომ ეტნას უნდა გავემგზავროთ!

— ჰიერონ სირაკუზელიც აპირებს წამოსვლას! — ჩაერია საუბარში ლამაქე.

— მართლა? — ჰკითხა ესქილემ. — ეგ უკვე მეტისმეტი პატივია. ალბათ, სიმონიდე კეოსელიც გამოჰყვება!

— რა თქმა უნდა, — მიუგო ლამაქემ, — დიდებული სიმონიდე ჰიერონ სირაკუზელს ყოველთვის თან ახლავს ხოლმე.

საუბარში გართულებმა გზა შეუმჩნევლად გაიარეს. სახლს რომ მიადგნენ, ევფორიონი შეჩერდა და მამას უთხრა:

— შესანიშნავი საღამოა. მე ზღვის ნაპირზე გავისეირნებ და მალე დავბრუნდები.

ესქილე არ დაეთანხმა, ხვალ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და უმჯობესია, კარგად გამოვიძინოთო. ლამაქეც ესქილეს მიემხრო და სამივენი სახლში შევიდნენ. მამა-შვილმა საწოლებს მიაშურეს: ლამაქე კი დაფაცურდა და სამგზავრო სამზადისს შეუდგა.

ესქილეს მალე ჩაეძინა. ევფორიონს კი ძილი გაუტყდა და საწოლში მოუსვენრად წრიალებდა. ყმაწვილი ხვალინდელ მგზავრობაზე ფიქრობდა და მოუთმენლად ელოდა გათენებას. დროდადრო ფეხის ხმა შემოესმებოდა. მაშ, ლამაქე ჯერაც არ დაწოლილა! რა ზანტად მიედინება დრო, დილამდე როგორ უნდა გაძლოს? ევფორიონმა წამოდგომა დააპირა. ლამაქეს მიეხმარები და გავერთობიო. სწორედ ამ დროს ჯერ კარის ჯახუნი გაისმა, მერე კი ისევ საშარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ევფორიონმა ერთხანს კიდევ მიუგდო ყური და დარწმუნდა, რომ მსახურს საქმეები მოეთავებინა და საწოლ ოთახში შესულიყო. „ძილი რომ გაგიკრთება, თვლა უნდა დაიწყოო“, — გაახსენდა ჭაბუკს და ახლა ამ ხერხს მიმართა.ერთი, ორი, სამი... თვალებდახუჭული ხმამაღლა ითვლიდა ევფორიონი, მაგრამ აკვიატებული ზმანებანი მაინც ვერ მოიცილა. ჯერ ზღვის პირას გაჭიმული გზა წარმოუდგა თვალწინ, მერე კოხტად ნაგები ქალაქი, ბოლოს ცამდე აწვდილი ეტნაც წამოეჭიმა... — რვაასი! — ჩაესმა ჭაბუკს საკუთარი ხმა. ევფორიონი შეკრთა, „ნუთუ რვაასამდე დავთვალე?“ — გაიფიქრა მან და ხელი უიმედოდ ჩაიქნია...

— ბატონო ჩემო! ღირსეული ესქილე დიდი ხანია მზად არის გასამგზავრებლად და თქვენ გელით!

ევფორიონმა თვალები დააჭყიტა. საწოლთან ლამაქე იდგა და იღიმებოდა. ჭაბუკი სწრაფად წამოხტა და ღია კარებში გაიხედა. ახალი გათენებული იყო. მზე ჯერ ხეირიანად არც ამოსულიყო...

— დავაგვიანეთ?—ჰკითხა ლამაქეს შეშფოთებულმა ევფორიონმა.

— მოვასწრებთ! — ღიმილით მიუგო ლამაქემ და მამა-შვილი სახუზმეზე მიიწვია.

ჰიშკართან ცხენიანი ოთხთვალა[1] იდგა და მგზავრებს ელოდა. ევფორიონმა კიბეები სულმოუთქმელად ჩაირბინა და ეტლს მიაშურა. ცოტა ხნის მერე ესქილეც გამოჩნდა. მსახურს სკამზე ბალიშები და მუთაქები დაელაგებინა. ესქილე და ევფორიონიც ამ ბალიშებზე მოკალათდნენ.

— ასე აჯობებს. ოღრო-ჩოღრო გზა არის და აღარ შეწუხდებით!—თქვა ლამაქემ, სადავეებს მიუჯდა და ეტლი ჰიერონის სასახლისაკენ წაიყვანა.

ლამაქე რომ დაინახა, გუშაგმა ჰიშკარი გააღო. ეზოში ათიოდე ეტლი ჩამწკრივებულიყო. ტირანის მომლოდინე მგზავრები ეტლებიდან გადმოსულიყვნენ და საუბრობდნენ. მათ შორის სიმონიდე კეოსელიც იყო.

სასახლიდან ჰიერონი გამოვიდა. ცოტა ხნის მერე ეტლების ჭარავანმა ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი და ეტნის გზას დაადგა. ტირანსა და მის თანამგზავრებს შორიახლო მხედართა მოზრდილი რაზმი მიჰყვებოდა...

ეტნელი მოქალაქეები სტუმრებს ზეიმით შეეგებნენ. თავიანთი ქალაქით გულწრფელად ამაყობდნენ და ეწადათ, ჩამოსულებისათვისაც მოეწონებინათ. ჰიერონი ესქილესა და სიმონიდეს არ იცილებდა. ქალაქის ყველა კუთხეს იცნობდა და თავად აძლევდა განმარტებებს.

— ძველთაგანვე დაკანონებული წესის მიხედვით, ქალაქის დაარსებისას სამისნოს მიმართავდნენ, შესაფერი ადგილის მითითება ხომ მხოლოდ ღმერთებს შეეძლოთ. ჩვენ კი ამ წესის ასრულება არ მოგვიხდა, რადგან ამ ადგილას უკვე არსებობდა ქალაქი.

ეტნა კოხტად ნაგები, სწორი ქუჩებით იყო დასერილი. აღმოსავლეთით ზღვას ებჯინებოდა, ჩრდილოეთიდან კი უზარმაზარი მთა დაჰყურებდა. დანარჩენი ორი მხრიდან ქალაქს მტკიცე კედელი ჰქონდა შემოვლებული.

— ეტნა ჩემი სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების ბურჯად უნდა გადავაქციო! — ეუბნებოდა ჰიერონი ესქილესა და სიმონიდეს.

— მტკიცე და კოხტა ქალაქი აგიგია, დიდებულო ჰიერონ! — პასუხობდა ესქილე და ქალაქს გულდასმით ათვალიერებდა. ყველა-

---

[1] ძველი ბერძნები ხმელეთზე სამოგზაუროდ, ძირითადად, ორთვალასა და ოთხთვალას იყენებდნენ.

ფერი იზიდავდა მის ყურადღებას, კოპწია სახლებიც და მოედნებიც, საკურთხევლებიც და ტაძრებიც, ცხოვრების ყაიდაც და მარად მოფუსფუსე ეტნელი მოქალაქეებიც.

ევფორიონი მთელ თავისუფალ დროს ღია ცის ქვეშ ატარებდა. ეტნელ მოქალაქეებსაც ძალზე მოსწონდათ გულღია და გონიერი ყმაწვილი. ერთხელ ჰაბუკმა დაინახა, რომ ვიღაც მოხუცი დაჟინებით გასცქეროდა ცამდე აზიდულ ეტნას. ევფორიონი მივიდა და ჰკითხა:

— რაო, მოხუცო, პირველად ხედავ ამ გოლიათს?

— არა, ყმაწვილო! — მიუგო მოხუცმა და მთისათვის თვალი არ მოუცილებია, — მაგრამ ამ ბოლო დროს შიში ამეკვიატა, აბა, გახედე, როგორ ხრჩოლავს იმ ადგილას. ასე მგონია, საცაა ცეცხლიც იბრიალებს და მთიდან ნიაღვარი დაეშვება.

ევფორიონს ღამაქეს ნაამბობი გაახსენდა. ერთხანს ეტნას აკვირდებოდა, მერე კვლავ მოხუცს მიუბრუნდა.

— მითხარი, გეთაყვა, აგრე რატომ ხდება?

— რა მოგახსენო — მიუგო მოხუცმა, — გასული წლიდან ეტნას გაბრაზება დასჩემდა. იმასაც ამბობენ, მთლად გულმშვიდი არც წინათ იყოო. ასეა თუ ისე, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აქაურობა წალეკოს.

— დაწყნარდი, მოხუცო! დიდებული ღმერთები უბედურებას აცილებენ ამ მშვენიერ ქალაქს! — უთხრა ევფორიონმა და გატრიალდა.

ჰიერონმა და მისმა თანამგზავრებმა ეტნაში ოთხი დღე დაჰყვეს. ბოლოს გამგზავრების ჟამიც დადგა. კვლავ ჩამწკრივდა ეტლების ქარავანი. უამრავმა გამცილებელმა მოიყარა თავი. სტუმრები ხელის ქნევით ემშვიდობებოდნენ ეტნელ მოქალაქეებს.

ჰიერონი ესქილესთან მივიდა და უთხრა:

— ერთი თვის მერე ეტნის დაარსებას ვიდღესასწაულებთ. დიდებული ესქილე ალბათ უბრალო მაყურებელი არ იქნება. ჩემი სახელმწიფოს მოქალაქეები თავს ბედნიერად ჩათვლიან, თუ ელადის სიამაყე მათ ქალაქს შეამკობს!

ესქილე ჩაფიქრდა. ერთხანს ხმა არ ამოუღია, მერე თქვა:

— ეტნამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დღესასწაულზე სირაკუზელები ჩემს დრამასაც ნახავენ!

ჰიერონი კმაყოფილი დარჩა. ესქილეს ხელი ჩამოართვა და გატრიალდა. ეტლების ქარავანმა სირაკუზისაკენ აიღო გეზი.

ქალაქში დაბრუნებისთანავე ესქილე მუშაობას შეუდგა. ევფორიონმა კი მეგობრები გაიჩინა და დროს მხიარულად ატარებდა. ერთ საღამოს ევფორიონი გვიან დაბრუნდა. ესქილე სავარძელზე მიწოლილიყო და თვალები დაეხუჭა.

— საღამო მშვიდობისა, მამი! — უთხრა ჰაბუკმა და გვერდით მიუჯდა, — ახალ დრამას რა უნდა დაარქვა?

ესქილემ ნაღვლიანი მზერა მიაპყრო შვილს.

— იცი, ევფორიონ, ამ ბოლო დროს, მუშაობის ჟამს მშობლიური ქალაქი წარმომიდგება ხოლმე თვალწინ. მერე თეატრში დატრიალებული უბედურებაც მომაგონდება და გულს ვეღარაფერს ვუდებ. დღესასწაული კი კარზე მოგვადგა. არ ვიცი, მოვასწრებ თუ ვერა!

— მოასწრებ! — მტკიცედ მიუგო ევფორიონმა, — ესქილე ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს!

ესქილემ მართლაც მოასწრო, პიესაც დაასრულა და მსახიობები და გუნდიც მოამზადა. ახალ დრამას „ეტნელნი“ უწოდა...

დღესასწაული დიდის ამბით ჩატარდა. ხალხი აღტაცებული იყო და მოუთმენლად ელოდა უკანასკნელ სანახაობას. ზეიმის დასასრულს „ეტნელნი“ უნდა წარმოედგინათ...

სირაკუზის თეატრი ხალხით გაიჭედა. წარმოდგენა რომ დასრულდა, გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა. ხალხი ფეხზე წამოიშალა, ყველა ერთხმად გაიძახოდა:

— დიდება ესქილეს! დიდება ელადის სიამაყეს!

მერე მოქალაქეებს ჰიერონიც გაახსენდათ და დასჭექეს:

— დიდება ეტნის დამაარსებელს! ჰიერონ სირაკუზელს დიდება!

ჰიერონი ესქილესთან მივიდა და ხელი მაგრად ჩამოართვა. ქალაქის მესვეურებმა პოეტი დაფნის გვირგვინით შეამკეს.

თეატრში კი ტაშის გრიალი და აღტაცებული შეძახილები არ ცხრებოდა. აღელვებული ესქილე გასასვლელისაკენ გაემართა. გვერდით ჰიერონი და ევფორიონი მიჰყვებოდნენ. ზედამხედველები რის ვაივაგლახით აკავებდნენ მოზღვავებულ ხალხს და მიმავალთ გზას უკაფავდნენ.

სირაკუზელ მოქალაქეთა უზარმაზარმა ბრბომ ესქილე სახლამდე მიაცილა. ჭიშკართან ესქილე შეჩერდა და ხალხს ხელის ქნევით დაემშვიდობა. მოქალაქეებმა მოწიწებით დახარეს თავი...

— ასეთი წარმატება ვგონებ ათენშიც არ გქონია! — უთხრა ევფორიონმა მამას და წამოსასხამი ჩამოართვა.

ესქილემ არაფერი უპასუხა და საწოლ ოთახში შევიდა.

დრო კი თავისი გზით მიდიოდა. ერთ დღეს ევფორიონი მამას მიადგა და ღიმილით უთხრა:

— ხვალ ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენ ათენი დავტოვეთ.

ესქილე გაოცდა. ერთი წელიწადი! ნუთუ ამდენი ხანია, რაც მშობლიური ქალაქის ქუჩაზე ფეხი არ დაუდგამს? ერთი წელიწადი ხომ უზარმაზარი დროა... ვინ იცის, რამდენი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე ათენში? ნეტავ როგორ არიან არისტიდე და კიმონი, სოფოკლე და ტალთიბე? ხანდახან მაინც თუ იგონებენ სირაკუზში გადახვეწილ მეგობარს? ფრინიქემ ალბათ დრო იხელთა და ზედიზედ ამარცხებს თავის მოქიშპეებს... თუმცა ესქილეს წამოსვლის შემდეგ მხოლოდ ერთი შეჯიბრი ჩატარდებოდა ათენში!

ესქილეს ისე მოუნდა ათენს გამგზავრება, რომ კინაღამ წამოხტა და ნავსაყუდელს მიაშურა. უცებ ათენელი მოქალაქეების ყიჟინა ჩაესმა: „ესქილემ მისტერიის საიდუმლოებანი გაამჟღავნა! სიკვდილი დიდი ღმერთების შეურაცხმყოფელს!“ აი, უზარმაზარი ბრბოც გამოჩნდა. პოეტის დასჯას ეშურებიან... ესქილე საკურთხეველს აფარებს თავს, არისტიდე, კიმონი და სოფოკლე კი მოზღვავებულ ხალხს იგერიებენ..

ესქილემ თავი გაიქნია. უსიამოვნო ზმანების მოცილება ეწადა. მერე წამოდგა, შვილს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ერთი წელიწადი დიდი დრო არ არის. მე შენ შეგპირდი, რომ ათენს დავბრუნდებოდით და თავის დროზე დავბრუნდებით კიდეც!

დღე დღეს მისდევდა და თვე თვეს. ევფორიონს სირაკუზში გული აღარ უჩერდებოდა, დღედაღამ ათენზე ფიქრობდა.

— როგორც ჩანს კარგად ვერ მოგემსახურე, ბატონო ჩემო! — წუხდა ლამაქე, — საკადრისი მასპინძლობა ვერ გაგიწიე...

— შენ რა შუაში ხარ, მეგობარო! — ამშვიდებდა ევფორიონი, — გული მშობლიური ქალაქისაკენ მიმიწევს. ჩემს დღეში რომ ყოფილიყავ, განა სირაკუზი არ მოგენატრებოდა? შენს პატივისცემას კი ვერასდროს გადავიხდი. მუდამ გვეხსომები მეც და მამაჩემსაც...

ერთხელ ევფორიონი მამასთან მივიდა და უთხრა:

— შენ ჯერ ათენში დაბრუნებას არ აპირებ. მე კი აქ გაძლება

აღარ შემიძლია. ნება მომეცი, ცოტა ხნით დაგტოვო და ათენს გავემგზავრო!

ესქილე შეკრთა. შვილს თვალი თვალში გაუყარა და წყენით ჰკითხა:

— მარტო მტოვებ?

— შენ აქ მრავალი თაყვანისმცემელი გყავს, — მიუგო ევფორიონმა, — მარტოობას არ გაგრძნობინებენ. ორიოდ თვეში მეც დავბრუნდები!

ესქილე ჩაფიქრდა. კარგა ხანია ამჩნევდა, რომ ევფორიონს რაღაც აწუხებდა, მიზეზი კი ვერ ათქმევინა. „იქნებ ათენში დაბრუნება სურს?“ — გაიფიქრა ერთხელ ესქილემ და შეშინდა. მას მერე შვილისათვის სევდის მიზეზი აღარ უკითხავს. დღეს კი დარწმუნდა, რომ მისი ეშვი მართალი გამოდგა. როგორ მოიქცეს? იცოდა, უარით გულს ატკენდა ევფორიონს. ესეც არ იყოს, ათენს ხომ ჰაბუკისათვის არაფერი დაუშავებია? რატომ მოსწყვიტოს შვილი მშობლიურ ქალაქს?.. ორი თვე როგორმე გაძლებს. მერე ევფორიონი დაბრუნდება და ერთი წლის შემდეგ თავადაც ათენში გადასახლდება... ესქილე წამოდგა, შვილს მხარზე ხელი მოჰხვია და უთხრა:

— კეთილი. თანახმა ვარ! როგორც კი საიმედო თანამგზავრს მოვნახავ, ჩვენს მშობლიურ ათენს მიაშურე!

— თანამგზავრი რა საჭიროა! — იწყინა ევფორიონმა, — პატარა ხომ აღარა ვარ. პირეის ნავთსაყუდლამდე ხომალდი მიმიყვანს, მერე კი მეც კარგად გავაგნებ გზას!

იმ დღიდან ესქილემ მოსვენება დაკარგა. დღედაღამ ევფორიონის მგზავრობაზე ფიქრობდა. ლამაქეს აღარ იცილებდა და ეკითხებოდა:

— ხომ არაფერი გვავიწყდება, ჰაბუკო? აბა, დაფიქრდი და მოიგონე... თავგზა აბნეული მაქვს და შენ თუ მიშველი!

— დამშვიდდი, დიდო ბატონო! — პასუხობდა ლამაქე, — ყველაფერი კარგად იქნება.

ერთ დღეს ევფორიონმა კიბე სულმოუთქმელად აირბინა, ოთახში შევარდა და მამას უთხრა:

— ნავსაყუდელში ათენის ხომალდი ჩამოდგა. სამ-ოთხ დღეში უკან გაბრუნდება. მეთაურს ველაპარაკე და შემპირდა. წაგიყვანო!..

ესქილემ წასვლა დააპირა, ხომალდის მეთაურს ვნახავ და თავად მოველაპარაკებიო. ევფორიონმა გზა გადაუღობა და სთხოვა:

— მე უკვე ვაჟკაცი ვარ. თავადაც შემიძლია საქმეების მოგვარება. ყველას ნუ ავრძნობინებ, რომ უმწეო ბავშვად მთელი!

გამგზავრების დღეც დადგა. ევფორიონმა, ესქილემ და ლამაქემ დილაადრიან ნავთსაყუდელს მიაშურეს, ზღვის პირას მყუდრო ადგილი მონახეს და ჩამოსხდნენ. ევფორიონმა ათენის ხომალდს მიაპყრო მზერა. ესქილე დაჟინებით გასცქეროდა მოლივლივე ზღვას. ლამაქეს კი სადღაც ჩხირი მოენახა და სილაზე ხაზებს ავლებდა. სამივე საკუთარ ფიქრებს გაჰყოლოდა, მაგრამ სამივე დღევანდელ მგზავრობაზე ფიქრობდა.

— ეს ჭაბუკი განა ჩემი მგზავრი არ არის? — მოესმა ევფორიონს ნაცნობი ხმა.

ევფორიონი წამოხტა. შორი-ახლო ბრგე ვაჟკაცი იდგა და იღიმებოდა. ყმაწვილმა მყის იცნო ხომალდის მეთაური. ევფორიონი სწრაფად მიუახლოვდა მას და მიესალმა, ესქილემ და ლამაქემაც მათ მიაშურეს. მეთაურმა მომავალნი შეათვალიერა და გაშეშდა. მერე ევფორიონს მაჯაზე ხელი მოუჭირა და ჰკითხა:

— მითხარი, ყმაწვილო, ის ვაჟკაცი ესქილე არ არის?

— ესქილე გახლავს! — ღიმილით მიუგო ევფორიონმა.

— ღირსეულო ვაჟკაცო! — უთხრა ესქილემ მეთაურს და ხელი გაუწოდა, — ეს ვაჟი ჩემი შვილია. იმედი მაქვს, არაფერს გაუჭირვებ!

— ძლიერო ზევსო! — ბუტბუტებდა გაოგნებული მეთაური, — დიდებული ესქილე თხოვნით მომმართავს!.. — უცებ ხელები პირთან მიიტანა და დაიქუხა:

— დიდება ესქილეს! დიდება ათენის სიამაყეს!

იქვე სირაკუზელი მოქალაქე მიაბიჯებდა. ხომალდის მეთაურს ჯერ გაოცებული მზერა მიაპყრო და მერე უთხრა:

— მეგობარო! ესქილე მხოლოდ ათენს აღარ ეკუთვნის. დიდებული პოეტი სირაკუზის სიამაყეც არის!

— შენს გზაზე გაიარე, ძმობილო! — შეუბღვირა მეთაურმა, — თუ გინდა, ჩემს ხომალდს დაგითმობ, მეზღვაურებსაც გამოვაყოლებ, მაგრამ ესქილეს ნუ შემეცილები!

შეშინებული მოქალაქე სწრაფად გატრიალდა და გზა განაგრძო. ესქილე უხერხულად შეიშმუშნა. ლამაქემ მეთაურს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— გონს მოდი, ძმობილო! ნურც ხალხს ათქმევინებ გაგიჟდაო და ნურც დიდებულ ესქილეს შეაწუხებ!

მეთაურმა თავი ჩაღუნა. ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

— მაპატიე. დიდებულო პოეტო! შენს შვილს, თუ გსურს, მხრებზე შევისვამ და ზღვას ცურვით გადავლახავ!

— მაგდენაც კი ვეღარ გენდობი! — ღიმილით მიუგო ესქილემ და მეთაურს ხელი გაუწოდა. მერე შვილს გადაეხვია და მკერდზე მიიკრა. ევფორიონი ლამაქესაც გამოემშვიდობა და მეთაურთან ერთად ხომალდზე ავიდა...

ესქილე კიდევ დიდხანს გაჰყურებდა ზღვას. უზარმაზარი ხომალდი თანდათან პატარავდებოდა და ბოლოს თვალს მიეფარა. ესქილემ ღრმად ამოიოხრა. ლამაქემ მხარზე მოწიწებით შეახო ხელი და უთხრა:

— ორი თვე თვალის დახამხამებაში გაირბენს, დიდო ბატონო! ევფორიონი მალე დაგვიბრუნდება!

ესქილემ ნაღვლიანად გაიღიმა. მერე ლამაქეს მკლავზე ხელი მოჰკიდა და შინისაკენ გასწია...

სიმონიდემ ესქილესთან სტუმრობა გაახშირა. ესქილე სიხარულით ეგებებოდა კეოსელ პოეტს. ძველი დამოკიდებულება თითქოს უკვალოდ გამქრალიყო. მოხუცი სიხარულით ცას ეწეოდა. ესქილეს უკვე მეგობრად თვლიდა და ამით უფრო ამაყობდა, ვიდრე საკუთარი ლექსებით. ერთ საღამოს სიმონიდე კვლავ ეწვია ესქილეს. უგუნებოდ იყო და ერთხანს ხმა არ ამოუღია.

— რამ დაგაღონა, მოხუცო? — ჰკითხა ესქილემ.

— სულ იმას გეუბნებოდი, ბოროტი არა ვარ-მეთქი, — ამოიოხრა სიმონიდემ. — ადამიანების სიძულვილი ჩემთვის თავიდანვე უცხო ხილი იყო. მაგრამ დედამიწის ზურგზე მაინც დააბიჯებს ერთი კაცი, რომელიც უსიამოვნებას მგვრის და, გამოგიტყდები, მძულს კიდეც! მასთან შეხვედრას ყოველთვის გავურბოდი და მეგონა, სირაკუზში მაინც მოვისვენებდი. ბედმა მიმტყუნა. ჰიერონის მოწვევით, ის კაცი აქ ჩამოვიდა.

გაოცებული ესქილე სტუმარს შეჰყურებდა. ბოლოს თავი ვეღარ შეიკავა და ჰკითხა:

— ვინ არის ეგ საძულველი კაცი, სახელოვანო მოხუცო?

— პინდარე!

ესქილე კიდევ მეტად გაოცდა.

— პინდარემ რა დაგიშავა, მოხუცო? — ჰკითხა მან, — ელინები მას თაყვანს სცემენ და საგუნდო პოეზიის უდიდეს წარმომადგენლად მიაჩნიათ. — ესქილემ ერთხანს იყუჩა და მერე დასძინა: — რა თქმა უნდა, შენთან ერთად. ისინი არც ცდებიან. მე მოხიბლული ვარ პინდარეს სიმღერებით. მისი ლექსი ისე მოჩუხჩუხებს, როგორც წყიმის წყლით ნაკვები მთის ნაკადული, საკუთარ კალაპოტში რომ ვერ თავსდება და ნაპირებიდან გადმოდის. პინდარეს დიადი ამბები და ბუმბერაზი გმირები იზიდავს. ლამაზი სიმღერებით ერთსაც უკვდავჰყოფს და მეორესაც...

—. პინდარე-მოქალაქეზე რაღას იტყვი, დიდებულო პოეტო? — გააწყვეტინა სიმონიდემ.

— რა უნდა ვთქვა, — მხრები აიჩეჩა ესქილემ და დასძინა: — ცუდი არასოდეს არაფერი გამიგონია...

— მართლა? — მწარედ ჩაიცინა სიმონიდემ, — მაშ მე მოგაგონებ, რომ პინდარეს და ჩემი ცხოვრება ძალზე წააგავს ერთმანეთს. ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადადიოდა და სახოტბო სიმღერებით ქვეყნის მმართველთა გულს იგებდა. ამგვარი მოქმედებისათვის ერთხელ შენ მიწასთან გამასწორე. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მეც ხომ ასეთივე ვიყავ!.. როდესაც თებელებმა სამშობლო გაწირეს და ირანელების მხარე დაიკავეს, პინდარე მოღალატე არისტოკრატებს მიემხრო, ქსერქსეს ლაშქარს სიხარულით შეეგება და ალბათ სახოტბო სიმღერებიც უძღვნა...

სიმონიდემ ესქილეს შეხედა. მასპინძელს თავი ჩაექინდრა. მას ახლაღა გაახსენდა, რომ პინდარეც კარის მგოსანი იყო. მაშ რაღა სიმონიდე აითვალწუნა? იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მხრივ სიმონიდემ პინდარესაც გადააჭარბა? მაგრამ ეს რა საბუთია! მთავარი ის არის, რომ პინდარეც არ თაკილობს კარის მგოსნობას! ესეც არ იყოს, პინდარე ჯერ ახალგაზრდაა. ესქილეზე შვიდი წლით უმცროსია. ვინ იცის, რა გზას დაადგება? აქაც ხომ იმიტომ ჩამოვიდა, რომ ჰიერონს ხოტბა შეასხას, მისი გული მოიგოს. მაგრამ არა, პინდარე ამ გზას არ გაჰყვება! ჭეშმარიტ პოეზიას არ უღალატებს... ჭეშმარიტ პოეზიას? მაშ რატომ აქებს ყოველნაირ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს? სწორედ ამას უწუნებდა ესქილე სიმონიდეს. პინდარეც თუ ამ გზას მიჰყვა, არც ის ყოფილა ჭეშმარიტი პოეტი! მაგრამ პინდა-

რეს ოლიმპურ, ნემეურ თუ ისთმურ დღესასწაულზე გამართული შეჯიბრებები უბრალო გართობად როდი მიაჩნდა. ამ დღესასწაულებს ხალხის ფიზიკური და სულიერი სიმტკიცის გამოვლენად თვლის, ხოლო გამარჯვებულნი ქვეყნის ბურჯად და ხალხის წიაღიდან ამოზრდილ გოლიათებად წარმოუდგება. განა დასაძრახია, რომ ასეთ გმირებს სადიდებელ ჰიმნებს უძღვნიდეს? სიმონიდემ თქვა, პინდარე მოღალატე არისტოკრატებს მიემხროო. ეს მართალია, მაგრამ შეუმცდარნი მხოლოდ ღმერთები არიან. პინდარე კი ადამიანია და ერთი შეცდომა უნდა მივუტევოთ...

ესქილემ შენიშნა, რომ პინდარესადმი ძალზე ლმობიერი იყო. „თუმცა არა! — გაიფიქრა მან, — სიმონიდეს მოვეპყარი ზედმეტად მკაცრად. ორივენი დიდებული პოეტები არიან... ოღონდ პინდარეს მოღალატის სახელი არ უნდა შერჩეს!“

ესქილემ თავი ასწია, დამნაშავესავით გაიღიმა და თქვა:

— ღირსეულო პოეტო! ერთხელ პინდარე მართლაც მიემხრო მოღალატეებს. მაგრამ მერე გულწრფელად შეინანა დანაშაული. ბრწყინვალე სიმღერები მიუძღვნა ათენელ ვაჟკაცებს, რომელთაც მტკიცე საძირკველი შეუქმნეს ელადის თავისუფლებას!

სიმონიდემ ხელი ჩაიქნია.

— დიდებულო მოხუცო! — განაგრძობდა ესქილე, — ფრინიქე მუდამ ჩემს წინააღმდეგ იბრძოდა. უკანასკნელად საშინელი ცილიც დამწამა. მაგრამ მისი სიძულვილი გულს არ გაჰკარებია. მართალი გითხრა, მეამებოდა კიდეც, ახლა რომ სადმე შევხვედროდი...

— ევფორიონისაგან რა ისმის? — გააწყვეტინა სიტყვა სიმონიდემ.

ესქილემ ამოიოხრა.

— სრულიად არაფერი, — თქვა მან, — ერთ თვეზე მეტი გავიდა და მისი ასავალ-დასავალი არა ვიცი-რა...

— ყველაფერი კარგად იქნება! — დაამშვიდა სიმონიდემ და წამოდგა.

— მიდიხარ კიდეც? — ჰკითხა ესქილემ.

— მეც დავიღალე და შენც დაგღალე, — მიუგო სიმონიდემ, — მშვიდობის ღამეს გისურვებ!

ესქილემ სტუმარი ჰიშკრამდე მიაცილა. ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— იმედი მაქვს, მალე მეწვევი!

— ალბათ... — ჩაილაპარაკა სიმონიდემ და ჭიშკარი გაიხურა...

ესქილე სახლში შებრუნდა. სიმონიდესთან საუბრის მერე უგუნებოდ იყო. უსიამოვნო აზრი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა. თავად ვერ გარკვეულიყო, მის თავს რა ხდებოდა... კარის მგოსნობას სიმონიდეს ნაკლად უთვლიდა, პინდარეს კი არა! ესქილეს ისიც გაახსენდა, რომ ძლიერი ფლოტის შექმნა სასაცილოდ მიაჩნდა, მაგრამ ამ ფლოტზე დიდ იმედებს ამყარებდა!.. ერთ სხეულში თითქოს ორი ესქილე ჩაბუდებულა. ხან ერთი ამოჰყოფს თავს და ხან მეორე... ურთიერთ საწინააღმდეგო ორი მოქმედებიდან მხოლოდ ერთი შეიძლება სამართლიანი იყოს. ესქილემ კი ცხოვრება სამართლიანობაზე დააფუძნა. რამდენჯერ უთქვამს, ადამიანის ზნეობას სამართლიანობა უნდა წარმართავდესო...

ესქილე ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც ლამაქემ ოთახის კარი შეაღო.

— დიდო ბატონო! ნავთსაყუდელში მითხრეს, ერთი თვეც იქნება, რაც ათენიდან ხომალდი აღარ ჩამოსულაო.

ესქილე წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. მერე ლამაქესთან მივიდა და ჰკითხა:

— სათვალავი ამერია. რამდენი ხანია, რაც ევფორიონი გაემგზავრა?

— ორმოცდახუთი დღე... — მიუგო მსახურმა.

— ორმოცდახუთი დღე... — ჩაილაპარაკა ესქილემ, — მე კი მის შესახებ არაფერი ვიცი!

ესქილემ ნავსაყუდელში სიარული გაახშირა. თავად თუ ვერ მოიცლიდა, ლამაქეს აგზავნიდა. ათენის ხომალდი კი არ ჩანდა. ერთ დილას, ნავსაყუდელში რომ მიდიოდა, ესქილემ ლამაქე იხმო და უთხრა:

— ვიდრე ევფორიონის ამბავს არ შევიტყობ,. შინ არ დავბრუნდები!

ეზოს გასცდა თუ არა, ბრგე ვაჟკაცს წააწყდა.

— სალამი ღირსეულო ესქილე! — უთხრა მან.

ესქილემ ქრიზიპე იცნო, სიმონიდეს მუდმივი მხლებელი.

— დიდებული სიმონიდე რამდენიმე დღე საწოლს იყო მიჯაჭვული. დღეს წამოდგა და მაშინვე შენთან გამომგზავნა. სახელოვან ესქილეს სთხოვე, იქნებ მინახულოსო.

ესქილე მოიღუშა. ჯერ უარის თქმა უნდოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ქრიზიპეს გაჰყვა.

სიმონიდე სტუმარს სიხარულით შეეგება. ჯერ დაწვრილებით უამბო ავადმყოფობის ამბავი და მერე ათასნაირი კითხვები დააყარა. დრომ შეუმჩნეველად გაირბინა. ბოლოს ესქილე წამოდგა. მასპინძელს დაემშვიდობა და ნავსაყუდელისაკენ გასწია...

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო. ესქილეს მზერა ერთმა ხომალდმა მიიპყრო და უმალ მას მიაშურა.

— დიდებულო ესქილე! სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან წამოსვლას! — მხიარულად უთხრა ახოვანმა ვაჟკაცმა და ხელი გაუწოდა.

— ათენის ხომალდის მეთაური! — წამოიძახა ესქილემ, — განა შენ არ წაიყვანე ევფორიონი?

— დიახ, — ღიმილით მიუგო მეთაურმა, — მე წავიყვანე და შესანიშნავადაც ვამგზავრე. ახლა კი ამბავი ჩამოგიტანე...

— რაო, რა დაგაბარა? — ჰკითხა ესქილემ და მეზღვაურს მკლავი გაუყარა.

მეთაურმა შენიშნა, რომ ესქილეს ფერი ოდნავ მიხდოდა და ხელიც უთრთოდა. ამიტომ პასუხი აღარ დააყოვნა და მიუგო:

— ევფორიონმა მითხრა, — სამ-ოთხ დღეში კიდევ ერთი ხომალდი წამოვა სირაკუზისაკენ და იმას გამოვყვებიო. ხომალდის მეთაურს ჩემი თანდასწრებით მოელაპარაკა...

ესქილეს ძალზე მოუნდა, რომ მეთაური გულში ჩაეკრა, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა უთხრა:

— გმადლობთ, მეგობარო! შენს სიკეთეს ვერასოდეს გადავიხდი...

ლამაქე ერთ ადგილას ვეღარ ისვენებდა.

— ევფორიონს ღირსეული შეხვედრა უნდა მოვუწყოთ, დიდო ბატონო!

— რა თქმა უნდა, — პასუხობდა ესქილე, — შენი იმედი მაქვს...

მესამე დღეს ესქილემ დილაადრიან მიაშურა ნავსაყუდელს და საღამომდე შინ არ დაბრუნებულა. არც შემდეგმა დღემ გაუმართლა იმედი.

— ხვალ კი აუცილებლად ჩამოვა ევფორიონი! — უთხრა მან ლამაქეს და საწოლ ოთახში შევიდა. დაძინება ეწადა, მაგრამ ვერ მოახერხა. საწოლში მოუსვენრად ტრიალებდა. უცებ მამლის ყივი-

ლი მოესმა და დაფეთებული წამოვარდა. სწრაფად ჩაიცვა, კარი გაიკეტა და ნავსაყუდელის გზას დაადგა. სახეზე ღიმილი დასთამაშებდა და მხნედ მიაბიჯებდა. გზაზე არავინ შეხვედრია. ნავსაყუდელშიც მყუდროება გამეფებულიყო. ნაპირთან სამიოდე ხომალდი ირწეოდა. ადამიანის ჰაჰანება კი არსად ჩანდა. გაკვირვებულმა ესქილემ ნავსაყუდელს მოავლო თვალი. მერე ზემოთაც აიხედა. ახლაღა შენიშნა, რომ მზე ჯერ არც ამოსულიყო. „ყველაფერი იმ ძილგამტყდარი მამლის ბრალია!“ — ჩაილაპარაკა და ზღვის პირას დალაგებულ მორებს მიაშურა. მერე წამოსასხამი შეისწორა და მოხერხებულად მოკალათდა...

ზღვა საამოდ ლივლივებდა. მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ერთი ნაფლეთიც არ შემორჩენილიყო. ესქილეს მზერა ცამდე აწვდილმა ეტნამ მიიტაცა. ამ მთის წვერიდან ალბათ ხელისგულივით მოჩანს მთელი სამყარო. ამბობენ, ღმერთთა სამკვიდრებელი ოლიმპოც არ არის ასე მაღალიო! იქ ასვლა რომ შეიძლებოდეს, ევფორიონის ხომალდსაც ხომ დაინახავდა?!

დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. ესქილემ შენიშნა, რომ ნავსაყუდელში ხალხს მოეყარა თავი და ყოველდღიური საქმიანობაც გაჩაღებულიყო. დინჯად წამოდგა და სანაპიროზე სიარულს მოჰყვა.

ნავსაყუდელში ხომალდი შემოდიოდა. ესქილემაც იქით მიაშურა. გემბანზე ხომალდის მეთაური იდგა და ბრძანებებს იძლეოდა.

— საიდან მოდიხართ, ძმობილო? — ჰკითხა ესქილემ.

— კუნძულ ზაკინთოსიდან გეახლებით! — მხიარულად გადმოსძახა მეთაურმა.

ესქილემ ხელი ჩაიქნია და გატრიალდა.

დიდხანს მოუხდა ლოდინი. ყველა ხომალდს გულისფანცქალით ხვდებოდა, მაგრამ ზოგი კერკირადან მოცურავდა, ზოგი ითაკიდან და ზოგიც კორსიკიდან. საღამოხანს ნავსაყუდელს სალამინის ხომალდიც მოადგა...

ესქილე ადგილს ვეღარ პოულობდა და აღელვებული დააბიჯებდა. ბოლოს კვლავ მორებს მიაშურა, ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო...

სწორედ ამ დროს ნავსაყუდელში უზარმაზარი ხომალდი შემოვიდა. მგზავრები ნაპირზე გადმოვიდნენ. გაოცებული ევფორიონი აქეთ-იქით იცქირებოდა. დამხვდურთა შორის ესქილე არ ჩანდა. ევფორიონმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და სახე

გაუბრწყინდა: ჭაბუკმა მორზე ჩამომჯდარი ესქილე დაინახა. სახეზე ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა. მამას ფეხაკრეფით მიუახლოვდა, ხმა დაიბოხა და დარბაისლურად წარმოთქვა:

— გულითად სალამს გიძღვნი, დიდებულო პოეტო!

ესქილემ თავი ასწია. მის წინ ევფორიონი იდგა. ესქილე შეშლილივით წამოვარდა, მკლავები გაშალა და შვილი მკერდზე მიიკრა.

— საიდან, როგორ? — ბუტბუტებდა ის, — ციდან ხომ არ ჩამოფრინდი?

— არა! — ღიმილით მიუგო ევფორიონმა, — ზღვის ტალღებიდან ამოვედი!

ესქილემ ზღვისაკენ გაიხედა. ნაპირთან ათენის ხომალდი იდგა.

— აი, გოგრა! — ამბობდა ის და თან შვილს ეხვეოდა, — დილიდან მოუთმენლად გელოდი, ყველა ხომალდს ვეგებებოდი და ეს კი გამომრჩა. შენ რომ არ გეყოჩაღა, ერთმანეთს ავცდებოდით!

— ვიცოდი, რომ აქ იქნებოდი. ალბათ გუშინდელი დღეც ნავსაყუდელში გაატარე...

— გუშინწინდელიც! — ღიმილით მიუგო ესქილემ და ჯა დასძინა: — ახლა კი შინისაკენ გავუდგეთ გზას. დაღლილი და მოშიებული იქნები.

ლამაქე სიხარულით შეეგება ევფორიონს და სუფრასთან მიიწვია. ესქილე და ევფორიონი მაგიდას შემოუსხდნენ.

— აბა, ლამაქე! — უთხრა ესქილემ, — იმედი მაქვს, სტუმართან არ შემარცხვენ და შენებურად გვიმასპინძლებ!

— დამშვიდებული ბრძანდებოდე, ბატონო ჩემო, ევფორიონისათვის არაფერს დავზოგავ!

მამა-შვილი ვახშამს მადიანად შეექცეოდა. ერთხანს არც ერთი ხმას არ იღებდა. ბოლოს ესქილემ თავი ვეღარ შეიკავა და თქვა:

— აბა, მითხარი, ვინ ნახე და რა ამბები ჩამომიტანე?

— ათენი კიდევ უფრო დამშვენებულა. ამბობენ, მომავალ წელს ტრაგედიებს ახალ თეატრში წარმოადგენენო. სოფოკლემ მითხრა, იმ დიდებულ შენობაში პირველი ჯილდო პირველად ესქილემ უნდა მოიპოვოსო. ყველა მოუთმენლად ელის შენს დაბრუნებას!

— არისტიდე რაღას ამბობს? — ჰკითხა ესქილემ.

— ძალზე გულნაკლულია. ერთხელ მითხრა, მამაშენმა მეორედ გამიმტყუნა იმედიო. უკვე მესამე წელია, რაც მიგვატოვა და უკან დაბრუნებას არც კი ფიქრობსო.

ესქილემ ხელი შუბლზე გადაისვა. მესამე წელი! ჰიერონის მასპინძლობით მოხიბლულს არც კი შეუნიშნავს, დრომ როგორ გაირბინა...

— ათენელებს პირზე სამი კაცის სახელი აკერიათ. ერთი თემისტოკლე, მეორე არისტიდე, მესამე კი... — ევფორიონმა სათქმელი აღარ დაასრულა.

— მესამე ვინღა არის? — ჰკითხა ესქილემ.

— გამოიცანი! — მიუგო ევფორიონმა.

— კიმონი? — გაუბედავად იკითხა ესქილემ.

— დიახ, კიმონი! ჩემს მეგობარს ისეთი სახელი მოუხვეჭია, თემისტოკლესაც შეშურდება!

— დიდად არ გამკვირვებია, — თქვა ესქილემ, — კიმონი ყოველთვის მამაცი და გონიერი ჰაბუკი იყო!

— სოფოკლეს პოეტთა შეჯიბრებაში მიუღია მონაწილეობა, — განაგრძობდა ევფორიონი, — მის ტრაგედიებს საკმაოდ უფერულად ჩაუვლია. ყმაწვილი გულგატეხილია და ამბობს ტრაგედიების წერაზე ხელი უნდა ავიღოო...

ესქილემ გაიცინა.

— ეგ ხომ ბავშვური თავის მოტყუებაა. სოფოკლე პოეტად არის დაბადებული. ტრაგედიების წერას ვერ მოეშვება. მარცხს გამარჯვება მოჰყვება და ჰაბუკს რწმენა დაუბრუნდება.

— ალბათ... — ჩაილაპარაკა ევფორიონმა.

ესქილე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე კვლავ შვილთან მივიდა და ჰკითხა:

— ტალთიბე როგორღა არის?

— დღე და ღამ გარჯაშია. ყოველ წამს იმას მეკითხებოდა, მალე დაბრუნდებით, თუ არაო. დიდი ბატონი თუ დაგვიანებას აპირებს, ის მაინც შემატყობინოს, როგორ მოვიქცეო...

— ტალთიბე ყოჩაღი კაცია, — თქვა ესქილემ, — საქმეს თავს გაართმევს და უჩვენობასაც არ დაატყობს იქაურობას.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. მამაც და შვილიც ფიქრებს გაჰყოლოდნენ. ცოტა ხნის მერე ესქილე წამოდგა, შვილს მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ახლა მოისვენე. ნამგზავრი ხარ და დაღლილი იქნები. დილით კი საუბარი გავაგრძელოთ.

— კარგი აზრია! — მხიარულად მიუგო ევფორიონმა, — მაგრამ ერთი რამ ახლავ უნდა გადმოგცე.

— რა არის ასეთი მნიშვნელოვანი? — ჰკითხა ესქილემ.

— თემისტოკლე ბარათს გიგზავნის!

— თემისტოკლე?

— დიახ!

— რას მწერს?

— რა მოგახსენო...

— კეთილი, — ჩაილაპარაკა ესქილემ, — წერილის წაკითხვას მოვასწრებ. ახლა კი ნება მომეცი, საწოლ ოთახამდე მიგაცილო!

ევფორიონი მიხვდა, რომ ესქილეს მარტო დარჩენა ეწადა. ღამე მშვიდობისა უსურვა და მეზობელ ოთახს მიაშურა.

ესქილე მაგიდასთან მივიდა. ერთხანს ბარათს ხელში ატრიალებდა და მერე კითხვას შეუდგა.

„წარმატებას გილოცავ, ღირსეულო ესქილე! — წერდა თემისტოკლე, — შენ განადიდე ქალაქი ეტნა, მაგრამ უარი თქვი სალამინის ბრძოლის აღწერაზე. ალბათ დაგავიწყდა, რომ სალამინთან ელადის თავისუფლება გამოიჭედა, ჰიერონ სირაკუზელმა კი ელინთა დახმარება არ ინება. თუმცა იმასაც ამბობენ, ჰიერონი უხვად ასაჩუქრებს თავის მეხოტბეებსო. აქაურები მაინც კმაყოფილნი არიან, რომ ათენელმა პოეტმა შორეულ სირაკუზშიც გაითქვა სახელი. ჩემი მხრივ მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ კარის მგოსნებს ათენშიც უხვად აჯილდოვებენ!“

აღელვებულმა ესქილემ ბარათი მაგიდაზე მიაგდო და წამოდგა.

— გულწრფელი კი ხარ, ღირსეულო თემისტოკლე?—წამოიძახა მან, — მართლაც ფიქრობ, რომ მე კარის მგოსნობა დავიწყე? არა, შენ ხომ მიცნობ და, მაშასადამე, ასეთს ვერაფერს იფიქრებ! „ეტნელნი“ იმიტომ დავწერე, რომ აღტაცებული ვიყავ ამ ქალაქით. კარის მგოსნობა რა შუაშია? — განა სალამინის ბრძოლით არ იყავ აღტაცებული? — ჩაესმა ესქილეს თემისტოკლეს ხმა. — ვიყავ და აღვწერდი კიდეც ათენელთა უკვდავ გმირობას. მაგრამ შენმა წინადადებამ აღმაშფოთა, განზრახვაზე ხელი ამაღებინა! — ეტნას განდიდებაც ხომ ჰიერონმა გთხოვა? — არ ეშვებოდა იდუმალი ხმა, — რატომ დათანხმდი? — ესქილე შეკრთა. — ვინმეს განსადიდებლად არასდროს არაფერი დამიწერია. და თუ შენი ბრალდება ოდნავ მაინც არის სამართლიანი, ის იმ მეორე ესქილეს შეეხება, ჩემს სხეულ-

ში რომ უკანონოდ ჩაბუდებულა. მე მას არსებობის უფლებას არ მივცემ, გავანადგურებ! — ესქილემ ოთახში გაიარ-გამოიარა და ხმამაღლა თქვა: — დიდი ხანია მინდოდა ის უკვდავი გმირობა ამეწერა. მე შევქმნი ახალ ტრაგედიას და ყველა ელინს მივუძღვნი მას...

ოთახში ევფორიონი შემოვიდა.

— ვის ელაპარაკებოდი, ძვირფასო მამი?

— თემისტოკლეს! — ნაღვლიანად ჩაიცინა ესქილემ, — ხვალიდან ახალი ტრაგედიის წერას ვიწყებ! მე მას „სპარსელებს“ დავარქმევ. ელაფებოლიონის თვეში კვლავ წარვდგები ათენელი მაყურებლის წინაშე!

საუბარი სცენასთან

77-ე ოლიმპიადის პირველი წელი[1] იყო. დიდი დიონისიის დღესასწაული ათენელებს კარზე მოდგომოდა. ქალაქში საზეიმო განწყობილება სუფევდა. თეატრალურ სანახაობებს ხალხი ყოველთვის მოუთმენლად ელოდა, მაგრამ წლევანდელ დღესასწაულს ყველა განსაკუთრებული სიხარულით ეგებებოდა. საამისო მიზეზიც ჰქონდათ. ჯერ ერთი, ტრაგედიები ახალ თეატრში უნდა წარმოედგინათ. ვინ იცის, რაოდენ დიდი ჯაფა და ენერგია შეალიეს ათენელებმა ამ თეატრის მშენებლობას. გარჯა დაუფასდათ. კოხტად ნაგები თეატრი, შესანიშნავად მოწყობილი სცენითა და აკროპოლისის ფერდობზე ღია ცის ქვეშ ნახევარწრედ შეზოვლებული მერხებით, მაყურებელს დიდებულ სანახაობაზე იწვევდა. მაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო ხალხის სიხარულის საბაბი. აქ, ამ ახალ თეატრში, ოთხწლიანი განშორების შემდეგ, უნდა შემდგარიყო ათენელ მოქალაქეთა შეხვედრა სახელოვან ესქილესთან... ათენელებს დღემდე ვერ მოენელებინათ თავიანთი უგუნური გამოხდომა. ესქილეს წინაშე თავს დამნაშავედ თვლიდნენ და გულით ეწადათ ამ დანაშაულის გამოსყიდვა.

9 ელაფებოლიონს დიონისეს ქანდაკება ტაძრიდან ახალ თეატრში გადაიტანეს. დღესასწაული დაიწყო...

---

[1] 472 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

11 ელაფებოლიონს პოლიფრადმონის ტრაგედიები წარმოადგინეს. მომდევნო დღე კი არისტიას დაუთმეს.

თეატრიდან გამოსული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და საუბრობდა.

— ფრინიქემ თავად ვეღარ გაბედა ესქილესთან შერკინება და ასპარეზი შვილს გადაულოცა! — თქვა ახალგაზრდა ვაჟკაცმა.

— თურმე პოლიფრადმონი და არისტია არქონტს თვალცრემლიანი ევედრებოდნენ, ესქილეს ტრაგედიები უკანასკნელ დღეს წარმოვადგინოთო! — სიცილით დასძინა მეორემ.

— ვითომ რატომო? — იკითხა ხანში შესულმა მოქალაქემ.

— ადვილი გასაგებია. ესქილეს ტრაგედიების მერე ჩვენსას ვინღა შეხედავსო!

— ეგ კი კარგად უფიქრიათ! — მყის დაეთანხმა ხანში შესული მოქალაქე და დასძინა: — ხვალ ჰეშმარიტი სიხარული მოგველის. ესქილეს ღირსეული შეხვედრა უნდა მოვუწყოთ. დაე, დარწმუნდეს დიდი პოეტი, რომ ათენელები კვლავ მისი თაყვანისმცემლები ვართ!

13 ელაფებოლიონს თეატრი ხალხით გაიჭედა. ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარსად დარჩენილიყო.

— ეს ხალხი რამ მოათვინიერა? — იკითხა გაოცებულმა ფრინიქემ და ზედა რიგებს გაჰხედა.

— ამ ხნის კაცი ვარ და ასეთი ჯერ არაფერი მინახავს! — ჩაილაპარაკა არისტიამაც და მხრები აიჩეჩა.

ან კი როგორ არ გაჰკვირვებოდათ? ხალხი ისე გარინდულიყო, კაცი ბუზის გაფრენას გაიგონებდა...

თეატრში არქონტი-ეპონიმი შემოვიდა. თანმხლებთა შორის მაყურებლებმა კიმონი შენიშნეს. ამჯერად კი დაირღვა მყუდროება. ყველა ფეხზე წამოდგა და ახალგაზრდა სტრატეგოსს ყიჟინით მიესალმა.

— თემისტოკლე და არისტიდე სადღა არიან? — იკითხა ვიღაცამ.

— აი, თემისტოკლეც! — წამოიძახა ჩასუქებულმა მეზღვაურმა და ხელი წინ გაიშვირა.

თეატრში კვლავ ტაშმა იგრიალა.

თემისტოკლემ პირველ რიგს მიაშურა და მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა...

უეცრად გამაყრუებელი ყიჟინა გაისმა. ხალხი კვლავ წამოიშალა

და ერთსულოვანი ტაში დაჰკრა. აღტაცებული მოქალაქეები არისტიდეს ეგებებოდნენ.

თემისტოკლე მოიღუშა. არისტიდეს ბოროტი მზერა მიაპყრო...

დემოკრატების ბელადი გრძნობდა, რომ ბოლო დროს ხალხი ძველებურად აღარ აღმერთებდა. უმრავლესობა არისტიდეს მიმხრობოდა და დანარჩენებსაც თემისტოკლეს სიყვარული განელებოდათ... ერთხელ ქსანთიპოსმა გააფრთხილა:

— შენმა მოუსვენარმა ხასიათმა ხალხი დაღალა და თუ რაიმე არ იღონე, ყველა არისტიდეს მხარეს დაიჭერსო. — მეგობრის სიტყვებს თემისტოკლემ მაშინ ყურადღება არ მიაქცია. ახლა კი ხედავდა, რომ ქსანთიპოსი მართალი იყო.

თეატრში კვლავ გაისმოდა მისალმების შეძახილები.

— ვინ იფიქრებდა, რომ არისტიდე ასე მოტყდებოდა? — სინანულით ჩაილაპარაკა ხანში შესულმა მოქალაქემ.

— ამბობენ, შარშან გადატანილმა ავადმყოფობამ დააბერაო... — თქვა მეორემ.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ სამიოდე წლის წინ კი ძნელად გამოიყურებოდა.

არისტიდე მართლაც დაბერებულიყო. წელში ოდნავ მოხრილიყო და თმებიც გათეთრებოდა...

ხმაური თანდათან მიწყდა და თეატრში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ხალხმა სცენას მიაპყრო მზერა. წარმოდგენა დაიწყო...

თავდაპირველად „ფინევსი“ წარმოადგინეს. ტრაგედია რომ დასრულდა, გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა. აღტაცებული ევფორიონი აქეთ-იქით იყურებოდა და სიხარულს ვერ მალავდა. მერე სოფოკლეს მაჯაზე ხელი მოუჭირა და გადაულაპარაკა:

— იქნებ ამის თქმა არც შემფერის, მაგრამ გამოგიტყდები, რომ აღტაცებული ვარ. ვგონებ მაყურებელიც არ უნდა იყოს უკმაყოფილო!

— ვგონებ! — სიცილით მიუგო სოფოკლემ და დასძინა: — მაყურებლის შესახებ მეორე ტრაგედიის მერე ვილაპარაკოთ!

„ფინევსის“ შემდეგ „სპარსელები“ უნდა ეჩვენებინათ. ხალხი მოუთმენლად ელოდა ამ ტრაგედიას. ბოლოს სანატრელი წუთიც დადგა და წარმოდგენა დაიწყო.

სცენაზე დარიოსის აკლდამა მოჩანს. მდიდრულად მოსილი მეგუნდენი ირანელ დიდებულებს განასახიერებენ...

თეატრში გამაყრუებელი ყიჟინა გაისმა. მაყურებელი წყევლა-კრულვას უთვლის ირანელ ერისკაცებს.

გუნდი ხოტბას ასხამს მეფესა და მის ძლევამოსილ ლაშქარს. ჩამოთვლის ომში გამგზავრებული ვაჟკაცების სახელებს...

— ხედავ, რა იმედიანად არიან? — გადაულაპარაკა ერთმა მეზღვაურმა მეორეს.

მაგრამ მაყურებლებმა მალე შენიშნეს, რომ ირანელ დიდებულთა სიმღერაში შიშიც გამოსჭვივის, გამარჯვების რწმენას რაღაც ეჭვი შეჰპარვია.

სცენაზე დარიოსის მეუღლე ატოსა შემოდის. საზარელი სიზმარი უხილავს: ეტლი, რომელსაც ქსერქსე მართავდა, გადაბრუნებულა და მეფეთა-მეფე მიწაზე გაშოტილა...

კმაყოფილი მაყურებლები ნიშნის მოგებით თავს აქნევენ.

ატოსა კი განაგრძობს: ქსერქსეს მამამისი გამოეცხადა. დაღვრემილი იდგა დარიოსი. მამის დანახვაზე სირცხვილითა და მწუხარებით შეპყრობილმა ქსერქსემ ტანსაცმელი ნაკუწებად აქცია...

— ნეტავ მეც დამსიზმრებოდა მიწაზე დანარცხებული და ტანსაცმელ შემოფლეთილი ქსერქსე! — მხიარულად წამოიძახა ვიღაცამ.

ატოსა კი გუნდს სთხოვდა, რომ სიზმარი განემარტა...

— განა ამ სიზმარსაც ახსნა სჭირდება? — გაიკვირვა ერთმა ახალგაზრდა მაყურებელმა, — ცხადია, მიწაზე დანარცხება ოლიმპოზე ამაღლებას არ ნიშნავს!

ყმაწვილს მეზობლებმა მუჯლუგუნი უთავაზეს და გააჩუმეს.

გუნდის მეთაური დედოფალს ანუგეშებს: — ყველაფერი კეთილად დაგვირგვინდება. დარიოსის სული საიქიოდან გამოიწვიე. ლოცვით მიმართე უკვდავ ღმერთებს, რომ უბედურება აგვაცილონ! — წასასვლელად გამზადებული ატოსა მეთაურს ელინთა ამბავს ეკითხება. ამ საუბარში გუნდის მეთაური ელადის ძლიერებას აღიარებს...

თეატრში კვლავ ტაშმა იგრიალა. საფეხურზე ჩამომჯდარი მეზღვაური ხელებს იფშვნეტს და ამბობს:

— დავახსომეთ თუ არა თავი! ათენის ფლოტის ძალას მტერი ვერასდროს დაივიწყებს!

— ფლოტი რა შუაშია, ძმობილო! აქ ჰოპლიტებზეა საუბარი. ჩვენ რომ არა, ათენი ახლაც ირანელების ხელში იქნებოდა!

მეზღვაური წამოიჭრა და მოპაექრისაკენ გაიწია. საქმეში ზედამხედველები ჩაერიენენ და წესრიგი დაამყარეს.

ფრინიქემ კი მეზობელს გადაულაპარაკა:

— რა საამოა, როდესაც შენს ძლიერებას მოსისხლე მტერიც აღიარებს!

— როგორ? — გაიკვირვა მეზობელმა, — შენც მოგწონს ესქილეს ტრაგედია?

— რატომ არ უნდა მომწონდეს? ესქილე აქ მე მბაძავს!

სცენაზე მაცნე შემოიჭრა. ქსერქსეს არმია ელინებმა გაანადგურესო, აუწყა ირანელ დიდებულებს. გუნდს შემზარავი გმინვა აღმოხდა. სცენაზე მწუხარებამ დაისადგურა...

ხალხი კი აღტაცებას ვერ მალავს.

სასოწარკვეთილი ატოსა მაცნეს კითხვებს აყრის. მაყურებელთა თვალწინ ირანელთა დამარცხების ამბავი იშლება. თავდაპირველად მაცნე სალამინთან გამართული საზღვაო ბრძოლის შესახებ მოუთხრობს.

— არ არსებობს უფრო საძულველი სახელი, ვიდრე სალამინი!— ამბობს იგი.

ხალხი ბობოქრობს. მეზღვაურთა სიხარულს საზღვარი არ უჩანს.

— მაშ რა გეგონათ? —ამბობს ფრინიქე, — თემისტოკლეს დამსახურება ესქილემაც უნდა აღიაროს!

მაცნე კი თხრობას განაგრძობს:

— შემზარავი იყო მტრის შემოტევა. ახლაც მესმის მათი ძახილი: მტერს დაჰკარით, ელინთ შვილებო! დიდი ღმერთების დაიცავით საკურთხევლები!

ატოსა და გუნდი მწარედ მოთქვამენ. უსაზღვროა მაცნეს მწუხარებაც...

მათი სევდა თითქოს ხალხსაც გადასდებია. აღარ გაისმის დამცინავი შეძახილები და სტვენა.

უხუცესთა გუნდს მაცნე ახალ უბედურებას აუწყებს: ქსერქსეს ბრძანებით ერთ კუნძულზე ირანელებმა ჯარი გადასხეს. ელინებმაც იმ კუნძულს მიაშურეს. უკანასკნელ მეომრამდე ამოწყდა ქსერქსეს

ლაშქარი. მაშინ კი ბრძანა მეფემ, ელინთა კრული მიწა მიეტოვებინათ და პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა...

— აკი ვამბობდი, ათენი ჰოპლიტებმა ასახელეს-მეთქი! — წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა და მეზღვაურს გადახედა.

— ფსიტალოსის ბრძოლა რა მოსატანია? — ჩაიბუზღუნა ფრინიქეს მეზობელმა.

— ესქილე შორს უმიზნებს, ძმობილო! — მიუგო ფრინიქემ, — იმ ბრძოლას არისტიდე მეთაურობდა. მეგობრის განდიდება მოიწადინა.

— სურს, თემისტოკლეს გაუთანაბროს...

— ანდა მე დამიპირისპირდეს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი „ფინიკიელები“ ხომ თემისტოკლეს განადიდებდა!

სცენის სიღრმიდან ბრწყინვალედ შემოსილი დარიოსის სული ამოიმართა...

მაყურებელი დაიძაბა. ყველა სულგანაბული ისმენდა მეფის აჩრდილისა და ატოსას საუბარს.

ირანელთა მარცხის ამბავს შეუძრწუნებია მეფეთა-მეფე.

— ნუღარ იფიქრებთ ელინთა წინააღმდეგ გალაშქრებას, — ამბობს დარიოსი, — თვით დედამიწაა ელადის მოკავშირე!..

თეატრში ტაში გრიალებს. აღტაცებული მაყურებლები ზეიმობენ: ელადის ძლიერებას თვით დარიოსი აღიარებს! მეფეთა-მეფეს თურმე გაგონილი ჰქონია, რომ ელადა ირანს დაამარცხებდა. მაგრამ ძალზე მალე კი ახდა ეს წინასწარმეტყველება. ირანი ქსერქსეს ქედმაღლობამ და უგუნურებამ დაღუპა. მან შებორკა ჰელესპონტი და ზედ მცურავი ხიდი ააგო. ელინთა ტაძრებსა და საკურთხევლებს ანადგურებდა. ამგვარ მოქმედებას ღმერთები უთუოდ მიუზღავდნენ სამაგიეროს. მიუზღეს კიდეც! ბოროტი საქმეების ჩამდენთ მომავალშიც მკაცრად დასჯიან!..

მაყურებლები აღარ ხმაურობენ. სცენას მონუსხულებივით შეჰყურებენ.

— სიძულვილის ნაცვლად დარიოსმა ხალხის თანაგრძნობა დაიმსახურა... — ჩაილაპარაკა ევფორიონმა.

— ესქილე თავის გზას მიჰყვება, — მიუგო სოფოკლემ, — დამნაშავე მხოლოდ ქსერქსეა. მას უკვე მიეზღო სამაგიერო. ამიერიდან ირანელთა და ელინთა ომს აზრი აღარ აქვს!

— მაგრამ ბრძოლა ხომ დარიოსმა დაიწყო? — ჰკითხა ევფორიონმა.

— მაგ ფაქტს ესქილე არ დაივიწყებდა, ის რომ ომის გაგრძელების მომხრე ყოფილიყო! — ღიმილით მიუგო სოფოკლემ.

სცენაზე ქსერქსე შემოვიდა. სადღაა მისი ქედმაღლობა და ამპარტავნება? მწარე მარცხს გაუნადგურებია ამაყი მეფე. ქსერქსესა და გუნდის მწუხარე საგალობელში დარდი, ტანჯვა და ვაება გაისმის. კვლავ იხსენებენ იმ გმირებს, ქსერქსესთან ერთად საომრად რომ გაემგზავრნენ; გუნდის შეკითხვებში თითქოს საყვედურის ტონიც შეპარულა. მწარედ გოდებენ ერთ დროს ძლევამოსილი მეფე და ირანის ხანდაზმული ერისკაცები...

წარმოდგენა დასრულდა. ერთხანს გარინდული ხალხი ერთაბაშად ახმაურდა. ტაშის გრიალსა და გამაყრუებელ შეძახილებში გარკვეით ისმოდა ერთი სახელი:

— ესქილე! ვაშა ესქილეს!

სოფოკლე ევფორიონს მიუბრუნდა და უთხრა:

— მე მართალი ვიყავ! ხედავ, როგორ ბობოქრობს ხალხი?

თეატრში მართლაც არნახული რამ ხდებოდა. ხალხი წამოშლილიყო, ზოგიერთები მერხებზეც შემდგარიყვნენ. აღტაცებული მაყურებელი არ ცხრებოდა და ერთსულოვან შეძახილებს ბოლო არ უჩანდა....

— თუ რაიმე არ ვიღონეთ, ახალი უბედურება დატრიალდება! — თქვა არისტიდემ და ხალხს თვალი მოავლო.

— თეატრი დაინგრევა! — დაუდასტურა კიმონმა.

ხალხი კი კვლავ ბობოქრობდა. ყველა ერთხმად გაიძახოდა ესქილეს სახელს.

არისტიდე და კიმონი მსახიობთა ოთახში შევიდნენ. აღტაცებული მეგუნდენი ესქილეს გარს შემოხვეოდნენ და წარმატებას ულოცავდნენ.

— ესქილე! — გასძახა არისტიდემ და მეგობარი განზე გაიხმო. — ხალხი დაჟინებით მოითხოვს შენთან შეხვედრას. სცენაზე გადი, დაენახვე და დააშოშმინე!

— როგორ? — გაოცდა ესქილე, — ჯერ ხომ წარმოდგენა არ დამთავრებულა?

— მართალია, — მიუგო არისტიდემ, — მაგრამ გარეთ არნახული

რამ ხდება. ზედამხედველები ვერაფერს გააწყობენ. მხოლოდ შენ ძალგიძს მაყურებლის დაშოშმინება.

ოთახში ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცი შემოიჭრა. აღელვებული ესქილეს მიადგა და უთხრა:

— დიდებულო ესქილე! მაყურებელი თუ არ დავაწყნარეთ, უბედურება დატრიალდება. ათენის არქონტი-ეპონიმი, ღირსეული მენონი დაბეჯითებით გთხოვს, ხალხს დაენახვო და დააშოშმინო...

— სად გაგონილა, შუა წარმოდგენის დროს ავტორმა მაყურებლებთან ბაასი გამართოს? — ბუტბუტებდა გაოგნებული ესქილე, — ეს ხომ მეტიჩრობა და თავხედობა იქნება! განა ჩვენს თეატრში როდესმე ასეთი რამ მომხდარა?

— არა, მაგრამ ჩვენს თეატრში არც ის მომხდარა ოდესმე, რაც დღეს ხდება! — მიუგო არისტიდემ.

ესქილეს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არისტიდემ აღარ დააცალა, მკლავზე ხელი მოჰკიდა და ოთახიდან გაიყვანა.

კარი რომ მიიხურა, ესქილეს გამაყრუებელი ყიჟინა მოესმა. ხალხს თვალი შეავლო და შემკრთალი შეჩერდა.

— დიდება ესქილეს!

— დიდება ძლევამოსილ ათენელ მეომრებს!

— ათენის ბლიერებას გაუმარჯოს!

ყოველი მხრიდან გაისმოდა აღტაცებული შეძახილები და მერე ყველაფერი თავიდან იწყებოდა:

— დიდება ესქილეს!

— პოეტთა მეფეს — პირველი ჯილდო!

არისტიდემ ესქილეს ხელი ჰკრა და სცენაზე შეაგდო. გაოგნებული პოეტი აღტაცებული მაყურებლის პირისპირ აღმოჩნდა. ხალხმა მყის იცნო ესქილე და ისეთი ყიჟინა დასცა, თემისტოკლეც კი შეკრთა და სავარძლიდან წამოიჭრა.

— ჩვენ რომ არც ხომალდები გვყოლოდა და არც უშიშარი ჰოპლიტები, ქსერქსეს ლაშქარს ამგვარი ყიჟინითაც დავაფრთხობდით! — გადაულაპარაკა მან ქსანთიპოსს.

ესქილემ მარჯვენა ხელი აღმართა. ზედამხედველებს თავშეკავებული მაყურებლებიც წამოეშველნენ და ხალხის დაწყნარება სცადეს.

— ესქილეს სურს, რაღაც გვითხრას! — დაიძახა სოფოკლემ და მერხზე შემდგარ მეზღვაურს მუჯლუგუნი უთავაზა.

— რაო? — შეუბღვირა მეზღვაურმა და როდესაც ნათქვამი გაუმეორეს, დაიქუხა: — მოქალაქენო! ესქილეს ჩვენთან ლაპარაკი სურს და მოვუსმინოთ!

მეზღვაურს სხვებმაც დაუბეს მხარი, ზოგიერთებმა მუშტებიც აამუშავეს. ხალხი თანდათან მიყუჩდა და ბოლოს სულ გაინაბა.

— მოქალაქენო! — გაისმა ესქილეს ხმა და ევფორიონი მყის მიხვდა, რომ მამამისი ძალზე ღელავდა. — მამაცო და შეუდრეკელო ელინთ შვილებო! ეს ტრაგედია თქვენს გმირობასა და ვაჟკაცობას მივუძღვენი. მსურდა, ელინებისათვის უპირატესობისა და სწორუპოვრობის გრძნობა შთამენერგა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიყვარული კიდევ მეტად გამეღვივებინა. ყველა ელინმა წვლილი შეიტანა მტრის უკუგდების დიად საქმეში. ამიტომ „სპარსელები“ ელინების კუთვნილებაა. რადგან ათენელებმა იმ ბრძოლაში თანამოძმეებს გადააჭარბეს, ეს ტრაგედიაც, პირველ ყოვლისა, მათ ეკუთვნის. სწორედ მათთვის შევმოსე ის დიდებისა და ბრწყინვალების შარავანდედით!..

თეატრში კვლავ ტაშმა იგრიალა. ესქილემ შუბლზე ხელი გადაისვა, ორიოდე ნაბიჯი წინ წადგა და განაგრძო:

— ირანი ქსერქსეს ქედმაღლობამ იმსხვერპლა. უკვდავი ღმერთების შემწეობით მტერს სასტიკი მარცხი ვაგემეთ. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წარმატებით დავასრულეთ და აწ მოსვენება გვმართებს. წაქცეული მტრის გაუთავებლად ცემა და მისი აბუჩად აგდება ჩვენს ვაჟკაცობას არ შეეფერება!

— სწორია! მართალია! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

ესქილემ ერთხანს იყუჩა, მერე კი სათქმელი ღიმილით დაასრულა:

— სანახაობა ჯერ არ დამთავრებულა. კიდევ ორი დრამა უნდა წარმოვადგინოთ: მესამე ტრაგედია „გლაუკოსი“ გახლავთ. სატირულ დრამას კი „ცეცხლის დამნთები პრომეთე“ ვუწოდე.

ვიდრე ესქილე მაყურებლებს ესაუბრებოდა, მონებმა დეკორაცია შეცვალეს. სცენაზე მეგუნდენი გამოვიდნენ და ახალი ტრაგედია დაიწყეს...

წარმოდგენა რომ დასრულდა, კვლავ გაისმა აღტაცებული შეძა-

ხილები და ტაშის გრიალი. თემისტოკლემ ქსანთიპოსს მაჯაზე ხელი მოუჭირა და ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ! დღევანდელი საღამო ერთად გავატაროთ. თან ერთ საიდუმლოსაც გაგიმჟღავნებ...

— თანახმა ვარ, — მიუგო ქსანთიპოსმა, — ოღონდ ჯერ მსაჯულთა გადაწყვეტილებას დაველოდოთ!

თემისტოკლემ მხრები აიჩეჩა.

— განა სულ ერთი არ არის, არისტიას მიაკუთვნებენ მეორე ჯილდოს თუ პოლიფრადმონს? — ჰკითხა მან.

— მე მსურს გამარჯვებულის სახელი შევიტყო! — მიუგო ქსანთიპოსმა.

თემისტოკლემ გაოცებული მზერა მიაპყრო მეგობარს.

— ეგ მართლაც ძნელი გამოსაცნობია! — დაცინვით უთხრა მან და გასასვლელისაკენ გაემართა.

ქსანთიპოსი ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და თემისტოკლეს დაედევნა.

მეგობრები უხმოდ მიაბიჯებდნენ ვიწრო ქუჩაზე. მალე ორსართულიან სახლს მიადგნენ. თემისტოკლემ ჭიშკარი შეაღო. შუახნის მონამ ეზო სირბილით გადმოსერა და მოსულთ მდაბლად დაუკრა თავი. თემისტოკლემ მონას ყურადღება არ მიაქცია და კიბე სწრაფად აირბინა. ქსანთიპოსი ფეხდაფეხ მიჰყვა მასპინძელს. მონამ გაოცებული მზერა გააყოლა და მერე ჭიშკარი ჩაკეტა.

თემისტოკლე სასტუმრო ოთახში შევიდა, ქსანთიპოსს სავარძელი შესთავაზა და თავადაც ჩამოჯდა. ქსანთიპოსი მძიმედ დაეშვა სავარძელზე. ერთხანს იყუჩა და მერე მასპინძელს ჰკითხა:

— რა უნდა გეთქვა, ბელადო?

თემისტოკლემ თითები მაგიდაზე აათამაშა. საუბრის დაწყება უმძიმდა. კარგახანს ხმა არ ამოუღია, მერე სხაპასხუპით მიახალა:

— რა ბრალი მიმიძღვის ათენელების წინაშე? ანდა ესქილეს რა დავუშავე?

ქსანთიპოსმა მხრები აიჩეჩა, თქმით კი არაფერი უთქვამს. სიჩუმე კვლავ თემისტოკლემ დაარღვია:

— ოთხი წლის წინ ფრინიქეს ტრაგედია წარმოადგინეს. აღტაცებულ მაყურებელს ავტორი გადაავიწყდა და ყველა ჩემს სახელს გა-

იძახოდა. დღეს კი თემისტოკლე აღარაფის გახსენებია. რა მოხდა? განა ის ომი მე არ მოვიგე?

— ოთხი წლის წინ სხვა დრო გახლდა, დიდებულო თემისტოკლე! — მიუგო ქსანთიპოსმა, — სალამინის ბრძოლის შთაბეჭდილება ჯერ კიდევ არ განელებულიყო. შენი გმირობა ხალხს თვალწინ ედგა და ირანელებთან ომის გახსენებისას ყველა თემისტოკლეს იგონებდა!..

— არა, ქსანთიპოს!—გააწყვეტინა თემისტოკლემ და წამოდგა, — შენც კარგად იცი, რომ მხოლოდ ეგ არ არის მიზეზი! ამ ბოლო დროს ხალხმა ჩემზე გული აიცრუა, არისტიდესა და კიმონს ადიდებენ. ესქილეც ეშმაკურად მოიქცა. აკი თქვა კიდეც, „სპარსელები“ ელინთა გმირობასა და მამაცობას ვუძღვენ, ყველა ელინმა წვლილი შეიტანა მტრის დამარცხების დიად საქმეშიო. მეც იმ „ყველაში“ მომაქცია, თითქოს რიგითი მეომარი ვყოფილიყავ... მაგრამ ეს არ მანაღვლებს. ესქილეს, არისტიდესა და კიმონს ეშმაკებამდისაც ჰქონიათ გზა! მე მსურს ვიცოდე, ათენელებმა ზურგი რად შემაქციეს, ჩემი ღვაწლი რატომ დაივიწყეს? სიკეთეს მტრობით რატომ მიხდიან?

ქსანთიპოსი თავჩაქინდრული უსმენდა. სათქმელისათვის თავი ვერ მოეყარა და უხერხულად იშმუშნებოდა. აღელვებული თემისტოკლე კი პასუხს მოუთმენლად ელოდა. ბოლოს ქსანთიპოსის წინ შეჩერდა, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და მკაცრად უთხრა:

— შენ ხომ ათენელი ხარ! გამაგებინე, ამ ქალაქის მკვიდრნი რატომ იჩენენ ესოდენ დიდ უმადურებას?

— სახელდობრ?.. — ანგარიშმიუცემლად ჰკითხა ქსანთიპოსმა.

თემისტოკლემ ხელი ჩაიქნია და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე კვლავ ქსანთიპოსის წინ შედგა და თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო, ისე ჩაილაპარაკა:

— ამბობენ, ზოგიერთები ჩემს გაძევებასაც ლამობენო, — თემისტოკლემ მწარედ ჩაიცინა და დასძინა: — სახელმწიფოსათვის საშიშ პიროვნებად მივუჩნევივართ!

ქსანთიპოსი წამოდგა. მასპინძელს თვალი გაუსწორა და უთხრა:

— ეგეთი ხმები მეც მოვისმინე, მაგრამ ყველაფერს ათენელებს ნუ დააბრალებ. სპარტის მესვეურნი ყოველნაირად ცდილობენ, სახელი გაგიტეხონ!

თემისტოკლე შეკრთა.

— სპარტის მესვეურნი? — წამოიძახა მან და კვლავ სიარულს

მოჰყვა, — მუხთალია წუთისოფელი! სალამინის ბრძოლის მერე სპარტაში აღფრთოვანებული შეხვედრა მომიწყვეს. მთელი ქალაქი ჩემს სახელს გაიძახოდა. სპარტის მესვეურები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ჩემი გული მოეგოთ, ელადის მხსნელს მიწოდებდნენ, მოქალაქეებმა დაფნის გვირგვინითაც შემამკეს. წამოსვლისას სამასმა რჩეულმა მებრძოლმა სახელმწიფოს საზღვრამდე მომაცილა. ამბობენ, არც ერთ სტუმარს ასეთი პატივი არ ღირსებიაო. ახლა კი ცეცხლზე ნავთს ასხამენ და ათენელებს ჩემს წინააღმდეგ ამხედრებენ? მშობლიურ ქვეყანაზე ზრუნვას დანაშაულად მითვლიან და სახელს მიტეხენ?..

— დიდებულო თემისტოკლე! — დაიწყო ქსანთიპოსმა, — მხოლოდ შენ ხედავდი, რომ ირანელების განდევნის შემდეგ ათენისათვის სპარტა რჩებოდა ყველაზე საშიშ მეტოქედ. განა ამიტომაც არ ააგე მტკიცე კედელი ქალაქიდან პირეამდე? დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს თავაუღებლივ ამუშავებდი და დღე და ღამეს ასწორებინებდი. ომგადახდილ ქვეყანას კი მოსვენება ეწადა. სწორედ მაშინ ჩაისახა ხალხში უკმაყოფილება და სპარტამაც შენში საშიში მეტოქე დაინახა...

თემისტოკლემ მრისხანე მზერა მიაპყრო ქსანთიპოსს.

— როგორ? — გამოსცრა მან, — განა იმ კედლის აგებას ათენელები დანაშაულად მითვლიან? თვით ზევსს დაუხშია მათთვის გონება! სპარტა და მისი პელოპონესელი მოკავშირეები წინ აღუდგნენ ჩემს განზრახვას, კედლის მშენებლობის შეწყვეტა მოითხოვეს. მაშინ სპარტაში გავემგზავრე და მოლაპარაკება გავაჭიანურე. სახელმწიფოს მესვეურთ ვურჩიე, ათენში ელჩები გაეგზავნათ, რომ საქმის ნამდვილი ვითარება შეეტყოთ. განზრახვას ვერ მიმიხვდნენ და დამყაბულდნენ. ამრიგად, სპარტელი მძევლები ხელთ მყავდა! ამასობაში კი ჩვენმა მოქალაქეებმა კედლის მშენებლობა დაამთავრეს და სპარტის გამგებელთ გულახდილად განვუცხადე, მოლაპარაკებას აზრი აღარა აქვს, მტკიცე კედელი უკვე აღმართულია–მეთქი! შეცბენ სპარტელები. სხვა რომ ვერაფერი გაახერხეს, ესღა განაცხადეს: — ჩვენ მხოლოდ კეთილი რჩევის მოცემა გვინდოდა. ირანელებს ათენი რომ კვლავ დაეკავებინათ, იმ კედელს ელინელების წინააღმდეგ გამოიყენებდნენო...

თემისტოკლემ ოთახში გაიარ-გამოიარა და განაგრძო:

— სპარტა, ალბათ, მართლაც გავანაწყენე. მაგრამ რაც ჩვენს ხალხზე თქვი, სიმართლეს არ ჰგავს. მე ვიცი, რომ ათენელი მოქალაქეები მაშინ მხნედ და თავდაუზოგავად შრომობდნენ. განა ასე არ იყო?

— აგრე იყო, — მიუგო ქსანთიპოსმა, — მაგრამ ფარულად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. ხშირად გამიგონია მათი ნათქვამი, თემისტოკლეს ხელში მოსვენება არ გვეღირსებაო. ზოგიერთები იმასაც ამტკიცებდნენ, დემოკრატების ბელადი სპარტის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას აპირებსო. ამგვარი ხმები კი შენს ერთგულ მეზღვაურებსაც აღიზიანებდა. ახლა კი საზარელი ჭორიც გავრცელდა: პავსანიასთან ერთად თემისტოკლე ირანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდაო.

— მერედა ეგ ჭორი სჯერა ვინმეს? — სიცილით ჰკითხა თემისტოკლემ.

— ვგონებ არავის, — მიუგო ქსანთიპოსმა, — მაგრამ სასაცილო აქ არაფერია. ასეა თუ ისე, ხალხის გულში ეჭვი უკვე ჩაისახა!

თემისტოკლეს სახე მოეღუშა. ერთხანს გარინდული იდგა და მერე თქვა:

— პავსანიასი პლატეასთან ბრძოლას მეთაურობდა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. მერე ღალატი დასწამეს და დაპატიმრებაც დაუპირეს. პავსანიასმა ტაძარს შეაფარა თავი. მაშინ უმადურმა მოქალაქეებმა შესასვლელი ამოქოლეს, ტაძარს ერთგან სახურავი ახადეს და იქიდან ადევნებდნენ თვალს სასიკვდილოდ გაწირულ ადამიანს. რამდენიმე დღის მერე შენიშნეს, რომ მშიერ-მწყურვალი პავსანიასი სულს ღაფავდა. მაშინ კი გამოიყვანეს გარეთ და ტაძრის კვარცხლბეკთან მიაწვინეს. ცოტა ხანიც და ერთ დროს ძლევამოსილი ვაჟკაცი უსახელოდ მიიცვალა...

თემისტოკლე ცახცახს აეტანა. თვალები უელვარებდა და აქეთ-იქით ისე იყურებოდა, თითქოს მსხვერპლს დაეძებსო. უეცრად ქსანთიპოსთან მიიჭრა, მაგრად ჩაბღუჯა და შეაჯანჯღარა:

— მითხარ, ყმაწვილო, სიმართლე მითხარ! ხალხმა პავსანიასის ღალატი თუ დაიჯერა, ჩემსას რატომ არ დაიჯერებს? მე თუ სალამინის გმირი ვიყავ, ის ხომ პლატეას გმირი იყო?

გამძვინვარებულმა თემისტოკლემ ქსანთიპოსი სავარძელზე მიაგდო, თავად კი ოთახში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. გაოგნებულ

ქსანთიპოსს თვალები დაეჭყიტა და მასპინძელს შეჰყურებდა. თავადაც ვერ გაეგო, რატომ არ გააბრაზა ასე უდიერად მოპყრობამ. სიბრალულის გრძნობა დაუფლებოდა და გულით ეწადა, თემისტოკლესათვის ნუგეში ეცა.

— დიდებულო თემისტოკლე! — დაიწყო მან, — განა შენ დარწმუნებული ხარ, რომ პავსანიასს მართლაც არ მიუძღოდა ბრალი?

— ეგ მე არ ვიცი! — მიუგო თემისტოკლემ, — მაგრამ პლატეას გმირი ასე არ უნდა გაეწირათ!

— რა თქმა უნდა! — მყის დაეთანხმა ქსანთიპოსი, — მაგრამ პლატეას ბრძოლის მერე პავსანიასს მრავალი უსიამოვნება შეემთხვა. შესაძლოა, მას მართლაც ჰქონდა მიმოწერა ირანის მეფესთან. პავსანიასი რომ სრულიად უდანაშაულო ყოფილიყო, ხალხი იმ ბრალდებას არ დაიჯერებდა!

თემისტოკლე სწრაფად შემოტრიალდა და ქსანთიპოსს დაჟინებული მზერა მიაპყრო. ამ მზერაში უსაზღვრო მადლიერება გამოსჭვივოდა.

— დიახ, — ჩაილაპარაკა მან, — ამბობენ, მოსამართლეებს მრავალი მამხილებელი საბუთი ჰქონდათო... პლატეას გმირის ღალატს ისე ვინ იწამებდა?

თემისტოკლე სავარძელზე დაეშვა და თავისუფლად ამოისუნთქა.

— მაინც ვინ მივრცელებს მაგ ჭორს? არისტიდე? — ჰკითხა მან ქსანთიპოსს.

— ისეთს ნურაფერს იტყვი, რასაც თავადაც არ დაიჯერებ, — მიუგო ქსანთიპოსმა, — მაგრამ ის კი მართალია, რომ არისტიდეს მომხრეები შენი დაუძინებელი მტრები არიან.

— როგორც ჩანს, არისტიდე არ უნდა შემომერიგებინა და თავის გამოჩენის საშუალებაც არ უნდა მიმეცა, — ჩაილაპარაკა თემისტოკლემ, — ხალხმა ის უსამართლოდ დევნილად ჩათვალა და მისი მხარე დაიკავა...

— არა, — მიუგო ქსანთიპოსმა, — მხოლოდ ეგ არ არის მიზეზი. არისტიდემ და კიმონმა ათენს მრავალი მოკავშირე შესძინეს. ელინური სახელმწიფოების კეთილგანწყობილებაც მოიპოვეს. კიმონმა მრავალი თაყვანისმცემელი შეიძინა და ისინიც არისტიდეს მომხრეებს შეუერთდნენ. ყველა ერთად კი შენ დაგიპირისპირდა. იქნებ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ჩვენი ხალხისაგან გაღმერთებული ესქილე

არისტიდესა და კიმონის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდა. განა მისი დღევანდელი გამოსვლაც შენს წინააღმდეგ არ იყო გამიზნული?

თემისტოკლემ ნაღვლიანად ჩაიღიმა. „არისტიდე და კიმონი რომ არა, ესქილე ვერაფერს დამაკლებდაო", გაიფიქრა მან, ხმამაღლა კი სხვა თქვა:

— შეიძლება მართალიც იყო, ღირსეულო ქსანთიპოს! თუმცა ერთი რამ ვერ გამიგია. მოუსვენარი კიმონი ხან აქ დაეცემა ბარბაროსებს და ხან იქ. ესქილე კი დაჟინებით მოითხოვს ირანელებთან ბრძოლაზე ხელის აღებას. მაინც ყოველთვის ერთად არიან და ერთიმეორეს თაყვანს სცემენ.

ქსანთიპოსმა მხრები აიჩეჩა.

— მაგის ძიება შორს წაგვიყვანს, დიდებულო თემისტოკლე! — თქვა მან, — ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გადასაწყვეტი. ენერგიული ზომები თუ არ მივიღეთ, არისტიდეს მომხრეები წაგვლეკავენ. ათენელები უნდა დავარწმუნოთ, რომ თემისტოკლე კვლავაც ღირსეულ ბელადობას გაუწევს სახელმწიფოს.

— რას მირჩევ? — ჰკითხა თემისტოკლემ.

— ისეთი რამ მოიფიქრე, რომ ქვეყნის მესვეურებისა და ხალხის გული მოიგო...

თემისტოკლე ჩაფიქრდა. ერთხანს გარინდული იჯდა და მერე თქვა:

— ჩემი ქვეყნის საკეთილდღეოდ ძალა და ენერგია არასდროს დამიზოგავს. ისეთი წუთიც არ მახსოვს, რომ ათენსა და ათენელებზე ფიქრში არ გამეტარებინოს. ხალხმა კი სიკეთე დამივიწყა და ახლა მოქალაქეთა გულის მოსაგებად საგანგებო ზომების მიღება მჭირდება. განა ეს სამართალია? ჩემს ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა: არ ღირს ამ ხალხის სამსახური. სჯობს განზე გავდგე და უზრუნველად ვიცხოვრო. მაგრამ მე ასე არ მოვიქცევი. ვიდრე თემისტოკლე ცოცხალია, პირველკაცობას ვერავის დაუთმობს. ათენის ძლიერებაზე ფიქრსაც ვერ მოიშლის. ერთი გეგმა მაქვს. ხალხის გულის მოგებაზე არ ვფიქრობ. მე მსურს, ჩემი ქვეყანა ელადის უძლიერეს სახელმწიფოდ გადავაქციო, შენც იმიტომ მოგიწვიე, რომ ის გეგმა გაგანდო.

თემისტოკლე წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. ძალზე აღელვებული ჩანდა. ფერი ოდნავ მიხდოდა და თვალები უელვა-

რებდა. ქსანთიპოსს ხელები მაგიდაზე დაეწყო და მოთმინებით ელოდა საუბრის განახლებას.

თემისტოკლემ სავარძელი ქსანთიპოსისაკენ მიაჩოჩა, შუბლზე ხელი გადაისვა და დაიწყო.

— საშიში ნაბიჯის გადადგმას ვაპირებ, ღირსეულო ქსანთიპოს! ბედმა თუ მიმუხთლა, ჩემს გეგმას შევეწირები! — თემისტოკლემ ოთახი მოათვალიერა და განაგრძო:—ამბობენ, ორიოდე კვირის მერე სპარტისა და მისი პელოპონესელი მოკავშირეების ხომალდები ისთმოსთან შეიკრიბებაო. გადაწყვეტილი მაქვს, თავს დავესხა და ერთიანად გავანადგურო. ათენს მოქიშპე აღარ ეყოლება და ელადის აღიარებულ მოთავედ გადაიქცევა!

შეძრწუნებული ქსანთიპოსი სავარძლის ზურგს მიყრდნობოდა და თვალები დაეპყიტა. თემისტოკლე ერთხანს მოთმინებით ელოდა პასუხს და როცა დარწმუნდა, ქსანთიპოსი ხმის ამოღებას არ აპირებსო, განრისხებული წამოვარდა.

— შეშინდი განა? — შესძახა მან, — მაშ ათენელი მამაკაცები დიაცებად გადაქცეულან! ერთ დროს სახიფათო საქმეები გიზიდავდა. შენი იმედი მჭონდა და განზრახვაც ამიტომ გაგანდე. ვაჟკაცად გთვლიდი და ლაჩარი კი ყოფილხარ!

თემისტოკლემ მაგიდას შემოუარა, ქსანთიპოსის წინ შეჩერდა და მიახალა:

— რაღას უზიხარ? გაიქეც და მოქალაქეებს შეატყობინე, თემისტოკლე ჰკუიდან შეირყა და ათენს განსაცდელს უმზადებს-თქო! არისტიდე და კიმონი უხვად დაგაჯილდოებენ... სახელმწიფოს მხსნელის სახელსაც მოიხვეჭ!..

ქსანთიპოსი აენთო. სავარძლიდან წამოიჭრა, თემისტოკლეს მიადგა და მკლავი აღმართა. თემისტოკლეს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და გაბოროტებულ სტუმარს მრისხანე მზერა მიაპყრო. ქსანთიპოსი შეკრთა და ხელი დაუშვა...

— დღეს უკვე მეორედ მომაყენე შეურაცხყოფა... — ჩაილაპარაკა მან, — შენც კარგად იცი, რომ მაბეზღარა არასდროს ვყოფილვარ. ყოველთვის შენს გვერდით ვიბრძოდი და მომავალშიც ასე მოვიქცევი. მაგრამ ის, რაც მითხარ, განსჯას მოითხოვს...

თემისტოკლე ერთბაშად მოლბა. ქსანთიპოსს მხარზე ხელი დაჰკრა და ნაღვლიანად უთხრა:

— მაპატიე, მეგობარო! ბავშვობაში ფიცხი და თავშეუკავებელი ვიყავ. დიდი ჯაფა დამჭირდა, რომ ეს სენი დამეძლია. ამ ბოლო დროს კი კვლავ ბავშვად ვიქეც. ყველა ჩემი მტერი მგონია და თავის დამორჩილებას ვეღარ ვახერხებ!

თემისტოკლე მართალს ამბობდა. უკანასკნელ ხანებში ხასიათი გამოეცვალა და თავისი ახირებული მოქმედებით მრავალი თაყვანისმცემელი დაკარგა. ეს ცვლილება სხვებზე მეტად ქსანთიპოსმა იწვნია, მაგრამ თემისტოკლეს ღალატი და მისგან განდგომა ერთი წუთითაც არ უფიქრია. ახლაც ადვილად გადაივიწყა დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და ბუზღუნით ჰკითხა:

— ძნელი საქმე გიკისრია. მაინც როგორ აპირებ შენი განზრახვის აღსრულებას?

— აი, ეგ კი საქმიანი საუბარია! — მხიარულად წამოიძახა თემისტოკლემ და დასძინა: — სახელმწიფოს მესვეურთაგან ლაშქრობის უფლებას გამოვითხოვ, მიზეზს არ გავუმხელ. ვეტყვი მხოლოდ, რომ ათენს არნახულ ძლიერებას მოვუპოვებ და ელადის სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილს დავუმკვიდრებ. ნათქვამს ფიცითაც დავადასტურებ. მერე კი... მერე ღმერთების შემწეობით განზრახვას ადვილად აღვასრულებ.

— დაგყაბულდებიან? — ეჭვით ჰკითხა ქსანთიპოსმა.

— რა უფლება აქვთ, ჩემს სიტყვას არ ენდონ? — ამაყად მიუგო თემისტოკლემ, — მარათონის ბრძოლის შემდეგ განა მილტიადეც ასე არ მოიქცა?

— კეთილი... — ჩაილაპარაკა ქსანთიპოსმა, — ვთქვათ, მართლაც გამოითხოვე ეგ უფლება. მაგრამ შენი ცდა რომ მარცხით დამთავრდეს? ხომ სამუდამოდ გადაჰკიდებ ერთიმეორეს მოძმე ელინებს?

თემისტოკლე კვლავ აენთო. სწრაფად წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა. ქსანთიპოსი ახალ შემოტევას ელოდა, მაგრამ თემისტოკლემ თავი შეიკავა და ესღა თქვა:

— როცა ადამიანი დიადი მიზნისაკენ მიილტვის, მარცხზე არ უნდა ფიქრობდეს. მეც გამარჯვების იმედი მაქვს. ესეც არ იყოს, სპარტა და ათენი, ადრე თუ გვიან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯიდება ერთიმეორეს. მე კი მსურს, რომ მტერს დავასწრო. დაე, მოსახდენი მოხდეს!

თემისტოკლე ხედავდა, რომ ქსანთიპოსი კვლავ მერყეობდა. ერთხანს იყუჩა, მერე მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

— ღირსეულო ქსანთიპოს! შენთვის შიში და უკანდახევა უჩვეულოა. მოკავშირეთა ფლოტი ქსანთიპოსს უნდა უმადლოდეს მიკალეს კონცხთან გამარჯვებას. შენი ვაჟკაცობის იმედი მქონდა, როცა ამ გეგმას განდობდი. მხარში თუ ამომიდგები, უთუოდ გავიმარჯვებთ. გამარჯვების შემდეგ კი ქსანთიპოსის სახელი და დიდება მთელ ელადას მოეფინება. ახლა არჩევანი შენზეა და გულახდილად მიპასუხე: თანახმა ხარ თუ არა, რომ ჩემს გეერდით იბრძოლო?

ქსანთიპოსმა მასპინძელს თვალი გაუსწორა და მიუგო:

— თანახმა ვარ!

22 ელაფებოლიონს, შუადღის ჟამს, საყვირების გაბმული კივილი გაისმა. ხალხს საგანგებო ყრილობაზე უხმობდნენ. მოქალაქეებმა პნიქსის მოედანს მიაშურეს. არავინ იცოდა მოულოდნელი შეყრის მიზეზი. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას...

როდესაც მოედანი ხალხით გაიჭედა, ეპისტატე წინ წამოდგა და თქვა:

— მოქალაქენო! ფრიად მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს გადასაწყვეტი. სახელმწიფოს მესვეურებმა დაადგინეს, ამ საქმეს სახალხო კრების გარეშე არ მოევლებაო. გულდასმით მოუსმინეთ ღირსეულ თემისტოკლეს, გონივრულად განსაჯეთ მისი წინადადება და ან „ჰო“ უთხარით და ან „არა“!

თემისტოკლემ ორატორის ადგილი დაიკავა. დემოკრატების ბელადის გამოჩენას ხალხი ძველებური აღტაცებით არ შეხვედრია. მხოლოდ აქა-იქ დაჰკრეს ტაში და მისალმების შეძახილებიც კანტი-კუნტად გაისმა. თემისტოკლე შეცბა. აქეთ-იქით იყურებოდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს ძალა მოიკრიბა და საუბარი დაიწყო. გაოცებული ქსანთიპოსი გონს ვერ მოსულიყო. ასეთი თემისტოკლე არასოდეს ენახა: ერთიორად დაჩიავებულიყო და ხმაც გამოსცვლოდა, მის სიტყვებს ძალა და დამაჯერებლობა დაჰკარგოდა და მოქალაქეებზე ძველებურად აღარ მოქმედებდა...

თემისტოკლემ საუბარი დაამთავრა და ხალხს გადახედა. გარინდული მოქალაქენი ერთბაშად ახმაურდნენ და ირგვლივ გამაყრუებელი ყიჟინა გაისმა. ეპისტატე ამაოდ ცდილობდა წესრიგის დამყა-

რებას. ვიღაც ახმახმა ხელები საყვირივით მიიფარა პირზე და დაიქუხა:

— მოქალაქენო! თემისტოკლე ახალი ომისაკენ გვიბიძგებს. მანამდე არ მოისვენებს, ვიდრე ხიფათს არ გადაგვყრის!

— მართალია! — იყვირა მეორემ, — ათენელები თემისტოკლეს აღარ გავყვებით!

— ყმაწვილო! — წამოიძახა ერთმა ჩასხმულმა მეზღვაურმა, — ათენელებს დაეხსენ და მხოლოდ შენი სახელით ილაპარაკე!

— ერთი ამ უბადრუკს დამიხედეთ! — აღშფოთდა ხანში შესული მოქალაქე და ხელი მეზღვაურისაკენ გაიშვირა, — ეს რეგვენი ვერც კი ხვდება, რომ მის ბელადს ბოროტი ზრახვა ჩაუდევს გულში და ახლა ათენელების აყოლიებასაც ლამობს!

— რა თქმა უნდა! — კვერი დაუკრეს აქეთ-იქიდან, — აგრე რომ არ იყოს, ყველაფერს გულახდილად გვეტყოდა!

ქსანთიპოსმა თავი ვეღარ შეიკავა, წინ გაიჭრა და ორატორის ადგილი დაიკავა.

— მოქალაქენო! — წამოიძახა მან, — ცილს რად სწამებთ ღირსეულ თემისტოკლეს? განა მილტიადეც ასე არ მოიქცა?

მილტიადეს ხსენებაზე ხალხი გაინაბა. ქსანთიპოსი გათამამდა და დაწყებული საუბარი შეტი რიხით განაგრძო:

— არც მილტიადეს გაუმხელია ლაშქრობის მიზანი, ჩვენ კი მაინც ვენდეთ და ფლოტი მივეცით. თემისტოკლეს რატომღა ვუთხრათ უარი?

— თუნდაც იმიტომ, რომ სახელოვანი მილტიადეს ლაშქრობა მაშინ მარცხით დასრულდა! — გაისმა ვაჟკაცური ხმა და ვიღაცის ძლიერმა მარჯვენამ ქსანთიპოსი განზე გასწია.

ორატორის ადგილი ესჩილემ დაიკავა...

ხალხმა ყიჟინა დასცა. ტაშის გრიალსა და აღტაცების შეძახილებს ბოლო არ უჩანდა.

— მოქალაქენო! — დაიქუხა ესჩილემ და ხალხის ხმა დაფარა, — დიდებული თემისტოკლეს ღვაწლს ათენელები ვერასოდეს დაივიწყებენ! ვერც იმას გაბედავს ვინმე, რომ ამ სახელოვან ვაჟკაცს უნდობლობა გამოუცხადოს. მაგრამ უცთომელნი მხოლოდ ღმერთები არიან! ვაი, თუ თემისტოკლეც ცდება! განა მილტიადესაც ასე არ დაემართა? გულწრფელი სურვილი ქვეყნის ძლიერებას ვერ უზრუნველჰყოფს! თემისტოკლეს წინადადებაც განსჯას მოითხოვს. მაგრამ მას არ სურს

გაგვიმხილოს ლაშქრობის მიზანი. იქნებ საამისო საბაბიც აქვს? შეიძლება, მაგრამ ჩვენ როგორღა მოვიქცეთ? ათენელები მოქანცა გაუთავებელმა ბრძოლებმა. ხალხს დასვენება სწადია. თუ კი მოხერხდება, ყოველგვარი ომი თავიდან უნდა ავიცილოთ. მაგრამ თემისტოკლეს წინადადების ხელაღებით უარყოფის უფლებაც არ გვაქვს. ერთადერთ გამოსავალს ვხედავ. არისტიდეს შეუძლია საიდუმლოს შენახვა. დაე, მას გაანდოს თემისტოკლემ თავისი გეგმა. მოსაფიქრებელი ერთად მოიფიქრონ და ღირსეულმა არისტიდემ მოგვახსენოს თავისი აზრი. როგორც ის გვირჩევს, ისე მოვიქცეთ.

— სწორია! მართალია! — იხუვლა ხალხმა და წინ მიაწყდა.

— განა არისტიდე კი უცთომელია? — ღვარძლიანად ჩაილაპარაკა ქსანთიპოსმა.

— არა, მაგრამ ორი კაცის გონება უკეთ განსჯის, ვიდრე ერთისა! — მიუგო მას ხანშიშესულმა მოქალაქემ.

ეპისტატე წინ წამოდგა და იკითხა:

— მოქალაქენო! მივიღოთ დიდებული ესქილეს წინადადება?

— მივიღოთ! — ერთხმად უპასუხა ხალხმა.

ეპისტატე თემისტოკლეს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ რაღას იტყვი, ღირსეულო თემისტოკლე?

თემისტოკლე ერთხანს თავჩაქინდრული იდგა. მერე არისტიდეს მიაპყრო დაღონებული მზერა და ჩაილაპარაკა:

— თანახმა ვარ!

არისტიდე და თემისტოკლე განცალკევდნენ. აღელვებული მოქალაქეები მოუთმენლად ელოდნენ მათ დაბრუნებას. ქსანთიპოსმა შენიშნა, რომ თემისტოკლე საკმაოდ უხალისოდ რაღაცას უმტკიცებდა არისტიდეს. ის კი თავჩაქინდრული იდგა და ხმას არ იღებდა.

მოყაყანე ხალხი ერთბაშად მიყუჩდა. ათენელთა ბელადები დაბრუნებულიყვნენ. არისტიდემ ორატორის ადგილი დაიკავა. ფერი მიხდოდა. აღელვებულმა შუბლზე ხელი გადაისვა, მოქალაქეებს მზერა მოავლო და დაიწყო:

— მოქალაქენო! ღირსეულმა თემისტოკლემ დაწვრილებით გამანდო თავისი გეგმა. ჩემი განაჩენი ამგვარი გახლავთ: არ არსებობს უმოკლესი გზა ელინურ სახელმწიფოებზე ათენის გასაბატონებლად, ვიდრე ის, რომელსაც თემისტოკლე გვთავაზობს. არ არსებობს უფრო იოლი საშუალება ათენის აღსაზევებლად, ვიდრე ის, რაც თემისტო-

ლეს მოუფიქრნია. ყველაფერი გულმოდგინედ არის აწონილ-გაზომილი და წარმატების იმედი უნდა ვიქონიოთ...

გახარებულმა ქსანთიპოსმა ტაში შემოჰკრა და გვერდით მდგომთ ამაყად გადახედა. არისტიდემ კი ერთხანს იყუჩა და მერე სათქმელი ასე დაამთავრა:

— მაგრამ არ არსებობს ისეთი მუხანათური და ავაზაკური გეგმა, ადამიანის ღირსებასა და პატიოსნებასაც ისე ვერაფერი შეურაცხყოფს, ვიდრე ის, რაც თემისტოკლემ გამანდო. სათქმელი მოგახსენეთ და არჩევანი თქვენზეა. მე კი თემისტოკლეს ვერ გავუყვები!

გარინდული ხალხი ერთბაშად ახმაურდა. აღელვებული მოქალაქეები ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ.

— დიდი ხანია ვიცოდი, რომ თემისტოკლე მუხანათიც იყო და ავაზაკიც! — გაიძახოდა ერთი.

— არისტიდე ცამდე მართალია! თემისტოკლეს არც მე გავუყვები! — ამბობდა მეორე.

— რა თქმა უნდა, არ გავუყვებით! — კვერს უკრავდნენ დანარჩენები და წინა რიგებში გაძრომას ლამობდნენ.

— თქვენისთანა მათხოვრების დახმარებას არ ვსაჭიროებთ! — ცხარობდნენ თემისტოკლეს მომხრეები, — უთქვენოდაც იოლად წავალთ!

პასუხად გამაყრუებელი სტვენა და ყიჟინა გაისმოდა. აშკარად ჩანდა, ერთდროს სწორუპოვარ თემისტოკლეს ამჯერად ძალზე უმნიშვნელო უმცირესობა უჭერდა მხარს...

— მე ბრალს ვდებ არისტიდეს! — გაისმა მრისხანე შეძახილი და ქსანთიპოსმა მყის იცნო ეს ხმა. ორატორის ადგილი თემისტოკლეს დაეკავებინა. ტუჩები ოდნავ უთრთოდა და თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა. მის ვაჟკაცურ სახეს ძველებური იერი დაბრუნებოდა.

„აი, ეს კი ნამდვილი თემისტოკლეა!“ — გაიფიქრა ქსანთიპოსმა და ბელადს მზერა ვეღარ მოსწყვიტა.

— მე ბრალს ვდებ არისტიდეს! — გაიმეორა თემისტოკლემ და მეტოქეს ისე გადახედა, ქსანთიპოსიც კი შეკრთა.

ხალხი გაინაბა. ათასობით გაოცებული თვალი თემისტოკლეს შეჰყურებდა. სახელმწიფოს მესვეურებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. ეპისტატე წინ წამოდგა, ხალხს თვალი მოავლო და თქვა:

— მოქალაქენო! თემისტოკლეს განცხადება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. რაში უნდა სდებდეს ის არისტიდეს ბრალს! მან ხომ მხოლოდ თავისი აზრი მოგვახსენა. რაც ჩვენ არ მოგვითხოვია, ისეთი არაფერი უთქვამს! როგორ მოვიქცეთ? მოვუსმინოთ თემისტოკლეს?

— მოვუსმინოთ! — წამოიკნავლა ქსანთიპოსმა და კანტი-კუნტად ზოგიერთებმაც აუბეს მხარი.

მაგრამ ხალხი ასე არ ფიქრობდა. არისტიდეს გასამართლება მოქალაქეებმა საკუთარ შეურაცხყოფად ჩათვალეს და თემისტოკლეს მომხრეებს შეუტიეს. განსაკუთრებით მიწისმოქმედნი ცხარობდნენ.

— რად უნდა მოვუსმინოთ? — გაიძახოდა შუახნის ბრგე ვაჟკაცი, — განა ის სიმართლეს იტყვის?

— დროს რატომ ვკარგავთ? — ბობოქრობდნენ დანარჩენები, — თემისტოკლეს ყველაფერზე უარი ვუთხრათ და დავიშალოთ!

— აგრე არ ივარგებს! — მხიარულად წამოიძახა ვიღაც ახალგაზრდამ, — ჯერ ის გავაძევოთ კრებიდან და მერე ჩვენ დავიშალოთ!

ეს კი მეტისმეტი იყო. თემისტოკლეს მომხრეებმა ყიჟინა დასცეს და ახალგაზრდა კაცს თავგამეტებით შეუტიეს. ირგვლივ ყველაფერი აირია. გააფთრებული ზედამხედველები აქეთ-იქით დაქროდნენ და წესრიგის დამყარებას ლამობდნენ.

— მოქალაქენო! — გაისმა არისტიდეს ომახიანი შეძახილი, — განა სამართლიანია, რომ თემისტოკლეს ლაპარაკს არ აცლით?

მოდავენი ერთბაშად დაზავდნენ და ყველამ არისტიდეს მიაპყრო მზერა.

— მართალო კაცო! — უთხრა მას ხანშიშესულმა მოქალაქემ, — რატომ გინდა, თემისტოკლეს თავი ალანძღვინო?

არისტიდემ ხელი ჩაიქნია:

— სათქმელი ყველას უნდა ვათქმევინოთ. მით უფრო, ღირსეულ თემისტოკლეს! მე წეღან მხოლოდ ის მოგახსენეთ, რასაც ვფიქრობდი. მაგრამ უცთომელნი მხოლოდ ღმერთები არიან. დაე, ახლა თემისტოკლემ ილაპარაკოს. ჰეშმარიტებას ასე უფრო იოლად დავადგენთ!

დავა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ არისტიდემ თავისი გაიტანა და ეპისტატემ თემისტოკლეს მისცა სიტყვა.

— მოქალაქენო! — დაიწყო თემისტოკლემ, — ხალხმა არისტი-

დე ათენიდან გააძევა. მე კი საშუალება მივეცი, კვლავ სამშობლოში დაბრუნებულიყო. სამაგიერო კი იმით გადამიხადა, რომ ხმა გაავრცელა, თემისტოკლე ირანელებთან მიმოწერას აწარმოებდაო...

— სტყუი! — წამოიძახა ესქილემ, — ეგ ხმა თვით ქსერქსემ გაავრცელა. არისტიდე არაფერ შუაშია!

— მე ჯერ სიტყვა არ დამიმთავრებია! — მიუგო თემისტოკლემ და ესქილე მოურიდებლად განზე გასწია, — ქსერქსეს მართლაც მივწერე ორი წერილი. მხოლოდ სამმა კაცმა იცოდა ეს ამბავი: არისტიდემ, კიმონმა და ესქილემ. მათ ისიც იცოდნენ, რომ ამ წერილებით ელადას დიდი სამსახური გავუწიე, მაგრამ ფაქტი გადაკეთდა, დამახინჯდა და ბოლოს ღალატიც დამაბრალეს. ვთქვათ, მართლაც ქსერქსემ გაავრცელა ეს ჭორი. მაგრამ სამართლიანობით სახელგანთქმულ არისტიდეს ფიქრადაც არ მოსვლია ეთქვა ის, რაც კარგად იცოდა. არც კიმონსა და ესქილეს უცდიათ სიმართლის აღდგენა!

— მე არ ვიცოდი, რომ ღალატს გაბრალებდნენ... — ჩაილაპარაკა ესქილემ.

— მოქალაქენო!—დაიძახა ხანშიშესულმა მიწისმოქმედმა და წინ გაიჭრა, — რა მონუსხულებივით უსმენთ ცილისმწამებელს? ვინ დაამტკიცა, რომ ქსერქსეს მხოლოდ ორი წერილი მისწერა? დარწმუნებული ვარ, ის ორი ბარათი ჩვენი თვალის ასახვევად იყო დაწერილი!

— მართალია! — იხუვლა ხალხმა, — დაბეჯითებით ამბობენ, თემისტოკლე ირანელებს ჩვენი ლაშქრის ამბავს ატყობინებდაო!

— ახლა კი ცდილობს, დამნაშავედ არისტიდე გამოაჩინოს!

— მალე ათენელებს ღალატსაც დააბრალებს!

თემისტოკლე აენთო. ჯერ ხანშიშესულ მოქალაქეს მიაპყრო ბოროტი მზერა და მერე არისტიდეს დააცქერდა. ქსანთიპოსმა შენიშნა, რომ მისმა მეგობარმა კვლავ დაკარგა წონასწორობა. თემისტოკლემ ორიოდე ნაბიჯი წინ წადგა, ერთხანს იყუჩა და მერე დაიქუხა:

— სულმდაბალნო! მე მართლაც ვაბრალებ ღალატს არისტიდეს!

ხალხი ელდანაკრავივით გაშეშდა. თემისტოკლემ გონს მოსვლა აღარ დააცალა და განაგრძო:

— ათენის გაძლიერება მეწადა. არისტიდემ კი ჩემს გეგმას ავაზაკური უწოდა. მითქვამს და კვლავაც ვიტყვი: არისტიდე რომ ჭეშმარიტი ათენელი ყოფილიყო, უყოყმანოდ მხარში ამომიდგებოდა. მან

კი ათენელები ჩემს წინააღმდეგ აამხედრა. ასე მოქცევა მხოლოდ მოღალატეს შეეძლო...

— ვაი, რომ შენი განზრახვის გამხელა არ შემიძლია! — მკაცრად თქვა არისტიდემ, — მაშინ ხალხი უკეთ განსჯიდა, ვინ არის ჩვენს შორის მართალი!

— ჩვენ მხოლოდ შენი გვჯერა, ღირსეულო არისტიდე! — წამოიძახა ხანშიშესულმა მოქალაქემ.

— ისე მოვიქცევით, როგორც შენ გვირჩევ! — დასძინა მეორემ.

— თემისტოკლეს კი აღარ გავუვებით! — მტკიცედ განაცხადა ახალგაზრდა ვაჭკაცმა.

— არ გავუვებით! — იგრიალა ხალხმა და მოედანზე გამაყრუებელი ყიჟინა გაისმა.

თემისტოკლეს მხრები შეუთამაშდა. გაბოროტებული აქეთ-იქით იყურებოდა და წელში ისე მოხრილიყო, თითქოს ნახტომისათვის ემზადებაო.

— ვაი მას, ვისაც ეს გამძვინვარებული ვაჭკაცი დაცხრება! — გაიფიქრა ქსანთიპოსმა და უნებურად უკან დაიხია.

მაგრამ თემისტოკლემ თავი შეიკავა. მერე გაიმართა და ისე დაიქუხა, ხალხის ხმა დაფარა:

— აღარც მე ვისურვებ თქვენს გაძღოლას!—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ის,—ვხედავ, ყველანი ცხვრებად გადაქცეულხართ. თქვენი წინამძღოლობა მხოლოდ არისტიდეს შეჰფერის. მაგრამ გავა დრო და თემისტოკლეს მოიგონებთ... გვიან იქნება! რასაც დღეს გთავაზობთ, თქვენთვისაც იყო ხელსაყრელი. თქვენ კი არისტიდეს აჰყევით და ჩემს გეგმას მუხანათური უწოდეთ.

— აგრე რომ არ იყოს, ყველაფერს გულახდილად გვეტყოდი! — დაიძახა ვილაცამ.

— თემისტოკლე და გულახდილობა? — გაიცინა ხანში შესულმა მოქალაქემ და დასძინა: — არ გაგონილს ნურაფერს იტყვი!

ხალხმა კვლავ ყიჟინა დასცა და მოედანს სტვენის გამაყრუებელი ხმა მოეფინა. თემისტოკლე ადგილს ვეღარ პოულობდა. გაშმაგებული მძიმედ სუნთქავდა და მზად იყო ამ ზღვა ხალხს შიშველი ხელებით შებმოდა. შურისგების დაუცხრომელი სურვილით შეპყრობილმა თავდაპირველად ხანში შესული მოქალაქის დასჯა გადაწყვიტა. გადაწყვიტა, მაგრამ თავი შეიკავა. ჯერ ეს ხალხი თავის სიმართლეში უნდა

დაარწმუნოს! უნდა დაუმტკიცოს, რომ ისინი მწარედ ცდებიან, მაგრამ როგორ მოახერხოს? გონებას თითქოს ნისლი გადაჰკვრია და ხეირიანი ვერაფერი მოუსაზრებია...

— მომისმინეთ, უღირსო ათენელებო! — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა თემისტოკლემ, —მე მინდა, ჩემი გეგმა გაგაცნოთ!

ხალხმა ყურები ცქვიტა. არისტიდე მოიღუშა. შეშფოთებული ქსანთიპოსი კი კვლავ წინა რიგში გაძვრა...

— ნუ აჩქარდები, ყმაწვილო! — ჩასჩურჩულა ვიღაცამ თემისტოკლეს, — გულახდილობა ახლა მხოლოდ შენთვის არის საზიანო!

თემისტოკლე სწრაფად შემოტრიალდა. მის წინ არისტიდე იდგა...

თემისტოკლემ მწარედ ჩაიცინა. პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს მასთან ქსანთიპოსი მიიჭრა.

— ღირსეულო თემისტოკლე — შეჰღაღადა მან, — გევედრები, ნურაფერს იტყვი... უმჯობესია, აქაურობას გავეცალოთ!

თემისტოკლემ ხელის კვრით მოიშორა დაფეთებული მეგობარი, მაგრამ ქსანთიპოსი ასე ადვილად არ აპირებდა დათმობას. კვლავ მასთან მიიჭრა და შესძახა:

— გონება მოიკრიბე, ჩემო ბელადო! კარგად განსაჯე და მოიფიქრე! ამ ბრბოს კიდევ მეტად ნუ გააბოროტებ!

მაგრამ თემისტოკლეს აღარც განსჯა შეეძლო და არც მოფიქრება. ხალხს მრისხანე მზერა მოავლო და დაიწყო:

— მისმინეთ, ღმერთთაგან გონდახშულო ათენელებო! მისმინეთ და თუ ძალა შეგწევთ, კარგად გაზომეთ ჩემი ნათქვამი. ირანელთა განდევნის შემდეგ სპარტა და მისი პელოპონესელი მოკავშირეები ათენელების შეურიგებელ მოქიშპეებად გადაიქცნენ. თქვენ კი, გონდახშულნი, ამას ვერ ხედავთ და ვერც დაინახავთ, ვიდრე ისინი ათენის დამხობას არ შეეცდებიან. მე მსურდა, მტერს ახლავე გავსწორებოდი. სულ მალე მოკავშირეთა ფლოტი ისთმოსთან შეიკრიბება. მე მოულოდნელად თავს დავესხმოდი და ხელის ერთი მოქნევით გავანადგურებდი. მათი ძლიერებიდან აღარაფერი დარჩებოდა. ათენი ელადის უძლიერეს სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, ათენელები კი ძვირფასი ნადავლით გამდიდრდებოდნენ!

გაოგნებული ხალხი სულგანაბული უსმენდა თემისტოკლეს. ორატორმა მზერა ესქილეზე შეაჩერა და დაცინვით ჰკითხა:

— შენ რაღას იტყვი, არისტიდეს დამქაშო?

ესჭილემ თემისტოკლეს თვალი გაუსწორა, ერთხანს გარინდული იდგა და მერე მკვახედ მიახალა:

— მზაკვრული განზრახვაა! ეგეთ ნაბიჯს მხოლოდ ლაჩრები თუ გადადგამენ!

ორატორის ადგილი კიმონმა დაიკავა.

— მოქალაქენო,— თქვა მან და შუბლზე ხელი გადაისვა,—გულწრფელად გეტყვით, თემისტოკლეს განზრახვამ თავზარი დამცა. ელინები მხარდამხარ ვიბრძოდით ჩვენი დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ. უკვდავი ღმერთების დახმარებით ირანელნი უკუ ვაქციეთ და გამარჯვებაც ერთად ვიზეიმეთ! ზოგი რამ ჩვენ არ მოგვწონს სპარტელებისა და ზოგიც სპარტელებს — ჩვენი. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, ბარბაროსების წინააღმდეგ ერთმანეთს მხარში ამოვდგომოდით. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე იქნება! თემისტოკლე კი მოკავშირეებზე გალაშქრებას გვირჩევს, სურს მოძმეთა სისხლი დაგვაღვრევინოს! — კიმონი შეჩერდა, გარინდულ ხალხს თვალი მოავლო და განაგრძო: — ვთქვათ, გავყოლოდით თემისტოკლეს და მისი განზრახვაც აღგვესრულებინა. განა ეს გამარჯვება სიხარულს მოგვგვრიდა? განა სადმე ვიპოვიდით ისეთ ადამიანს, ვინც ჩვენს მოქმედებას მოიწონებდა? რაც თემისტოკლემ გვითხრა, დანაშაულია! ასეთი პიროვნება სახელმწიფოსათვის საშიშია!..

— კიმონი მართალს ამბობს! — წამოიძახა ვიღაც მოქალაქემ, — დღეს სპარტელები გაწირა, ხვალ კი ჩვენ არ დაგვინდობს!

— ეგეც საფიქრებელია! — მყის დაეთანხმა კიმონი, — მე ისიც მაშფოთებს, რომ თემისტოკლე სახალხო კრების აზრს არად აგდებს. ვინც მას არ გაჰყვება, უკეთურსა და გონდახშულს უწოდებს. ბოლო დროს შემინიშნავს, თემისტოკლეს ჩვენი ადათ-წესები აღარ მოსწონს, განუსაზღვრელი უფლებების მოპოვება სწადია. იქნებ ტირანობის აღდგენასაც ლამობს? თუ ეს ასეა, ჩემმა ხალხმა კარგად იცის, ვით მიუზღას სამაგიერო სახელმწიფოსათვის საშიშ პიროვნებას და ჩვენს ქვეყანაში ტირანობის აღდგენის მსურველს!

მოედანზე სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ყველა მიხვდა, საით უმიზნებდა კიმონი. ხმის ამოღება კი ვერავის გაებედა. ბოლოს სხვებზე გულადმა ახალგაზრდა მიწისმოქმედმა ხელები პირთან მიიტანა და დაიძახა:

— ოსტრაკისმო!

ხალხი ახმაურდა. საზარელი სიტყვა უკვე ითქვა და მის გამეორებას აღარავინ შეუშინდა. ახლა ყველა ერთხმად ყვიროდა:

— ოსტრაკისმო!

— საუკეთესო განაჩენია თემისტოკლესთვის!

— კეთილი! — გამოსცრა თემისტოკლემ, — მე კი სხვებს ვდებ ბრალს. არისტიდეს და კიმონს! დაე, ფირფიტებმა გადაწყვიტოს, ვინ არის გასაძევებელი!

კრება დასრულდა. აღელვებული მოქალაქეები მოედანს ტოვებდნენ. ფერმიხდილი ესქილე ერთ ადგილას გაშეშებულიყო და წვერს იწიწკნიდა. არისტიდემ მეგობარს თვალი მოჰკრა და მისკენ გაემართა.

— რას იტყვი? — ჰკითხა მან და ცხარეზე ხელი დაჰკრა.

ესქილემ თავი ასწია. ნაღვლიანად გაიღიმა და ჩაილაპარაკა:

— რა უნდა ვთქვა? ხალხი არ ცდება!

იქვე ფრინიქე და პოლიფრადმონი იდგნენ. ესქილეს სიტყვები რომ გაიგონა, პოლიფრადმონი სწრაფად შემოტრიალდა და ღვარძლიანად უთხრა:

— უცდომელმა ხალხმა შენ სასიკვდილო განაჩენი გამოგიტანა. თემისტოკლეს უნდა უმადლოდე, რომ დღეს ცოცხალი ხარ! ძალზე ადვილად დაივიწყე მისი დახმარება...

ესქილემ გაოცებული მზერა მიაპყრო პოლიფრადმონს. ერთხანს იყუჩა და მერე დინჯად მიუგო:

— ის, რაც მაშინ ხალხმა მოიწადინა, მისი გულისა და გონების კარნახით არ მომხდარა. სულმდაბალმა ცილისმწამებელმა მოქალაქეებს გზა-კვალი აუბნია და ჩემს წინააღმდეგ აამხედრა.

— სწორედ ეგ არის ცილისწამება! — უკმეხად მიახალა პოლიფრადმონმა, — ვინ არ იცის, რომ მაშინ ეგეთი არავინ ყოფილა!

— იყო, პოლიფრადმონ, იყო! — ნაღვლიანად მიუგო ესქილემ და დასძინა: — ის ცილისმწამებელი ახლა ჩვენს გვერდით დგას!

— არისტიდე? — წამოიძახა გაოცებულმა პოლიფრადმონმა.

— არა, ფრინიქე!

პოლიფრადმონს სახე მოეღრიცა.

— სტყუი, შე ეშმაკის კერძო! — შესძახა მან და მკლავი აღმართა, — არ შეგარჩენ მოხუცი მამის შეურაცხყოფას!

— შეჩერდი!.. — გაისმა ფრინიქეს ხმა, — ესქილე მართალს ამბობს!

თავზარდაცემული პოლიფრადმონი მამისკენ მიტრიალდა.

— რა თქვი? — ძლივს ამოილუღლუღა მან.

— ესქილე მართალს ამბობს! — გაუმეორა ფრინიქემ და დასძინა: — ეგონებ, სხვა ცოდვა არ მიმიძღვის, მაგრამ ესეც საკმარისი აღმოჩნდა, სიცოცხლის დარჩენილი დღეები ტანჯვასა და სინდისის ქენჯნაში გამეტარებინა. ახლა ცალი ფეხი სამარეში მიდგას და მიუტევებელი ცოდვის აღიარებით მინდა დავრდი შევიმსუბუქო. შენდობის თხოვნას ვერ გავბედავ, მაგრამ იმის იმედი კი მაქვს. რომ დიდებული ესქილე წყევლა-კრულვას არ გამაყოლებს. შენ კი, შვილო ჩემო, — მიუბრუნდა ფრინიქე პოლიფრადმონს, — მახვილით რომ გული გამიპო, მომაკვდავს საყვედურის სიტყვაც არ წამომცდება!

ამას რომ ამბობდა, ფრინიქე თავჩაქინდრული იდგა. ესქილემ შენიშნა, რომ მოხუცს ღაპა-ღუპით სცვიოდა ცრემლები, ტუჩები უთრთოდა და ფერიც მთლად მიხდოდა.

პოლიფრადმონს კი მამის ცრემლებმა გული ვერ მოულბო. გაშმაგებული აქეთ-იქით დააბიჯებდა და თითებს იმტვრევდა. ესქილე გაოცებული შეჰყურებდა. ასე აღელვებული პოლიფრადმონი არასდროს ენახა. ისიც აფიქრებდა, რომ გაბოროტებულ ვაჟკაცს უგუნური რამ არ ჩაედინა...

პოლიფრადმონი უცებ მამისკენ შეტრიალდა და უთხრა:

— დაიჩოქე!.. დაიჩოქე და დიდებულ ესქილეს შენდობა სთხოვე!

შემცბარმა ესქილემ არისტიდეს გადახედა. ფრინიქემ კი ნაღვლიანად გაიღიმა და თქვა:

— გგონია, უარს გეტყვი? მაგრამ ვაი, რომ ეგ მე შენდობის ღირსად არ გამხდის...

ფრინიქემ ორიოდე ნაბიჯი წადგა და მუხლებზე დაეშვა. შეშფოთებული ესქილე სწრაფად დაიხარა, მოხუცს მკლავზე სტაცა ხელი და წამოაყენა.

— რჩევას ვერ მოგიწონებ, ყმაწვილო! — მკაცრად უთხრა მან პოლიფრადმონს და ფრინიქეს მიუბრუნდა: — შენ კი როგორღა იკადრე, ღირსეულო პოეტო?

— მიუტევებელი ცოდვა მიმიძღვის, — ლუღლუღებდა ფრინიქე, — სიკვდილამდეც უნდა ვიტანჯო და სიკვდილის მერეც!..

— უცოდველი ამ ქვეყნად არავინ შეგხვედრიათ! — მიუგო ესქილემ, — რაც იყო, დავიივიწყოთ და ნეღარ მოვიგონებთ!

ფრინიქე შეკრთა. ნუთუ მართლა ესქილემ წარმოთქვა ეს სიტყვები? რა თქმა უნდა! არისტიდესა და პოლიფრადმონს ხმაც არ ამოუღიათ... იქნებ მოესმა? იქნებ ის მოელანდა, რის გაგონებაც ასე ეწადა? მაგრამ ფრინიქე ჯერ საღ ჭკუაზეა... ესეც არ იყოს, ახლაც გარკვევით ესმის ესქილეს ხმა, მისი სიტყვები... ან რა არის დაუჯერებელი? ესქილე ხომ ნახევრად ღმერთია! მას შეუძლია ისეთი რამ ჩაიდინოს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ მოახერხებს... ფრინიქეს სახე გაუნათდა. ესქილეს თვალი გაუსწორა და ენის ბორძიკით ჰკითხა:

— ეგ ხომ თითქმის შენდობას ნიშნავს, ღირსეულო პოეტო?

— დიახ! — ღიმილით მიუგო ესქილემ და ხელი გაუწოდა.

ფრინიქემ მაგრად ჩაბღუჯა ესქილეს ხელი და გულზე მიიკრა.

— დიდებულო ესქილე!... ღმერთთა სწორო ესქილე!.. — ბუტბუტებდა ის და თვალები სიხარულის ცრემლებით ევსებოდა...

ბოლოს ფრინიქეს პოლიფრადმონი გაახსენდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა შვილისაკენ და ვედრებით უთხრა:

— ახლა შენი რიგია, შვილო ჩემო, შენ კი არ შემინდობ?

პოლიფრადმონი უხერხულად შეიშმუშნა. ესქილესთანაც დამნაშავედ თვლიდა თავს და ფრინიქესთანაც.

— მე რაღა უფლება მაქვს, რომ არ შეგინდო!.. — ნაღვლიანი ღიმილით ჩაილაპარაკა მან და გასასვლელისაკენ გაემართა.

ფრინიქე ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე არისტიდესა და ესქილეს დაემშვიდობა და ბარბაცით გაუდგა გზას...

ესქილე არისტიდესთან მივიდა, მკლავი გაუყარა და უთხრა:

— წავიდეთ, მეგობარო! პნიქსის მოედანმა დღეს ძალზე მწარე განცდები მარგუნა!..

რამდენიმე დღის მერე მთელი ქალაქი თემისტოკლეს განდევნაზე ლაპარაკობდა. ამბობდნენ, დემოკრატების ბელადი არგოსში დასახლდაო. გაძევების შემდეგ თემისტოკლეს მრავალი ქომაგი გამოუჩნდა. მის ღვაწლსა და დამსახურებას იხსენებდნენ. ქუჩებსა და მოედნებზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდა და ყველგან თემისტოკლეს სახელი გაისმოდა. ზოგი აქებდა და ზოგიც ავაზაკსა და მუხანათს უწოდებდა. მთელი ქალაქი თემისტოკლეზე ფიქრით ცხოვრობდა და მასზე საუბრით თავს იქცევდა. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ხალხს თანდათან თემისტოკლეც გადააავიწყდა და მისი ღვაწლიც.

ქოქალაქეები დაშოშმინდნენ, ჩეეულ საქმიანობას მიჰყვეს ხელი და ცხოვრებაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა...

საღამო ხანი იყო. საუბრით გართული ესქილე და ევფორიონი დინჯად მიჰყვებოდნენ ვიწრო ქუჩას. ბოლეს წევრად არჩევის შემდეგ ევფორიონმა მოსვენება დაკარგა. გატაცებით მუშაობდა პრიტანიაში და სამაგალითო გულმოდგინებით საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა. ესქილეც კმაყოფილი იყო. შვილის ქებას რომ გაიგონებდა, სიხარულს ვეღარ ფარავდა და სიამაყის გრძნობა ეუფლებოდა. მოუთმენლად ელოდა ხოლმე ევფორიონის დაბრუნებას და ათასნაირ კითხვებს აყრიდა. ევფორიონიც სიამოვნებით უამბობდა პრიტანიას სხდომების შესახებ...

— სიმართლის გზას არასოდეს გადაუხვიო,—აფრთხილებდა ესქილე,—ძველთაგანვე დაკანონებული ადათ-წესებიც მტკიცედ დაიცავი!

შებინდების ჟამს მამა და შვილი სასეირნოდ გადიოდნენ და დაწყებულ საუბარს ღია ცის ქვეშ აგრძელებდნენ. ახლაც, საუბრით გართულებმა, ვერც კი შეამჩნიეს, რომ სახლს საკმაოდ დაშორებოდნენ და თეატრის მახლობლად მიაბიჯებდნენ. კაშკაშა მთვარე და აქაიქ ჩამოკიდებული ფარნები ქუჩას საკმაოდ ჰფენდნენ ნათელს. თეატრის შესასვლელს რომ გაუსწორდნენ, გულსაკლავი გმინვა მოესმათ. ესქილემ და ევფორიონმა ერთმანეთს გადახედეს. ქუჩა გულდასმით მოათვალიერეს, მაგრამ ადამიანის ჭაჭანება არსად ჩანდა. სადღაც ახლოს კი, ალბათ, სულ ორიოდე ნაბიჯზე, ვიღაც გაჭირვებული საცოდავად კვნესოდა. სმენად ქცეული ევფორიონი მალე დარწმუნდა, რომ ხმა კედლის მეორე მხრიდან ისმოდა. ბევრი აღარ უფიქრია, სწრაფი ნაბიჯით შესასვლელისაკენ გაემართა. ესქილე ფეხდაფეხ მიჰყვა შვილს. სცენის საპირისპირო მხარეს ფარანი ბჟუტავდა. იქვე რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა. ესქილეც იქით წავიდა და შორიდანვე დაუძახა:

— რა ხდება?

ერთმა დამხვდურმა გამოხედა, ხელი ჩაიქნია და კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა. მერე თითქოს რაღაც გაახსენდაო, წელში გასწორდა და წამოიძახა:

— დიდებული ესქილე!

ამ სახელის გაგონებაზე დანარჩენებიც შემოტრიალდნენ და მამა-შვილს მოწიწებით გზა დაუთმეს. ესქილე და ევფორიონი ზარდაცე-

მულებივით გაშეშდნენ. მიწაზე ოცდაათიოდე წლის ბრგე ვაჟკაცი იწვა და მძიმედ სუნთქავდა, ნაიარევი სხეულიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა...

— რა ხდება-მეთქი? — კვლავ იკითხა ესქილემ და მიწაზე გაშოტილ ვაჟკაცს თვალი აარიდა.

— ქურუმის ბრძანებით, ამ საცოდავს ორმოცდაათი როზგი დავკარით, — მიუგო ერთმა, — ახლა კი გვინდა მოვასულიეროთ და ჭრილობები მოვუშუშოთ.

— თუმცა ეს ქურუმს აღარ უბრძანებია! — ნაღვლიანი ღიმილით დასძინა მეორემ და ისევ გონდაკარგულ მეგობარს მიაშურა.

— რა დააშავა? — იკითხა ევფორიონმა.

— განა მონას მხოლოდ დანაშაულისათვის სჯიან? — ჩაიცინა ერთმა დამხვდურთაგანმა, — ქურუმს ეწადა, თავისი უფლებები ეჩვენებინა.

ესქილემ ახლაღა იცნო დამხვდურნი. ისინი მონები იყვნენ. აპოლონის ტაძარს ეკუთვნოდნენ და თეატრსაც ემსახურებოდნენ. მათ ბედ-იღბალს ერთი ტანდაბალი, მაგრამ სისასტიკით განთქმული ქურუმი განაგებდა.

მონებმა ამხანაგს სისხლი მოჰბანეს და ჭრილობები მისივე დაძონძილი წამოსასხამით შეუხვიეს.

— ახლა რას გვირჩევ? — ჰკითხა ერთმა ესქილეს.

— მონათა სადგომში გადაიტანეთ და ყურადღებას ნუ მოაკლებთ!

— ეგ ხომ ჩვენც ვიცით! — თქვა ხანშიშესულმა მონამ, — შენ ის გვითხარი, მომავალში როგორ მოვიქცეთ. ქურუმს მოეწადინა და ჩვენი მოძმე ჩვენვე გაგვაროზგვინა. ხვალ ეს მოსულიერდება და სწორედ მას მიანდობს ჩვენს დასჯას. ზეგ სხვას ამოიღებს მიზანში და ასე გაგრძელდება, ვიდრე ყველა არ დავიხოცებით. სანამდე უნდა ვითმინოთ ამგვარი უსამართლობა?

ესქილემ გაოცებული მზერა მიაპყრო ხანშიშესულ მონას. ერთხანს იყუჩა და მერე მტკიცედ უთხრა:

— ეცადეთ, ქურუმის გული მოიგოთ და ისეთს ნურაფერს იზამთ, რომ მისი რისხვა გამოიწვიოთ. ნუ დაივიწყებთ, რომ მონობა უკვდავი ღმერთების მიერაა დადგენილი!

ესქილესაგან ამგვარ პასუხს არ მოელოდნენ. გაწბილებულმა მონებმა ფრთხილად აიყვანეს მეგობარი და ბუზღუნით გაუდგნენ გზას...

— ნუთუ მონობა მართლაც ღმერთების დადგენილია? — მცირე დუმილის შემდეგ ჰკითხა მამას ევფორიონმა.

— რა თქმა უნდა! — მიუგო ესქილემ და სახე მოეღუშა, — ოღონდ ის კი არავის დაუწესებია, მონას როზგქვეშ სული ამოხადეო, ადამიანად ნუ ჩათვლი და ისე მოეპყარ, როგორც მხეცსო. მეც მყავს მონები, მაგრამ როზგი არც ერთ მათგანს არ შეჰხებია. რად უნდა ვცემო? წარმოიდგინე, რომ ამ ქვეყნად მონობა არ ყოფილიყო. ჩვენს მამულს ელევსინში ვინ მოუვლიდა? ან სახელმწიფოს ვინ მოემსახურებოდა? მონაც ადამიანია და ადამიანად წოდების უფლებას ვერავინ წაართმევს! ყოველ შემთხვევაში, მეც ასე ვფიქრობ, არისტიდეც და კიდევ ბევრი სხვაც. მაგრამ უმრავლესობას ეს არ სჯერა. ისინი იმგვარადვე ირჯებიან, როგორც ტანდაბალი ქურუმი. გული არც ერთ მათგანს არ გააჩნია. ვინ მოთვლის, რამდენი დედა ატირებულა, როდესაც შვილს წაჰგლეჯდნენ ხოლმე და უცხო მხარეში გადაკარგავდნენ, რამდენ ბავშვს, სიცოცხლის მოტრფიალესა და უმანკოს, მაგრამ მაინც მრწამდ წოდებულს, როზგქვეშ დაუსრულებია ნორჩი სიცოცხლე... ასეთ შემთხვევებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები. გამკითხავი კი ჯერ არ გამოჩენილა. ბევრია ამ ქვეყანაზე ბოროტი ადამიანი, ისინი ცდილობენ კანონად აქციონ მონებთან მოპყრობის თავისებური ჩვეულება!

— ყველა რომ შენისთანა ყოფილიყო, მონებიც ბედნიერები იქნებოდნენ! — ჩაილაპარაკა ევფორიონმა.

— მაგისა კი რა მოგახსენო! — მიუგო ესქილემ, — მაინც მძიმეა მონის ხვედრი, ძალზე მძიმეც... მაგრამ მონა იმიტომ არის მონა, რომ სხვაზე მეტად იტანჯოს და სხვაზე მეტიც მოითმინოს. ასე დაუწესებიათ უკვდავ და ყოვლის შემძლე ღმერთებს!..

მთვარის შუქი მხოლოდ სცენას ვერ სწვდებოდა. მერხები კი საკმაოდ იყო განათებული. ევფორიონმა თეატრს თვალი მოავლო და შეჰყვირა:

— რა მოხდა? — ჰკითხა გაოცებულმა ესქილემ.

— ტანდაბალი ქურუმი! — მიუგო ევფორიონმა და ხელი წინ გაიშვირა.

ნახევრად ჩაბნელებულ პირველ მერხზე ვიღაც მოკალათებულიყო და სცენას დაჟინებით მისჩერებოდა. ესქილე და ევფორიონი უცნო-

ბის თავსა და მხრებს ხედავდნენ მხოლოდ. მაგრამ ეჰვი არც ერთს არ ეპარებოდა, რომ ის უცნობი ტანდაბალი ქურუმი იყო.

— ეჰეი! — გასძახა ესქილემ.

უცნობი არც განძრეულა და არც ხმა ამოუღია. ან ძახილი ვერ გაიგონა, ანდა შეპასუხება არ ისურვა.

ესქილემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხელები პირთან მიიტანა და კვლავ გასძახა. უცნობი სწრაფად წამოდგა და მოტრიალდა. ესქილემ და ევფორიონმა ერთმანეთს გადახედეს. სცენის წინ ბეკებგანიერი და საშუალოზე მაღალი ვაჟკაცი იდგა.

— ეს ხომ ქურუმი არ არის! — ჩაილაპარაკა ესქილემ.

— არა! — მიუგო ევფორიონმა და ცოტა ხნის მერე სახეგაბრწყინებულმა დასძინა: — ეს ტანდაბალი ქურუმი სოფოკლე გახლავს!

სოფოკლემაც იცნო მამა-შვილი და მათკენ წამოვიდა.

— ბიჭოს! — წამოიძახა ესქილემ. — მართლაც სოფოკლე ყოფილა! ამ დროს აქ რას აკეთებდი, ყმაწვილო?

სოფოკლე მორცხვად იღიმებოდა, ხმის ამოღებას კი არ აპირებდა. ევფორიონმა მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა და სიცილით უთხრა:

— მე კი ჯერ ტანდაბალი ქურუმი მეგონე, მერე — შეშლილი! მაინც აქ რა გინდოდა? სულერთია, არ მოგეშვები და გათქმევინებ!

— დიდებული ესქილეს ტრაგედიებს ვუმზერდი! — წაილუღლუღა სოფოკლემ და თავი დამნაშავესავით ჩაღუნა...

— ეგ როგორ? — გაიცინა ესქილემ და მერხზე ჩამოჯდა.

ევფორიონმა ჯერ თვალები დაჭყიტა, მერე მამის გვერდით მოხერხებულად მოკალათდა და მოსასმენად მოემზადა.

— ამ ბოლო დროს საღამოებს აქ ვატარებ, — დაიწყო სოფოკლემ, — თეატრის მსახურებმაც გამიცნეს, ჩემი მოსვლა აღარ უკვირთ და ღამის სტუმარსაც მეძახიან. მართალი გითხრათ, ძალზე კმაყოფილი ვარ ჩემი აღმოჩენით. ტრაგედიის ცქერა ასეთ მყუდროებაში უფრო მოსახერხებელი ყოფილა, ვიდრე ხალხით გაჭედილ თეატრში. არც მათი ბუზღუნი მიშლის ხელს და არც უხეირო შეძახილები...

ევფორიონი უსიამოვნოდ შეიშმუშნა: „მართლა ხომ არ შეშლილა ჩემი მეგობარიო“, — გაიფიქრა მან.

— საღამო ჟამს მოვდივარ ხოლმე, პირველ რიგში მრჩკალათდები და სცენას მივაპყრობ მზერას. ჩემს თვალწინ ცოცხლად და თან-

მიმდევრულად გადაიშლება ტრაგედიის წარმტაცი სურათები. მსახიობთა და მეგუნდეთა ხმაც გარკვევით მესმის და გატაცებით ვემზერ წარმოდგენას.

ევფორიონმა მამას გადახედა. ესქილე იდაყვებით მუხლებს დაყრდნობოდა, თავი ხელებში ჩაერგო და გულდასმით ისმენდა სოფოკლეს საუბარს.

— ასე მზერისას ბევრი რამ ისეთი აღმოვაჩინე, რაც თავის დროზე არ შემინიშნავს. არც მიკვირს: მრავალგზის ხილვა ადამიანს წვრილმანებზედაც მიაქცევინებს ყურადღებას! — სოფოკლე მერხზე ჩამოჯდა და განაგრძო: — ესქილეს ყოველთვის თაყვანს ვცემდი, ტიტანად ვსახავდი. ახლა კი ვხედავ, რომ ღირსეულად მაინც ვერ ვაფასებდი. ის ბევრად, განუზომლად დიდი ყოფილა, ვიდრე მე მეგონა!

ესქილე უხერხულად შეიშმუშნა. ერთხანს იყუჩა და მერე ღიმილით ჰკითხა:

— უკანასკნელად რომელი ტრაგედია წარმოადგინეს?

— „სპარსელები", — მიუგო სოფოკლემ. — ახლაც თვალწინ მიდგას დარიოსის აჩრდილის ანაზდეული გამოცხადება და მერე გაჭრობა. დიად მოვლენას რომ გადმოგცემენ, ფორმაც დიადი და შესაფერი უნდა მონახონ. ჟრუანტელმა დამიარა, როცა სცენის სიღრმიდან დარიოსი ამოიმართა.—სოფოკლემ ერთხანს იყუჩა და დასძინა:— ხალხმა კი არ იცის, რომ ამას შესაფერი სასცენო მოწყობილობა სჭირდება და ამ მოწყობილობათა შემოღება დიდებული ესქილეს დამსახურებაა.

ევფორიონი გატაცებით უსმენდა სოფოკლეს. შეეშინდა, საუბარი არ დაამთავროსო და ღიმილით ჰკითხა:

— კიდევ რომელი ტრაგედია იხილე, მეგობარო?

— „მავედრებელი ქალები"! — მიუგო სოფოკლემ.

— მანდ კი არაფერი აღმოგიჩენია? — გაიცინა ესქილემ.

— ძალზე ბევრი რამ! თუმცა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მაცნეს გამოცხადების ეპიზოდმა დატოვა. დიდებული სცენაა!

— მაინც რამ მიიპყრო შენი ყურადღება?..— ჰკითხა ესქილემ.

— პირველ რიგში, შესანიშნავმა დიალოგმა, მაგრამ ახლა სხვა მინდა მოგახსენო. ჩემთვის სრულიად მიუწვდომელია, როგორ ახერხებ მასიური სცენის ასე გამართვას. აი, თითქოს ახლაც ვხედავ, რო-

გორ შემოდის მაცნე შეიარაღებული რაზმის თანხლებით. შემოდის და დანაიდების გარეკვას ლამობს. მის თავხედობას საზღვარს დაუდებს მეფე პელაზგე, რომელიც ამ დროს მეორე მხრიდან შემოვიდა არგოსელთა ჯარით. სცენა შეიარაღებული ხალხით გაივსო. ცოტა ზემოთ კი ჰრელ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალწულების გუნდი დგას. დიდებული სურათია, ცოცხლად და მეტყველად გამოსახული!, ვის არ მოხიბლავს ფერთა სიუხვე და დაპირისპირებული ჯგუფების ასე მოხდენილად განაწილება! განა ამგვარი სურათები რომელიმე სხვა პოეტს შეუქმნია? ფრინიქეს აზრადაც არ მოუვიდოდა სცენაზე ამდენი ხალხის შემოყვანა...

სოფოკლე წამოდგა და მერხებს შორის სიარულს მოჰყვა. ძალზე აღელვებული იყო. ბოლოს ესქილეს წინ გაჩერდა და თქვა:

— ჩვენი თეატრი შენს ვალს ვერასდროს გადაიხდის. ელადის პოეტები მომავალშიც ესქილეს მიერ გაკაფული გზით იცლიან!..

ესქილეს სიმონიდესთან საუბარი გაახსენდა. „სოფოკლემაც თუ არ ისურვა შენებურად წერა, მე მომიგონეო“, — უთხრა მაშინ მოხუცმა პოეტმა. — რა მწარედ შეცდი, სიმონიდე! ნეტავ შენც მოგესმინა სოფოკლეს სიტყვები!

ერთხანს სამივე გაჩუმებული იყო. ბოლოს ესქილემ თავი ასწია, სოფოკლეს შეხედა და ჰკითხა:

— ჩემს გმირებზე რაღას იტყვი, ყმაწვილო?

— რა უნდა ვთქვა? — გაოცდა სოფოკლე.

— ზეიად და ზებუნებრივ არსებებად ხომ არ გესახებიან?

— რა თქმა უნდა! — მიუგო სოფოკლემ და დასძინა: — ისინი ღმერთებს ჰგვანან. თავიანთი შეუდრეკელი ნებისყოფითა და უმაღლესი ზნეობით ხალხს ატყვევებენ. თითოეული მათგანი სწორუპოვარი გოლიათია და ადამიანებს დიადი საქმეებისაკენ მოუწოდებენ, კეთილშობილებასა და ზეადამიანურ ვაჟკაცობას უნერგავენ. ვერც ერთი მოკვდავი ამგვარ სიმაღლეს ვერ მიწვდება, მაგრამ ამას ხომ არცა აქვს მნიშვნელობა! მთავარი მიზანია და მიზანი კი ძალზე კეთილშობილური ჩანს. შენ გსურს ადამიანები სრულყოფილებას აზიარო!

ესქილე გაოცებული იყო. „ სიმონიდეს პირით ხომ არ მელაპარაკება ეს ყმაწვილიო“, — ფიქრობდა ის. ერთხანს ხმა არ ამოუღია, მერე ჰკითხა:

— შენც ხომ ასეთ გმირებს გამოიყვან?

სოფოკლე ჩაფიქრდა. ასეთ კითხვას არ მოელოდა და არ იცოდა, რა ეპასუხა. ბოლოს სათქმელი მოიფიქრა და დაიწყო:

— დიდი ხანია ტრაგედიების წერაში ვვარჯიშობ. ხუთიოდე უკვე დავწერე. მართალი გითხრათ, აღტაცებული არა ვარ. არ ვიცი, მომავალში როგორ იქნება. მაგრამ შენ კითხვაზე რომ გიპასუხო, მაინც იმ ტრაგედიებს უნდა გადავხედო. იქ კი ისეთი არავინ მეგულება, შენს ღვთაებრივ გმირებს რომ მხარში ამოუდგეს. ისინი თითქოს ჩვეულებრივი ადამიანები არიან. თუმცა არც ისეთი, ათენის ქუჩებში რომ ყოველდღიურად გვხვდებიან, მაგრამ არც იმაზე მეტი, ვიდრე ჰეშმარიტი და კეთილშობილი მოქალაქე უნდა იყოს, — სოფოკლემ მორცხვად გაიღიმა და დასძინა: — ჩემი გმირები დედამიწას დავუახლოვე, მაგრამ შენს გავლენას მაინც ვერ გავექეცი: ყველა მათგანს სიდიადე და ვაჟკაცური იერი შევუნარჩუნე. კეთილშობილება და დიადი საქმეებისაკენ ლტოლვის წადილიც არ დავაკელ. თუ ტრაგედიების წერა გავაგრძელე, ალბათ; მომავალშიც ამ გზას გავყვები...

ესქილეს გული შეეკუმშა. სოფოკლეს გადახედა და ნაღვლიანი ღიმილით უთხრა:

— გმირებს მიწუნებ, ყმაწვილო?

სოფოკლე შეკრთა. ჯერ ესქილეს მიაპყრო გაოცებული მზერა, მერე ევფორიონს გადახედა და ძლივს ამოილუღლუღა:

— ეგ რამ გაფიქრებინა, დიდებულო პოეტო?

— შენ არ გსურს, ჩემს გზას მიჰყვე, არ გსურს, ისეთი გმირები გამოიყვანო, ჩემს ტრაგედიებში რომ მოქმედებენ!..

— ეგ მე არ ძალმიძს, ღირსეულო ესქილე! მხოლოდ სურვილი საქმეს ვერ უშველის... აღტაცებული ვარ შენი გმირებით, ტიტანებად რომ გადაქცეულან!.. ერთი ფიქრი ამეკვიატა. ის თუ გაამართლებს ჩემს უძლურებას... შენ ხომ მარათონის გმირი ხარ, იმ ბობოქარი და მღელვარე დღეების პირველი! გმირულ ხანაში იწრთობოდა შენი ხასიათი და გონება, შენს ფანტაზიასაც ის ასაზრდოებდა. სამშობლოს ერთგული შვილი იყავ და დიადი მოვლენების შუაგულში ტრიალებდი. კარგად ხედავდი, რომ ქვეყნის გადასარჩენად ტიტანები და ბუმბერაზები იყო საჭირო. ასეთებს შენს გვერდით ვერ პოულობდი და მათი ძებნა ტრაგედიებში დაიწყე. იპოვე კიდეც! თავად გოლიათმა გმირებიც გოლიათებად წარმოადგინე, უკვდავება მიანიჭე და შთამო-

მავლობას მისაბაძად დაუტოვე! შენზე ოცდაათი წლით უმცროსი ვარ და ეს ოცდაათი წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ირგვლივ ყველაფერი შეცვლილიყო. ცხოვრება სხვა კალაპოტში მოექცა და გმირული სულისკვეთებაც თითქოს განელდა. ირანელების განდევნის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მყუდროებამ დაისადგურა. გმირული დღეები მოგონებად გადაიქცა და მეც ამ ხანაში მომიხდა დავაქცება....

სოფოკლემ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას მიაპყრო მზერა. ესქილე წვერს იწიწკნიდა. ევფორიონმა თავი ვერ შეიკავა და თქვა:

— სოფოკლე მართალს ამბობს!..

— სიმონიდესაც მართალი უთქვამს... — ჩაილაპარაკა ესქილემ.

— რა თქვი? — ჰკითხა გაოცებულმა ევფორიონმა.

— სიმონიდეს მართალი უთქვამს! — გაიმეორა ესქილემ, წამოდგა და დინჯად გაემართა გასასვლელისაკენ.

ევფორიონმა სოფოკლეს გადახედა და მხრები აიჩეჩა...

კუ და არწივი

77-ე ოლიმპიადაც[1] გასრულდა. ამ ხნის მანძილზე ათენელთა ცხოვრება ჩვეული გზით მიედინებოდა. მხოლოდ ერთხელ დაერღვათ მყუდროება და ეს მაშინ მოხდა, როცა ქალაქში სმა გააჯრცელეს, ირანელები კვლავ აპირებენ ელადის დალაშქვრასო. ეს ხმა სიმართლეს მოკლებული როდი იყო. ელინთა გამარჯვებით დამფრთხალმა ირანელებმა უზარმაზარ ფლოტსა და ლაშქარს მოუყარეს თავი. გამარჯვების იმედი ჰქონდათ და გულმოცემულნი შურისსაგებად ემზადებოდნენ. მაგრამ კიმონმა მტერს დაასწრო და მოკავშირეთა ძალები აზიის სანაპიროსთან გადაიყვანა. აქ, ევრიდემონტის შესართავთან, ირანელებს შეება. ზღვაზეც და ხმელეთზეც სასტიკად დაამარცხა და მდიდრული ნადავლით ხელდამშვენებული ელადისაკენ გაბრუნდა.

თემისტოკლეს განდევნის შემდეგ არისტიდე და კიმონი ათენის აღიარებული მოთავეები გახდნენ. მაგრამ ასაკმა თავისი გაიტანა,

[1] 472-469 წლები.

არისტიდე სახელმწიფო საქმეებს ჩამოსცილდა და ასპარეზი მთლიანად კიმონს დაუთმო. მილტიადეს ძემ ხალხის იმედები გაამართლა, სამართლიანობითა და სულგრძელობით საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ათენს მტრის შიში აღარ ჰქონდა და გულდამშვიდებული მოქალაქეები ჩვეულ და ნაცად გზას მიჰყვებოდნენ...

ესქილემ მეორედ იმოგზაურა სირაკუზში. იქაურ სცენაზე „სპარსელები“ წარმოადგინა და ხალხის გული საბოლოოდ მოინადირა. აღტაცებულმა მოქალაქეებმა ესქილე დაფნის გვირგვინით შეამკეს და სამშობლოში გამგზავრებისას დიდებული გაცილება მოუწყვეს.

ფრინიქე ყველას აოცებდა. ესქილეს თაყვანისმცემლად გადაქცეულიყო და ძველ მეტოქეს ქება-დიდებით იხსენიებდა. მაგრამ მოხუც პოეტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. ერთ საღამოს თავი შეუძლოდ იგრძნო და გამთენიის ჟამს მწუხარებით შეპყრობილმა პოლიფრადმონმა მამას თვალები დაუხუჭა. ათენელები გულისტკივილით გამოეთხოვენ სახელგანთქმულ პოეტს.

ახალგაზრდა სოფოკლე სახლში ჩაკეტილიყო და გარეთ აღარ გამოდიოდა. თეატრში ღამით საუბრის მერე ესქილესთან შეხვედრას ერიდებოდა. მის მახვილ თვალს არ გამოეპარა, რომ დიდებული პოეტი ძველებურად აღარ ეპყრობოდა. თავს დამნაშავედ თელიდა, თუმცა, რომ გეკითხათ, რა ბრალი მიგიძღვისო, ვერც გიპასუხებდათ. ბაგრამ მხოლოდ ეს როდი იყო განმარტოების მიზეზი. სოფოკლე ახალ ტრილოგიას ამთავრებდა და პოეტთა შეჯიბრში მონაწილეობისათვის ემზადებოდა. საკუთარ თავს პირობა მისცა, მეორე ჯილდოს თუ ვერ მოვიპოვებ, ტრაგედიების წერას შევეხსნებიო.

ევფორიონმა მოსვენება დაკარგა. ესქილესა და სოფოკლეს შორის ურთიერთობის გამწვავებას ვერ ურიგდებოდა, მაგრამ ვერც ერთისთვის ეთქვა რაიმე და ვერც მეორესთვის. ბოლოს ისევ სოფოკლეს ნახვა და მასთან მოლაპარაკება ამჯობინა. მაგრამ ევფორიონს სოფოკლემ დაასწრო. ერთ საღამოს გახარებული ტალთიბე ევფორიონის ოთახში შევარდა და სხაპასხუპით მიახალა:

— ბატონო ჩემო! ვერც გამოიცნობ, ვინ გვეწვია! იქ, სასტუმრო ოთახში, სოფოკლე გელის!

ევფორიონი წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

ამ დროს ესქილე შინ არ იყო, არისტიდეს სანახავად წასულიყო და

ტალთიბესათვის დაებარებინა. შეიძლება შინ მოსვლა შემაგვიანდესო.

სოფოკლე და ევფორიონი სავარძლებში მოკალათდნენ და ერთმანეთი მოიკითხეს.

— ძვირად სანახავი გაგვიხდი, მეგობარო! — ეუბნებოდა სახეგაბადრული ევფორიონი, — არ მეგონა, ასე თუ დაგვივიწყებდი!

—რას იზამ!—პასუხობდა სოფოკლე,—თავისუფლება ბავშვობამ გაიყოლია. ხან რითა ვარ დაკავებული და ხან რით!

— ახლა რას აკეთებ? — ჰკითხა ევფორიონმა.

სოფოკლე უხერხულად შეიშმუშნა. ერთხანს თავჩაქინდრული იჯდა, მერე მეგობარს თვალი გაუსწორა და უთხრა:

— გავკადნიერდი და პოეტთა შეჯიბრში მონაწილეობისათვის ვემზადები. გადაწყვეტილი მაქვს, მეორე ჯილდო მოვიპოვო!

— მართლა?! — წამოიძახა გახარებულმა ევფორიონმა, — პირველი ვისღა გინდა დაუთმო?

— შენი ხათრით, ესქილეს! — სიცილით მიუგო სოფოკლემ და დასძინა: — ვიდრე მამაშენი შეჯიბრებაში მონაწილეობს, სხვა პოეტი გამარჯვებას ვერ ეღირსება. ამიტომ პირველ ჯილდოზე არც ვფიქრობ. ჩემთვის ისიც საამაყოა, რომ დიდებული ესქილეს ტრაგედიების გვერდით ჩემს ტრაგედიებსაც წარმოადგენენ!..

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. მეგობრები თავთავიანთ ფიქრებს გაჰყოლოდნენ. ბოლოს ევფორიონმა თავი ასწია და ბავშვური გულუბრყვილობით თქვა:

— მე კი მეგონა, ესქილეს პატივს აღარ სცემდი!

სოფოკლე მოიღუშა. ევფორიონის ნათქვამმა გული დაწყვიტა. რა უფლება ჰქონდა ასეთი რამ ეფიქრა? განა სოფოკლემ საამისო საბაბი მისცა? ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ესქილემ აითვალწუნა სოფოკლე და იქნებ სრულიად უმიზეზოდაც! პირიქით ხომ არ მომხდარა?! სოფოკლე მწვავედ განიცდიდა ესქილეს განაწყენებას და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე კვლავ მოეპოვებინა დიდებული პოეტის კეთილგანწყობილება. ტეტრალოგიაზე მუშაობაც ხომ ამიტომ დაიწყო! მეორე ჯილდოს თუ დაიმსახურებდა და რომელიმე სახელგანთქმულ პოეტს აჯობებდა, ესქილე უთუოდ კმაყოფილი დარჩებოდა... დანაშაულსაც მიუტევებდა... დანაშაულს? რატომ აეკვიატა ეს აზრი? განა სოფოკლეს ბრალია, რომ ესქილეობას ვერ გაწევს და ბუმბერაზ პოეტად ვერ გადაიქცევა? ის ისე წერს, როგორც შეუძ-

ლია, მიუწვდომელს არ ეპოტინება. მერე და, განა ეს დანაშაულია? სწორედ ეს არის გადასაწყვეტი! სოფოკლეს კი საამისო ძალა არ შესწევს... ერთი უბრალო აზრი გულდინჯად განსჯის ყველა ცდას უქარწყლებს: ესქილე ტყუილუბრალოდ ხომ არ შემოსწყრებოდა?!

ევფორიონი მეგობარს გულის ფიქრს ვერ მიუხვდა და მხიარულად უთხრა:

— ბედნიერი იყოს შენთვის 78-ე ოლიმპიადის პირველი წელი[1]. ხუმრობა ხომ არ არის, სრულიად ახალგაზრდა სოფოკლე სახელგანთქმულ ესქილეს შეერკინება!

სოფოკლემ გაოცებული მზერა მიაპყრო მეგობარს. შუბლზე ხელი გადაისვა და დინჯად მიუგო:

— კვლავ ვერ გამიგე. ესქილესთან შეჯიდებას მე არ ვაპირებ!

მეგობრები კიდევ დიდხანს საუბრობდნენ. ის იყო საფოკლემ წასვლა დააპირა და წამოდგა კიდეც, რომ ოთახში ტალთიბე შემოვიდა და თქვა:

— დიდი ბატონი მობრძანდა!

სოფოკლე წამოწითლდა. ოთახი ისე მოათვალიერა, თითქოს დამალვას აპირებსო. უცებ ადგილიდან მოწყდა და გასასვლელს მიაშურა. გვიანღა იყო! კარის ზღურბლზე ესქილე იდგა და იღიმებოდა. ტალთიბეს უკვე მოეხსენებინა სოფოკლეს მოსვლა...

სოფოკლემ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. ახალგაზრდა პოეტმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და უხერხულად იშმუშნებოდა.

— ძვირფასი სტუმარი გწვევია, ევფორიონ! — მხიარულად უთხრა ესქილემ შვილს, — მაინც რა გითხრა, ამდენ ხანს სად ვიყავ დაკარგულიო?

ევფორიონმა სოფოკლეს გადახედა. მერე მამას მიუბრუნდა, ეშმაკურად თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— სოფოკლე ხელცარიელი არ მოსულა. დიდებული ამბავი მოიტანა. დარწმუნებული ვარ, ჯერ გაოცდები და მერე კი კმაყოფილი დარჩები!

— სოფოკლემ ერთხელ უკვე გამაოცა, — თქვა ესქილემ და სავარძელზე დაეშვა. — ახლა რას აპირებს?

— შენთან ჭერკინებას! — მიუგო ევფორიონმა.

---

[1] 468 წელი.

— ადამიანისათვის ხელმისაწვდომად მისაბაძი გმირებით? — გაიცინა ესქილემ.

— ეგ მე არ ვიცი! მაგრამ გამარჯვებას კი ისე აღვილად ვეღარ მოიპოვებ, — მხიარულად წამოიძახა ევფორიონმა, — სოფოკლე არც არისტიაა და არც პოლიფრადმონი!

— მეც აგრე ვფიქრობ! — მიუგო ესქილემ და დასძინა: — სოფოკლემ ერთხელ უკვე დამამარცხა. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, მეთქვა, ჩემს მეტოქეს გაამარჯვებინაო. ეს. მეტოქე სახელგანთქმული სიმონიდე იყო. სულაც არ გამიკვირდება, მეორედაც რომ მაგემოს მარცხის სიმწვავე!

სოფოკლე სულგანაბული ისმენდა მამა-შვილის საუბარს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ლაპარაკში ჩაერია.

— დიდებულო ესქილე! შენთან შერკინებას არ ვაპირებ. ეს ევფორიონის ხუმრობა იყო. მაგრამ მეორე ჯილდოს მიღება კი ძალზე მწადია. გეევედრები, ამ სურვილს ქედმაღლობად ნუ ჩამითვლი. შენი წყალობით ტრაგედიაში ერთი სიახლე შევიტანე. არ ვიცი, როგორ მიიღებს მაყურებელი, მაგრამ მე კი მგონია, რომ ურიგო არ უნდა იყოს. მეორე ჯილდოსაც მხოლოდ ამ იმედით ვეპოტინები!

— რა სიახლეზე ლაპარაკობ? — ჰკითხა ესქილემ.

— თუ ნებას მომცემ, ამ საიდუმლოს წარმოდგენის დღემდე არ გავამეღავნებ! — მიუგო სოფოკლემ.

— კეთილი... — ჩაილაპარაკა ესქილემ და დასძინა: — მოწყალეა დიდებული ზევსი. დაე, მან სინამდვილედ აქციოს შენი ოცნება!

სოფოკლეს თვალები გაუბრწყინდა. ესქილეს მოხდენილად დაუკრა თავი და უთხრა:

— მშვიდობის ღამეს გისურვებ, სწორუპოვარო პოეტო!

სოფოკლემ კარი გამოაღო და ის იყო ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ ესქილეს ხმა წამოეწია:

— დარწმუნებული იყავ, ყმაწვილო, შენი წარმატება მე ყოველთვის სიხარულს მომგვრის!

გახარებული სოფოკლე კიბეზე დაეშვა...

დროს შეუმჩნევლად გაირბინა. ათენი დიადი დღესასწაულისათვის ემზადებოდა. მოქალაქეები თეატრალურ წარმოდგენებზე ფიქრით ცხოვრობდნენ. ყველგან, ქუჩებსა და მოედნებზე, დაწესებულებებსა და სახლებში იმ პოეტებზე საუბრობდნენ, რომელთაც შე-

ჯიბრში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. გამარჯვებას ესქილეს უწინასწარმეტყველებდნენ, მეორე ჯილდოს უყოყმანოდ არისტიას აკუთვნებდნენ, სოფოკლეს სახელის გაგონებაზე კი მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ.

— ესქილე ამჯერად იოლად გაიმარჯვებს,—ამბობდნენ ერთნი, — ფრინიქე ცოცხალი აღარ არის და არც პოლიფრადმონი მონაწილეობს!

— ესქილე წინადაც იოლად იმარჯვებდა! — პასუხობდნენ მეორენი.

— ამბობენ, ათზე მეტმა პოეტმა გამოთქვა ტრაგედიების წარმოდგენის სურვილიო. არქონტს კი ესქილე, არისტია და სოფოკლე ამოურჩევია!

— რატომ მაინცა და მაინც სოფოკლე?

— თავად ესქილეს უთხოვია და არქონტსაც უარი ვეღარ უთქვამს!..

როგორც იქნა, ნანატრი ჟამიც დადგა, დღესასწაული დაიწყო. 11 ელაფებოლიონს არისტიას ტრაგედიები წარმოადგინეს, 12 ელაფებოლიონი კი ესქილეს დაუთმეს. თეატრიდან გამოსული ხალხი აღტაცებას ვერ მალავდა. ყველას ესქილეს სახელი ეკერა პირზე და არქონტ-ეპონიმზე უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

— განა არ სჯობდა, დღეს სოფოკლეს დრამები წარმოედგინათ, დღესასწაული კი ესქილეს ტრაგედიებით დაემთავრებინათ?

— რა თქმა უნდა! სოფოკლეც მოგებული დარჩებოდა და ჩვენც!

— მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ყმაწვილი!

— მოდი და ესქილეს ტრაგედიების მერე ახალბედა პოეტს უსმინე!

— ახალბედას რატომ? ერთხელ უკვე იგემა მარცხის სიმწარე!.

ევფორიონის მკლავზე დაყრდნობილი სოფოკლე მძიმედ მიაბიჯებდა. მოქალაქეთა საუბრის გაგონებაზე შიში იპყრობდა. მზად იყო, სულაც აღარ წარმოედგინა ტრაგედიები, მაგრამ ეს ხომ ლაჩრობა და დღესასწაულის ჩაშლა იქნებოდა! გაოგნებული აქეთ-იქით იყურებოდა, ევფორიონს მკლავზე ხელს უჭერდა და შეშფოთებული ბუტბუტებდა:

— ნეტავ არც მეფიქრა შეჯიბრში მონაწილეობა... ესქილეზე წინ მაინც წარმოედგინათ ჩემი ტრაგედიები...

ევფორიონი მეგობარს ამხნევებდა. თან გვერდით ჩაელილ მოქალაქეებს უბღვერდა და ეუბნებოდა:

— სოფოკლე თქვენ არისტია ან პოლიფრადმონი ხომ არ გგონიათ? ჩემი მეგობარი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს თვით ესქილეს!

ამის გაგონებაზე ხალხი გულიანად იცინოდა და კვლავ თავის საუბარს აგრძელებდა...

13 ელაფებოლიონს ათენელებმა. თეატრს მიაშურეს. მერხები ხალხით გაიჭედა და დაგვიანებულები ამაოდ დაეძებდნენ თავისუფალ ადგილებს. ღვეზელითა და ხილეულით მოვაჭრენი საქმეს ვეღარ აუდიოდნენ. რიგებს შორის დარბოდნენ და პირამდე სავსე კალათებს თვალის დახამხამების უმალ აცარიელებდნენ. ირგვლივ მხიარული საუბარი და მისასალმებელი შეძახილები გაისმოდა...

თეატრში სტრატეგოსებით გარშემორტყმული კიმონი შემოვიდა. ხალხი ფეხზე წამოიშალა და ტაშმაც იგრიალა. კიმონი ხალხს ხელის ქნევით მიესალმა და არქონტი-ეპონიმის გვერდით მოკალათდა. სტრატეგოსებმაც მათთვის განკუთვნილი საპატიო ადგილები დაიკავეს...

ცოტა ხნის მერე ხალხი კვლავ ახმაურდა. ყოველი მხრიდან გაისმოდა აღტაცებული შეძახილები...

წელში ოდნავ მოხრილი, ტანმაღალი და ბეჭებგანიერი მოხუცი სამოციოდე წლის ბრგე ვაჟკაცის მკლავს დაყრდნობოდა და დინჯად მიაბიჯებდა. მოქალაქეთა მზერაც სწორედ მათკენ იყო მიმართული. მოხუცი არისტიდე იყო, ხანშიშესული მოქალაქე კი — ესქილე...

ზედამხედველები დაფაცურდნენ. არქონტ-ეპონიმს უკვე მიეცა ნიშანი, წარმოდგენა საცაა უნდა დაწყებულიყო.

მოქალაქეები თანდათან მიყუჩდნენ, ირგვლივ მყუდროებამ დაისადგურა. სცენაზე მსახიობი და მეგუნდენი შემოვიდნენ. წარმოდგენა დაიწყო...

ორი მსახიობის დიალოგით მოხიბლული ესქილე მონუსხულივით შეჰყურებს სცენას...

უეცრად სცენაზე კიდევ ერთი მსახიობი შემოიჭრა და დამხვდურთ საზარელი ამბავი აუწყა. შეძრწუნებულ გუნდს გმინვა აღმოხდა...

ესქილემ არისტიდეს მაჯაზე ხელი მოუჭირა და თვალები დახუ-

ჭა. ერთხანს ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მერე კვლავ სცენას მიაპყრო მზერა. ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იქ სამ გმირს სამი მსახიობი განასახიერებდა...

— ერთ-ერთი უთუოდ ზედმეტი იქნება, მოქმედებაში ნაშალადევად ჩაჩრილი! — გაიფიქრა მან და სმენად გადაიქცა.

მაგრამ ზედმეტი არავინ ჩანდა. მოქმედება სადად და ბუნებრივად მიედინებოდა. სოფოკლეს სამივე გმირისათვის ადგილი მოენახა და ერთი მათგანიც რომ დაკლებოდა, ალბათ ყველაფერი აირეოდა...

— აი, თურმე რა სიახლე შემოუტანია ჩემს მეტოქეს, — ჩაილაპარაკა ესქილემ და არისტიდეს მიუბრუნდა: — დღეიდან ჩვენი თეატრი ახალ ცხოვრებას იწყებს. ამ ჰაბუკმა ნამდვილი გადატრიალება მოახდინა!

არისტიდემ მხრები აიჩეჩა. ესქილე მიხვდა, რომ სოფოკლეს აღმოჩენა არისტიდესათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო.

პირველი ტრაგედია რომ დასრულდა, თეატრში ტაშმა იგრიალა.

— არც კი მჯერა, რომ ეს ტრაგედია ესქილეს კი არ ეკუთვნის, არამედ ვილაც ახალბედა პოეტს! — თქვა ხანშიშესულმა მოქალაქემ.

— ვგონებ ესქილეს მართლაც გამოუჩნდა ღირსეული მეტოქე! — დასძინა მეორემ.

— მე კი ვშიშობ, ამ ყმაწვილმა ჩვენს დიდებულ პოეტს არ გადააჭარბოს! — ჩაილაპარაკა მესამემ.

— გადაჭარბება სწორედ ეგ არის! — მიაძახეს აქეთ-იქიდან და მაინც სოფოკლეს ქებას მოჰყვნენ.

არისტიდე ესქილესაკენ დაიხარა და ჩუმად უთხრა:

— მე მომწონს სოფოკლეს ტრაგედია. აღტაცებული ვარ მისი გმირებით და ამბის სიდიადით. მაგრამ ის კი მაინც ვერ გამიგია, რა აღმოჩენა მოახდინა და რატომ იწყებს ჩვენი თეატრი ახალ ცხოვრებას?

— საქმეც ეგ არის, დიდებულო არისტიდე! — მიუგო ესქილემ და განაგრძო: — ყველამ შენიშნეთ, რომ მოქმედება ძალზე ცოცხლად მიმდინარეობდა, სცენაზე უჩვეულო რამ ხდებოდა! მაგრამ რა იყო ეს უჩვეულო, თქვენი ყურადღების გარეშე დარჩა. სწორედ ეს არის სოფოკლეს ბრწყინვალე ოსტატობა და სიდიადე. ყოველივე

ისე ბუნებრივად წარმოადგინა, თითქოს ჩვენს თეატრს მხოლოდ ამ გზით ევლოს და გამოცდილებაც დიდი ჰქონოდეს!

— მაინც რა იყო ეს სიახლე? — ჰკითხა არისტიდემ.

— სოფოკლემ საში მსახიობი გამოიყვანა!

არისტიდეს თვალები გაუფართოვდა. ერთხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე თავზე ხელი იტაცა და თქვა:

— შენ მართალი ხარ, ღირსეულო ესქილე! მიკვირს, რომ ვერ შევამჩნიე!

ესქილესა და არისტიდეს პოლიფრადმონი მიუახლოვდა.

—ხომ მართალი გამოვდექი, ღირსეულო მოქალაქენო! — ნაღვლიანი ღიმილით თქვა მან და დასძინა: — როცა ესქილემ ორი მსახიობი გამოიყვანა, მე როგორღაც ვთქვი: ასე თუ გაგრძელდა, რომელიმე პოეტი მთელ ამ ზღვა ხალხს სცენაზე არეკავს და მაყურებლად ერთ კაცს დატოვებს-მეთქი!

— შეიძლება აგრეც მოხდეს, ღირსეულო პოლიფრადმონ! — სიცილით მიუგო ესქილემ.

ამასობაში მონებმა დეკორაცია შეცვალეს და წარმოდგენა გაგრძელდა. სულ ბოლოს აღფრთოვანებულ მაყურებელს სატირული დრამა აჩვენეს და სანახაობაც ამით დასრულდა.

ხალხი მოუთმენლად ელოდა მსაჯულთა გადაწყვეტილებას. ვის მიაკუთვნებენ პირველ ჯილდოს? სოფოკლეს ტრაგედიებმა არნახული შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ესქილეს დამარცხება ხალხს მაინც ვერ წარმოედგინა. განაბული მაყურებელი არც ესქილესათვის მოითხოვდა პირველ ჯილდოს და არც სოფოკლესათვის. ახლა ყველაფერი მსაჯულებზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ისინი კვლავ დაობდნენ და ვერ შეთანხმებულიყვნენ. ხუთი მათგანი ესქილეს თვლიდა გამარჯვებულად, ხუთიც სოფოკლეს. აღელვებული ხალხი კი თავს ვეღარ იკავებდა და მსაჯულებს აჩქარებდა.

— არა, ჩვენ ვერ შევთანხმდებით! — უთხრა ერთმა მსაჯულმა არქონტ-ეპონიმს, — თავად დაასახელე გამარჯვებული!

არქონტმა მხრები აიჩეჩა. აქეთ-იქით მიმოიხედა და მზერა სტრატეგოსებით გარშემორტყმულ კიმონზე შეაჩერა. უეცრად რაღაც მოიფიქრა, სახე გაუნათდა და კიმონს მიმართა:

— დიდებულო კიმონ! — პატივი დაგვდე და მსაჯულებს დაეხ-

მარე, დაასახელე გამარჯვებული. რჩევა ღირსეულ სტრატეგოსებსაც ჰკითხე!

კიმონი უსიამოვნოდ შეიშმუშნა. იქვე ესქილეს მოჰკრა თვალი და გადაწყვიტა, არქონტისათვის უარი მოეხსენებინა.

არქონტის სიტყვები ესქილესაც გაეგონა. სწრაფად წამოდგა, კიმონთან მივიდა და უთხრა:

— მილტიადეს ძე უსამართლოდ ვერ მოიქცევა. და თუ ეს ასეა, გამარჯვება უყოყმანოდ სოფოკლეს უნდა მიანიჭო!

გაოცებული კიმონი ესქილეს დააცქერდა. როცა მის სახეზე მხოლოდ გულწრფელობა ამოიკითხა, შვებით ამოისუნთქა, სტრატეგოსებს რაღაც გადაულაპარაკა, მათგან თანხმობა მიიღო და მერე მტკიცე ნაბიჯით მსაჯულებს მიაშურა...

ცოტა ხნის შემდეგ თეატრში მსაჯულთა გადაწყვეტილება გამოაცხადეს: პირველი ჯილდო სოფოკლეს მიეკუთვნა, მეორე ესქილეს, მესამე — არისტიას. გაოგნებული ხალხი დუმილით შეხვდა ამ ცნობას. სოფოკლეს გამარჯვებით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ ესქილეს დამარცხებას ვერ ურიგდებოდნენ... ამ დროს ომახიანი შეძახილი გაისმა!

— დიდება სოფოკლეს! დიდება სახელოვან პოეტს!

მოქალაქეებმა ესქილე იცნეს და ერთბაშად ახმაურდნენ. ახლა აღარავინ ერიდებოდა საკუთარი გულისნადების გამხელას.

— დიდება სოფოკლეს! დიდება ღირსეულ პოეტს! — გაიძახოდნენ და დასძენდნენ:

— დიდება ესქილეს! სწორუპოვარ პოეტს დიდება!

ესქილემ სოფოკლეს მოჰკრა თვალი და მისკენ გაემართა.

— გამარჯვებას გილოცავ, ყმაწვილო! — შორიდანვე მიაძახა მან.

— მსაჯულებმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს... — ისე ჩაილაპარაკა სოფოკლემ, რომ თავი არ აუწევია.

— არა! — მიუგო ესქილემ, — მსაჯულებმა ყველაზე ღირსეულს მიანიჭეს გამარჯვება!

სოფოკლემ არაფერი უპასუხა. დუმილი ისევ ესქილემ დაარღვია. ყმაწვილს მხარზე ხელი დაჰკრა და ღიმილით უთხრა:

— ბრძოლაზე ხელის აღებას მაინც არ ვაპირებ, ძმობილო! ვერც ჩემს გმირებს შეველევი ასე იოლად. მე ისინი შენსაზე მეტად მომ-

წონს და მიყვარს. მაგრამ შენი დიადი აღმოჩენა ბევრად მეტს იმსახურებს, ვიდრე პირველი ჯილდოა!

— დღევანდელი სიახლე აღმოჩენა არ გახლავს, დიდებულო პოეტო! — მიუგო თავჩაქინდრულმა სოფოკლემ.

— გულწრფელად ამბობ? — ჰკითხა ესქილემ.

— დიახ! — მტკიცედ თქვა სოფოკლემ და ესქილეს თვალი გაუსწორა, — აღმოჩენაც და გადატრიალებაც ორი მსახიობის გამოყვანა იყო. ის კი, რაც მე გავაკეთე, შენს მიერ დაწყებული საქმის უბრალო და ბუნებრივი გაგრძელებაა!..

— ყოფილი მოწაფე დღეს ჩემს მოძღვრად გადაქცეულა, — ჩაილაპარაკა ესქილემ და სოფოკლეს შეხედა: — მე სიამოვნებით გავყვები იმ გზას, რომელიც შენ გაუკვალე ელინურ თეატრს!

* * *

ორი თვე გავიდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან. ხალხმა ლაპარაკით გული იჯერა და სოფოკლეს გამარჯვებით გამოწვეული შთაბეჭდილებაც თანდათან განელდა. თეატრსა და პოეტებზე ფიქრი მომავალი წლის ელაფებოლიონისათვის გადაიდო და მოქალაქეებმა ჩვეულ საქმიანობას მიაპყრეს გულისყური. მხოლოდ ესქილემ ვერ დაივიწყა უკანასკნელი შეჯიბრება. დღედაღამ სოფოკლეს აღმოჩენაზე ფიქრობდა და ახალგაზრდა პოეტს ქება-დიდებით იხსენიებდა. ერთი კი ვერ გაეგო: რატომ თავად არ გამოიყვანა სამი მსახიობი? ჯერ კიდევ ქოირილეს ეუბნებოდა, ჩემი მიზანი მსახიობთა პარტიების გაძლიერება და ქოროს როლის შეზღუდვაო. იმდღევანდელი სიახლე კი საუკეთესო საშუალება უნდა ყოფილიყო ამ მიზნის მისაღწევად... არა, ბოლოს და ბოლოს, ესქილე უთუოდ გამოიყვანდა სამ მსახიობს, მაგრამ სოფოკლემ დაასწრო. დაასწრო და ათენის თეატრს ახალი გზა დაუსახა, ძალზე მიმზიდველი და საინტერესო. ესქილე ფრინიქესავით ჭირვეულობას არ დაიწყებს. ახალგაზრდა პოეტს მიბაძავს და მის გზას გაჰყვება. ამით საკუთარ ოცნებასაც ფრთებს შეასხამს და პირველი პოეტის სახელსაც დაიბრუნებს!..

ესქილე სახლში ჩაიკეტა. მხოლოდ ევფორიონმა იცოდა, რომ სახელგანთქმული პოეტი ახალი ტრაგედიის წერას შეუდგა...

დღე დღეს მისდევდა და კვირა კვირას. დრომ შეუმჩნეველად გაირბინა.

. საღამო ხანი იყო. ესქილე სავარძელში მოკალათებულიყო, ხელები თავქვეშ ამოედო და გულდასმით უსმენდა ევფორიონს.

— შვილი, რომელიც შენ შეგეძინება, საკუთარ მამას მოჰკლავს და დედას ცოლად შეირთავს! — ასე უწინასწარმეტყველა ორაკულმა თებეს მეფე ლაიოსს, ლაბდაკეს ძეს. გავიდა ხანი. ლაიოსსა და იოკასტეს ვაჟი შეეძინათ. მეფის ბრძანებით ბავშვი კიდობანში ჩასვეს და ზღვაში გადააგდეს. ტალღებმა კიდობანი კორინთოს ნაპირებთან გარიყა. იქაურ მეფეს ვაჟი მოეწონა და იშვილა. სახელად ოიდიპოსი დაარქვა. გავიდა დრო. ოიდიპოსი დავაჟკაცდა და სამოგზაუროდ გაემართა. თებეს მახლობლად ეტლი შემოხვდა. ეტლში დიდებული მოხუცი იჯდა. მათი დავა წალაპარაკებით დაიწყო და ჩხუბით დასრულდა. განგმირული მოხუცი მიწას დაენარცხა. რა იცოდა საბრალო ოიდიპოსმა, რომ ეს მოხუცი მისი მშობელი მამა ლაიოსი იყო...

თებეს კარიბჭესთან საზარელი სფინქსი გაშოტილიყო. ურჩხული მუსრს ავლებდა ქალაქის მოსახლეობას. ოიდიპოსი სფინქსს არ შეუშინდა, შეება და სიცოცხლეს გამოასალმა. მადლიერმა მოქალაქეებმა ოიდიპოსი მეფედ აირჩიეს და დაქვრივებული დედოფლის — იოკასტეს ხელი შესთავაზეს. ასე ახდა ორაკულის წინასწარმეტყველება: ოიდიპოსმა საკუთარი მამა მოკლა და დედა კი ცოლად შეირთო...

გავიდა ხანი. ოიდიპოსის უნებლიე ბოროტმოქმედებანი გამოაშკარავდა. სასოწარკვეთილმა იოკასტემ თავი მოიკლა. ოიდიპოსმა კი სხვა ქალი ევრიენია შეირთო. მასთან ოთხი შვილი ეყოლა. ორი ვაჟი — ეტეოკლე და პოლინიკე და ორი ქალი — ანტიგონე და ისმენე. ბედნიერია ოიდიპოსი, მაგრამ მას ხომ საშინელი ცოდვები აქვს ჩადენილი. ამგვარ ცოდვებს კი, თუნდაც უნებლიეს, ღმერთები არავის აპატიებენ! ასეც მოხდა და მოხუცების ჟამს ოიდიპოსს თავს დაატყდა საზარელი უბედურება. მას თვალებს სთხრიან, შვილები სამეფო ტახტს გამოსწირავენ და სასტიკად შეურაცხჰყოფენ. აღშფოთებული ოიდიპოსი შვილებს შეაჩვენებს. საშინელია მისი წინასწარმეტყველებაც: მამის მემკვიდრეობას შთამომავალნი ხმლით გაიყოფენ ურთიერთშორის... ოიდიპოსის ნათქვამი ახდა: ეტეოკლემ სამეფო ტახტი დაიჩემა და საკუთარი ძმა თებედან გააძევა. პოლი-

ნიკე არგოსს გაემგზავრა და მეფე ადრასტესთან ჰპოვა თავშესაფარი. მერე ლაშქარი შეკრიბა და მშობლიურ ქალაქს მიაშურა. შვიდი სარდალი უტევდა თებეს. ამ შვიდში პოლინიკეც ერია. გაჩაღდა ომი. ბრძოლის ველი დახოცილი მეომრებით მოიფინა. მათ შორის ერთიმეორის მახვილით განგმირული ორი ბრგე ვაჟკაცი იწვა. ერთი ეტეოკლე იყო, მეორე პოლინიკე...

ევფორიონმა თხრობა დაასრულა და მამას გადახედა. ესქილე წინ გადაიხარა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და თქვა:

— სწორედ დიდებული თქმულება არის!

— სისხლიანი და გულისდამწყვეტი! — დაუმატა ევფორიონმა.

ესქილე ერთხანს გაჩუმებული იჯდა, მერე თავზე ხელი გადაისვა, სათქმელს თავი მოუყარა და დაიწყო:

— ამ თქმულებაზე ავაგე ჩემი ახალი ტრილოგია. დიდი ხანია ლაბდაკიდების სისხლიანმა თავგადასავალმა დამაინტერესა. გულით მეწადა, რომ ჩვენს სცენაზე გადამეტანა მათი ამბავი. მაგრამ თქმულებაში ზოგი რამ არ მომწონდა და ვგრძნობდი, მათი შეცვლა იყო საჭირო. მრავალი უძილო ღამე გავატარე, ბევრი ვიფიქრე და ბოლოს შესაცვლელი შევცვალე. პირველყოვლისა, მეორედ ქორწინების ეპიზოდი ამოვაგდე. ბედკრულ ვაჟკაცს თვალებიც თავად დავათხრევინე. ვერ წარმოიდგენ, როგორ შეიცვალა ყველაფერი! უნებისყოფო ოიდიპოსი ამიერიდან კეთილშობილ გმირად გადაიქცა. უნებლიე ცოდვებიც საკუთარი მოქმედებითა და თვითგვემით გამოისყიდა!.. ჩემს ტრაგედიებს თუ დააკვირდები, ადვილად დაინახავ, რომ ეტეოკლე და პოლინიკე დაბადებით ცოდვილნი არიან. ისინი ხომ ოიდიპოსისა და მისი დედის იოკასტეს ქორწინების შედეგად გაჩდნენ ამ ქვეყანაზე! ამრიგად, მუხთალმა ბედმა ძმებს მშობლებზე უარესი ხვედრი არგუნა: ისინი უკანონოდ შობილნი არიან. ასე შემზადდა ნიადაგი ჩემი ახალი ტრილოგიისათვის: ლაიოსიდან მოყოლებული, ლაბდაკიდების გვარს საშინელი ცოდვა დააწვა. საჭირო იყო ამ ცოდვის გამოსყიდვა, რასაც ახალი მსხვერპლი და მრავალი უბედურება უნდა მოჰყოლოდა. პირველ ტრაგედიას „ლაიოსი“ ვუწოდე, მეორეს — „ოიდიპოსი“ და მესამეს — „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“. მაგრამ მე მარათონის ეპოქის შვილი ვარ! მშობლიური ქვეყნისათვის თავდადების გარეშე ვერც სიცოცხლე წარმოიდგენია და ვერც ტრაგედია! ასეთი გმირი ჩემს ტროლოგიასაც

სჭირდებოდა. მისი პოვნა არ გამჭირვებია. ეტეოკლე ქვეყნის ბურჯად და მშობლიური ქალაქის მტკიცე დამცველად წარმოვადგინე, ნიჭიერი სტრატეგოსისა და ღირსეული ბელადის თვისებებით შევამკე. თუმცა არც ის დამვიწყებია, რომ ეტეოკლე ორგზის იყო შეჩვენებული. წინაპრებისა და საკუთარი ცოდვა მას სიკვდილით უნდა გამოესყიდა. მოკვალი კიდეც! მაგრამ ეტეოკლეს სიკვდილი პოლინიკესას არ ჰგავდა. ეტეოკლე მშობლიური ქვეყნის სადარაჯოზე დაიღუპა!

ევფორიონი მამას ყურადღებით უსმენდა. როცა დარწმუნდა, ესქილემ სათქმელი დაასრულაო, მოკრძალებით ჰკითხა:

— რამდენი მსახიობი დაგჭირდება ტროლოგიის წარმოსადგენად?

ესქილემ გაიღიმა. ერთხანს არაფერი უთქვამს და მერე ჩაილაპარაკა:

— ორი, ევფორიონ, მხოლოდ ორი!

ევფორიონი მოიღუშა. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად მამამისი სამ მსახიობს გამოიყვანდა. ესქილე შვილს გულისფიქრს მიუხვდა, თავადაც მოიღრუბლა და დამნაშავესავით წარმოთქვა:

— სამი მსახიობის გამოყვანა მომავლისათვის გადავდე. სამაგიეროდ, უზარმაზარი ნაბიჯი გადავდგი ერთი მიზნის აღსასრულებლად!

— რომელი მიზნის? — ჰკითხა ევფორიონმა.

— დიდი ხანია ერთი აზრი ამეკვიატა: მსახიობთა პარტიების გაძლიერებით ქოროს როლი უნდა შევზღუდო. ვერც წარმოიდგენ, როგორ მოიგებს ამით ტრაგედია!.. ახალ ტრილოგიაში დიალოგი სჭარბობს საგუნდო სიმღერებს. გმირებიც უკეთ მოქმედებენ, ვიდრე წინანდელ ტრაგედიებში. თუმცა ჯერ ყველაფერი მაინც არ არის რიგზე. მაგრამ ეს სრულებითაც არ მაშინებს. ამ მიზანსაც მივაღწევ და სამ მსახიობსაც მალე გამოვიყვან. სხვა რომ არა იყოს რა, სოფოკლეს გულს არ დავწყვეტ!..

ესქილეს სიტყვაც არ დაემთავრებინა, რომ ტალთიბე შემოვიდა და მოახსენა:

— სოფოკლე გეახლა, დიდო ბატონო!

— სოფოკლე? — წამოიძახა ესქილემ და წამოდგა, — მერედა, რაღას უყურებ, შემოიყვანე!

ოთახში სოფოკლე შემოვიდა.

— ელადის პირველ პოეტს ჩემი სალაში! — მხიარულად მიაძახა ესქილემ, ხელი ჩამოართვა და სავარძელი შესთავაზა.

— იცი, რაზე ვლაპარაკობდით? — ჰკითხა ევფორიონმა სოფოკლეს და დასძინა: — მამაჩემმა ახალი ტეტრალოგია დაამთავრა!

— მართლა? — წამოიძახა სოფოკლემ და სახე გაუბრწყინდა. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა...

— ვგონებ რაღაც გინდოდა გეთქვა? — ღიმილით ჰკითხა ესქილემ.

— დიახ... — მიუგო სოფოკლემ და სათქმელი ძლივს ამოილუღლუღა: — რამდენი მსახიობი გამოიყვანე, დიდებულო პოეტო?

ესქილემ გაიცინა. აი, სანამდე მისულა საქმე! მისი ტრაგედიების ღირსებას მსახიობთა რაოდენობით საზღვრავენ!..

— ორი! — მიუგო მან სოფოკლეს.

— ორი?

— დიახ, მხოლოდ ორი!

სოფოკლემ თავი ჩაღუნა. ერთხანს გარინდული იჯდა და მერე თქვა:

— მომიტევე, დიდებულო პოეტო, მაგრამ დღემდე მეგონა, რომ მართლაც კმაყოფილი იყავ ჩემი სიახლით. ახლა კი ვხედავ, რომ სიხარული ნაადრევი ყოფილა...

— ეგ რამ გაფიქრებინა, ყმაწვილო? — ჰკითხა გაკვირვებულმა ესქილემ.

— ასე რომ არ იყოს, სამ მსახიობს გამოიყვანდი!

ესქილემ ნაღვლიანად გაიღიმა.

— „მავედრებელი ქალები“ რომ წარმოვადგინე, დარწმუნებული ვიყავ, ყველა პოეტი მე მომბაძავდა. მაგრამ დრო გადიოდა და ფრინიქეც და სხვებიც კვლავ ერთ მსახიობს ებღაუჭებოდნენ. მიზეზს რომ ვერ მივაგენი, მათი მოქმედება სიჯიუტეს მივაწერე. ახლა კი ვხედავ, რომ მწარედ შევცდი... 13 ელაფებოლიონის შემდეგ მტკიცედ გადავწყვიტე, მომავალ შეჯიბრზე მეც სამი მსახიობი გამომეყვანა. გადავწყვიტე, მაგრამ ვერ ღვასრულე! სამ გმირს ერთდროულად ვერც ადგილი მოვუნახე და ვერც სალაპარაკო. ერთი მათგანი ზედმეტი ჩანდა! ტროლოგიის წერას რომ ვამთავრებდი, თითქოს გონება გამინათდა. უცებ შევნიშნე, რომ მესამე ტრაგედიის დასასრულს სამი გმირი გამომეყვანა. მართალია, ის მესამე სულ ორი-

ოდე სიტყვას ამბობდა, მაგრამ პირველი ნაბიჯი გადადგმულად ჩავთვალე. მაშინ დავრწმუნდი, რომ ბოლოს და ბოლოს მეც შევძლებდი, სახელოვანი სოფოკლეს გზას მივყოლოდი. ჯერ კი საამისოდ მზად არ ვიყავ. ამიტომ ტრაგედიის დასასრული შევცვალე და ტრილოგია ისე დავამთავრე, რომ ორ მსახიობზე მეტი არ დამჭირვებოდა!

ამას კი აღარ მოელოდა სოფოკლე. გაოგნებული რაღაც წერტილს გაჰყურებდა და ხმას არ იღებდა...

— შენ რაღას აპირებ? — ჰკითხა ესქილემ.

სოფოკლე არ შერხეულა...

— შენ რაღას აპირებო? — გაუმეორა კითხვა ევფორიონმა და მეგობარი მძლავრად შეანჯღრია.

— მე რას ვაპირებ? — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა სოფოკლემ და დასძინა: — არაფერს! ამჯერად პოეტების შეჯიბრში მონაწილეობას არ მივიღებ!..

ესქილეს სახე მოეღრუბლა. სოფოკლეს უკმაყოფილოდ გადახედა და თქვა:

— მე კი მინდოდა პირველი ჯილდო შენთან ჰიდილში დამებრუნებინა. სუსტ მეტოქეებთან გამარჯვება სიხარულს ვერ მომანიჭებს!

სოფოკლე სწრაფად წამოდგა, ესქილესთან მივიდა და უთხრა:

— მე კი ამდენ სიხარულს ვეღარ გავუძლებ... მშვიდობის ღამეს გისურვებ სწორუპოვარო პოეტო!

სოფოკლე შურდულივით გავარდა ოთახიდან. გაოცებულმა ესქილემ ევფორიონს გადახედა. ევფორიონმა მხრები აიჩეჩა და მეგობარს დაედევნა.

ელაფებოლიონის დამდეგს ათენში ხმა გავრცელდა, თეატრალურ დღესასწაულში სოფოკლე მონაწილეობას არ მიიღებსო. ამ ცნობამ ყველას გული დაწყვიტა. განაწყენებული მოქალაქეები უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, მაგრამ მაინც მოუთმენლად ელოდნენ დღესასწაულის დაწყებას...

ამჯერად მოულოდნელი არაფერი მომხდარა. გამარჯვება ესქილეს მიაკუთვნეს, მეორე ჯილდო არისტიას და მესამე — პოლიფრადმონს. ზოგიერთები მაინც გაკვირვებულები იყვნენ: მარად მესამე არისტიამ პოლიფრადმონს როგორ აჯობაო?..

— საკვირველი რა არის? — სიცილით ამბობდა ხანშიშესული

მოქალაქე, — არისტიამ საიქიოდან მამის სული გამოიწვია, სატირულ დრამას დაესესხა და მეორე ჯილდო მოიპოვა...

— ეგ როგორ? — წამოიძახა ვიღაც ახალგაზრდამ და თვალები დააჭყიტა.

— სულ უბრალოდ! განა ვერ შენიშნე, რომ დასასრულ არისტიამ სახელგანთქმული პრატინას დრამა წარმოადგინა?

— ყურები მეცა მაქვს! — გაჯავრდა ახალგაზრდა, — მაგრამ არისტიას მამა რა შუაშია?

— ეს მთლად ყეყეჩი ყოფილა! — გაიცინეს გარშემო და ახალგაზრდა კაცს განუმარტეს, რომ არისტიას მამა ერთ დროს ცნობილი და სახელგანთქმული პოეტი პრატინა იყო...

დღესასწაული რომ დამთავრდა და გამარჯვებულიც დაასახელეს, ესქილე თეატრიდან გავიდა და სწრაფი ნაბიჯით გაუდგა გზას. კარგა ხანს იარა და ბოლოს ნაცნობი სახლის წინ შეჩერდა. ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, მერე ჰიშკარი გააღო, ეზო გადასერა და კიბეს მიადგა.

— ვინ არის? — მოესმა ზემოდან ქალის ხმა.

— მე გახლავარ! — მიუგო ესქილემ და კიბე სწრაფად აირბინა. აივანზე ხანშიშესული მანდილოსანი იდგა.

— ესქილე? — სიხარულით წამოიძახა მან, — მე კი ვფიქრობდი, დღეს ჩვენთვის ვეღარ მოიცლიდი...

ესქილე მანდილოსანს მოწიწებით მიესალმა და ჰკითხა:

— როგორ არის?

— ცუდად, ძალიან ცუდად... — ამოიხვნეშა ქალმა, ხელსახოცით ცრემლი მოიწმინდა და სტუმარს ოთახში შეუძღვა.

სარკმელთან განიერი საწოლი იდგა. ზედ მოხუცი იწვა და მძიმედ სუნთქავდა. თოვლივით სპეტაკი თმა და წვერი კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მის დიდებულ სახეს. ფეხის ხმა რომ გაიგონა, მოხუცმა თვალები გაახილა.

— ვინ არის? — ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა მან.

— ესქილე გვეწვია, ჩემო არისტიდე! — მიუგო ქალმა და სავარძელი საწოლთან მიაჩოჩა.

არისტიდეს სახე გაუნათდა. ძალა მოიკრიბა და ოდნავ წამოიწია. ესქილემ მეგობარს ხელი სტაცა და კვლავ ბალიშებზე მიაწვინა.

— წყნარად, ძმობილო! — ნაძალადევი ღიმილით უთხრა მან, — როდის იყო, რომ ესქილეს ფეხზე ადგომით ესალმებოდი?

არისტიდემ გაიღიმა. ესქილეს მაჯაზე ხელი სუსტად მოუჭირა და ჩურჩულით ჰკითხა:

— ვის მიაკუთვნეს პირველი ჯილდო?

— განა ეგეც საკითხავია? — სიცილით მიუგო ესქილემ, — რა თქმა უნდა, შენს მეგობარს!

არისტიდემ კვლავ გაიღიმა. ეტყობოდა, მოხუცი ძალზე გაახარა ესქილეს გამარჯვებამ...

არისტიდემ რამდენჯერმე დააპირა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ვერ შეძლო. ესქილე საწოლისაკენ გადაიხარა და უთხრა:

— მოდი, დღეს მე ვილაპარაკებ და შენ მისმინე. ძალზე ბევრი სათქმელი დამიგროვდა!

არისტიდემ უარის ნიშნად თავი გააქნია. ერთხანს ძალას იკრებდა და მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო:

— შენმა შარშანდელმა მარცხმა გული დამწყვიტა. მაინც პირველ ჰოეტად გთვლიდი... კარგად ვხედავდი, დიდი ხნის სიცოცხლე არ მეწერა... ღმერთებს იმასღა ვთხოვდი, მანამ მეცოცხლა, ვიდრე პირველ ჯილდოს დაიბრუნებდი... დღეს შენ ენით უთქმელი სიხარული მარგუნე... სიკვდილის წინ ერთი დიდი დარდი მომაცილე!..

ესქილეს გული შეეკუმშა. ერთხანს გარინდული იჯდა და მერე ჩაილაპარაკა:

— ამგვარი საუბარი არისტიდეს არ შეჰფერის! ავადმყოფობას შეუშინებიხარ, ძმობილო!

არისტიდემ არაფერი უპასუხა. შემკრთალმა ესქილემ მეგობარს გადახედა. მოხუცს თვალები დაეხუჭა და მშვიდად ფშვინავდა...

— ჩაეძინა! — თქვა არისტიდეს მეუღლემ.

ესქილემ ერთხანს ავადმყოფს თვალი ვერ მოსწყვიტა, მერე წამოდგა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. ქალმა კიბემდე მიაცილა სტუმარი.

ესქილე დამძიმებული გულით დაბრუნდა შინ. საწოლ ოთახში შევიდა და ისე მიწვა, რომ წამოსასხამიც არ მოუხსნია...

შუაღამისას რაღაც ხმაური მოესმა და დაფეთებული წამოვარდა. ჰიშკართან ვიღაც ჩაქუჩს სცემდა ლითონის დაფას და მასპინძელს

უხმობდა. ესქილემ კარი გამოაღო და გაიხედა. ტალთიბეს ჰიშკარი გაეღო და ვიღაც უცნობს ელაპარაკებოდა.

— რა მოხდა? — გასძახა ესქილემ.

უცნობი გაქრა. ტალთიბემ ჰიშკარი ჩაკეტა, ესქილესაკენ შემოტრიალდა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— არისტიდე გარდაიცვალა!

მეორე დღეს მთელი ქალაქი არისტიდეს სიკვდილზე ლაპარაკობდა. დამწუხრებული მოქალაქეები ქება-დიდებით იხსენიებდნენ ყველაზე სამართლიან კაცს. უზომო მწუხარებით შეპყრობილი ესქილე არისტიდეს სახლში ფუსფუსებდა.

მიცვალებული სახელდახელოდ გაკეთებულ მაღალ მაგიდაზე ესვენა. ოთახში არისტიდეს ახლო ნათესავები და მეგობრები ირეოდნენ. ქალების გულისმომკვლელ მოთქმა-გოდებას მამაკაცების თავშეკავებული ქვითინი უერთდებოდა...

ჰიშკართან კი უამრავი ხალხი შეკრებილიყო. მოქალაქეებს ფართოდ გაღებული კარებისაკენ მიეპყროთ მზერა. იქ, იმ კარებს უკან, ერთ დროს უძლეველი და სწორუპოვარი ვაჟკაცი ესვენა...

15 ელაფებოლიონი თენდებოდა. მამა-პაპათაგან დაწესებული მსხვერპლშეწირვა რომ აღასრულეს, ესქილემ და მისმა მეგობრებმა საკაცე ფრთხილად ასწიეს და მიცვალებული ქუჩაში გამოასვენეს.

შავ ეტლში შავი ბედაურები შეებათ და ჰიშკართან გაეჩერებინათ. საკაცეც ამ ეტლში მოათავსეს...

ათმა ფლეიტამ ქუჩას ნაღვლიანი ჰანგები მოჰფინა. მეეტლემ ბედაურებს შეუძახა და პროცესია სასაფლაოსაკენ გაეშურა.

ეტლს შავით მოსილი ქალები მიჰყვებოდნენ, შემდეგ თავჩაქინდრული მამაკაცები მიაბიჯებდნენ და ბოლოს ფლეიტაზე დამკვრელნი გამწკრივებულიყვნენ...

ქუჩებში ფარნები ბჟუტავდა. ჯერ ხეირიანად არც კი გათენებულიყო, მაგრამ ვიღაც ხანშიშესული მოქალაქე მეეტლეს აჩქარებდა. ჩვეულებისამებრ, დაკრძალვა მზის ამოსვლამდე უნდა მომხდარიყო...

ფლეიტის ხმაზე ქუჩაში ნამძინარევი ხალხი გამორბოდა. მოქალაქეები ნაღვლიანი მზერით მიაცილებდნენ პროცესიას.

მგლოვიარე ქალაქი საყვარელ ბელადს ეთხოვებოდა...

ესქილემ ძალზე მწვავედ განიცადა არისტიდეს სიკვდილი: დღე-

ნიადაგ დაღვრემილი იყო და სახლიდანაც იშვიათად გამოდიოდა. ევფორიონი მამას აღარ სცილდებოდა და მის გამხნევებას ლამობდა. სადმე თუ საინტერესო ამბავს გაიგონებდა, წამსვე სახლისაკენ გარბოდა და ესქილეს უამბობდა...

გავიდა ორი წელიწადი.

ერთ საღამოს აღელვებული ევფორიონი სახლში შევარდა. ესქილეს ხელები ზურგზე დაეწყო და აქეთ-იქით დააბიჯებდა.

— საყურადღებო ამბავი მოვიტანე! — თქვა ევფორიონმა და კარს მიეყრდნო.

— რა მოხდა? — მშვიდად ჰკითხა ესქილემ.

— თემისტოკლე გარდაიცვალა.

ესქილე შეკრთა. ერთხანს გაუნძრევლად იდგა, მერე სავარძელზე დაეშვა და ჩაფიქრდა. ევფორიონი დაიბნა. არც კი უფიქრია, რომ თემისტოკლეს სიკვდილი მამამისზე ასეთ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

— როგორ მოხდა? — ჩაილაპარაკა ბოლოს ესქილემ და თავი ასწია.

ევფორიონმა შორიდან დაიწყო:

— მოგეხსენება, ათენიდან გაძევების შემდეგ თემისტოკლე არგოსს დასახლდა. თავდაპირველად მოთვინიერებული ჩანდა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოითმინა და პელოპონესის ქალაქებში გადატრიალების მოწყობა სცადა...

— ეგ ხომ მეც ვიცი! — უხეშად გააწყვეტინა ესქილემ, — შენ ახალი მითხარ!

— დიახ, დიახ... — ჩაილაპარაკა დაბნეულმა ევფორიონმა და განაგრძო:—რადგან სპარტამ და ათენმა არგოსს თემისტოკლეს გაცემა მოსთხოვეს, ის იძულებული გამხდარა ირანს გადასახლებულიყო. იქ სამი ქალაქის მმართველობა მიუღია, მაგრამ მალე რაღაც სენი შეჰყრია და გარდაცვლილა. ზოგიერთები იმასაც ამბობენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო...

ესქილე წამოდგა, კარი გამოაღო და შუბლი საღამოს გრილ ნიავს მიუშვირა. მერე ისე დაილაპარაკა, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო:

— არისტიდე გარდაიცვალა... თემისტოკლეც აღარ არის ცოცხალი... ილისი კი თავისი გზით მიედინება და ათენის ჭუჩებში მოქა-

ლაქეებიც ჩვეულებრივ დააბიჯებენ... მზე კვლავ დილაობით მოევლინება ქალაქს და საღამო ჟამს დაიმალება. მთვარეც ისევ ღამ-ღამობით გაანათებს ათენის ქუჩებს... აკროპოლისის ფერდობზე შეშოვლებული მერხები კვლავ ხალხით გაივსება და პოეტები ტრაგედიებს წარმოადგენენ... დიდებული ტაძრები ქალაქს ძველებურად დააშვენებენ და ოლიმპიური დღესასწაულებიც მთელი ბრწყინვალებით ჩატარდება... სახალხო კრებაზე ორატორები ერთმანეთს შეცვლიან. ხალხი კი ხან ერთს დაუკრავს ტაშს და ხან მეორეს... არისტიდე და თემისტოკლე კი აღარ არიან... ნუთუ ათენისათვის სულერთი იყო, იარსებებდნენ თუ არა ეს გოლიათები?

ესქილე სწრაფად მოტრიალდა, ევფორიონთან მივიდა და უთხრა:

— თემისტოკლესა და არისტიდეს გარეშე ათენი ვერ წარმომიდგენია! ცხოვრებამ შინაარსიც დაკარგა და სილამაზეც!

ევფორიონი ერთხანს გაოცებული შეჰყურებდა მამას და მერე ჩაილაპარაკა:

— თემისტოკლე ხომ არისტიდეს მტერი იყო!..

— არც არისტიდეს უყვარდა თემისტოკლე, — მიუგო ესქილემ, — მაგრამ ორივე ჩვენი ქალაქის თაყვანისმცემლები იყვნენ და ათენის საკეთილდღეოდ თავს უყოყმანოდ გასწირავდნენ. ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა გზით მიდიოდნენ, ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ, მაგრამ ქვეყნისათვის საბედისწერო ჟამს მხარდამხარ იბრძოდნენ, მოქალაქეებს ძალასა და მხნეობას მატებდნენ, დაუცხრომელი მოქმედებისა და დიადი მიზნებისაკენ მოუწოდებდნენ. მათი დავა და შეხლა-შემოხლაც თითქოს ათენური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. თავისებური სილამაზე და შინაარსი ჰქონდა. ხალხი ყოველთვის არჩევანის წინაშე იდგა და არც გონებას ეცალა მოსასვენებლად. დღეს თემისტოკლე და არისტიდე აღარ არიან... ქალაქს გარეგნულად არაფერი დატყობია, მაგრამ ბევრი რამ კი შეიცვალა. ამ „ბევრის“ დასანახად დაკვირვებული თვალია საჭირო. იდუმალებას დრო აჰხდის ფარდას. რასაც დღეს მე ვხედავ, ხვალ შენც დაინახავ და დანარჩენი ათენელებიც!

ევფორიონს გული ატკინა მამის სიტყვებმა. ნუთუ ათენი ახალ თემისტოკლეს ველარ წარმოშობს?

— შესაძლოა მართალიც იყო, მაგრამ რაც შენ თქვი, კიმონის

ღვაწლის დაუფასებლობასაც გულისხმობს. განა კიმონმა ათენს რაიმე დააკლო?

ესქილემ ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე შვილის წინ გაჩერდა და უთხრა:

— კიმონი მილტიადეს ღირსეული მემკვიდრეა! ათენელებს ბედმა გაუღიმა, რომ თემისტოკლეს და არისტიდეს შემდეგ ქვეყანას კიმონი განაგებს! მე კი, —დასძინა ესქილემ, — შენი მეგობრისაგან მეტს მოველოდი...

— კიმონმა რამდენჯერმე მწარე მარცხი აგემა ირანელებს და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის მადა დაუკარგა. ახლახან განდგომილი თასოსელებიც მოათვინიერა. ათენსა და სპარტას შორის მეგობრული კავშირი განამტკიცა და დღენიადაგ ჩვენი ქალაქის ძლიერებასა და აყვავებაზე ფიქრობს. მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა ახალგაზრდა კაცს?

— კიმონმა მართლაც ბევრი გააკეთა. მაგრამ არეოპაგისათვის კი ვერ მოიცალა. დარწმუნებული ვიყავ, ამ წმინდა დაწესებულებას ძიხედავდა და შეეცდებოდა, მისთვის ძველებური ძალა და უფლებები დაებრუნებინა!

ევფორიონმა არაფერი უპასუხა. ან რა უნდა ეთქვა? კარგად იცოდა, რომ არეოპაგის უფლებათა შეზღუდვა ესქილეს მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდა...

მამაც და შვილიც ფიქრებმა გაიტაცა. მხოლოდ ნაბიჯების რიტმული ხმა არღვევდა მყუდროებას. ბოლოს ესქილე მაგიდასთან მივიდა, სავარძელზე ჩამოჯდა და თქვა:

— კარგა ხანია ახალი ტრილოგია დავამთავრე. ახლა სატირულ დრამას ვწერ. მართალია, მაყურებელს ამჯერადაც ორი მსახიობით წარვუდგები, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ასეთი ჯერ არაფერი შემიქმნია! ამ ტრილოგიას არისტიდეს ხსოვნას მივუძღვნი...

— რაკი შენ ამბობ, მართლაც დიდებული რამ იქნება, — თქვა ევფორიონმა, — ამჯერად ვინ ამოიღე მიზანში?

— პრომეთე! — მიუგო ესქილემ, — პირველ ტრაგედიას „ცეცხლოსანი პრომეთე“ ვუწოდე, მეორეს — „მიჯაჭვული პრომეთე“ და მესამეს „გათავისუფლებული პრომეთე“. დარწმუნებული ვარ, შენც კმაყოფილი დარჩები და სოფოკლეც!..

ასეც მოხდა... ესქილემ საკუთარ თავსაც გადააჭარბა და მაყურე-

ბელსაც ენით უთქმელი სიამოვნება მიანიჭა. როცა მსაჯულებმა გამარჯვება ესქილეს მიაკუთვნეს, გაოგნებული ხალხი არც შერხეულა.

— ეგ რა ჯილდოა? — წამოიძახა ვიღაცამ და დასძინა: — ესქილესათვის რაღაც სხვა უნდა მოვიგონოთ, გაცილებით უფრო დიდი და გრანდიოზული. ისეთი, სწორუპოვარ პოეტს რომ შეეფერება!

— მართალია! — ახლა კი ახმაურდა ხალხი და წინ მიაწყდა...

ყველა ყვიროდა, ყველა რაღაცას ამბობდა და ქალაქის მესვეურთ ყველა ახალ წინადადებას სთავაზობდა...

სოფოკლე საკუთარ ქერქში ვეღარ ეტეოდა. აღელვებულ ყმაწვილს დღე და ღამ პრომეთე ელანდებოდა და გაოგნებული ბუტბუტებდა:

— აი, თურმე როგორი არის ჰეშმარიტი ტრაგედია...

ესქილე და ევფორიონი მოუთმენლად ელოდნენ სოფოკლეს გამოჩენას. მაგრამ ახალგაზრდა პოეტი სადღაც გადაკარგულიყო და მამაშვილს არ ეკარებოდა. ერთ საღამოს ევფორიონი მამასთან მივიდა და უთხრა:

— ახლა კი ყურით მოვიყვან ჩემს მეგობარს!

— გაიგე რამე? — ჰკითხა ესქილემ.

— არა, გავიხსენე, — ღიმილით მიუგო ევფორიონმა, — დარწმუნებული ვარ, სოფოკლე ახლა თეატრში ზის და შენს ტრაგედიებს უმზერს!

ევფორიონი ოთახიდან გავიდა. მარტოდ დარჩენილი ესქილე ფიქრებმა გაიტაცა...

დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. უცებ კარი ფართოდ გაიღო და სახეგაბადრული ევფორიონი სოფოკლეს შემოუძღვა.

ესქილე სწრაფად წამოდგა და სტუმარს შეეგება.

— სად დაგვეკარგე, ყმაწვილო! — მხიარულად უთხრა მან და ხელი ჩამოართვა.

— მაპატიე, დიდებულო პოეტო! — მიუგო სოფოკლემ, — გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ. შენმა პრომეთემ მხოლოდ მე კი არა, მთელ ქალაქს მოსვენება დაუკარგა. მიდიხარ ქუჩაში და პრომეთეზე საუბარი გესმის, ოჯახში თუ ვინმეს ეწვიე, იქაც პრომეთეს ახსენებენ. კაცს ეგონება, ათენი უზარმაზარ სცენად გადაქცეულა და ამ სცენაზე ესქილეს გენიალური ტრაგედია მიმდინარეობსო. მაგრამ მე

მაინც ჩვეულებრივ სცენას ვამჯობინებ. შებინდდება თუ არა, თეატრში გავრბივარ და შენს ტრაგედიებს ვუმზერ...

— დღეს ჩემს მეგობარს გული ვატკინე, — სიცილით თქვა ევფორიონმა, — „მიჯაჭვულ პრომეთეს“ რომ უმზერდა, თეატრიდან სწორედ მაშინ გამოვიყვანე!

— არა, — ჩაილაპარაკა სოფოკლემ, — შენი მოსვლის წინ სცენაზე ჰერაკლე შემოვიდა. ზევსისაგან მიჩენილი არწივი გულ-მკერდს უკორტნიდა დიდებულ პრომეთეს. ჰერაკლემ არწივი განგმირა. ეს ეპიზოდი კი „გათავისუფლებული პრომეთედან“ გახლავთ...

მასპინძლები და სტუმრები სავარძლებში მოკალათდნენ.

— იმედი მაინც ვერ გაგიმართლე და კვლავ ორი მსახიობი გამოვიყვანე! — თქვა ესქილემ.

— სამაგიეროდ, დამარწმუნე, რომ მსახიობთა რაოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონია! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა სოფოკლემ.

ესქილემ გაოცებული მზერა მიაპყრო ახალგაზრდა პოეტს. ნუთუ სოფოკლე მართლაც ასე ფიქრობს?

— ცდები, ყმაწვილო! — თქვა მან და წამოდგა, — სამი მსახიობი თეატრის მშვენებაა! ეს შენც კარგად იცი... ნუ ეცდები, ჩემი ნაღვაწი გააზვიადო!

ახლა სოფოკლეს გაკვირვების ჯერი დადგა.

— შენს ნაღვაწს რაღა გაზვიადება სჭირდება? — წამოიძახა მან, — დიდებული და სწორუპოვარი პოეტი რომ იყავ, კარგად ვიცოდი, მაგრამ ჯადოქრობა და სასწაულმოქმედებაც თუ შეგეძლო, არ მეგონა!

— ერიჰაა! — წამოიძახა ევფორიონმა, — პოეტების ჭარაგმებს კაცი ვერ გაიგებს. ორივესა გთხოვთ, გასაგებად ილაპარაკოთ!

— „მიჯაჭვული პრომეთე“ გაიხსენე, ჩემო ევფორიონ, — უთხრა სოფოკლემ, — ზევსის ბრძანებით ჰეფესტომ კლდეს მიაჯაჭვა ტიტანი. გული მეტკინა. დარწმუნებული ვიყავ, რაკი მთავარი გმირი შებოჭილი იყო, ტრაგედია დუნედ წარიმართებოდა, მოქმედებაც შეიბორკებოდა. სხვაგვარად როგორ მეფიქრა? პრომეთე ხომ მთელი ტრაგედიის მანძილზე გაუნძრევლად უნდა მდგარიყო, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა. სწორედ აქ მოხდა სასწაული! ტიტანი კვლავ უძრავად იდგა, მაგრამ მოქმედება საოცარი სიმძაფრით ვითარდებოდა. დიდებული სურათები ერთიმეორეს ენაცვლებოდა. მოსალოდნელი

უბედურებით შეძრწუნებული მაყურებელი შიშისაგან თრთოდა. პრომეთეს სიტყვები კი იქაურობას დაუოკებელი ნიაღვარივით ეფინებოდა... თანდათან თითქოს სცენაც გაიზარდა და მთელი თეატრი დაიკავა. იქ თუ კლდე უნდა გარღვეულიყო, აქ მაყურებელთა მერხები ზანზარებდა... იქ მეგუნდენი და მსახიობები მოეცვა ჰმუნვას, აქ კი მოქალაქეები ბორგავდნენ. ერთი სიტყვით, ირგვლივ ყველაფერი ირყეოდა, ყველაფერს რაღაც შინაგანი ძალა ამოქმედებდა და ეს ძალა კლდეზე მიჯაჭვული, უძრავად მდგომი პრომეთე იყო!

ოთახში ტალთიბე შემოვიდა და ბნელ კუთხეში მიიყუჟა. მსახურისათვის ყურადღება არავის მიუქცევია...

სოფოკლემ შუბლზე ხელი გადაისვა და განაგრძო:

— ათენელმა მოქალაქეებმა ცხადად იხილეს ადამიანთა მოდგმის კეთილდღეობისათვის მებრძოლი ღმერთი. დიდებული ტიტანის სახეს ასე ვერავინ გამოძერწავდა! ჰესიოდეს!) შემდეგ, ვინ იცის, რამდენ პოეტს ეწადა, რომ ხალხისათვის პრომეთეს ამბავი მოეთხრო. ამიერიდან კი ეს სურვილი აღარავის ექნება. ისე ვინ გაკადნიერდება, ჩვენს სწორუპოვარ პოეტს შეეჯიდოს!

ესქილემ ევფორიონს გადახედა და ჰკითხა:

— შენ რაღას იტყვი, ყმაწვილო, მართლა ასე კარგია ჩემი ტრილოგია?

— შენი ტრაგედიებით აღტაცებული ვარ. მაგრამ ერთი კი ვერ გამიგია. ცხოვრებაშიც და ტრაგედიებშიც ღმერთთა მეუფე ზევსს ადიდებ. „მიჯაჭვულ პრომეთეში“ კი ძალზე ულმობელი ჩანს უზენაესი ღვთაება...

— სასტიკი არის მბრძანებელი ახალი მუდამ! — გაისმა ოთახის ბნელი კუთხიდან.

ყველამ იქით მიიხედა. შეწუხებულმა ტალთიბემ ენაზე იკბინა... ეს სიტყვები ესქილეს ტრაგედიიდან იყო ამოღებული და ზევსს შეეხებოდა.

— ააა, შენ აქ ბრძანდები, ყმაწვილო! — მკაცრად თქვა ესქილემ და წამოდგა, — სწორედ ამ დილით ღირსეული ქრიზიპე მეუბნებოდა, ძალზე თავს გავიდა შენი მსახურიო. სამჯერ ვთხოვე ერთ

---

1 ძველი ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის უდიდესი წარმომადგენელი (VIII-VII სს.). პირველი პოეტი, რომელმაც პრომეთეს მითი ჩამოაყალიბა.

ჩემს მეგობართან მიმგზავნოდა და სამივეჯერ. უარი მომახალაო. მართალია?

ტალთიბემ გაიცინა.

— უმჯობესია, ამ შავი კლდის ტყვე ვიყო, ვიდრე თვით ზევსის ყურმოჭრილი მონა, შიკრიკი! — მიუგო მან.

ეს სიტყვებიც „მიჯაჭვული პრომეთედან“ იყო.

ესქილე აენთო:

— რა თქვი?

შეშინებული ტალთიბე კედელს აეკრა.

— რა თქვი? — გაუმეორა ესქილემ.

— ისეთი არაფერი, რაც თავად შენ არ ათქმევინე პრომეთეს!.. — ჩაიბუტბუტა ტალთიბემ.

სოფოკლემ გაიღიმა. გაოცებულმა ევფორიონმა თვალები დააჭყიტა. ესქილე მოლბა, მსახურს მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა:

—პრომეთე ღმერთი იყო, ყმაწვილო, შენ კი უბრალო მოკედაი ხარ!

თავჩაქინდრული ტალთიბე ოთახიდან გავიდა...

— სოფოკლეს თუ დავუჯერებთ, — წამოიძახა ევფორიონმა, — პოეტი ესქილე ხელმეორედ დაბადებულა!

— არა, ეგ ტყუილია! — მიუგო ესქილემ, — ჯერ ყველაფერი ჩვეული გზით მიმდინარეობს. ხელმეორედ მაშინ დავიბადები, როცა სცენაზე სამ მსახიობს გამოვიყვან!

— ეგ როდის მოხდება, დიდებულო პოეტო? — ჰკითხა სოფოკლემ.

— მალე, სულ მალე! — მტკიცედ თქვა ესქილემ და დასძინა: — ახლა კი დროა, ვახშამს შევექცეთ. ტალთიბეს გულს ნუ დავწყვეტთ!

დრო კი თავისი გზით მიედინებოდა. სამმა წელიწადმა ისე გაირბინა, ათენელთა ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ესქილემ ორჯერ მიიღო მონაწილეობა პოეტთა შეჯიბრებაში და ორივეჯერ გაიმარჯვა. სოფოკლესთან პირისპირ შეხვედრას კი მაინც ვერ ელირსა: ახალგაზრდა პოეტმა სწორედ მაშინ წარმოადგინა თავისი ტრაგედიები, როცა ესქილე შეჯიბრში არ მონაწილეობდა. ათენელები უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

— ნეტავ პირი ხომ არ შეუკრავთ ჩვენს დიდებულ პოეტებს? — ბუზღუნებდნენ ისინი, — განა არ შეიძლება, ერთსა და იმავე დღე-

სასწაულზე ესქილემაც წარმოადგინოს ტრაგედიები და სოფოკლემაც?..

კიმონი კვლავ მტკიცედ მიუძღოდა სახელმწიფოს. შინაურ საქმეებსაც წარმატებით აგვარებდა და ქვეყნის გარეთაც ფართოდ გაუთქვა სახელი ათენს. რას არ სწვდებოდა მისი ფხიზელი თვალი და მტკიცე მარჯვენა. კიმონს მიაწერდნენ სპარტასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებასაც...

მაგრამ ვერ იქნა და არეოპაგისათვის ვერ მოიცალა. ესქილე ერთხანს მოთმინებით ელოდა, მერე კი გადაწყვიტა, მილტიადეს ძეს ამ საქმეზე მოლაპარაკებოდა...

კიმონმა დიდის ამბით მიიღო ხანდაზმული პოეტი. კარგა ხანს გაგრძელდა მათი საუბარი. ბოლოს კმაყოფილი ესქილე მასპინძელს დაემშვიდობა და შინისაკენ გაუდგა გზას.

— არა, მილტიადეს ძე სიტყვას არ გასტეხს! — ჩურჩულებდა ესქილე და მხნედ მიაბიჯებდა, — არეოპაგი კვლავ აღორძინდება!

მაგრამ ესქილეს ოცნებას ახდომა არ ეწერა. სპარტის მოძულეებმა იმძლავრეს და კიმონი ათენიდან გააძევეს. ქვეყანას თემისტოკლეს ერთგული მიმდევარი ეფიალტე ჩაუდგა სათავეში. ათენმა სპარტასთან ურთიერთობა გაწყვიტა და არგოსთან დაამყარა კავშირი.

— ეშმაკებამდე გზა ჰქონია სპარტას! არგოსიც კარგი მოკავშირეა. მაგრამ არეოპაგი? არეოპაგს რაღა ეშველება? — წუხდა ესქილე.

ევფორიონმა მოსვენება დაკარგა. მეგობრის განდევნას ვერ ურიგდებოდა. დღენიადაგ მოწყენილი იყო და განმარტოება ეწადა. ესქილეს საკუთარი დარდი დაევიწყებინა და შვილის გამხნევებას ლამობდა.

— მწუხარებას ვაჟკაცურად უნდა გაუძლო, შვილო! — ეუბნებოდა ევფორიონს, — კიმონს არაფერი გაუჭირდება.

ევფორიონი კი უკანასკნელ იმედს ებღაუჭებოდა:

— ათენელები მალე მიხვდებიან თავის შეცდომას. კიმონს უსათუოდ დააბრუნებენ!

— რა თქმა უნდა! — უდასტურებდა ესქილე, — არისტიდე ხომ დააბრუნეს? კიმონსაც დააბრუნებენ!

ამბობენ, მწუხარების საუკეთესო მკურნალი დრო არისო. თანდათან ევფორიონიც შეეგუა საყვარელ მეგობართან განშორებას.

80-ე ოლიმპიადის მესამე წლის პოსეიდეონი[1]) მიიწურა.

საღამო ხანი იყო. ესქილე, სოფოკლე და ევფორიონი ვახშამს შეექცეოდნენ. ტალთიბე სუფრას დასტრიალებდა და სასმისებში ღვინოს წყლით ახავებდა.

— ესქილეს მიერ აღთქმული სამი მსახიობი ჯერაც არ გამოჩენილა! — სიცილით თქვა ევფორიონმა.

—რას იზამ! — მიუგო ესქილემ და სოფოკლეს მიუბრუნდა: — ამ დღესასწაულზე კი ვეღარსად გამექცევი! გადაწყვეტილი მაქვს, გამარჯვება არ დაგითმო.

— ამჯერად რას წარმოადგენ დიდებულო პოეტო? — ჰკითხა სოფოკლემ.

— აგამემნონის თავგადასავალს. როგორც ყოველთვის, ჩემი ტრილოგია ერთი ამბის გარშემო იტრიალებს. პირველ ტრაგედიას „აგამემნონი“ დავარქვი, მეორეს — „ქოეფორები“ და მესამეს — „ევმენიდები“. — ესქილემ თავზე ხელი გადაისვა და სიცილით დასძინა: — გული.აქედანვე გაიკაქე, ძმობილო. იცოდე, მარცხი არ აგცდება!

ევფორიონმა მხრები აიჩეჩა.

— დარწმუნებული კი ხარ, რომ უთუოდ გაიმარჯვებ?

— რა თქმა უნდა, ეჭვიც არ მეპარება! — მხიარულად მიუგო ესქილემ. — ორი მსახიობი უკვე შევარჩიე, მესამე კი ვერ გამოვძებნე. იქნებ თქვენ მირჩევდით ვინმეს?

სოფოკლემ და ევფორიონმა ერთმანეთს გადახედეს.

შეზარხოშებულმა ესქილემ ახალგაზრდებს ხმის ამოღება არ დააცალა და განაგრძო:

— სახელოვანი კიმონი დამპირდა, რომ არეოპაგს ძველებურ სიდიადეს დაუბრუნებდა. აღარ დასცალდა... გადავწყვიტე, თავად დამეწყო ბრძოლა ამ წმინდა მიზნის აღსასრულებლად. სიკვდილამდე არ მოვისვენებ... ხალხს დავარწმუნებ, რომ არეოპაგის უფლებათა შეზღუდვა ბოროტებაა! „ევმენიდებში“ ეს ნაბიჯი უკვე გადავდგი...

ტალთიბე სასმისების შევსებას ვეღარ აუდიოდა. ყველა შესანიშნავ გუნებაზე იყო. შუაღამეც შეუმჩნეველად წამოეპარათ. სად-

---

1 458 წლის დეკემბერ-იანვარი (დეკემბრის მეორე და იანვრის პირველი ნახევარი).

ღაც ძილგამკრთალმა მამალმა იყივლა. სოფოკლე წამოდგა. მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და გამხიარულებული, ღიღინით კიბეზე დაეშვა...

ათენელები მოუთმენლად ელოდნენ დიდი დიონისიის დღესასწაულს. ხალხს უკვე გაეგო, რომ ამჯერად ესქილეც წარმოადგენდა ტრაგედიებს და სოფოკლეც. მესამე პოეტად არქონტს პოლიფრადმონი დაესახელებინა. მოქალაქეები გულწრფელად იბრალებდნენ ფრინიქეს ძეს.

დღესასწაული 8 ელაფებოლიონს დაიწყო, როცა დიონისეს ქანდაკება დიდის ამბით თეატრში გადაიტანეს.

11 ელაფებოლიონს ესქილეს ტრაგედიები უნდა წარმოედგინათ. თეატრი დილიდანვე ხალხით გაიქედა. ირგვლივ საზეიმო განწყობილება სუფევდა. ბოლოს ნანატრი წუთიც დადგა და წარმოდგენა დაიწყო...

პირველი ტრაგედია რომ დასრულდა, სოფოკლემ ევფორიონს მაჯაზე ხელი მოუჭირა და ჩასჩურჩულა:

— პოეტი ესქილე დღეს ხელმეორედ დაიბადა!

— დიახ, — ჩაილაპარაკა ევფორიონმა, — ძალზე მოხდენილად შემოიყვანა მესამე მსახიობი.

— არა, მხოლოდ ეგ არა... — მიუგო სოფოკლემ, — ესქილემ ტრაგედია სრულყოფილებას აზიარა!

განაბული ხალხი კი მოუთმენლად ელოდა მეორე ტრაგედიის დაწყებას. სახეზე ყველას ღელვა და შიში ეხატებოდა. ან კი როგორ არ აღელვებულიყვნენ? ესქილემ ისეთი ცეცხლი დაანთო, ყველაზე დინჯი მაყურებლებიც წონასწორობიდან გამოიყვანა და მოვლენათა კორიანტელში ჩაითრია. სცენაზე ხან საზეიმო განწყობილება სუფევდა, ხან კი ავისმომასწავებელი წინათგრძნობით გამოწვეული ძრწოლა და შიში... ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ კლიტემნესტრამ ღალატით მოკლა ტროადან გამარჯვებით დაბრუნებული მეუღლე, სახელოვანი აგამემნონი!.. თავზარდაცემული გუნდი მწარედ დასტიროდა დიდებულ მეფეს... ბორგავდნენ მერხებზე გაქვავებული მაყურებლებიც...

ტრაგედია დასრულდა, მაგრამ ყველა კარგად ხედავდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ატრიდების მოდგმის სისხლიანი ისტორიისა...

შესვენებაა. მოქალაქეთა ფიქრი კვლავ პირველ ტრაგედიას დასტრიალებს. მაშ ასე! აგამემნონის სამეფოს კლიტემნესტრა და მისი საყვარელი, გაიძვერა და ლაჩარი ეგისთე განაგებენ! შერჩებათ კი დანაშაული? აგამემნონის ძე ორესტე ხომ ცოცხალია და ბოროტმოქმედნი შურისგებას ვერ გაექცევიან!..

მაყურებელი მეორე ტრაგედიის დასაწყისშივე დარწმუნდა, რომ არ ცდებოდა!

აგამემნონის საფლავთან ორესტე დგას. იგი არგოსს შურის საგებლად დაბრუნებულა. თვით აპოლონს უბრძანებია, მამის მკვლელისათვის საშაგიერო მიეზღო. ორესტეს შისი განუყრელი მეგობარი პილადე ჩამოჰყოლია...

— სისხლი სისხლის წილ! — გადაულაპარაკა ევფორიონს გაფითრებულმა სოფოკლემ.

დაძაბული მოქალაქეები სცენას მონუსხულივით შეჰყურებენ...

საფლავთან ელექტრა გამოჩნდა, აგამემნონის ტურფა ასული. მაყურებელს ცრემლი მოჰგვარა დიდი ხნის გაყრილი და-ძმის შეხვედრამ... ორესტემ და მრჩემედების გეგმა გაანდო. გუნდი სიხარულს ვერ მალავს... წარმატებას უსურვებს ვაჟკაცს!..

...სასახლეს ორი შიკრიკი მიადგა. ერთი ორესტე იყო და მეორე პილადე. იმ დროს ეგისთე შინ არ იყო და მოსულთ კლიტემნესტრა გამოეგება. შიკრიკმა ორესტეს გარდაცვალების ამბავი აუწყა დედოფალს. კლიტემნესტრას თავზარი როდი დასცა შვილის სიკვდილმა. ორესტე გარდაიცვალა! მაშ აღარავინ დარჩა აგამემნონის სისხლის ამღები! გახარებულმა კლიტემნესტრამ ორესტეს ძიძა აფრინა ეგისთესთან. ახალ ამბავს ატყობინებდა და სთხოვდა, საჩქაროდ შინ დაბრუნებულიყო... სცენაზე ეგისთე შემოდის და სწრაფი ნაბიჯით სასახლის შუა კარებისაკენ მიეშურება.

მაყურებელი დაიძაბა. ყველამ იგრძნო, რომ შურისგების ჟამი დგებოდა...

უცებ განწირული ყვირილი გაისმა. სასახლის შუა კარები გაიღო და შეძრწუნებული მონა გამოვარდა:

— უბედურება! სასიკვდილოდ დაიჭრა მეფე!
ვაგლახმე, ვაგლახ! მესამედაც ვამბობ—ვაგლახმე!
ეგისთე ქვეყნად აღარა გვყავს! გააღეთ ფართოდ
სახლის კარები, განახვენით ქალთა ჩარდახი!..

ყრუებს ეეძახი, მძინარეებს ეაღვიძებ განა?
რატომ დაყოვნდა. სადღა არის თვით კლიტემნესტრა!
ო, როგორ ვშიშობ, დღეს ჟამია შერისძიების
და მკვეთრი ცული ხერხემალს ხომ გაუპობს მასაც!..[1]

სასახლიდან შეშფოთებული კლიტემნესტრა გამოვიდა.

— რა დაგემართათ, რა ძახილმა შესძრა სასახლე?
— მე მოგახსენებ: ცოცხლებს ხოცვენ მიცვალებულნი!

მონის სიტყვებმა თავზარი დასცა კლიტემნესტრას.

— რა გამოცანას მეტყვი? თუმცა გავიგე აზრი:
ჩვენ ცბიერებით ვძლევდით და გვძლევს დღეს ცბიერება!..
ჩქარა მომეცით გალესილი, ბასრი ნაჯახი!
ან გავიმარჯვებთ, ანდა დღესვე დაგვამარცხებენ, —
ვნახოთ. სიკვდილმა შორს შესტოპა...

სასახლის შუა კარებიდან ორესტე და პილადე გამორბიან. ორესტეს ხელთ უპყრია გასისხლიანებული მახვილი.

— შენ დაგეძებდი! მან მოიმკა, რაიც დჭსთესა!

კლიტემნესტრას თვალთ დაუბნელდა.

— ვაი, ეგისთე, საყვარელო ქმარო, შენ მოგკლეს!

ორესტე მახვილს აღმართავს.

— შენ გიყვარს იგი? კარგი, მასთან ერთად დაწექი
ბნელ სამარეში. ქმარს ხომ მკვდარი ვერ უღალატებ!

სასოწარკვეთილი კლიტემნესტრა მკერდს გაიღეღავს:

— შესდექი, შვილო! შენი ძუძუ დაინდე, შვილო!
გახსოვს, ამ მკერდზე თვლემდი, როცა იყავ პატარა!
განა ეს ძუძუ, რძე დედისა არ გიწოვია?

ორესტე შედრკა. თავზე ხელები იტაცა და წაიჩურჩულა:

— პილადე! რა ვქნა... დედის მოკვლა საშინელია!..

პილადე მეგობრის გამხნევებას ცდილობს.

---

[1] ესქილეს ამ ტრაგედიის თარგმანი ეკუთვნის რ. მიმინოშვილს.

— დაგვიწუებია ლოქსიოსის მისნობა განა?
ან შენი ფიცი დაგავიწყდა, აღთქმა ურყევი?

ორესტე გონს მოეგება.

— შენ მართალი ხარ. დაგიჯერებ. კარგი რჩეულა!

მერე შუაკარებისაკენ ხელს გაიშვერს და კლიტემნესტრას ეტყვის:

— წადი, იქ მიდი, მინდა მოგკლა იმავ ადგილას!
იძინე მასთან მარადისად, აკი გიყვარდა!

შეძრწუნებული მაყურებელი სულგანაბული ისმენდა დედა-შვილის დიალოგს:

— ძუძუ გაწოვე, ნება მომეც შემოგაბერდე!
— შენ—მამის მკვლელო, ერთ კერქვეშ გსურს ჩემთან იცხოვრო?
— ბედი, ბედია დამნაშავე, ო, შვილო ჩემო!
— რას იზამ! ბედმა მომისაჯა შენი მკვლელობა!
— დედის წყევლისა შიში არ გაქვს, ძვირფასო შვილო?
— შენა ხარ დედა? მომიშორე, გამათახსირე!
— ნუთუ შენ, შვილო, მშობელ დედის მოკვლას გაბედავ?
— მე არა, არა! შენ თვითონ ხარ შენივე მკვლელი!
— მძვინვარ ძაღლების გეშინოდეს და დედის სისხლის!
— სისხლი მამისა? თუ დაგინდე, ის გადამიხდის!
— ცოცხლად დაეტირი ქვის აკლდამას, საკუთარ კუბოს...
— მამის სიკვდილმა მოგიჩინა ეგ განაჩენი!
— ვაგლახ, ქვემძრომი გამიზრდიხარ, გველად მიშვიხარ...
— დიახ, ცხადი და ნათელია ეგ შენი შიში.
მოჰკალ,—შესცოდე, მოხდეს ცოდვა,—მეც მოგკლავ ახლა!

თავზარდაცემული კლიტემნესტრა ორესტეს შუაკარებისაკენ მიჰყავს...

ცოტა ხნის მერე სასახლის კარი ფართოდ გაიღო და მაყურებელმა შურისძიების უკანასკნელი აქტიც იხილა: იმ კარებს უკან, ერთმანეთის გვერდით ორი ცხედარი ესვენა. ერთი კლიტემნესტრა იყო და მეორე — ეგისთე...

მოქალაქეები გარინდულან. აღარავის ძალუძს თვალი მიადევნოს ორესტეს განცდებს. დედის მკვლელი კი უსაზღვრო სევდასა და სინ-

დისის ქენჯნას შეუპყრია. ორესტეს საშინელი ერინიები[1]) ელანდება და შეძრწუნებული ყმაწვილი კაცი დელფოელ აპოლონთან მიეშურება...

მხოლოდ ღვთაებრივ სიბრძნეს თუ ძალუძს ადამიანის გამოყვანა ესოდენ უნუგეშო მდგომარეობიდან!

ტრაგედია დასრულდა. მაყურებელმა შვებით ამოისუნთქა: მესამე ტრაგედიის დაწყებამდე ხალხს ძალა უნდა მოეკრიბა და გონს მოსულიყო...

აღელვებული სოფოკლე ევფორიონისაკენ გადაიხარა და უთხრა:

— ესქილემ ძველი და ახალი საწყისი დაუპირისპირა ერთიმეორეს. ერინიები დედის უფლებას იცავენ, აპოლონი და ორესტე კი — მამისას. ჯერჯერობით ორესტეა გამარჯვებული. მაგრამ მას შიში და ეჭვი დაეუფლა. ვნახოთ, რით დამთავრდება ეს დაძაბული შეკინება...

მესამე ტრაგედიაში ორესტეს გასამართლების ამბავი იყო მოთხრობილი. პროლოგის მეორე მოქმედებამ დელფოდან ათენში გადაინაცვლა. ათენას ქანდაკების წინ მუხლმოდრეკილი ორესტე დგას და ქალღმერთს მფარველობას შესთხოვს...

აქამდე გარინდული მაყურებლები უეცრად მერხებიდან წამოცვივდნენ და საზარელი ყვირილით აქეთ-იქით მიაწყდნენ.

სცენაზე შურისმგებელი ერინიები შემოჭრილიყვნენ... მათი სისინი და შეხლა-შემოხლა, დაუოკებელი რისხვა და მძვინვარება პატარა სცენამ ვეღარ დაიტია და მოზღვავებული ნიაღვარივით მთელ თეატრს მოეფინა...

მრავალ უბედურებათა ხილვით ძალმიხდილი მაყურებლები ყოვლისშემძლე ღმერთებს შემწედ იხმობდნენ და საცოდავად გმინავღნენ...

მსახიობი და მეგუნდენი შეცბენ. არქონტის ბრძანებით, ტრაგედია შეწყვიტეს. მეგუნდეებმა ნიღბები მოიგლიჯეს.

თავად დამფრთხალი ზედამხედველები თანდათან გონს მოეგენ და დაფაცურდნენ. ზედამხედველებს სხვებზე გულადნიც წამოეშველნენ და ხალხის დაშოშმინება სცადეს. მაყურებლები კიდევ დიდ-

---

[1] ახლო ნათესავის მოკვლისათვის შურისმაძიებელი ღვთაებანი.

ხანს ბორგავდნენ და შეშინებულნი ნიღაბმოხსნილ მეგუნდეებს გაჰყურებდნენ...

ტრაგედიის ბოლომდე ნახვის სურვილმა მაინც თავისი გაიტანა და ფერმიხდილმა მოქალაქეებმა მერხებს მიაშურეს...

მეგუნდეებმა რის ვაი-ვაგლახით მოირგეს ნიღბები და წარმოდგენა გაგრძელდა.

სცენაზე ქალღმერთი შემოვიდა. მან უნდა გადაწყვიტოს ორესტეს ბედი. მაგრამ ძალზე რთული ვითარება შექმნილა! ათენას არ სურს, მარტო თავად იყოს პასუხისმგებელი. ამიტომ განსაკუთრებულ სასამართლოს აარსებს. ამ დაწესებულებას არეოპაგი დაერქმევა. უზენაესი სამართლიანობა იქნება მისი საფუძველი...

მოქალაქეებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ხედავ, ევფორიონ! — გადაულაპარაკა სოფოკლემ მეგობარს, — არეოპაგი ათენას მიერ ყოფილა დაარსებული. მას ისეთი საქმეების გადაჭრა ევალება, რაც თვით ღვთაებასაც ვერ მოუგვარებია. ამიტომ არეოპაგის უფლებათა შეზღუდვა ღმერთების საწინააღმდეგო მოქმედებაა!

არეოპაგი ორესტეს საქმის გარჩევას იწყებს. სასამართლოს ათენა თავმჯდომარეობს. ბრალმდებლად ერინიები გამოდიან, დამცველად კი — აპოლონი.

დაძაბული მაყურებელი გულდასმით ისმენს მათ პაექრობას. ბედის სასწორი ხან ერთ მხარეს გადაიხრება და ხან მეორეზე...

მსაჯულთა ხმები თანდათან გაიყო. ახლა ყველაფერი ათენას ხმამ უნდა გადაწყვიტოს. ქალღმერთი ორესტეს მიემხრო და სასამართლომ დედის მკვლელი გაამართლა...

— მამის უფლებამ გაიმარჯვა! — თქვა ევფორიონმა.

— მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით! — მიუგო სოფოკლემ, — ძველთაგანვე დაკანონებულ ჩვეულებას ხალხი ადვილად ვერ შეელევა!

ტრაგედია დასასრულს უახლოვდება. ათენში გამართლებული ორესტე არგოსს უნდა დაბრუნდეს და მეფობას მიჰყოს ხელი.

— ესქილემ ათენისა და არგოსის კავშირის განმტკიცებაზეც იზრუნა! — უთხრა სოფოკლემ ევფორიონს.

ახალგაზრდა პოეტი არ შემცდარა. ორესტე ათენის მფარველ ქალღმერთებს ეუბნებოდა:

შენსა ქვეყანას და შენსა ერსა
ფიცს სამუდამოს ვაძლევ შეგნებით,
რომ არგოსელთა არც ერთი მეფე
არ დაემუქროს მას ომის ცეცხლით!
სამარეშიც რომ ვეყარნეთ ცივში,
გამოვუგზავნით ჩვენ წყევლას იმათ,
ვინც განიზრახავს იმ ფიცის ღალატს,
აქ რომ ერთმანეთს შევფიცეთ ახლა![1].

წარმოდგენა დასრულდა: აღელვებული მაყურებელი გასასვლელისაკენ მიეშურებოდა და დამძიმებული გულით ტოვებდა თეატრს.

მეორე დღეს სოფოკლეს ტრაგედიები წარმოადგინეს. 13 ელაფებოლიონი კი პოლიფრადმონს დაუთმეს.

მსაჯულების გადაწყვეტილება აღარავის აინტერესებდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ პირველ ჯილდოს ესქილეს მიაკუთვნებდნენ. ასეც მოხდა, ათივე მსაჯულმა გამარჯვებულად ხანდაზმული პოეტი დაასახელა.

ამჯერად ესქილეც კმაყოფილი იყო.

— დიდი ხანია, ასეთი სიხარული არ განმიცდია, — ღიმილით ეუბნებოდა ევფორიონს, — ჩემი ტრილოგია, ვგონებ, მართლაც უნაკლო იყო!

წარმოდგენის დღიდან ორი თვე გავიდა. აღტაცებული მოქალაქეები კი კვლავ „ორესტეაზე“ ლაპარაკობდნენ...

ერთ საღამოს ევფორიონი სოფოკლეს შეხვდა და უთხრა:

— ძალზე გამოიცვალა მამაჩემი. მე და ტალთიბეს მოსვენებას არ გვაძლევს. წამდაუწუმ გვეკითხება, ახალი რა გესმით, ჩემს ტრილოგიაზე ხალხი რას ამბობსო...

ესქილე მართლაც გამოცვლილი და აფორიაქებული ჩანდა. როგორც კი დაინახავდა შინ დაბრუნებულ ევფორიონს, მაშინვე გვერდით მოისვამდა, სმენად გადაიქცეოდა და გაგონილს აამბობინებდა. მერე ხელს ჩაიქნევდა და ჰკითხავდა: — სხვა? სხვა კი არაფერი გაგიგონიაო?..

შეფიქრიანებული ევფორიონი სოფოკლესთან გარბოდა და ყველაფერს დაწვრილებით უამბობდა...

---

[1] თარგმნა ს. ყაუხჩიშვილმა.

სოფოკლემ ესქილესთან სტუმრობა გაახშირა. მალე დარწმუნდა, რომ ევფორიონი სრულიადაც არ აჭარბებდა.

ნეტავ რა აწუხებს დიდებულ პოეტს? ან იმაზე მეტს რას ელის, რასაც სოფოკლე, ევფორიონი და ტალთიბე უამბობენ?

სოფოკლემ მოსვენება დაკარგა. დღენიადაგ ესქილეზე ფიქრობდა და მისი სევდის მიზეზის გამოცნობას ლამობდა...

ღრუბლიანი დილა იყო. სოფოკლეს საუზმე დაემთავრებინა და სახლიდან გასასვლელად ემზადებოდა. მოულოდნელად ესქილეს სახე წარმოუდგა. ხანდაზმული პოეტი ნაღვლიანი თვალებით უმზერდა... სოფოკლე სავარძელზე დაეშვა და თვალები დახუჭა. ახლა ესქილეს ხმა ჩაესმა გარკვევით: — სხვა? სხვა კი არაფერი გაგიგონია?

სოფოკლემ თვალები გაახილა. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა, მერე წამოდგა და ოთახში სიარულს მოჰყვა...

უცებ თვალები გაუბრწყინდა. რაღაც აზრმა ენით უთქმელი სიხარული მოჰგვარა. დარწმუნებული იყო, პასუხს მიაგნო. წამოსასხამს ხელი დასტაცა, კიბე ჩაირბინა და ესქილეს სახლისაკენ გაეშურა.

კარი ევფორიონმა გაუღო. ესქილე სარკმელთან იდგა და რაღაც ფიქრით გატაცებული შორეულ სივრცეს გაჰყურებდა.

— სოფოკლე გვეწვია, მამი! — გასძახა ევფორიონმა.

— მართლა? — თქვა ესქილემ, შემოტრიალდა და დინჯად გაეშურა სტუმრისაკენ, — ყური ხომ არაფრისათვის მოგიკრავს, ყმაწვილო?

— ძალზე ბევრი სათქმელი დამიგროვდა, დიდებულო პოეტო, — მიუგო სოფოკლემ და ჩამოჯდა, ყველაფერს ახლავე მოგახსენებ!

— ჯერ არა! — თქვა ესქილემ, სავარძელი სოფოკლესთან მიაჩოჩა, მოხერხებულად მოკალათდა და უთხრა: — აი, ახლა კი დაიწყე!

სოფოკლე განზრახ ნელა ლაპარაკობდა. ყოველი წინადადების მერე ჩერდებოდა და ესქილეს აკვირდებოდა.

— მთელი ქალაქი შენზე ლაპარაკობს, დიდებულო პოეტო! ამბობენ, ესქილემ ტრაგედია სრულყოფილებას აზიარაო...

მასპინძელს არ შერხეულა...

— სამი მსახიობის გამოყვანით მაყურებელი დაატყვევაო...

ესქილეს წარბიც არ შეტოკებია...

— ასეთი ტრაგედია არც გვიხილავს და ალბათ ვერც ვიხილავთო...

კვლავ არავითარი შთაბეჭდილება...

— არეოპაგი კი... — სოფოკლემ ჩაახველა და სათქმელი აღარ დაასრულა...

ესქილე სწრაფად წამოდგა. აღელვებას ვერ ფარავდა. სოფოკლეს ნიკაპზე ხელი სტაცა, თავი აუწია და ჰკითხა:

— არეოპაგზე რაღას ამბობენ?

— არეოპაგი აღარავის გახსენებია, დიდებულო პოეტო! — მშვიდად მიუგო სოფოკლემ.

ესქილე მოცელილივით დაეშვა სავარძელზე.

— ღირსეულო ესქილე! — თქვა სოფოკლემ და წამოდგა, — ნუთუ შენ მართლაც ფიქრობდი, რომ მოქალაქეები არეოპაგის დასაცავად აღსდგებოდნენ? ჩვენს ხალხს ყველაზე ნაკლებ სწორედ ის აწუხებს, რაც შენს მთავარ საზრუნავად გადაქცეულა. სახელმწიფოს მესვეურები კი საკუთარი უფლებების დაცვას მეტად უფრთხილდებიან, ვიდრე ქალღმერთის მიერ დაარსებულ არეოპაგს. მომიტევე, დიდებულო პოეტო, მაგრამ „ევმენიდებით“. ამ საქმეს არ მოევლება. ცხოვრება თავისი გზით მიდის და ზოგ რამეს შენც უნდა შეეგუო...

ესქილემ თავი ასწია.

— შენ ფიქრობ, რომ არეოპაგის უფლებათა შეზღუდვა ცხოვრებით ნაკარნახევი აუცილებლობაა?

— ეგ მე არ ვიცი, მაგრამ...

— სამაგიეროდ, უკვდავმა ღმერთებმა იციან, რომ ეგ აგრე არ არის! — წამოიძახა ესქილემ და წამოდგა, — იქნებ შენ და ევფორიონს გსურთ, ბრძოლაზე ხელი ამაღებინოთ? ტყუილი ცდაა! კიმონმა დახმარება აღმითქვა, მაგრამ გააძევეს. ეფიალტე ხომ არ გაუძევებიათ? ისიც ხომ ათენელია! მივალ, დავარწმუნებ, ვთხოვ, შეევედრები...

— ვის? — შესძახა ევფორიონმა, — კიმონის გამძევებელს?!

— შენ მხოლოდ კიმონი გახსოვს. დღეც და ღამეც განდევნილ მეგობარზე ფიქრობ. მე კი სხვა დარდი მაწუხებს. კიმონი ეფიალტემ შეცვალა, ეფიალტეს ადგილს სხვა დაიკავებს, იმ სხვას სხვა შეცვლის და ასე გაგრძელდება დაუსრულებლად... არეოპაგი კი იყო და იქნება, არეოპაგი მარად იარსებებს! ჭეშმარიტი ათენელი ამ წმინ-

და დაწესებულებაზე ფიქრს ვერ მოიშლის, მისი უფლებების დასაცავად თავს არ დაზოგავს! მე ჭეშმარიტი ათენელი ვარ!

— მომიტევე, დიდებულო პოეტო, — თქვა სოფოკლემ, — მაგრამ ეფიალტე ამ საქმეში არ გამოგადგება!

— ეგ ვინ იცის! — მიუგო ესქილემ და დასძინა: — მართალი გითხრა, ეფიალტეზე არც მე ვამყარებ დიდ იმედებს. უარს თუ მეტყვის, ბედს სახალხო კრებაზე ვცდი. მერე სხვა გზას გამოვნახავ და მანამ არ მოვისვენებ, ვიდრე წადილს არ ვეწევი!

ესქილე საწოლ ოთახში გავიდა. სოფოკლე დიდხანს იდგა ჩაფიქრებული, მერე ევფორიონთან მივიდა და უთხრა:

— გულს ნუ გაიტეხ, მეგობარო, დრო თავისას გაიტანს და ღირსეული ესქილეც დაწუნარდება...

ევფორიონმა ნაღვლიანად გაიღიმა.

— ცუდად გცნობია მამაჩემი, — ჩაილაპარაკა მან.

აფორიაქებული ესქილე ადგილს ვეღარ პოულობდა. ერთ საღამოს ეფიალტესთან წასვლა გადაწყვიტა. დიდხანს ეევდრებოდნენ ევფორიონი და ტალთიბე, ეს ნაბიჯი არ გადაედგა. ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა და ესქილე სახლიდან გავიდა...

ევფორიონი მოუთმენლად ელოდა მამის დაბრუნებას. დრო გადიოდა და ესქილე არ ჩანდა. თავადაც შეფიქრიანებული ტალთიბე ევფორიონს ამშვიდებდა... ამ დროს ფეხის ხმა მოესმათ. ევფორიონი წამოხტა და კარი გამოაღო. კიბეზე ესქილე ამოდიოდა.

— შეგაგვიანდა, მამი! — უთხრა ევფორიონმა და გზა დაუთმო.

ესქილე სავარძელზე დაეშვა და ამოიხვნეშა. ევფორიონი და ტალთიბე მიხვდნენ, რომ საქმე კარგად არ უნდა ყოფილიყო...

— მაინც რა გითხრა? — ჰკითხა ევფორიონმა.

— რა უნდა ეთქვა! — წამოიძახა ესქილემ და წამოდგა, — შენ ტრაგედიებს ნუ მოგვაკლებ, ქვეყნის საქმეს კი მე მოვუვლიო. რაკი სახელმწიფოს სათავეში მოექცა, დარწმუნებულია, ჰკუას ვერავინ ასწავლის...

აღელვებული ესქილე ოთახში სიარულს მოჰყვა.

— მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, — თქვა მან, — ხვალ სახალხო კრებაა. ვნახოთ, რას იტყვიან მოქალაქეები!

ევფორიონმა არაფერი უპასუხა. კარგად იცოდა, რომ ესქილეს კვლავ გაწბილება ელოდა...

ასეც მოხდა. კრებიდან დაბრუნებული ესქილე დიდხანს ბორგავდა. ათენელ მოქალაქეებს ლანძღავდა და იმუქრებოდა.

— გონდახშული დიაცები! ღმერთები მიუზღავენ სამაგიეროს! მალე შურისგების ჟამიც დადგება!

ევფორიონი და ტალთიბე ესქილეს დაშოშმინებას ლამობდნენ. ვერაფერი გააწყვეს...

— სამოცდაათ წელს მივაღწიე და ამგვარ კრებას არ დავსწრებივარ. ხალხი დაკნინებულა და ვაჟკაცები ლაჩრებად გადაქცეულან!

— სამოცდაათს სამი წელი გაცილებს, დიდო ბატონო! — სცადა გახუმრება ტალთიბემ, — ამ სამ წელიწადში ბევ რამეს ნახავ!

ესქილემ ყურადღება არ მიაქცია ტალთიბეს სიტყვებს.

— არისტიდე რომ ცოცხალი ყოფილიყო და კიმონიც არ გაეძევებინათ, საქმეს კიდევ ეშველებოდა. ახლა კი ყველაფერი გათავებულია!

ხანდაზმულ პოეტს ის კი აღარ გახსენებია, რომ არისტიდესა და კიმონის დროს არეოპაგი უკვე აღარ არეოპაგობდა...

კიდევ დიდხანს შფოთავდა ესქილე. ბოლოს ძალმიხდილი სავარძელზე დაეშვა...

შეშფოთებული ევფორიონი მამას თვალს არ აცილებდა. ტალთიბე კედელს მიყრდნობოდა და გულხელი დაეკრიფა...

ესქილე წამოდგა. ძალზე დაქანცული ჩანდა.

— მშვიდობის ღამეს გისურვებ, შვილო ჩემო! — უთხრა ევფორიონს და ოთახიდან გავიდა.

ევფორიონი და ტალთიბე კიბის ჭრიალმა გამოაფხიზლა. ცოტა ხნის მერე ვიღაცამ დააკაკუნა. ევფორიონმა კარი გამოაღო და სახე გაუბრწყინდა.

— სოფოკლე! — წამოიძახა მან. — სწორედ დროზე მოხვედი, მეგობარო!

— ცუდ გუნებაზე დამაყენა დღევანდელმა სახალხო კრებამ, — თქვა მან, — შენ რატომ არ დაესწარი?

— არ მინდოდა ესქილეს გაწბილების მოწმე ვყოფილიყავ! — მიუგო ევფორიონმა.

სოფოკლე ჩამოჯდა.

— დიდებული პოეტი რაღას ამბობს?

— რა უნდა თქვას? ძალზე აღელვებულია. ათენელების ლანძღვით გული ვერ იჯერა!

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის მერე ევფორიონმა მეგობარს ჰკითხა:

— მაინც რა მოხდა იმ კრებაზე, ასე აღელვებული რომ დაბრუნდა მამაჩემი?

— იმაზე მეტი არაფერი, რასაც შენც ელოდი და მეც, — მიუგო სოფოკლემ და განაგრძო:—ესქილე რომ ლაპარაკობდა, ხალხს თვალს არ ვაცილებდი. ვატყობდი, დიდებული პოეტის სიტყვები ხალხის გულს არ ეკარებოდა. ვიღაც ახმახმა ხელოსანმა თავი ვერ შეიკავა და მიაძახა: — ჯერ თევზეულის ფასების საკითხი არ მოგვიგვარებია და შენ არეოპაგზე ლაპარაკობო. ირგვლივ გაიცინეს. შეცბა ღირსეული ესქილე. თავს ძალა დაატანა და ლაპარაკი განაგრძო. — ისეთი რამ გვითხარ, ჩვენს გულსაც ეფონოსო, — დაუძახა ვიღაცამ. — რა დროს არეოპაგია, ამბობენ, ირანელები კვლავ ემზადებიან ელადაზე თავდასასხმელადო, — დასძინა მეორემ. ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ორატორს აღარავინ უსმენდა. გაშმაგებული ეპისტატე ხალხის დაშოშმინებას ლამობდა. — მოქალაქენო! — დაიჭუხა მან, — ნუთუ დიდებულ ესქილესაც არ მოუსმენთ? — ხალხს ბრგე ვაჟკაცი გამოეყო და თქვა: — თეატრში ყველა ყურადღებით უსმენს დიდებულ ესქილეს. აქ კი ჩვენი მოლოდინი ვერ გაამართლაო. — ესქილე აენთო. ვგონებ, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. ერთხანს გარინდული იდგა, მერე ხელი ჩაიქნია და იქაურობას გაეცალა...

— უღირსი ათენელები! — წამოიძახა ევფორიონმა, — განა კაცმა მაგათი იმედი უნდა იქონიოს?

სოფოკლემ არაფერი უპასუხა...

სახალხო კრების მერე ესქილე აღარავის იკარებდა. თავის ოთახში ჩაიკეტა და იშვიათად გამოდიოდა. დადარდიანებული ევფორიონი გამოსავალს ვერ პოულობდა და ისევ სოფოკლეს შესჩიოდა...

— მოთმინება იქონიე, მეგობარო, — ამშვიდებდა სოფოკლე. — მალე ყველაფერი მოგვარდება...

სოფოკლეს თავადაც არ სჯეროდა საკუთარი ნათქვამი...

ერთ საღამოს ტალთიბემ ფრთხილად შეაღო ესქილეს ოთახის კარი.

— ქსენოკლე გეახლა, დიდო ბატონო! — უთხრა მან.

— რომელი ქსენოკლე? — ჰკითხა ესქილემ.

ტალთიბემ თვალები დააჭყიტა. ნუთუ მოხუცმა მართლაც ვერ გაიხსენა ქსენოკლე?

— შენი ყოფილი ქორეგოსი, დიდო ბატონო! — მოაგონა მსახურმა.

ესქილე წამოდგა. ტალთიბეს მოეჩვენა, რომ მოხუცის თვალებში სიხარულის ნაპერწკალმა გაიელვა...

— სად დაიკარგე, ბებერო! — ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა ესქილე ქსენოკლეს და მხარზე ხელს უთათუნებდა...

— არც შენ გამოიყურები ახალგაზრდად, — მხიარულად პასუხობდა სტუმარი და მეგობარს თვალს ვეღარ აცილებდა, — ერთი ეს მითხარი, მოხუცო, თმები სად დაკარგე?

ესქილემ თავზე ხელი გადაისვა და გაიღიმა.

— ეჰ, ჩემო ქსენოკლე, ვერ წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, თმების მეტი რომ არაფერი დამეკარგა!

ევფორიონი, სოფოკლე და ტალთიბე სულგანაბული ისმენდნენ პოეტისა და ქორეგოსის საუბარს. დიდი ხნის გაყრილი მეგობრების შეხვედრამ სამივეს გული აუჩუყა. ტალთიბეს თავი მიებრუნებინა და მოზღვავებულ ცრემლებს იწმენდდა.

— სალამინიდან გამომგზავრების წინ კიმონს შევხვდი...

— კიმონს? — წამოიძახა ევფორიონმა და წამოხტა.

— დიახ, კიმონს! — მიუგო ქსენოკლემ და განაგრძო: — გულმა არ მომითმინა და გამოვეცნაურე. სალამინზე ორი დღის წინ ჩამოსულა და პირეისაკენ მომავალ ხომალდს ეძებდა. ჩემი ხომალდის მეთაურმა სამსახური შესთავაზა. კიმონი ჯერ დათანხმდა, მერე უარი უთხრა და სხვა ხომალდის მეთაურს მოელაპარაკა. ჩემი ანგარიშით, კიმონი ხვალ უნდა ჩამოვიდეს...

ქსენოკლეს ნაამბობმა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გაფითრებული ევფორიონი სარგადაყლაპულივით იჯდა და ხმას არ იღებდა. სოფოკლეს ცალი წარბი უხტოდა და თითებს მაგიდაზე ათამაშებდა. ტალთიბე კედელს მიყრდნობოდა და ქანდაკებასავით გაქვავებულიყო. ესქილე სწრაფად წამოდგა და ქსენოკლეს ჰკითხა:

— მაშ კიმონი დაბრუნებას აპირებს?

— განა არ იცოდით? — გაუკვირდა ქსენოკლეს, — სახელმწიფოს მესვეურთ კიმონი კვლავ ათენში მოუწვევიათ!

— ტალთიბე, ღვინო! — დაიძახა ესქილემ და ქსენოკლეს მხარზე ხელი დაჰკრა, — ხედავ, მეგობარო! ყოველისშემძლე ღმერთები არეოპაგს არ იეიწყებენ!

ქსენოკლემ ჯერ ესქილეს მიაპყრო გაოცებული მზერა, მერე დანარჩენებს გადახედა...

მეორე დღეს მთელი ქალაქი კიმონის დაბრუნებაზე ლაპარაკობდა. ევფორიონს გული შინ აღარ უდგებოდა და მეგობრის ნახვას ჩქარობდა.

— ცოტაც მოითმინე, ყმაწვილო! — მხიარულად ეუბნებოდა ესქილე, — კაცს სული მოათქმევინე და საღამოს ერთად ვეწვიოთ!

ერთი დღე საუკუნედ გადაიქცა. ევფორიონი გალიაში დამწყვდეულ ლომს ჰგავდა. ადგილს ვეღარ პოულობდა და აქეთ-იქით აწყდებოდა...

ესქილე ოციოდე წლით გაახალგაზრდავებულიყო. ოთახში მხნედ დააბიჯებდა და მოუთმენლად ელოდა მზის ჩასვლას. საერთო სიხარული ტალთიბესაც გადასდებოდა და ციბრუტივით ტრიალებდა...

ბოლოს ნანატრი ჟამიც დადგა. ესქილე და ევფორიონი კიმონისაკენ გაეშურნენ.

კიმონი სიხარულით შეეგება მამა-შვილს. ერთმანეთი მოიკითხეს და მაგიდას შემოუსხდნენ. ევფორიონი ათასნაირ კითხვებს აყრიდა მეგობარს. კიმონი ხალისიანად პასუხობდა. ესქილე მშვიდად ისმენდა მათ საუბარს. ხელსაყრელ ჟამს ელოდა, რომ საკუთარი გულისნადები გაემხილა. ამ დროს კიმონი ესქილეს მიუბრუნდა და უთხრა:

— დიდებულო პოეტო, ვინ იცის, ჩემს არ ყოფნაში რამდენჯერ იზეიმე გამარჯვება!

— მხოლოდ ერთხელ! — ღიმილით მიუგო ესქილემ.

— სამაგიეროდ მთელი ქვეყანა აალაპარაკა! — ამაყად თქვა ევფორიონმა, — იმ შეჯიბრში სოფოკლეც მონაწილეობდა!

— მეოთხე წელია შენი ტრაგედიები არ მინახავს... — ჩაილაპარაკა კიმონმა.

— ტრაგედიების ნახვას ყოველთვის მოასწრებ, ღირსეულო კიმონ! დღეს კი შენი პირობა მინდა შეგახსენო!..

კიმონი ჩაფიქრდა. მერე ესქილეს შეხედა და უთხრა:

— მაპატიე, დიდებულო პოეტო, მაგრამ ვერც კი გავიხსენე, რას შეეხებოდა ჩვენი პირობა...

— არეოპაგს! — მოაგონა ესქილემ.

კიმონმა გაიცინა.

— ახლა არეოპაგისათვის ვის სცალია, მოხუცო!

ესქილეს თვალთ დაუბნელდა. კიმონის მიერ წარმოთქმულმა ოთხმა სიტყვამ თავზარი დასცა... ღმერთებს მადლობას სწირავდა, რომ სწორედ ამ დროს ოთახში სოფოკლე შემოვიდა. კიმონმაც და ევფორიონმაც მასზე გადაიტანეს ყურადღება...

რა ნაადრევი აღმოჩნდა ესქილეს ზეიმი, რა ხანმოკლე იყო მისი სიხარული... იმ ოთხმა სიტყვამ, კიმონმა რომ სიცილით წარმოსთქვა, სამუდამოდ დაასამარა ესქილეს იმედები, მისი მიზანიც ფუჭ და მიუწვდომელ ოცნებად აქცია...

ესქილემ თავს ძალა დაატანა, წამოდგა და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— ხელს აღარ შეგიშლით, ყმაწვილებო! დროს უჩემოდ უკეთ გაატარებთ.,. — პასუხს აღარ დაელოდა და ოთახიდან გავიდა.

მიაბიჯებდა იმედგაცრუებული პოეტი და თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა...

უცებ შეჩერდა და გაიღიმა. თავში რაღაც აზრმა გაუელვა და შვება აგრძნობინა. — რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე, — ჩაილაპარაკა და გზა განაგრძო.

— სახელმწიფოს ბავშვები განაგებენ. მათთვის არეოპაგიც უცხოა და მამა-პაპათა ადათ-წესებიც. მოქალაქეებს ვაჟკაცობა დაუკარგავთ და წვრილმანებზე ფიქრით ცხოვრობენ. ირგვლივ ყველაფერმა იერი შეიცვალა... ათენში ისეთი არაფერი დარჩა, კაცს რომ მარათონის დიად ეპოქას მოაგონებდეს!..

ფიქრებში გართულმა ესქილემ გზა შეუმჩნევლად გალია. ჰიშკარი შეაღო, კიბეზე ავიდა და საწოლ ოთახს მიაშურა. დაღლილობა იგრძნო და ჩამოჯდა...

— გადაწყდა! — ჩაილაპარაკა მან, — ათენში აღარ მედგომება. წავალ, უცხო მხარეს შევეფარები და დარჩენილ დღეებს იქ გავატარებ...

გადაწყდა? კი, მაგრამ საით გაემგზავროს? თავშესაფარი სად ეძებოს?

—სირაკუზში! — გაახსენდა ესქილეს და სახე გაუბრწყინდა. საქმე მოგვარებულად ჩათვალა, საწოლს მიაშურა და მშვიდად ჩაიძინა...

პირეის ნავთსაყუდელში ესქილეს ნაცნობ-მეგობრები ირეოდნენ. ყველა უზომოდ დამწუხრებული ჩანდა...

ევფორიონი კუნძზე ჩამომჯდარიყო და თავი ხელებში ჩაერგო. იქვე სოფოკლე იდგა და მეგობარს ამხნევებდა.

— ნუ დარდობ, ძმობილო! ესქილე სირაკუზში დიდხანს ვერ გაძლებს. ჩამოსვლა თუ დააგვიანდა, მე და შენ წავალთ და ძალით ჩამოვიყვანთ!..

ევფორიონმა თავი ასწია.

— შენი იმედი მაქვს, მეგობარო! ჩამოსვლა თუ დააგვიანა, მე და შენ წავალთ და ჩამოვიყვანთ...

ქსენოკლე ესქილესთან მივიდა და უთხრა:

— არისტიდე რომ ცოცხალი ყოფილიყო, წასვლას ვერ გაბედავდი... ვაჟკაცობა არ გეყო, განა?

აფორიაქებული ესქილე სიტყვებს ვერ პოულობდა. ფერი მიხდოდა და თავჩაქინდრული იდგა...

ხომალდი წასასვლელად მზად იყო და დიდებულ პოეტს ელოდა. ესქილე დაფაცურდა. ევფორიონთან მივიდა და გულში ჩაიკრა.

— ცრემლებს ნუ გამატან, შვილო! სასიკვდილოდ ხომ არ მივდივარ...

— მალე დაბრუნდები? — ჰკითხა ევფორიონმა.

ესქილეს შვილი შეებრალა.

— დავბრუნდები, უსათუოდ დავბრუნდები! — მიუგო მან.

ხომალდის მეთაური ჩქარობდა. ესქილე სოფოკლესთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— მშვიდობით, სახელოვანო ვაჟკაცო!

— ნახვამდის სწორუპოვარო პოეტო! — მიუგო სოფოკლემ და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ესქილე ტალთიბეს მიუბრუნდა და უთხრა:

— შენი იმედი მაქვს, ტალთიბე! დარწმუნებული ვარ, ევფორიონს შვილივით მიხედავ!

— ოღონდ შენ დროზე დაბრუნდი და აქ ყველაფერი რიგზე დაგხვდება! — მიუგო ტალთიბემ.

ესქილე დანარჩენებსაც გამოემშვიდობა და ხომალდზე ავიდა.

გამცილებლებმა ხელსახოცები ააფრიალეს...

— მშვიდობის მგზავრობას გისურვებ, მეგობარო! ათენის მიწაზე შეხვედრამდე! — გასძახა ქსენოკლემ.

ხომალდი ნელი სვლით სცილდებოდა ნაპირს...

ესქილე გემბანზე იდგა და ხელს აქნევდა. თვალს ორი მსხვილი ცრემლი მოწყდა და იატაკს დაეცა...

მხოლოდ ტალთიბემ შენიშნა, როგორ უთრთოდა მხრები ხანდაზმულ პოეტს...

სირაკუზში ესქილემ ორიოდე დღე დაჰყო. აქ მრავალი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა და იცოდა, მოსვენებას არ მისცემდნენ. ესქილეს კი განმარტოებული და მყუდრო ცხოვრება ეწადა. ლამაქემ გელას გამგზავრება ურჩია. ესქილეს ეს აზრი მოეწონა: პატარა და მშვიდი ქალაქი მყუდრო ცხოვრებას ჰპირდებოდა...

ესქილე მზადებას შეუდგა.

— ნება მომეცით, მეც თან გამოგყვეთ, დიდებულო ბატონო! — უთხრა ლამაქემ.

ესქილემ მხრები აიჩეჩა.

— დაგყაბულდებიან? — ჰკითხა მან.

ლამაქემ გაიცინა.

— მიბრძანეს კიდეც, დიდებულ სტუმარს ნუ მოსცილდებიო!

— ალბათ არ იციან, რომ მე სტუმარი აღარა ვარ, — ჩაილაპარაკა ესქილემ, — გადაწყვეტილი მაქვს, თქვენს ქვეყანაში დავსახლდე...

— მართლა? — წამოიძახა გახარებულმა ლამაქემ და ტაში შემოჰკრა...

გელას მცხოვრებნი ესქილეს დიდის ამბით შეეგებნენ. ზღვის პირას პატარა სახლი დაუთმეს და მის მოწყობაზეც იზრუნეს. ესქილე და ლამაქე ამ სახლში დაბინავდნენ.

ხელმარჯვე ლამაქე თავს არ ზოგავდა. ესქილეს უთქმელად უხვდებოდა ხოლმე ყველა სურვილს და თვალის დახამხამების უმალ ისე მოაწყობდა, რომ გაოცებული პოეტი ეუბნებოდა:

— გულთმისანი ხომ არა ხარ, ჩემო ლამაქე! მისნობა რომ დაგეწყო, საქვეყნოდ სახელს გაითქვამდი!

პირველ ხანებში დრო შეუმჩნევლად გადიოდა. ხანდახან ესქი-

ლე ოთახში ჩაიკეტებოდა და საათობით აღარ გამოდიოდა. ალბათ, ახალ ტრაგედიაზე მუშაობსო, ამბობდა ლამაქე და ფეხაკრეფით დააბიჯებდა...

დღის მეტ ნაწილს ესქილე ეზოში ატარებდა. მოუსვენარ ლამაქეს ეხმარებოდა და ხეხილის ბაღში მუშაობით თავს იქცევდა.

— ამ საქმეს მეც მოვუვლი, დიდო ბატონო! — წუხდა ლამაქე, — შენ კი შინ შედი და მოისვენე...

ესქილე თავისას არ იშლიდა და ღიმილით პასუხობდა:

— ბაღში მუშაობა სიამოვნებას მგვრის, ჩემო ლამაქე, და ნუ დამიშლი...

საღამოობით დროს საუბარში ატარებდნენ. ლამაქე სირაკუზის ამბებს ყვებოდა, ესქილე კი ათენისას...

ერთხელ ესქილე და ლამაქე აივანზე ისხდნენ და მოლივლივე ზღვას გაჰყურებდნენ.

— ეჰ, — ამოიხვნეშა ლამაქემ, — რა კარგი იქნებოდა, ევფორიონიც ჩვენთან ყოფილიყო...

ესქილე მოიღრუბლა. ცოტა ხნის მერე წამოდგა, საწოლ ოთახში შევიდა და დილამდე აღარ გამოსულა.

იმ დღიდან ესქილეს მოწყენილობა დაეტყო. დაღვრემილი დადიოდა და ბაღში მუშაობასაც გულს ვეღარ უდებდა.

— ჩემი ბრალია! — წუხდა ლამაქე და ბატონს აღარ სცილდებოდა.

— შენ რა შუაში ხარ, მეგობარო! — ანუგეშებდა ესქილე. — ლამისაა გული გამერღვას... რა ხანია ევფორიონისა არაფერი ვიცი!

ესქილემ სანაპიროზე სიარულს მოუხშირა. ერთ უზარმაზარ ლოდთან ჩამოჯდებოდა და ნაღვლიანი თვალებით ზღვას გაჰყურებდა.

ერთხელ, შინ რომ ბრუნდებოდა, ვიღაც უცნობმა გზა გადაუღობა.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ესქილემ.

— აქაური მცხოვრები გახლავარ, დიდებულო პოეტო! — მიუგო უცნობმა, — სირაკუზში ვიყავ და იქ ათენიდან ჩამოსული ხომალდის მეთაური ვნახე. რომ გაიგო, გელაში წამოსვლას ვაპირებდი, მთხოვა ეს ბარათი შენთვის გადმომეცა!

აფორიაქებულმა ესქილემ უცნობს გრაგნილი გამოართვა და სწრაფად გაშალა. ტალთიბეს ხელი იცნო. ალბათ ევფორიონის თავს რაღაც უბედურებააო, — გაიფიქრა შეშინებულმა. წაკითხვა დააპირა, მაგ-

რამ თვალთ დაუბნელდა და წაბარბაცდა. უცნობმა ხელი შეაშველა... ესქილემ ძალა მოიკრიბა და გასწორდა.

— გმადლობთ, მეგობარო! — ჩაილაპარაკა მან და შინისაკენ გასწია.

თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა. „ვაი, შვილო,“ წამოიძახებდა ხანდახან და ნაბიჯს უმატებდა...

ლამაქე შინ არ დახვდა. ოთახში შევარდა, სკამი მაგიდასთან მიაჩოჩა და ჩამოჯდა. რის ვაი-ვაგლახით გაშალა გრაგნილი. წაკითხვა სცადა, მაგრამ ასოები ამოძრავდნენ და აქეთ-იქით დაიწყეს ხტომა... ესქილემ ძალა მოიკრიბა, სული მოითქვა და კვლავ გრაგნილს დახედა. ასოები თავთავიანთ ადგილას დალაგებულიყვნენ. ესქილემ კითხვა დაიწყო.

„დიდო ბატონო! — წერდა ტალთიბე, — ყველა მოუთმენლად ველით შენს დაბრუნებას. ევფორიონი მარტოობას ვერ შეეგუა. ამას ერთი უბედურებაც დაერთო. შენს ვაჟს ძველმა ავადმყოფობამ გაუხსენა და ლოგინად ჩააგდო. ნუ შეშინდები, დიდო ბატონო! ახლა უკეთ არის და მალე წამოდგება კიდეც. დიდი შიში კი გვაჭამა. ხშირად ელანდებოდი და ყოველ წამს შენს სახელს გაიძახოდა... სხვა ახალი არაფერია. იმედი გვაქვს, რომ კვლავ ჩვენთან იქნები“.

ესქილეს გული შეეკუმშა. მართალს კი სწერს ტალთიბე? იქნებ ევფორიონი სულს ღაფავს და გადაკარგულ მამას საშველად უხმობს?

— მოვდივარ, შვილო! — წამოიძახა ესქილემ და კარებს ეცა.

აივანზე რომ გავიდა, გონს მაშინღა მოეგო. განა ასე ადვილია წასვლა!—გაიფიქრა მან და თავი ჩაჰკიდა. უცებ ლამაქე გაახსენდა. გამხნევდა. ლამაქე ყოჩაღია, ლამაქე შეუძლებელსაც შეძლებს!..

ესქილე ოდნავ დაწყნარდა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა...

ლამაქე კი არ ჩანდა. ესქილე კიბეზე დაეშვა, ჰიშკარში გავიდა და გზას დაადგა. თვითონაც არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ ჰქონდა კი მნიშვნელობა ამის ცოდნას? ახლა როგორმე დრო უნდა მოეკლა ლამაქეს დაბრუნებამდე. მერე ყველაფერი მოგვარდებოდა... ლამაქე ყოჩაღია, ლამაქე შეუძლებელსაც შეძლებს!..

ესქილე ზღვას მიადგა. ნაცნობ ლოდთან ჩამოჯდა და ზურგით ქვას მიეყრდნო...

შორიახლო კუ მიცოცავდა. იქნებ იმასაც სადმე მიეჩქარება? იქნებ საომრად მიდის ჯაშნით მოსილი? ზემოდან შრიალი მოისმა.

ესქილემ აიხედა და შეკრთა. უზარმაზარმა არწივმა ზედ თავზე გადაუქროლა და კუს დააცხრა, ბასრი კლანჭებით ჩაბღუჯა და აიტაცა...

ესქილეს კუ შეებრალა. თავისთვის მიწაზე მიცოცავდა და არწივის კლანჭებში კი მოექცაო, — გაიფიქრა მან.

— დაიღუპება?.. არა, გადარჩება! — თავს ინუგეშებს ესქილე, — არწივი რას დააკლებს მის მტკიცე ჯავშანს?!

გაგონილი გაახსენდა: არწივი რომ კუს აიტაცებს, სადმე კლდეზე დაანარცხებს და ჯავშანს დაუმსხვრევსო...

ესქილემ მიიხედ-მოიხედა. გარშემო ზღვა და სილიანი სანაპირო იყო გადაჭიმული. კლდის ნასახიც არსად ჩანდა.

— ამაო გამოდგა შენი შრომაო, — ჩაილაპარაკა ესქილემ და უცებ ის ლოდი მოაგონდა, თავად რომ იყო მიყრდნობილი...

თავში საზარელმა აზრმა გაუელვა... შეშინებულმა ზევით აიხედა...

ესქილემ მხოლოდ ერთხელ მოასწრო დაყვირება და თავგამობილი მიწას დაენარცხა... სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა...

წითლად შეღებილი კუ განზე გაცოცდა...

ესქილე გაუნძრევლად იწვა. ცოტა ხნის მერე თვალი გაახილა. დაყვირება უნდოდა და ხრიალი აღმოხდა...

საშინლად მოწყურდა. წყლის მიმწოდებელი კი არავინ ჩანდა...

— მაპი, სადა ხარ? — ჩაესმა ევფორიონის ძახილი...

არა! ესქილე ასე ადვილად სიკვდილს არ დანებდება! ეს ჭრილობა რომ მოაბანინა, იქნება გადარჩეს კიდეც...

— წყალი... — ამოიხრიალა ესქილემ და თავი გვერდზე გადაუვარდა...

ასე რატომ ჩამობნელებულა?... ჯერ მზეც არ უნდა იყოს ჩასული...

ესქილეს მოაგონდა, რომ ზღვის პირას იწვა. ზღვამდე რომ მიჩოჩდებოდეს, მარილიან წყალს დაეწაფებოდა და წყურვილს მოიკლავდა. მერე ჭრილობას მოიბანდა და თავს შეიხვევდა...

მაგრამ ზღვამდე რა მიაღწევს? ზღვა ძალზე შორსაა. ათი ნაბიჯი მაინც იქნება... ათი ნაბიჯი? მერე და ამ მანძილს რა გალევს?..

— სადა ხარ, მამი, სიკვდილის წინ მაინც მაღირსე შენი ნახვა! — კვლავ ჩაესმა ევფორიონის ძახილი.

ესქილე თავდაღმა გადაბრუნდა, ხელებით სილა ჩაბღუჯა და გაცოცება სცადა...

— მოდივარ, შვილო, მარტოდ არ დაგტოვებ!..

ესქილე უკანასკნელ ღონეს იკრებს და მიცოცავს...

ნეტავ ასე უეცრად არ დაღამებულიყო, ირგვლივ საშინელი წყვდიადი გამეფებულა...

ესქილე ხელებს წინ იშვერს და ზღვას დაეძებს. ხელში სილა ხვდება...

ლამაქე სადღა დაიკარგა? ის რომ გამოჩნდებოდეს, წყურვილსაც მოუკლავდა და ჭრილობასაც მოუშუშებდა. ლამაქე ყოჩაღია, ლამაქე შეუძლებელსაც შეძლებს...

ესქილე კვლავ წინ მიიწევს, მერე ხელებით ზღვას დაეძებს...

დროგამოშვებით ბეჭთან საზარელ ტკივილს გრძნობს... ნეტავ, ეს რაღა უნდა იყოს? სხეულიდან ხორცს ჭლეჯენ თითქოს...

— არწივი! — მოაგონდა ესქილეს და სახვზე სევდიანმა ღიმილმა გადაუქროლა. — მაშ პრომეთეს ბედი გაიზიარა? იქნებ თვით ზევსმა მიუჩინა მოხუცს არწივი?..

დედამიწა ზანზარებს... ესქილე თითქოს გარკვეით ხედავს, როგორ მოიჩქარიან გოლიათები...

სუყველა იცნო: ესენი ხომ მისი პირმშო გმირები არიან!..

წინ პრომეთე მოაბიჯებს. ხელებზე ვიღაც უსვენია...

— სადა ხარ, მამი? — ეძახის ის „ვიღაც“ და ესქილე ევფორიონის ხმას ცნობს.

— აქა ვარ, შვილო! — იყვირა ესქილემ და წამოიწია...

ძალამ უმტყუნა. ხელები მოეკეცა, მიწას მოცელილივით დაენარცხა და სახე სილაში ჩარგო...

ესქილეს აღარც წყურვილი აწუხებდა და აღარც ევფორიონის ძახილი ესმოდა...

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროლოგი	3
პირველი გამარჯვება	29
საბედისწერო დღეები	71
ტრაგედია ტრაგედიის დროს	105
თემისტოკლეს გარათი	132
საუბარი სცენასთან	160
კუ და არწივი	196

რედაქტორი მ. სოხაძე
მხატვარი დ. დუნდუა
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ე. პირველი
კონტრ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვები ი. ხაჩიძე.

გადაეცა ასაწყობად 28/X-74
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/IV-75 წ.
ანაწყობის ზომა 6×8¾
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 14.41
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.47
ტირაჟი 20.000 შეკვ. № 207
ფასი 64 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა. მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7